644
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი 7

644
99.

ივლისი 1964

ᲫᲓᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ფოტოფოტიუდი ო. თურქიანი

ᲒᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲘᲠᲓᲖᲔ—ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ცისკარი

644
1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია

ალი-ალა ჟურჩაილი — ჩემი სამშობლო. ლექსი. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ 3

თეიმურაზ ჯანგულაშვილი — საგარაკო ჩანაწერები 16

ვახტანგ გორგანელი — წარწერა ციხის კედელზე 50

ხუტა გაგუა — ლექსები 60

გიორგი გიგაური — ლექსები 63

გიძინა მინდაძე — აპრილი 75

პროზა

თამაზ ჭილაძე — ვარსკვლავები. ჟოლო. მოთხრობები 5

გივი გოგიჩაიშვილი—გაზაფხულიდან გაზაფხულამდე. რომანი 24

გიორგი სანადირაძე — მეგბადური. მოთხრობა 47

აკაკი ვასაძე — სტუმარი. მოთხრობა 56

ლიდა კოღოღაშვილი—ძმები. მოთხრობა 65

7

ივლისი

1964

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც. კ-ს და მწერალთა კავშირის ორგანო

მარია გელაძოვა — ვაჟიშვილი. მოთხრობა. დასასრული. თარგმნა გიორგი გრიგორაშვილმა 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული კრიტიკა

დიმიტრი ჭუმსიშვილი — ქართლის ცხოვრების ერთი ფურცელი 97

წიგნის თარო

ფაშა ციციაშვილი — ერთი შეხედვით 102
ვაჟა მესხი — უკვდავი კობზარი 103
ლევან ფრუიძე — „თხმორის განძი“ 105

პუბლიცისტიკა

ნიკო ყიასაშვილი—ინგლისური დღიურიდან 108
ავთანდილ ციბაძე — მოქალაქე — უპირველეს ყოვლისა 118

მეცნიერება და ტექნიკა

გრიგოლ ზარდალიშვილი — „წყურვილის გეოგრაფია“ 127

სპორტი

ჟასინტო დე ტორმესი — მოხუცი და ბურთი. თარგმნა დალი კოკაიამ 133

ყოველი მხრიდან 155

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გაფორმა მხატვარმა ზურაბ გოგოლაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღი-აღა ქუჩჩაბიღი

ჩემი სამშობლო

ჩემს ამწვანებულ სამშობლოს ვხედავ,
როგორ ბიბინებს ზვრები, ყანები,
აზერბაიჯანს — სამშობლო დედას
მე, მისი პირმშო ვეთაყვანები!

ძველმანებს ისევ სცვლიან ახლები,
ცუდი წარსული ქცეულა ნაცრად,
წამომართულა დიდი სახლები
ძველ, ბანიანი ბინების ნაცვლად.

არ უჩანს ბოლო ახლის შენებას,
ერთად ირევა ათასი ფერი,
ვერ დახატავდა ამდენ მშვენებას
თვით ნათავანის ოსტატის ხელი.

კასპიის ზღვაა ნავთობის ბუდე
და მიმზიდველად ლივლივებს ლურჯად,
კოშკურებს არ აქვს ზღვარი და ზღუდე,
ასულა მაღლა, ბოლო არ უჩანს.

იქ სარეწები გაშლილა ფართოდ,
დაუსერია მთელი ველები,
იღებენ მადანს, იღებენ ნავთობს,
შორს გაუწვდიათ რკინის ხელები.

რა შორს გასულა ჩემი ქალაქი,
მწვანე სამოსი რარიგად შვენის,
რა თამამია და რა ამაყი,
ჩემო მამულო, შვილები შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ზეცა გვხურავს ხალისით სავსე,
ამიტომ გულშიც სიმღერა სახლობს,
ქალაქთან ერთად ვიზარდე ასე,
ჩემი ბავშვობაც აქვეა ახლოს.

ჩემი ქალაქი ააგო ხალხმა,
არ დაიშურა ზრუნვა და სითბო,
ბაქო გემსა ჰგავს, რომელიც ახლა
სინათლის ტბაში ჩამდგარა თითქოს.

ჩემს აყვავებულ სამშობლოს ვხედავ,
ყველას ღიმილით უკრთის თვალები...
ბაქოს — ჩემს ძვირფას სამშობლო დედას
მე, მისი პირმშო ვეთაყვანები!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ლეილა ერაძემ

თამაზ ჭიღლაძე

მოთხრობა

მე შეშდუღებელი ვარ. უკვე ორი წელია, რაც ეს ხელობა ვისწავლე. ადრე ავტოსარემონტო ქარხანაში ზეინკლის შეგირდად ვმუშაობდი. შემდუღებლები იქაც იყვნენ. სიმარილე რომ ვთქვა, მათი საქმე თავიდანვე მომწონდა. ერთი მათგანი — ზურიკო — ჩემი მეგობარი იყო. ჩემზე სამი წლით უფროსი, ტოლივით მექცეოდა. თუმცა სამი წელი დიდი განსხვავებაა, მაგრამ არც იმდენი, ზოგიერთს რომ ჰგონია. მე და ზურიკოს საერთო საცხოვრებელში ერთ ოთახში გვეძინა. ზურიკო კარგად იცვამდა, ყველაფრით კარგი ბიჭი იყო. ღამით ისე არ დაიძინებდა, წიგნი რომ არ წაეკითხა. ეს უკვე ჩვეულებად ჰქონდა ქცეული. სულ ვეჩხუბებოდი, სინათლე ჩააქრე-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არაფერი არ სჭრიდა. ვეტყოდი, მაშინ ხმამაღლა მაინც წაიკითხე, მეც გავიგო-მეთქი. არა, ხმამაღლა კითხვა არ მიყვარსო. დიდხანს მაინც არ მახვეწნინებდა, აბა, თუ მოსმენა გინდა, მომისმინეო. მეც ვუსმენდი. მერე ძილი მომერეოდა და ჩამოვყვინთავდი. ჰა, გეძინებაო? — შემომძახებდა ზურიკო. არა-მეთქი. აბა, თვალები რატომ გაქვს დახუჭული? ასე უფრო კარგად მესმის-მეთქი. ნამდვილად კი თვალებზე ქვები მეკიდა. თვლემა-თვლემაში მესმოდა, ლექსს გატაცებით რომ კითხულობდა. ტყუოდა— ხმამაღლა კითხვა არ მიყვარსო, ყველაფერს ერჩია. ის კი არა, მე რომ მართლა დამეძინებოდა, მაინც ხმამაღლა კითხულობდა, ეს ნამდვილად ვიცოდი. მეზობელ ოთახში ჯერ ეგონათ, რომ ვჩხუბობდით. მერე ხმაურის მიზეზი გაიგეს და აღარაფერს გვეუბნებოდნენ.

ზურიკოს ყველაფერზე უფრო ლექსების კითხვა უყვარდა. ვისი ლექსები არ წამიკითხა! დაძინებამდე რასაც ვასწრებდი და მესმოდა, ძალიან მომწონდა. არა, მომწონდა კი არა, რაღაცნაირად მახარებდა. ალბათ მომდიმარს მეძინა, მაშინ სიზმრებიც უცნაური მქონდა: ხან აყვავებული ხეები მესიზმრებოდა, ხან თეთრად დათოვლილი მთები. ერთხელ დამესიზმრა — მინდორში ვიდექი და ხელში ცისარტყელა მეჭირა. მერე ეს ცისარტყელა წავიღე და მამის საფლავზე დავრგე. ომი რომ გათავდა, მამა სწორედ იმ დღეს დაიღუპა. არც კი ვიცი, სად ასვენია. სიზმარში კი მისი

საფლავი ვიპოვე. მამა-მეთქი, — დავიყვირე და თვალი გამოვაქცევინე. ლოგინზე წამომჯდარი ზურიკო ისევ ლექსს კითხულობდა.

მერე ზურიკომ ცოლი შეირთო. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, პირველად რომ მითხრეს, არ დავიჯერე. არაფერს არ მიმლაფადა და რაღა ეს დამიმალა-მეთქი. გავბრაზდი კიდეც ზურიკოზე. აი, ნახოს ხმა თუ გავცე-მეთქი. მაგრამ ახალშერთული ცოლის გვერდით რომ დავინახე, მივვარდი და მაგრად გადავკოცნე. ისეთი ლამაზი გოგო შეერთო, ბიჭებს თვალები დაებრიცათ. ჩვენმა შოფერმა, გიგლამ, ჩაიბურტყუნა: ერთი მეც მათხოვეთ ის ლექსები, იქნება რამე მეშველოსო. შე სულელო, — გაუცინეს ბიჭებმა: წიგნებში ლამაზი გოგოები კი არ სხედან, შნო და მარიფათი უნდა გქონდესო. ფული შევაგროვეთ და ქორწილი ჩვენი ქარხნის წინ რომ რესტორანია, იქ გადავუხადეთ. მერე ზურიკო ჩვენგან წავიდა, ცოლთან გადაბარგდა. სიმამრს დიდი ბინა ჰქონია. გული იმაზე მწყდება, შემდეგ ლებლობას თავი რომ დაანება. სიმამრმა მაღაზიაში ნოქრად დააყენა. კარგი შემდეგი ელი კი იყო, ნამდვილად კაცი გახდებოდა. შემეცოდა, მეტყვით, რა სისულელეს ლაპარაკობ, იქაც ხომ მუშაობს? რა ვიცი. რატომღაც მგონია, იმ ლექსებს სულ ტყუილად კითხულობდა.

ზურიკო რომ ჩვენგან წავიდა, მე შემდეგლებლის ხელობის სწავლა მტკიცედ გადავწყვიტე. ჩემი ოსტატი გამიწყრა, შენგან არაფერი არ გამოვა, ასე წარამარა საქმეზე გული თუ აიყარეო. კარგი კაცი იყო. მართალია, ცოტა გადაკვრა კი უყვარდა, მაგრამ ამით არაფერს აფუჭებდა. ერთხელ მეც დამპატიჟა. სანაპიროზე ახალი კაფე რომ გახსნილ, იქ შევედით. კაფეში ღვინო არ ჰქონდათ, პორტვეინი კი იყო, მაგრამ პორტვეინს რა დავალევინებდა! გინდა დასპირტული ლიმონათი დაგილევია და გინდა ის. შოთა ოსტატმა არაყი მოატანინა. მე თავი მოვიკალი და არაყი არ დავლიე. განა იმიტომ, რომ კარგი ბიჭი ვარ და არაყს არ ვსვამ, არა, არაყი ცუდად მხდის, მთელი ღამე ვეღარ ვიძინებ ხოლმე. აბა, შენ რას დალევენ? — მკითხა ოსტატმა. ლუდი თუ აქვთ ნეტავი-მეთქი. ლუდი გაქვთ? — ჰკითხა ოსტატმა მომტანს. არა, ჩვენ ლუდით არ ვვაჭრობთო. არაყი თუ გაქვთ, ლუდმა რაღა დაგშავათ? აქ, კაფეა, ბატონო, სახინკლე არ გეგონოთო. რაღას ვიზამდით! აბა, ამ პატიოსანმა კაცმა რა დალიოსო? კონიაკი მიირთვასო. კაფეში კონიაკს სვამენ, აქ კი სწორედ კაფეაო. ბოლოს ეს ლაპარაკი იმით გათავდა, რომ მე კოკტეილი მომიტანეს. ოღონდ ეგ ლერწმის ღერი გადაადგე, ისე დალიე. ღვინოსავითო, — მთხოვა ოსტატმა. ბევრი ვილაპარაკეთ და კარგა ბლომად კოკტეილიც დავლიე. კოკტეილში ქლიავი ეყარა. კოკტეილს რომ დავლევედი, ქლიავს ზედ ვაყოლებდი. შოთა ოსტატმა სწორედ იმ დღეს დამრთო ნება — წადი, რაც გინდა ის ისწავლე, ჯანდაბას იქით გზა გქონიაო. კაფე ზედ მტკვრის პირას იდგა. სანაპიროს მოაჯირზე ბეღურები ისხდნენ. მე რომ იმ ბეღურებს ქლიავის კურკების სროლა დავუწყე, ოსტატმა მითხრა: რეზო, წავიდეთო, გვეყოფაო.

ახლა უკვე შემდეგლელი ვარ. დიღმის მინდორზე ქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობაზე ვმუშაობ. ჯერ იმ კორპუსის მარტო ლითონის ჩონჩხი დგას. უნდა ნახოთ, ამ ჩონჩხილ რკინებს ღამით ჩვენი ბრიგადა რომ შეესვა: თითქოს თოვლიდან მამინტის ჩონჩხი ამოოღიათ და ახლა ყინულის ვარსკვლავები სცვივაო. ვზივართ იმ სიმაღლეზე სახეზე ჩაჩქანაფარებულები და მარსიდან ჩამოფრენილებს ვგავართ.

ვარსკვლავებიც თითქოს ჩვენს მხრებზე სხედან. ერთხელ ჩემმა ამხანაგმა ოთარმა ჩაჩქანი მოიხადა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა, კი არ მითხრა — დამიყვირა: რეზო, ასე მგონია, ეს ვარსკვლავები ჩვენსავით შემდეგლებები არიან, ქვეყანაზე რაც კი დღისით გაცდენება და მოირყევა, ღრუბელი, ცა, მიწა — ღამით ისინი ერთმანეთთან ადუღებენ, ხვალისთვის რომ. ყველაფერი ისევ ახალივით იყოსო. ცოტა ხანს ორი-

ვე გავჩუმდით და ვარსკვლავებს დავუწყეთ ყურება, — რა იცი, იქნებ... წავიჩურჩულე მე. ოთარმა ხმამაღლა გაიცინა, აი, ასეთი ბავშვი ხარ, როგორადაც უნდა, კაცი ისე მოგატყუებსო.

ეს კია, მართლაც ძალიან გულუბრყვილო ვარ. არც ერთი ოცი წლის ბიჭი ასეთი არ იქნება. ხანდახან ბიჭები ისეთ რამეებს მიყვებიან, თმა ყალყზე მიდგება. მერე სიცილით იგუდებიან. იცინონ, არ მწყინს. იმ დღეს კი მეწყინა. ღამით ვმუშაობდით, ჩვენი სამუშაოთა მწარმოებელი, არჩილი, მოვიდა და ამომძახა: რეზო, ჩამო, დედა გესტუმრა, მინდორში გიცდისო. დედაჩემი ნაადრევად მოტეხილი, ავადმყოფი ქალია, კარსანში ცხოვრობს. ამ შუაღამისას აქ რამ მოიყვანა-მეთქი? — გული გადამიტრიალდა. ვიკვეთი ჩამოვვარდი და მინდორში გავქანდი. ტრიალ მინდორში ქარი ზუზუნებდა. ერთი ორჯერ კიდევაც დავიძახე: დედა, დედა-მეთქი, მაგრამ ხმა არაავინ გამცა, მივხედი, რომ მომატყუეს და გული ჩამწყდა. მერე არჩილის მაგვრად შემრცხეა, რომ დამინახავს, რას იტყვის-მეთქი. ცოტა ხანს მინდორში ვიდექი, ქარის ზუზუნს ვუსმენდი. რომ მივბრუნდი, არჩილი სიცილით შემეგება: ჰა, დედამ რა გითხრაო? არაფერი-მეთქი.

თვითონ არ უნდა იკადრო, თორემ კაცის მოტყუებაზე ადვილი რა არის? არჩილს ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ოცდაათი წლისა იქნება. თმაში ნაადრევი ჭაღარა აქვს გარეული. ძალიან საქმიანი კაცია. სულ ყვირის, ყველას ეჯავრდანება, ხმაც ალბათ იმიტომ ჩახრინწვია. ყველა ერთხმად ამბობს, თავისი საქმე ისე იცის, შემცველი არა ჰყავსო. მორიდებით ელაპარაკებიან, უჯერებენ. მეც მერიდება მისი, ყველაფერს ვუჯერებ, მაგრამ დაჯერებაც არის და დაჯერებაც. ამოდენა ბიჭი შიკრიკად გადამაქცია. მანანასთან მისი წერილები დამაქვს. მანანა ამ მინდვრის ბოლოს, ახალ სახლში ცხოვრობს დედასთან ერთად. დედა თოჯინების თეატრის მსახიობია. მანანა დღისით სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს, საღამოთი კი სკოლაში დადის. სკოლიდან მაშინ ბრუნდება, ჩვენი ცვლის მუშაობის დაწყებას ცოტა რომ უკლია. მინდორსაც დავირბენ, გზაზე გავალ და მანანაც გამოჩნდება. მე წერილს გავუწვდი და ისევ უკან გამოვბრუნდები. არ იფიქროთ, წერილები ყოველდღე დამქონდეს. გუშინ მეოთხეჯერ შეეხვდი. მეოთხე წერილი მივუტანე. მანანამ წერილი ჯიბეში ჩაიდო და მკითხა, ხომ არ ვეწჩარებაო? არა-მეთქი. მართლაც ნახევარი საათი კიდევ შემეძლო დამეცადა. ვიფიქრე, იქნებ პასუხის დაწერას აპირებს-მეთქი. ადრე ყოველთვის უპასუხოდ მეზიანებდა. აბა, შინამდე მიმიცილეო, მითხრა მანანამ. არა, პასუხის გაგზავნას არ აპირებდა. მანანა დღისით არასოდეს არ მინახავს. პირველად არჩილმა რომ დამანახა, წერილს აი იმ გოგოს მისცემო — მაშინაც ღამე იყო. როცა ცხვდებოდი, თვალებში ვერ ვუყურებდი, წერილს გავუწვდიდი და გამოვრბოდი, მრცხვენოდა, ჯერ ერთი შიკრიკობისა და მეორეც თვითონ მანანასი მრცხვენოდა. მანანასი უფრო, არ კი ვიცი, რატომ. ღმერთმანი, არჩილი უსინდისო იყო. ერთხელ რომ გამაგზავნა, დაფუჯერე, უფროსს ხათრი ვერ გავუტეხე. მეორედ თვითონ არ უნდა ეთხოვა. კაცი რომ გთხოვს, უარის თქმა ძნელია.

ჩუმად მივდიოდიო, ხმას არ ვიღებდით. არ მიცნობს, ჩემი სახელიც კი არ იცის, ნეტავ რად უნდა, სახლამდე რომ მივაცილო-მეთქი, — ვფიქრობდი. მოელი გზა ხმა არ ამოგვიღია. კართან რომ მივედით, მანანა გაჩერდა, მოტრიალდა და პირდაპირ თვალებში შემხედა. ახლა დავინახე, რა ლამაზი გოგო ყოფილა. ცოტა ხანს დაკვირვებით მიყურა, თითქოს ჩემს სახეზე რაღაცის ამოკითხვას სცდილობსო, მერე მითხრა: თქვენ რა გქვიათო? რეზო-მეთქი. რეზო, მოდი წერილებს ნუღარ მომიტანთო.. დავიბენი. დაბნეგა რომ შემატყო, დაუმატა: თქვენ ხომ ჩვენი ამბავი არ იცითო... ისეთი ხმა ჰქონდა, გული დამიმძიმდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ჩავდუნე, ვინაცრე, ნეტა მიწა გამისკდეს, თან ჩამიტანოს-მეთქი. იცით თუ არაო? — მკითხა მანანამ. არა-მეთქი, — ამოვილუღლუღე. არც ის გეცოდინება, მე რომ შვილი მყავსო. არჩილმა მიმატოვა, ახლა ისევ მოუბრუნდა გული, შერიგებას ცდილობს. მე კი არ მინდა. აღარ მინდა. გესმის, თუ გესმისო? შვილი გყავთ-მეთქი? ყველაფერს ველოდი, ამას კი არა. მანანამ ტირილი დაიწყო. ცრემლი ისე ჩამოსდიოდა, თითქოს ვერ ამჩნევდა. მგონი, მართლაც ვერ ამჩნევდა, თორემ ჩემთან რატომ იტირებდა, უცნობ ბიჭთან? მერე ხელი მკლავზე მომკიდა და მკითხა: რეზო, რა ვქნაო? ჩემთვის ჯერ არავის არაფერი ასე არ უკითხავს. არც შველა უთხოვია ვისმეს. მანანა კი მთხოვდა. უცებ ისეთი მახლობელი გახდა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული და ვიპოვე. ბავშვი რა ხნის არის-მეთქი? — კკითხე, თითქოს ამით საქმეს ვშველიდი. ორი წლისაო. რა ჰქვია-მეთქი. გიაო. მგონი, არჩილი კიდევ გიყვართ-მეთქი, ვთქვი გაბზარული ხმით, წამომდგა. გულმა დამიძახა, მაგას არჩილი უყვარს, იმიტომ ტირისო. ჰო, მიყვარსო. მე კი ველოდი, იუარებდა. ახლა სულ დავიბენი. ჰო, მიყვარს, მიყვარს, მიყვარსო, სამჯერ გაიმეორა მანანამ და კიდევ უფრო ატირდა.

— მაშ...

ხელები გავშალე, ვეღარაფერი ვამეგო. შენ ამას ვერ გაიგებ, — მითხრა მანანამ: იმიტომ, რომ კიდეც მიყვარს და კიდევაც მეზიზღება. მეზიზღება იმიტომ, რომ მიღალატა. შენ თუ იცი, ღალატი რა არისო? თავი დავუქნიე. ვიცი-მეთქი. ნამდვილად კი არ ვიცოდი, რა თქმა უნდა, ზურიკოს ამბავს ღალატს თუ არ დავარქმევთ.

— რა ვქნა, რეზო, რა ვქნა? — ტიროდა მანანა.

ახლა ხმამაღლა, მოურიდებლად ტიროდა. იქნებ ეგონა, რაც აწუხებდა, ცრემლს ამოჭყეფბოდა.

— რა ვქნათ-მეთქი.

ამ საწყალს ერთდროულად კიდევაც უყვარდა და კიდევაც სძულდა. ალბათ როგორ იტანჯებოდა! ამის წამალი კი სად იყო, ვის უნდა სცოდნოდა?

— წადი ახლა, რეზო, — მითხრა მანანამ,—წერილებს ნუღარ მმიბრალ. ამ საქმეს არაფერი ეშველება. შენ კი მაპატიე.

რა უნდა მეპატიებია, საპატიებელი რა ჰქონდა? პირიქით, მე მინდოდა პატიება მეთხოვა მისთვის. თითქოს მეც რამეში დამნაშავე ვიყავი. იქნებ მართლაც ვიყავი დამნაშავე, ჰა? დაფიქრებული წამოვედი, მინდორი როგორ გადმოვჭერი, არც გამიგია. მთელი ღამე თავაუღებლად ვმუშაობდი. თვალწინ სულ გატეხილი გული მედგა. ერთ ნაწილს უყვარდა, მეორეს კი სძულღა. ადამიანმა რისი საშუალება არ მოიგონა, თუ უნდა, ცას და მიწას ერთმანეთს გადააპამს, გულს კი... თუმცა იქნებ ასედაც უნდა იყოს, იქნებ ადამიანის ცხოვრება ეს არის-მეთქი. რა ვიცი, მე თვითონ ჯერ არავინ მყვარებია, ამას მე ვერ გადავწყვეტდი.

მეორე ღამით, მუშაობაში რომ ვიყავი გართული, არჩილმა დამიძახა. ჩამოვედი: რა გინდა-მეთქი? თან თვალებში ვერ ვუყურებდი. მომკალით და აღარ შემეძლო მისთვის თვალებში შეგეხედა.

— წუხელ შენ და მანანა რაებს ლაპარაკობდით?

— არაფერს. რა უნდა გველაპარაკა?

— იცოდე, არ დამიმალო. შორიდან გიყურებდით, კარგა ხანს ილაპარაკეთ.

— არაფერი არ გვითქვამს. რას ჩამაცივდი?

— არც ის დაგიბარა, სად მივდივარო?

— რა? — გული შემიხტა: მივდივარო?

— კარგი ახლა, მატრაბაზობას თავი დაანებე, სად მივდივარო, რა გითხრა?

— არაფერი არ ვიცი.

— არა?

— არა.

რატომღაც მეგონა, ვიცოდი, მანანა სადაც წავიდა და ახლა საიდუმლოს ვუნახავდი. წუხელაც გამიელვა, რა იქნება, მანანა სადმე რომ წავიდეს-

მეთქი. არ კი ვიცოდი, სად, „სადმეში“ ალბათ იმ ადგილს გგულისხმობდი, სადაც ყველაფრის დავიწყება შეიძლება. იქნებ მართლაც არის სადმე ასეთი ადგილი?..

— სადმე წავიდოდა, — მივახალე ხეპრულად.

— სადმე ხომ? დამცინი, ნაბიჭვარო? — გამომიქანა და ისეთი მთხლიშა, გონება დავკარგე. ალბათ დიდხანს ეგდე ... ვიფიქრე, თოვლში ვწევარ-მეთქი. მერე დავაკვირდი, კირი ყოფილა. მერე მაღლა, ბნელში, ნაპერწკლებში ჩამჯდარი ჩვენი ბიჭები დავინახე. გულში სიამე ვიგრძენი. გავიღიმე და ხმამაღლა, ჯიუტად გავიმეორე: ჰო, სადმე წავიდოდა!



ქოლგა

მოთხრობა

ნატო აივანზე სარეცხს ფენდა. ბიძინა ფანჯარასთან ფარდის უკან იდგა და უყურებდა. იცოდა, გარედან რომ არ ჩანდა. ნატო ბიძინას კარის მეზობელი იყო.

„იცის, რომ ვუყურებ,“ — ფიქრობდა ბიძინა.

ნატო სარეცხს ტაშტიდან იღებდა. ტაშტი სკამზე შეედგა. აფიშის ნაგლეჯებივით ფერად-ფერადი, გაშშებული სარეცხი ზამთრის უნიათო მზეში ქანაობდა.

ბიძინა და ნატო ერთმანეთს აქამდე არც კი დალაპარაკებიან. მართალია, ბიძინა დიდი ხანი არ იყო, რაც ამ სახლში ცხოვრობდა, მაგრამ სხვა მის ადგილას მარტო სალამს არ დასჯერდებოდა. ამ ცოტა ხანშიც კი ნატოსთან გაშინაურებას მოასწრებდა. ნატო ლამაზი ქალი იყო და მასთან შეხვედრის დროს ბიძინა იბნეოდა ხოლმე. ერთხელ კიბეზე შეხვდა, ნატოს ბაზრიდან მძიმე ჩანთა მოჰქონდა. კარამდე ისე მოვიდნენ, ის ჩანთა ვერაფრით ვერ გამოართვა. განა არ იცოდა, რომ ჩანთა უნდა ჩამოერთმია და თვითონ წამიღო? იცოდა. ადრე, ფიქრში ხშირად წამოუღია ხოლმე ნატოს ჩანთა. ფიქრში ჩანთას უდარდელად აქნევდა და ვითომ არაფერიო — ისე მოჰქონდა. ბიძინა რატომღაც დარწმუნებული იყო, ნატოს ერთი სიტყვა რომ

ვუთხრა, მაშინვე ჩემი გახდებაო. ამის გაფიქრება ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებდა. იმ ერთი სიტყვის თქმას იქნებ განგებაც აჭიანურებდა, რადგან იმ საამო დღის მოლოდინი თავბრუდამხვევი და ტკბილი ბურანით ავსებდა.

ნატომ სარეცხი გაფინა. ტაშტი ახლა აივნის მოაჯირზე შედგა და ბიძინას ფანჯრისკენ მოიხედა.

ბიძინას გული გადაუტრიალდა:

„აჰა...“

უცებ იგრძნო, შინ გაჩერება აღარ შეეძლო. ჰალტო ჩაიცვა, დაიცადა, სანამ ნატო ოთახში შევიდოდა და კარი გამოაღო, გაიხედ-გამოიხედა, აივანზე არავინ იყო. კარი ჩაკეტა და ნატოს ფანჯრებისკენ არ მიუხედავს, ისე წავიდა.

ბიძინა მეხუთე კურსის სტუდენტი იყო. მალე დაამთავრებდა და ჟურნალისტის დიპლომს მიიღებდა.

„ისე, ჩემისთანა გაუბედავი კაცი კარგი ჟურნალისტი ვერ დადგება“, — ფიქრობდა ბიძინა.

ბიძინა ქუჩაში მიდიოდა. ცდილობდა, სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ ყველა ფიქრს ბოლოს მაინც ნატოსთან მიჰყავდა.

„ნატო ჩემს გვარს გაზეთში რომ წაიკითხავს, გაუხარდება.“

„გაუხარდება?“

„კი. რატომ არ უნდა გაუხარდეს?“

ბიძინას შესცივდა და ყელზე კაშნე უფრო მაგრად შემოიხვია.

„ნეტა მალე დათბეს, — განაგრძობდა ფიქრს ბიძინა: ქუჩაში ყვავილებს გამოიტანენ. მართლა, იმ ყვავილს რა ჰქვია?“

„ია?“

„არა, ია არა.“

„კორჩიოტა?“

„ჰო“.

ჰოდა, კორჩიოტებს ნატოს უყიდდა. ხეპრესავით ხელში კი არ მიაჩეჩებდა, დილით ფანჯარაზე დაუწყობდა. ნატო გაიღვიძებდა, ყვავილებს ნახავდა და მიხვდებოდა...

„რას მიხვდებოდა?“ „მე რომ დავაწყვე.“

მერე ფეხბურთის სეზონიც დაიწყებოდა. პირველ თამაშზე ბიძინა ორ ბილეთს იშოვნიდა.

„მეორე ბილეთი ვიღასთვის გინდა?“

„იცის ბიჭმა...“

„ნატოსთვის, არა?“

„თუნდაც ნატოსთვის, რა მოხდა?“

„არაფერი.“

ამასობაში უნივერსიტეტთან ჩამოვიდა. გზიდან გადაუხვია და უნივერსიტეტის ეზოში შევიდა. კვირა დღით უნივერსიტეტის ბაღი ბელურების გუნდს დაეპყრო. ერთი ქივქივი და წიოკობა აეტეხა. ბიძინამ ბელურების თამაშს ცოტა ხანს უყურა, მერე გამოტრიალდა და ისევ ქუჩას დაადგა.

უნივერსიტეტს რომ გასცდა, პეტრიაშვილის ქუჩის კუთხესთან სახანძრო მანქანამ ჩაუქროლა, მერე მეორე მანქანამ ჩაუარა კიდელით.

— რა მოხდა? — იკითხა ვიღაც სათვალიანმა ქალმა.

— ხანძარია ყაზბეგის ქუჩაზე, — უპასუხეს ბიჭებმა.

— უკვე ჩააქრეს, — თქვა მაღალმა კაცმა. კაცს ფოსტალიონის ქუდი ეკურა.

ბიძინამ ფეხს აუჩქარა.

ყაზბეგის ქუჩასთან რომ მივიდა, კიდევ ერთმა მანქანამ შემოჰკივლა, კინაღამ დააყრუა.

„იცოცხლე, ესენი კარგად მუშაობენ. მოდი, მეხანძრეებზე დავწერ ნარკვევს და საღამოს გაზეთში დავბეჭდავ. ნატო წაიკითხავს...“

ნატოს ერთადერთი გაზეთი ჰქონდა გამოწერილი — „თბილისი“...

ყაზბეგის ქუჩაზე ხის ძველი სახლი იწვოდა. ეტყობა, მეხანძრეებს თავიანთი საქმე უკვე მოეთავებინათ, ყველაფერი ეღონათ, ბარგი ქუჩაში გამოეზიდათ, ირგვლივ ხეების ტოტები ჩამოეკაფათ, ცეცხლი სხვაგან რომ არ გადასულიყო. იდგნენ და სახლს წყალს მაინც ასხამდნენ. თუმცა ალბათ იცოდნენ, უკვე აღარაფერი ეშველებოდა, თითქოს ხალხის ცნობისმოყვარეობას აქრობდნენ. ისე, მანქანა მანქანაზე კი მოდიოდა.

ცეცხლი გუზგუზებდა. ხანდახან თითქოს უცნაურად ამოიოქმუვლებდა, მაშინ რომელიმე დანაკეცერჩხლებული ბოძი ჩატდებოდა და ნაპერწკლების ფრქვევით ცეცხლში ჩაილეწებოდა, ტროტუარზე მუუყიანი ნიალვარი მოდიოდა. ხეებიდან წყალი წვიმასავით წვეთავდა. ხალხი ქუჩის მეორე მხარეს იდგა. ხმას არავინ იღებდა, თითქოს ცეცხლმა ლაპარაკის ხალისი დაუკარგათო.

ბიძინამ უცებ თავისი ჯგუფელი ნოდარი დაინახა. ნოდარი წიგნების შეკვრაზე ჩამომჯდარიყო, პალტოს საყელო აეწია. ხელში მაგიდის შავი ლამპა ეჭირა. თმა დასველებოდა, პალტოს სახელოებიც სველი ჰქონდა. ჩაფიქრებული, ცეცხლს ისეთი სახით მიშტერებოდა, თითქოს ხანძრის საყურებლად მოსულიყოს. ბიძინას გაახსენდა, ნოდარს რამდენჯერმე უთქვამს, ყაზბეგის ქუჩაზე ვცხოვრობო.

ბიძინა ნოდართან მივიდა:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს.

ნოდარს თავი არ აუწევია, ბიძინასთვის არ შემოუხედავს, ალბათ ადრე თუ მოპკრა თვალი.

— როგორ მოხდა? — ჰკითხა ბიძინამ.

— რა ვიცი.

— ადრე ვერ შეამჩნიეთ?

— რა?

— ახლა სად უნდა წახვიდე? — აღარ გაუმეორა კითხვა ბიძინამ.

— გვითხრეს, ახალ სახლში შეგასახლებთო.

— აბა რა, გარეთ ხომ არ დაგყრიან!

— რა ვიცი...

— ბინას უსათუოდ მოგცემენ. თუ გინდა, ჩემთან წამოდი, მართლა გეუბნები.

— არა.

— რამე ხომ არ გინდა? მოხმარება...

ნოდარმა ბიძინას ახლა კი შეხედა. ბიძინა შეკრთა, ნოდარს თვალები გაჰყინვოდა.

— ცხვირსახოცი მათხოვე, — უთხრა ნოდარმა.

ბიძინამ ცხვირსახოცი გაუწოდა, ნოდარმა სახეზე მოისვა და მერე რატომღაც ზედ დახედა.

— გენდეთ, — უთხრა ბიძინამ.

— კარგი.

„წიგნების შეკვრა როგორ მოასწრო?“, — გაიფიქრა ბიძინამ.

— თქვენები სად არიან? — ჰკითხა ბიძინამ.

— ვინ?

— თქვენები.

— სოფელში არიან. ამ სახლში ერთი კუთხე მეჭირა, ნაქირავები.

— ჰო-ო.

— წადი ახლა, — უთხრა ნოდარმა. — უკვე ჩაქრა.

— წავალ...

— ჰოდა, წადი, ჩაქრა უკვე.

— ადექი, — უთხრა უცებ ბიძინამ მტკიცედ. — ადექი-მეთქი.

— რა გინდა?

— ადექი, წამომყევი, შენ გეუბნები.

— თავი დამანებე, არსადაც არ წამოვალ.

— არ წამოხვალ კი არა... გაიყინები, შე უბედურო, მთლად სველი ხარ. ნუ გეშინია, ბინას მაინც არ დაკარგავ, საბჭოში მიხვალ და...

— თავი დამანებე.

— დედას გეფიცები, ხვალ თუ გინდა, მეც წამოგყვები საბჭოში.

— არ წამოვალ.

— იმ დღეს რომ ვიჩხუბეთ, იმიტომ?

ნოდარმა გაიღიმა:

— ვიჩხუბეთ კი არა, ის რა ჩხუბი იყო?

— მაშინ წამოდი, ჰა, წამოდექი!

ნოდარი წამოდგა. ბიძინამ წიგნებს დაავლო ხელი, ლამპა არ შემაჩეჩოსო. ქუჩაში ლამპით გავლა ესირცხვებოდა.

წამოვიდნენ. სასტუმრო „საქართველოს“ წინ ავტობუსში ჩასხდნენ. ავტობუსი ფალიაშვილის ქუჩაზე, ზედ ბიძინას სახლის წინ ჩერდებოდა.

შინ რომ მივიდნენ, ბიძინამ წიგნები მაგიდაზე დაწყო, ნოდარმა კი ლამპა

იატაკზე დადო. ბიძინამ აიღო და ისიც მაგიდაზე, წიგნებს მიუდგა.

— აბა, გაიხადე ახლა ჩქარა და ლოგინში შეწექი.

ნოდარმა ოთახი მოათვალიერა:

— შენ სადღა დაიძინებ?

— ნუ გეშინია, ვიპოვი დასაწოლ ადგილს.

თუმცა ამაზე კი არ უფიქრია. მართლა, სად უნდა დაეძინა?

ნოდარმა ტანზე გახდა დაიწყო. ბიძინამ პირსახოცი მიაწოდა:

— თმა გაიმშრალე.

მერე დაიხარა, საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოაჩოჩა, გახსნა, გაქათქათებული პერანგი მოძებნა და ნოდარს გაუწოდა:

— ეს ჩაიცვი.

— კარგი ახლა.

— ჩაიცვი-მეთქი, შენი სველი იქნება.

— არ არის სველი.

— სველია, მე მასწავლი? ახლა ცხელ ჩაის დაგალევინებ.

ბიძინა ოთახში ფუსფუსებდა. იმას აკეთებდა და ლაპარაკობდა, რაც თვითონ დიდი ხანი ენატრებოდა. ასე ბიძინას დედა ანებივრებდა ხოლმე: „როგორ გაციებულხარ, შვილო, დაწექი, ახლავე ჩაის დაგალევინებ..“

— კიდევ არ დაწოლილხარ?

— ავად კი არა ვარ, — ნოდარმა გაიცინა. — როგორ მელაპარაკები?

— ახლა არა ხარ, მაგრამ შეიძლება გახდე. დამიჯერე.

ბიძინამ ქურა შეაერთა და ზედ ჩაიდანი დადგა:

— ახლავე ადუღდება.

ოთახში ჩამობნელდა.

— რა ადრე ღამდება, — თქვა ნოდარმა.

ის უკვე ლოგინში იწვა. ოდნავ შემცბარი ჩანდა, ალბათ ბიძინას ასეთი მზრუნველობით.

— ახლავე სინათლეს ავანთებ, — უთხრა ბიძინამ. — ჩაის ფერი უნდა დავაყენო, რამდენი ხანია, ჩაი არ დამილევია.

„ჩაიში ჟოლოს მურაბას ჩაგიყრი, მოგიხდება“, — მოესმა თითქოს დედის ხმა.

— ჩაი ჟოლოს მურაბით უნდა დაგალევინო. იცი, რა კარგია?

„წარმოგიდგენია, ნოდარი ჩემთან რომ არ წამოსულიყო! — ფიქრობდა ბიძინა. — კინაღამ არ მივატოვე!“

— ჟოლოს მურაბა გაციებულის პირველი წამალია.

— კარგი, გეყოფა. იცოდე, წავალ.

— წახვალ?! წახვალ კი არა, ეგდე ახლა მანდ ჩუმად და რასაც გეტყვი-შეასრულე!

მერე სინათლე აანთო და თქვა:

— საქმე ის არის, რომ ჟოლოს მურაბა არა მაქვს.

— ძალიანაც კარგი, — ნოდარმა თავზე საბანი წაიხურა. — ჟოლო აღარ გამაგონო, თორემ ვიყვირებ.

ბიძინა კარადასთან მივიდა.

„რატომ ავიტეხე ეს ჟოლოს მურაბა. ხუთი წელია თვალით არ მინახავს.“

„მგონი, იმიტომ, რომ ნატოსთან შესვლა გინდა...“

„ნატოსთან?“

„ჰო. საბაბს ეძებ, ვითომ მურაბის სათხოვნელად მიდიხარ: იცით, რა — ამხანაგი მესტუმრა, გაციებულია და იქნებ ჟოლოს მურაბა გქონდეთ, მითხრეს, გაციებულს უხდებაო. არ შეგაწუხებდით, მაგრამ...“

— ცივა, — თქვა ბიძინამ ხმამაღლა.

— ღუმელს რატომ არ ანთებ?

— შეშა არა მაქვს. სულ მავიწყდება, ადრე რომ უნდა მომარაგება.

— რეფლექტორი მაინც ჩართე, ტყუილად გიდგას.

— რეფლექტორი რომ ჩართული მაქვს, ასე მგონია, უფრო ცივა.

— შენც კარგი უცნაური კაცი ხარ.

— უცნაური კი არა...

— ეს რა მიყავი, — ნოდარი ლოგინში წამოჯდა. — ბავშვივით გამხადე და ჩამაწვინე. გონს ვერ მოვსულვარ.. ინ ხალხსაც არ დავემშვიდობე.

— ხვალ ნახავ, ნუ გეშინია.

— არადა, მეც როგორ დაგყევი, ვითომ მართლა ასე იყო საჭირო.

— ყოველ შემთხვევაში ასე სჯობს... მოიცა, მე ახლავე მოვალ.

ბიძინამ კარადის კარი გახსნა და ლამბაქი გადმოიღო:

— ახლავე.

— სად მიდიხარ?

— ამ წუთში დავბრუნდები.

ბიძინა აივანზე გამოვიდა. ნატოს შუქი ენთო. ბიძინა ცოტა ხანს შეყოყმანდა, მერე მივიდა და ნატოს კარზე დაუკაკუნა. კარი მაშინვე გაიღო, თითქოს კაკუნს ელოდებოდნენო.

— იცით რა...

— აჰ! — შეჰკივლა ნატომ.

— ჟოლოს მურაბა...

— ბატონო?

— აი, ეს ლამბაქი...

— მობრძანდით, შინ შემოდით!

ბიძინა ოთახში შევიდა.

— ჩაუცმელი ვარ, — მოუბოდიშა ნატომ.

ბიძინამ ნატო მხოლოდ ახლა დაინახა გარკვევით. შავი კაბა ეცვა. კაბა ერთ მხარეს თეძოსთან გარღვეოდა და ვარდისფერი პერანგი მოუჩანდა. შიშველი ფეხები ხავერდის, მოქარგულ ფლოსტებში წაეყო.

— ჩემთან ისე ცხელა! — თქვა ნატომ და გაუღიმა.

ბიძინა სკამზე ჩამოჯდა. ოთახში მართლა ცხელოდა. თუნუქის ღუმელი გაწითლებულიყო.

— ლაპარაკობს, — ნატომ თვალით ღუმელზე ანიშნა.

„ცეცხლი ლაპარაკობს, შენ კი...“

— დადგით ლამბაქი, — უთხრა ისევ ნატომ. — რა მითხარით, რა მინდაო?

ნატომ კაბაზე ხალათი შემოიცვა, ქამარი კი არ შეუკრავს, რომ დადიოდა, ძირს დასთრევდა.

— შეიძლება მოვწიო? — ჰკითხა ბიძინამ.

— მოწიეთ. მოიცა, საფერფლეს მოგიტანთ.

ნატომ ბროლის უზარმაზარი საფერფლე მოუტანა. სწორედ ისეთი, დღეობებზე საჩუქრად რომ მიაქვთ ხოლმე. ბიძინამ ჩამოართვა და კინაღამ ხელი მოწყდა.

— ჰა, ჰა, ჰა, — გაიცინა ბიძინამ. მერე სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. თითქოს ცოტა დამშვიდდა. ნიკელის საწოლზე ერთმანეთზე შეწყობილი ბალიშები ქათქათებდა. კედელზე ჩიხტიკოპიანი დედაბრის სურათი ეკიდა. სურათის ქვეშ ხელით მოქარგული ტილო იყო გაკრული. ფანჯრის რაფაზე ძველისძველი რადიომიმღები იდგა. რადიომიმღებზე ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იდო.

მერე ბიძინამ გიტარა დაინახა. გიტარა მაგიდაზე, ცხვირწინ დებულა და მხოლოდ ახლა შეამჩნია.

— გიტარა, — თქვა ბიძინამ.

— ჰო, — დაუმოწმა ნატომ და გიტარის სიმს თითი გამოჰკრა: ძინ!

— უკრავთ? — ჰკითხა ბიძინამ.

— არა, — უპასუხა ნატომ...—თქვენ ხომ არ უკრავთ?

— არა. — ბიძინამ რატომღაც დაიმორცხვა. — არ ვუკრავ...

— რა მითხარით, რა მინდაო?

— ჟოლოს მურაბა... ამხანაგი...

— ჟოლოს მურაბა? თქვენც გიყვართ?

— არა. იცით, ამხანაგი მესტუმრა...

— მაქვს, მაქვს. ამ ლამბაქზე რა უნდა დაეტიოს?

— მეტი არ მინდა.

— ახლავე მოგცემთ.

ნატომ ლამბაქი აიღო და კარადისკენ გაემართა.

— თქვენ პოეტი ხართ, არა?

— არა.

— არა?

ნატო გაჩერდა და მოხედა. მერე თითქოს დავიწყდა, რაზე მიდიოდაო, მოტრიალდა და მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა:

— თქვენ ლექსებს არ წერთ?

— არა.

— აბა, რას წერთ, ხომ წერთ რაღაცას?

თამაზ ჭილაძე

ჟოლო

— კი. ოღონდ ლექსებს არა. ჟურნალისტი ვარ.

— მე კი პოეტი მეგონეთ.

ბიძინამ ნატოს თვალი აარიდა. მეორე კედელზე დიდი, იაფფასიანი გობელენი ჩამოეკიდათ: სირინოზები წყალში ჭყუმბაალაობდნენ.

— ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, — უთხრა ნატომ ჩუმი ხმით.

ბიძინა წინ გადაიხარა.

— ოღონდ...

ნატო წამოდგა და ბალიშის ქვევიდან ალბომი გამოაძვრინა. ალბომს მუყაოს სქელი ყდა ჰქონდა და წითელი ბაფთით იყო შეკრული.

— მეც ვწერ ლექსებს... ჩემთვის. ოღონდ არ წაგიკითხავთ. არ მთხოვოთ.

ბიძინა დაიბნა. რა ექნა: „თხოვა თუ არ ეთხოვა. ისევ ნატომ უშველა. მან ალბომს ორივე ხელი დააფარა და ჰკითხა:

— ყველაზე უფრო რომელი ყვავილი მოგწონთ?

ბიძინას გამორჩევით არც ერთი ყვავილი არ უყვარდა. არც როდისმე უფიქრია ამაზე.

— მიხაკი, — თქვა და თვალებში შეხედა.

— ვიცოდი, რომ მიხაკს იტყოდით. სულ მიხაკი და მიხაკი მესმის, ფუ... აი, მე მიმოზა მიყვარს.

ბიძინას ერთ ამხანაგს ცოლი მიმოზას ეძახდა და ამიტომ სიტყვა მიმოზას გაგონებაც კი არ შეეძლო.

— მიმოზა? — ბიძინამ ნერწყვი გადაყლაპა.

— ჰო, მიმოზა, ვგიჟდები, ღმერთო, რა ლამაზია, რა ლამაზია! თქვენ არ მოგწონთ?

— კი.

— რა ლამაზია, არა?

— კი.

— რატომ ხართ ასე მოწყენილი?

— მოწყენილი?

— ჰო.

— მოწყენილი არა ვარ.

— რა ვქნა, რით გაგართოთ, პირველადა ხართ ჩემთან და უკვე მოიწყინეთ, — ნატო გაჩერდა, მერე ჰკითხა: — გინდათ, კარტი ვითამაშოთ?

— კარტის თამაში რომ არ ვიცი.

— არ იცით? — ნატომ დამცინავი ღიმილით შეხედა: — ჟურნალისტი...

— არა, მართლა არ ვიცი.

— ამას რა ცოდნა უნდა? ახლავე აგიხსნით.

ნატომ კარტი მოიტანა. კარტი ძველი იყო, გაქონილი.

— ვარიგებთ ექვს-ექვს ქაღალდს, ვირჩევთ კოზირს. დანარჩენი ადვილია, დიდი კარტი პატარას სჯრის, რიცხვის ცნობა ხომ იცით? ჰოდა, შეხედეთ, აი, ასე... ვისაც ხელში კარტი შერჩება — ის ბრიყვია. გაიგეთ?

— გავიგე.

ნატოს წამწამების ძირას მწვანე საღებავი წასესვა და ლამაზი, თვინიერი ცხოველის გამოხედვა ჰქონდა.

— რაზე ვითამაშოთ? — ჰკითხა ბიძინას. — მერე თვალები ბერს გაუშტერა და ტუჩებზე თითი მიიდო, — რამეზე უნდა ვითამაშოთ, კარტის თამაში ისე არ შეიძლება. გამურვაზე! — წამოიძახა ქალმა და ტაში შემოჰკრა, — გამურვაზე ვითამაშოთ.

ნატო წამოხტა, ღუმელთან მივიდა და კარი გამოაღო, მერე მაშით კარგა მოზრდილი ნაკვერჩხალი გამოიღო.

— რაზე ვთამაშობთ, დაწვაზე თუ გამურვაზე? — გაიცინა ბიძინამ.

— ოჰ, რა ხუმარა ყოფილხართ! ნუ გეშინიათ.

ქალმა ნაკვერჩხალი თუნუქის ნაჭერზე დააგდო, ღუმელის ქვეშ რომ იყო გაფენილი, მაშა ნაკვერჩხალს დაუშინა და დაფშვნა:

— ახლავე.

მერე შამპანურის ბოთლის საცობი მოიტანა, — ნახშირში ჩადო, ხელი დააჭირა და დაატრიალა.

— მზად არის.

ისე ფუსფუსებდა, თითქოს რაღაცას აცხობდა.

— დავიწყოთ?

— დავიწყოთ.

ბიძინამ, რა თქმა უნდა, წააგო.

— ბრიყვი ხართ, — ნატომ გაუღიმა, წამოდგა და ნახშირში ამოსცრილი საცობი შუბლზე კარგა მაგრად დაარტყა.

— კიდევ დაარიგეთ, — უთხრა ბიძინამ.

— ბოდიში.

— რა იყო?

— ბრიყვი არიგებს.

ნატომ ბიძინას სახე ნელ-ნელა თითქმის მთლიანად გაუმურა, უცებ კარი გაიღო და ოთახში ვიღაც დაუკითხავად შემოვიდა. ბიძინას არ მიუხედავს.

ნატომ თავი წამით ასწია, შემოსულს შეხედა, ეტყობა, შინაური იყო, რადგან უბრალოდ უთხრა:

— დაჯექი.

მერე ისევ კარტის თამაშს მიუბრუნდა:

— კოზირს ჩამოდიხართ? — და მაშინვე შემოსულს მიმართა: — გაიცანი, ეს ჩემი მეზობელია.

„თავს იმართლებს", — გაუელვა რატომღაც ბიძინას. ბიძინა წამოდგა, შემოსული სახეწამოწარხლებული, მაღალი კაცი იყო. ბიძინას ხელი ჩამოართვა და თან თვალებში ჩააცქერდა.

— ამირანი, — დაიბუზღუნა და დაჯდა.

ბიძინამ იგრძნო, ნატოს გუნება გაუფუჭდა. ოთახში უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

ბიძინა ამირანისკენ არ იხედებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ის მას წასვლას ელოდებოდა, იჯდა და მძიმედ ფიქრობდა.

„ნასვამია..."

ბიძინა წამოდგა:

— მე წავალ...

— რატომ? დაგვემთავრებინა ბარეთ.

— არა, წავალ, ნახვამდის.

— ნახვამდის, — უპასუხა საჩქაროდ ნატომ.

ამირანმა სკამიდან ოდნავ წამოიწია, თავი დაუკრა და პაპიროსს მოუკიდა.

ბიძინა ოთახიდან გამოვიდა. ასე ეგონა, კიოს ყუთიდან გამოძვრა. იმ ყუთიდან, ცირკში რომ გამოიტანეს. შიგ კაცს ჩასვამენ, აქეთ-იქიდან ხმლებს გაუყრიან და კაცი მაინც რომ უვნებელი გამოდის.

ცოტა ხანს აივანზე შეჩერდა.

„ჟოლოს მურაბა დამავიწყდა..

ნოდარი ფეხზე დახვდა, ოთახში ბოლთას სცემდა. ბიძინას შემოხედა, შემოხედა და თვალი ვეღარ მოაცილა:

— რა მოგივიდა, გცემეს? — ჰკითხა და სიცილი აუტყდა.

ბიძინა სარკესთან მივიდა და ჩაიხედა. დიდხანს უყურა თავის გამურულ პირისახეს და მერე ძლივს ამოღერღა:

— ჰო, მცემეს...

თამაზ ჭილაძე

ჟოლო

თეიმურაზ ჯანგულაშვილი



აქ ყველასა აქვს თავისი კუთხე

ეს რა ჯიქურად უკაკუნებს სარკმელს მაისი,
კარებს გაგიღებს, ყვავილს გაწვდის ხეთა ხელებით,
აქ, პალატებში, ყველასა აქვს კუთხე თავისი,
წამლის შუშებით,
ღვინის ბოთლით,
ლერწმის ღერებით.

შეხედავ, იგრძნობ, ვინ რით ცხოვრობს საკუთარ სახლში,
ვინ რითა სუნთქავს, რა ახარებს, ან რა აწუხებს.
ვიღაც უცნობი წამწამების მარაოს გაშლის
და სულ ერთ ღიმილს ყვავილივით ჩუმად გაჩუქებს.

ფანჯრის მინებთან დღესაც ქარმა შეაშფოთა ხე,
სახლში შემოდის, გულზე დარდის ნისლი ამყაროს.
ჩვენს გვერდით არის ქალთა ერთი მცირე ოთახი,
ოთხი კუთხე აქვს, ოთხ კუთხეში — თითო სამყარო.

ერთ სასთუმალთან ბოლი ბრუნავს ნელსაცხებელის,
ჭრელ-ჭრელ მძივებში თავს იღრჩობენ საყურეები
სხვა სასთუმალთან ჰყვინთავს წიგნი ხელუხლებელი,
სხვაგან გაზეთი იფურცლება, როგორც დღეები.

ერთგან კი... ფოტოაპარატი არა ჩანს არსად...
მზერას ვერ სტაცებ დამწკრივებულ ფოტოსურათებს,
ერთში ბიჭუნა ყელს იღერებს ყვავილის მსგავსად
და მეორეში — ვაჟს ღიმილი სახეს უნათებს.

სხვა სურათში კი კაცი მოჩანს ფიქრში წასული,
შორს წასულ ცოლზე — მეგობარზე თუ ეფიქრება...
აგერ ეს ქალიც, გვერდით უდგას ერთი ასული,
სულ ამ ქალსა ჰგავს, ალბათ მისი შვილი იქნება.

შეხედავს მათ და თითქოს რამე საუნჯეს იძენს
და სიყვარული მის მტკივან გულს შეესხმის ფრთებად,
ყველა თანა ჰყავს —
შვილიშვილი,
ქმარ-შვილი,
სიძე
და ყოველ ღილით ყველა მათგანს ღიმილით ხვდება.

სიყვარულისთვის, ამ სითბოსთვის მადლობა უთხარ,
მის ლამაზ კუთხეს ყვავილების ამკობს რტოები.
... აქ, პალატებში, ყველასა აქვს თავისი კუთხე,
წამლის შუშებით,
ღვინის ბოთლით
და ფოტოებით.

მერე გავიგეთ

ყოველ დილას და ყოველ საღამოს
პატარა სკვერში ჭაღარა ქალი
დგას, ნერვიულად აწვალებს ყვავილს;
იმ სკვერში გარბის ნაბიჯით ჩქარით
კაცი, წლებისგან დათოვლილ თავით,
ყოველ დილას და ყოველ საღამოს.

ის ქალი პირველ კორპუსში ცხოვრობს,
კაცი მეორე კორპუსში ცხოვრობს
და ეს სკვერი აქვთ მხოლოდ საერთო.
ერთი თუ ოდნავ დაიგვიანებს,
მეორე ღელავს და ეშვიანობს
და მოთმინება ლამის წაერთოს.

ყოველ დილას და ყოველ საღამოს,
მოგეხსენებათ, აგარაკებზე
ყველა ჩვენგანი არის მოცლილი,
აქ დროც ბევრი გაქვს, ეს დალოცვილი,
და გაქვს სურვილიც ლაპარაკისა
ყოველ დილას და ყოველ საღამოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7409

ჰოდა, გვაკვირვებს ტრფობა იმათი
და არც იღლება ენა კვიმატი.
ამ საღამოსაც ქალი ხეს უვლის,
სატრფოს მიელის მაღალ განცდებით;
იმრიზებიან ხანშიშესულნი
და ხარხარებენ ახალგაზრდები.

ყოველ საღამოს და ყოველ დილას
მარტოდმარტონი დადიან წყვილად
და გაზაფხულის დღეებს უღიმის
მათი თვალების დაბუგული ცა;
მერე გავიგეთ... მიაქვთ უღელი
თურმე ნახევარ საუკუნისა.

აივანი

მოდი, გადაღლილი
სული დაივანე! —
მიხმობს სხივდაღვრილი
ჩემი აივანი.

გვერდით სარკმელია,
ცის კარივით ღია,
იმ სარკმლიდან იმ ცეცხლს
ვისნი თვალნი ღვრიან...

გაიელვებს უცებ
თაფლისფერი თმები,
იმათ შუქზე ვთბები,
მათი სუნთქვით ვთვრები.

გაიელვებს უცებ
ბროლისფერი ხელი,
გადამივლის გულზე
ტალღა ცხელზე ცხელი.

გაიელვებს უცებ
კალმახივით ტანი,
გატეხილი ჯანით
ლამის შევძრა მთანი.

დაუჯერე ექიმს,
დაუჯერე-მეთქი!
შენ ვინ მოგცა ნება
ამდენ გულის ხეთქვის...

დაცხრი, გადაღლილი
სული დაივანე!
მზისკენ გადახრილი
ხე ირთვება მწვანედ.

საიდან გაჩნდნენ ეს ყვავილები

საიდან გაჩნდნენ ეს ყვავილები?
ამ აივანზე ვინ ჰყრის ყვავილებს?
საცაა ალბათ გადავირევი,
გულში ათასი ფიქრი გავივლე.

ერთ დღეს, მეორეს, მესამეს .. ფრთხილად
თვალებს უკოცნით ყვავილებს ქარი,
ჩხუბობს, ბუზღუნებს საღამოს, დილას
დამლაგებელი ბებერი ქარი.

ყვავილთა ღიმილს ძვირად ვაფასებ,
მათ ფერად ალზეც დავიწყებოდი.
...იმ თეთრ ხელს თავის ფანჯრის რაფაზე
ერთი ყვავილი დავიწყებოდა.

მას გული სტკივა...
ამისთანა გულს
ტკივილისათვის რა გაიმეტებს...
ხელით ვისინჯავ ჩემს გულს განაბულს,
ფეთქავს, მამხნევებს და მაიმედებს.

და გვარიდებენ მზეს და წვიმასა,
ლხინსა და წუხილს, გულს რომ აღანთებს.
და გვიკრძალავენ მეც და იმასაც
ღელვას და ელვას, მთას და აღმართებს.

ვდგავართ და ვტკეპნით ეზოს დანაშღულს,
უბეში ვისხამთ მტრედებს — იმედებს,
მას გული სტკივა...
ამისთანა გულს
ტკივილისათვის ვინ გაიმეტებს...

და დავადევნე ჩემი კივილი,
როს განშორების მოგვენთო წყლული:
— დაგვიწყებოდეს ყველა ტკივილი
და სიყვარულზე გტკიოდეს გული!

წვიმიანი საღამო და ტელევიზორი

იალბუზი თეთრ ხელს შავ ცაში აფათურებს,
ღრუბლის მკვრივ ჯიქნებს სწველის ჯიქურად,
ირგვლივ გაუმართავთ მარულა ნაკადულებს,
რკინის დიდ კარებს დარაჯი ხურავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან მოწყენილნი ეზოში ძელ-სკამები,
ასცრემლებიათ თვალი ნათურებს,
დასაღრჩობად წაყვანილი ბილიკი ენანებათ
გზებს — ნიაღვრებში ყელგახლართულებს.
ხენი მხრებფართენი დასცქერენ დანანებით
ბუჩქებს — ბეღურებს ამოტუზულებს,
სანატორიუმის უგრძესი ტალანები
ფუტკრის სკასავით გაბმით ზუზუნებს.
ისევ სავარძელში ვეშვები მოცელილი
და თითქმის მართმევს საღამო გრილ ხელს,
კარგი ამინდის დროს მუდამ მოწყენილი
ტელევიზორი დღეს უღვთოდ ილხენს.
ველად გაჭრა მინდა და მთებთან შეხლა მინდა,
მზე ხარ! მზე მინდა დაუსაბამოდ!
აი გადმოვიდა ცისფერი ეკრანიდან
უავდრო ცა და მშვიდი საღამო.
მთვარე გამოვიდა და ჭერში აბრდღვიალდა,
ღამე, ქალ-ვაჟი, კოცნა, ბილიკი...
იმათ დანახვაზე ჩანჩქერი აღრიალდა,
და მოხუცებმა ჩაიქილიკეს.
გარეთ კი ისევ წვიმს და ძილიც ადრე არი,
ჩვენ ვზივართ ტალღით დარწეულ გემში.
სულში დაფთურობს საღამო ავდრიანი,
როგორც ვენაში შესული ნემსი.
ჩაშლილ პაემნებზე ფიქრობენ ტალანები,
ფანჯრის მინებს რთავს წვიმის არშია,
დაკარგულ საღამოს დარდობენ დანანებით, —
აქ ხომ ყველა დღე სათვალავშია.

ცეკვეგის საღამო

ფანჯრის მინებზე მთვარე ცვილივით გალღვება,
და რადიოლა ხმას გაისწორებს ზმორებით,
ეს მერამდენედ წამოიშალნენ ტალღებად,
დუღს და ტრიალებს მოცეკვავეთა მორევი.

მე მისი ტალღა დამარწევს,
როგორც წყალდიდი მტკვარი ნავს,
— მარინა! —
ეხლება მაღალ ჭერს,
კედლებსაც მიარღვევს:
— მარინა!

შე ცეკვის გიჟო, ცეკვა არ ვიცი,
რა გიყო,
ვით გაგიტაცო, გული როგორღა
გაგიყო...

განაპირებულს ირიბად რატომ
შემცქერი,
ვისთან ფრინავენ შენი წარბები —
მერცხლები...

ნეტავი მაგ თვალთა ალმასი
მალულად მომაპარინა!
— მარინა! —
ბზრიალებს დარბაზი,
ფირფიტა ტრიალებს:
— მარინა!

აჩქარებს ტრიალს დედამიწაც —
დიდი საცეკვაო დარბაზი,
— მარინა!
სად მიხვალ, დამიცა,
მოგძახი და მოგდევ ბარბაცით.

დილის მხატვარი ცას ჯერ მაჭრისფრად არ ღებავს,
ამ შუაღამით ძილი ვერ ბედავს მორევას,
ეს მერამდენედ წამოიშალნენ ტალღებად;
დღეს და ტრიალებს მოცეკვავეთა მორევი.

ნეტავი მაგ თვალთა ალმასი
მალულად მომაპარინა!
გუგუნებს, ტრიალებს დარბაზი:
— მარინა!
— მარინა!
— მარინა!..

ისევ საღამო

სახეზე გრილ ფრთას გამკრავს ნიავი,
გულზე ცეცხლს მინთებს ეგ სუნთქვა შენი,
ამბობ: ღამეა ვარსკვლავიანი,
ამბობ: ცას ისევ ვარსკვლავი შვენის.

მტყორცნი წამწამთა შუბებს ალესილს
და გულს მიბოქავ გარსაკრავებით,
— ცას რად შეეხედო, ემაგ თვალებში
მთვარეც ბრდღვიალებს და ვარსკვლავებიც.

დილა

აქ წუხელ მთვარეს გაულეწავს კალო,
აქა-იქ დარჩენილა ყვითელი ბზე.
წითელი მზისკენ!
წითელი მზისკენ წავიდეთ, ქალო,
აიმ მთაზე გუზგუზებს წითელი მზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთებზე მოვიქნიოთ ბილიკები — შოლტები,
ყვავილივით ვკრიფოთ წუთები ტკბილ-მწარე,
როგორც მზეს ეს დილა, ვეღარა გშორდები,
ვეღარა გშორდები, ვით მიწას სიმწვანე.

იქ გვირგვინს დაგვიწნავს ცა შუქით,
იქიდან გაგვიღიმებს მაშუკი.

წითელი მზისკენ!
იქ ხელით მოვსინჯოთ ღრუბლების სისქე,
გამოვწუროთ წვენი უმარილო,
იქ მზე ცხელ სატეხით ძეგლებად თლის ქვებს,
ვიცი, მეც მიმიღებს ძველი სტუმარივით.

იმ ოსტატს ჩამაბარე შეგირდად,
დამცეცხლე იმისი თვალითა,
დავბრმავდები? — დე, ღმერთმა შეგინდოს! —
სინათლით დაბრმავებას ავიტან...

წითელი მზისკენ!
სიმღერების გაშალე ბადე,
თვით მზეო, ოცნების სავანევ!
და სიყვარულის დაღამებამდე
გრძელი გზა გვქონოდეს სავალი...

ისევ დილა

შუქი — დილის ფრთით შემოტანილი,
მინდორი — თეთრი ღიმით მბზინავი,
ქაღალდდაკრული ჩემოდანები,
აეროპორტი და...
თვითმფრინავი.
მან ჩააბარა თვისი ბედი ცას,
მზესთან ძლიერ ფრთებს გაშლის აფრებად,
მიფრინავს იგი ჩრდილოეთითაც,
სამხრეთისკენაც იცის გაფრენა.
რა ედარდება, — დაფრინავს იგი...
და მიჰყავს ხალხი რიგი და რიგი.
ზოგს მზეს აჩვენებს ზღვათა სარკეში,
ზოგს გადააფრენს უმაღლეს მთებზე,
ზეცის ვრცელ ზღვაში ისვრის ანკესებს,
ამოჰყრის ოქროს ვარსკვლავებს — თევზებს.
რა ედარდება...
აფრინდა, აგერ,
ჩემი ტკივილის უმძიმეს ტვირთით,
მე ყურებამდე გამიგლეჯს ბაგეს
ამ ღრმა მკერდიდან მომსკდარი ზვირთი.

ის კი მიფრინავს და მიჰყავს იგი...
და დადგა ჩემი გაფრენის რიგიც;
მე სულ სხვა მხარეს გამომიტაცა...
კავკასიონზე ამომიტანს ცად,
ღრუბლებს დაბერტყავს ფრთები — ხარიხა
და ჩემს ბუდეში ჩამაფრენს ფრთხილად
და ეწერება ამ ლექსს თარიღად:
აეროპორტი.
ათას ცხრაას სამოცდასამი,
მაისი,
დილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გოგიჩაიშვილი

გაბაღულიდან გაბაღულამდე

რომანი

თავი პირველი

იმ დილით, თვრამეტის რომ გახდა

ლალი ფანჯრის დარაბის ჭუჭრუტანაში შემოჭრილმა მზის სხივმა გამოაღვიძა. სახე მოაბრუნა, მაგრამ ლიცლიცა სხივს ვერსად გაექცა. გაიზმორა, კედლის საათს გახედა, ტექნიკუმში წასვლის დრო მოახლოვებულიყო.

წამოდგა და დარაბა გამოაღო. ფანჯრიდან გაზაფხულის ნათელი დღის შუქი შემოიჭრა.

სანამ თვალი სინათლეს შეეჩვეოდა, ფეხშიშველა იდგა შუა ოთახში. უცბად სკამის ზურგზე გადაკიდებული ახალთახალი, ჭრელი კაბა დაინახა, იქვე, იატაკზე, ლაკის ფეხსაცმელი ეწყო, სწორედ ისეთი, დიდი ხანია ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცეული, დაინახა და გაოცებისა თუ სიხარულისაგან შეჰყვირა.

ჰო, კინაღამ არ გადაავიწყდა: დღეს ხომ თვრამეტი წელი შეუსრულდა!

ასე იცის მამამ. დაბადების დღეს ისეთ საჩუქარს უსახსოვრებს, რაც ყველაზე მეტად გაახარებს მის ვოგონას. განსაკუთრებით დედის სიკვდილის შემდეგ ანებივრებს ასე. აი, თურმე, რისთვის აუღო ამას წინათ კაბის ზომა მათმა მეზობელმა, დეიდა მართამ.

სკამზე წერილია:

„გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო კუდრაჭავ, — წერდა მამა, — ამ დილით ეს ახლები ჩაიცვი, ჯერ ეს იკმარე. გაისად ამ დროს კი ისეთ საყურეებს მოგიტან, სიხარულისაგან ასკინკილა დაუარო. საღამოს მეგობრები მოიწვიე, ნუ გეფიქრება, ყველაფერს კარგად მოგიწყობ, არ შეგარცხვენ, ჩემო გოგო!...

შენი მამიკო“.

თვალში ცრემლი აუციმციმდა. გულმა მამისკენ გასწია, მაგრამ გაახსენდა, რომ მამა წუხელ საავადმყოფოში მორიგეობდა; გამთენიისას მოვიდოდა და ახლა, ალბათ, ტკბილ ძილში იქნება.

ერთი სული აქვს, სანამ ახლებს ჩაიცვამდეს, მაგრამ თავი შეიკავა, არ იჩქარა. ხალათი გადაიცვა, ფეხი ფლოსტტებში წაჰყო; ნავთქურა აანთო, ჩაიდანი დადგა, პირი დაიბანა, თმა გადივარცხნა, წიგნები და რვეულები ჩანთაში ჩააწყო. ეს ჩანთაც შარშან, დაბადების დღეს მოუტანა მამამ.

ჩაი რომ ადუღდა, ისაუზმა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიცვა კაბა და ფეხსაცმელი.

კაბა ტანზე შემოსალტვია, ფეხსაცმელიც მაღალქუსლიანია.

მამის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმის. როგორც ჩანს, ღრმად სძინავს. ჯერ გადაწყვიტა, დავხედავო, მაგრამ შუა კარი საოცარი ხმით ჭრიალებს, ვაითუ, მამა გააღვიძოს.

ჩაიდანში წყალი ჩაასხა და ნავთქურას დაუწია. ვინ იცის, მამიკო როდის ადგება.

ჩანთა აიღო და კარისკენ გასწია. სარკის წინ რომ გაიარა, შედგა. სარკიდან ვიღაც სხვა, მოზრდილი, უცნობი ლალი იცქირებოდა. ასე უცაბედ რამ გაამაღლა, ან ეს მკერდი რამ აუცხო?

წასვლა უნდა, მაგრამ სარკემ მიაჯაჭვა, ვერ მოშორდა, თავის თავს ამოწმებს — ხან მტრიალდება, ხან მოტრიალდება. წინათ სარკის წინ რომ ჩაიცვიდა, თავის ორეულს ენას გამოუყოფდა, მაშინ იქიდან პატარა ლალი იცქირებოდა, ამას კი ენის გამოყოფა ვერ გაუბედა. როგორ შეცვალა ახალმა კაბამ! დაშვიდობებისას ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. თავის საქციელისა შერცხვა, დერეფანში გავარდა და კარი ისე მაგრად მიიჯახუნა, რომ მინებმა ზანზარი დაიწყო.

„კარის ჯახუნმა მამიკო თუ გამოაღვიძა, როგორ აბუზღუნდება!..“ — გაიფიქრა და ქუჩაში გავიდა.

ფეხსაცმელმა გაუჭირა საქმე: ვერ შეეჩვია მაღალ ქუსლებს, თუმცა გეგონა ვით მიირწევა, ფეხი ზოგჯერ მაინც ეშლება.

უკნიდან ჩქარი ნაბიჯით ვიღაც მოგმოეწია, შემდეგ დაჭინებული მზერა იგრძნო. არ მიუხედავს, წარი ამშვილდა. გვერდით ვიღაც უცხო ვაჟი მისდევდა. უცაბედ ვაჟი შემობრუნდა, ლალის თვალებში ჩახედა და გაუღიმა. ლალი დაიბნა, გაწითლდა კიდეც. ვაჟს თვალი სასწრაფოდ მოაშორა. შერცხვა, ისე შერცხვა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. დღეს პირველად გაიხადა ზამთრის პალტო და ეს ახალი კაბა როგორ შემოსალტვია ტანზე. თუ აქამდე წელგამართული მიდიოდა, ახლა წელშიც მოიხარა. აბეზარ ვაჟს რომ გასცლოდა, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა.

ოჩამჩირე პატარა ქალაქია, ხალხმრავალი და მოძრავი. ცა კრიალაა, მტრედისფერი. სახლებსა და ხეებს შორის მოჩანს ზღვა, ლურჯი, წყნარი, მზის სხივებქვეშ მშვიდად მოლივლივე. ირგვლივ ბეღურები დანავარდობენ, ხან ხეებზე შემოსხდებიან და ჭიკჭიკებენ, ხან გზის პირად ბალახებში დაეშვებიან, ეზოებში ხბოები დაკუნტრუშობენ, ქათმები კრიახობენ, ყველაფერი ხარობს გაზაფხულის ამ ნათელ დღეს.

სამედიცინო ტექნიკუმი, სადაც ლალი სწავლობს, და საშუალო სკოლა ერთ შენობაშია მოთავსებული. უმცროსკლასელი ბიჭუნები და გოგონები უკვე მოსულან სკოლაში. ერთმანეთს ჩანთებს ესვრიან, გოგონებს თმებს უწუწავენ. ბიჭებს ქუდებს ხდიან, აბურთავებენ, არის ერთი ჭრიამული, წიოკოპა და ხარხარი.

ლალის მისი კურსელი ორი გოგონა წამოეწია. ერთს ნელი ჰქვია, მეორეს — თინა. თითქოს დიდი ხნის უნახავი ჰყოლოდეს, ისე გადაეხვია თინა ლალის. ნელი კი ცალკე დგას, თავი ღინჯად

უჭირავს. სათვალეს ატარებს, ეს კი, წლებთან შედარებით სერიოზულ იერს აძლევს მას.

თინამ ლალი წინ გაუშვა, შეატრიალ-შემოატრიალა, ჩაცმულობა მოუწონა.

— ლალი, — უთხრა თინამ, — იცი რა კარგი ხარ?.. საოცრად კარგი!

— მართლა? — გაეცინა ლალის, — ალბათ, გეჩვენება.

— ნელი, — თვალი ჩაუკრა თინამ მეგობარს, — შეიძლება მართლა ვეჩვენება? მოდი, შევამოწმოთ. — და ლალის ხელი მოჰკიდა, დაატრიალა. ლალიმ შეჰკივლა, ახლა თვითონ წაეტანა თინას.

— რას სჩადით, სირცხვილია! — დატუქსა ამჩატებული მეგობრები ნელიმ, — ხალხი მიდი-მოდის, რას იტყვიან?

— ერთი შენც!.. — გაუწყრა თინა, — ხუმრობასაც გვიშლი?

უცბად გოგონებს სიცილი აუტყდათ. ერთმანეთს უყურებენ და იცინიან. მხოლოდ ნელი დგას განზე კოპებშეკრული და თვალებით ჭამს მეგობრებს. როგორც იქნა, დაწყნარდნენ და ეზა განაგრძეს. მიდიან და იცინიან. გულს სიხარული მოსდებია და კიდევ რაღაც არ ასვენებთ იქ, გულის რომელიღაც კუნჭულში რომ ჩამალულა, გაფურჩქნულა.

გოგონებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნოე კობახიძე წამოეწიათ. აგერ მეოთხე წელია, მათი დამრიგებელია. უკანასკნელ კურსამდე ასწავლიდა მათ. წელს კი უკვე პენსიაზე გადის.

ნოე მასწავლებელი გოგონებს მიესალმა და გვერდით გაჰყვა. გოგონებს სიცილით ლოყები ებერებათ, მაგრამ ცდილობენ სერიოზული სახე მიიღონ.

ნოე მასწავლებლის სახლში ოთახი არ არის, წიგნის თაროები რომ არ იდგეს. სამ სტუმარს სკამზე ვერ დასვამს, წიგნებით კი გამოტენილი აქვს ყველაფერი. თავისი კატალოგი აქვს, კარტოთეკაც, ამ წიგნების ზღვაში უმალ მონახავს მისთვის საჭირო წიგნს. ხელმოკლედ ცხოვრობს, ხელფასის ნახევარს ახალი წიგნების შეძენას ახმარს. გული არაფერზე მოუვა, მაგრამ თუ ვინმეს უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს, მისგან ნათხოვნი წიგნი უნდა დაუკარგოს. არავის არ აპატიებს ამას. ცოტ-ცოტაობით ფრანგულიც იცის, გერმანულიც. ამბობენ, ახლა ინგლისურს სწავლობსო.

— ა, ქალიშვილებო, რა დარია, რა დარი! ასეთი გაზაფხული მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე იცის ხოლმე.

— მაპატიეთ, ნოე მასწავლებელო, — მიმართა ლალიმ, — ერთი შეკითხვა მინდა მოგცეთ და არ გამიბრაზდეთ.

— თქვი, გისმენ.

— ამდენი ხანია მასწავლებლობთ და ნუთუ ამ ხნის განმავლობაში... როგორ გითხრათ... — ყოყმანობს ლალი, — არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე საქმის კეთება? სულ შუშანიკის წამებისა და დანიელ ჭონქაძის სწავლება?.. ბოდიშს ვიხდი, თუ რაიმე გაწყენინეთ.

ნოეს გაეღიმა:

— აი, ახლა თქვენა ხართ ჩემი მოწაფეები. წინათ თქვენი უფროსი დები და ძმები სწავლობდნენ ჩემთან, უფრო ადრე — თქვენი მშობლები. ბავშვი სუფთა დაფას და მასზე შენი ხელით თუ ისეთ რამეს დაწერ, რაც განავითარებს, აამაღლებს მის სულსა და გონებას, არა მგონია, ეს მოსაწყენი იყოს.

— მაგრამ ბავშვების ჭყიპინი, ცელქობა!.. არა, ვერ ავიტანდი!

— ლალი! — გაუწყარა ნელი.

— გეძნელებათ პენსიაზე გასვლა? — ფრთხილად შეეკითხა ნელი, სცადა საუბრის თემა შეეცვალა. მზად არის, ეს თავქარიანი ლალი გაგლიჯოს. არ უკვირდება რას ამბობს, განა შეიძლება მასწავლებელს ასეთი შეკითხვა მისცე? ეჰ, როდის ისწავლიან ჭკუას, როდის დადინჯდებიან!

— რა დაგიმალოთ, გოგონებო, — ამოიოხრა ნოემ, — ძალიან მეძნელება. ზოგჯერ ეჭვი მიპყრობს. შევძლებ კი უთქვენოდ ცხოვრებას? მაგრამ ნუგეშად ჩემი წიგნები მჰჩება.

თეთრად შეღებილ სამსართულიან შენობას მიუახლოვდნენ. შენობა ზღვის

პირად დგას. სკოლის წინ მწვანე მოლით შემოსილი მინდორია, მინდორს იქით კი სილა და ფერადი კენჭებით მოფენილი ნაპირი მოჩანს.

ტექნიკუმელი გოგონები ცალკე დგანან. ტექნიკუმში სწავლა უფლებას აძლევს მათ მოწაფეებისაგან განსხვავებით თავი სერიოზულად ეჭიროთ.

ცოტა ხანში ზარიც დაირეკა, გაკვეთილები დაიწყო.

თავი მეორე

ჩამშრალი ჩაიდანი

ტექნიკუმის მეოთხე კურსზე ორად ორი ვაჟია — სულხანი და ზურაბი. საოცარია, როგორ მოხვდნენ ისინი სამედიცინო ტექნიკუმში. სულხანი ქანდაკებითაა გატაცებული, ზურაბი — ლექსების წერით. შეიკლეს საწყლები გოგონებმა, დაბეჩავებული ჰყავთ, თუ სადმე ვინმე გასაგზავნია, ერთ-ერთს აგზავნიან, ძნელი სამუშაოა გასაკეთებელი, ვაჟებს დაავალებენ. ოცდასამი გოგონა პირს რომ შეკრავს, რა დაუდგება წინ!

მაგრამ დღეს ვაჟებმა თავი გამოიჩინეს. დიდი შესვენების დროს გოგონები ოთახში არ გააჩერეს, გამორეკეს და კარი შიგნიდან ჩაკეტეს. გოგონებმა გაოცებისაგან წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, თორემ ვაჟები რას გაბედავდნენ! ბევრი უტრიალეს ოთახს გოგონებმა. კარი მაგრად იყო ჩაკეტილი, და შემტვრევა ვერ გაბედეს. ასე რომ ვაჟების საიდუმლო გაზზრახვისა ვერაფერი გაიგეს.

როგორც იქნა, ვაჟებმა ოთახის კარი გააღეს, გოგონებს დაუძახეს და თითოთითო შეუშვეს. ისე მოახერხეს, ლალი სულ ბოლოს შესულიყო. როგორც კი ლალი კარს გასცილდა და ოთახში ფეხი შედგა, ზურაბი წინ გადაუდგა, თავი დაუკრა და ხმამაღლა შესძახა:

— გზა დღევანდელ დედოფალს!..

გოგონებმა გაოცებისაგან პირი დააღეს. ლალი შეცბა, დაიბნა, ანგარიშმიუცემლად თავის მერხისაკენ გაემართა.

მერხზე თეთრ ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთები და თაიგული დევს. ზურაბმა რიხიანად წარმოსთქვა ლექსი:

გაიხარე, გაიზარდე,
გაიფურჩქნე, როგორც ია.
სიხარულის გზა გეფინდეს
და ეს გული ჩვენთვის ღია.
ჩვენი კურსის დედოფალო,
ტექნიკუმის დედოფალო!

— უიმე, დღეს ხომ ლალის დაბადების დღეა! — წამოიძახა ვიღაცამ.

გოგონებმა ერიამული ატეხეს. ახლა გაახსენდათ, რომ ლალის დღეს თვრამეტი წელი შეუსრულდა. შერცხვათ, ვაჟებმა დაასწრეს, მათგან დაბეჩავებულმა ორად ორმა ვაჟმა. მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რად ეცვა ლალის ახალი ტანსაცმელი. მიცვივდნენ და გადაკოცნეს. ლალი დაიბნა, სიხარულით თვალზე ცრემლი აუციმციმდა. უეცრად კუთხეში მდგარ სულხანს მოჰკრა თვალი: დგას და საერთო ერიამულში არ ერევა.

„სულ მისი მოწყობილი კი იქნება, — გაიფიქრა, — აი, როგორია სულხანი!“

ლალიმ საღამოსათვის ყველანი შინ მიიპატიჟა. ამ წინადადებამ ერიამული გააორკეცა. ნოე მასწავლებლის შესვლამ, როგორც იქნა, დააშოშმინა კურსი.

უკანასკნელი კაკვეთილი გაუცდათ. გოგონები ტექნიკუმიდან ერთად გამოცვივდნენ. გზადაგზა დაიფანტნენ. ლალი, თინა და ნელი ერთ უბანში ცხოვრობენ, ამიტომაც შინ მუდამ ერთად ბრუნდებიან.

— მეჯავრება ცერცეტა ვაჟები! — გაბრაზებით თქვა ნელიმ.

— რატომ, რატომ? — სერიოზულად შეეკამათა თინა, — ყველაფრის გადაჭარბება იცი, რა ქნეს ცუდი? ძალიან ლამაზად გამოუვიდათ, არა, ლალი?

ლალი დუმს.

„ჩვენი კურსის დედოფალო, ტექნიკუმის დედოფალო!“.. — გამოაჯავრა ნელიმ.

— შენ რაო, კუდი ხომ არ გეწვის? არ იცი, რომ ლალი სილამაზით ყველას გვჯობია?

— ერთი შენ... — შეაჩერა ლალიმ.

ნელიმ ნერვიულად მოიხსნა სათვალე.

— მე არ ვამბობ, რომ ლალი ლამაზი არ არის, მაგრამ ასეთი რამ... სასაცილოა!..

— სასაცილო შენა ხარ შენი სერიოზულობით! — გააჯავრდა თინა.

— თინა, რა მოგვიდა? — უსაყვედურა ლალიმ.

თინამ შორიდან ვიღაცას მოჰკრა თვალი, წყენამ უცბად ვაუარა, ლალის ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და მუჯლუგუნი წაჰკრა.

— ნახე, ვინ მოდის!

— ვინა? — მობრუნდა ლალი.

— ვინა და, — გაიღიმა თინამ, — დადის და დაეძებს...

ლალი მოიღუშა.

— სულხანზე ასეთ ლაპარაკს გიკრძალავ! — ეჰ, — ამოიოხრა ნელიმ, — სულხანს თავისი გაგვირვებაც ეყოფა!

— ასეთი რა უჭირს?

— ვერ ხედავ, მორცხვია, გაუბედავი...

— სამაგიეროდ რა გული აქვს, — სიტყვა ჩამოართვა თინამ, — და ამ გულში...

— გეყოფა, — გააჯავრდა ლალი, — თორემ ხმას არ გაგცემ.

გზააჯავარედინთან შედგნენ. თინა და ნელი მარცხნივ უნდა წასულიყვნენ.

— წავიდეთ, თინა, რას ვუდგავართ? — უთხრა ნელიმ.

— გოგოებო, საღამოს გელით! — შეახსენა მათ ლალიმ.

— რა საჭიროა! — ჩაილაპარაკა ნელიმ.

— აბა, გაგიბედია და არ მოსულიყავ! — საუბარში თინა ჩაერია:

— რა საოქმელია, მოვალთ... — თან ნელის შეხედა, — ამასაც მოვიყვან. ახლა კი მართლაც დროა, შინისაკენ გავწიოთ, თორემ დედაჩემი დაგვიანებისაგან თმებით დამითრევს. — შემდეგ ეშმაკურად თვალი მოჭუტა, — ლალიკო, სულხანი კვლავ გამოჩნდა ჰორიზონტზე, დავტანჯეთ ბიჭი, გტოვებთ მარტო! — და ლალის მოქნეული ხელი რომ აეცდინა, გზიდან სასწრაფოდ გადაუხვია.

ლალიმ გზა განაგრძო. უცბად მის წინ სულხანი აიტუზა, სულს ძლივს ითქვამდა. ლალი შედგა, ვითომ მხოლოდ ახლა დაინახაო, გაკვირვებულმა ხელები გაშალა.

— სულო, სად იყავი, რა მოგარბენინებდა?

— არ მოვრბოდი, — თავი იმართლა ბიჭმა, — ჩქარი სიარული ვიცი.

— გრილა, შენ კი სახეზე ოფლი წურწურით ჩამოგდის, მოიწმინდე მაინც.

სულხანმა სახე მიიბრუნა, ოფლი სახელოთი მოიწმინდა. შორიდან თინას ხმამაღალი შეძახილი მოესმათ:

— ლა... ლი!... ლა... ლი!...

— ამას უყურე! — გაეცინა ლალის.

— კარგი გოგონები არიან, — თქვა სულხანმა, — მაგრამ ცოტა მწარე ლაპარაკი უყვართ.

— ვითომ? — გაიკვირვა ლალიმ, — არ შემომჩნეულა.

— შენთან რას ვაბედავენ!

— რად ემდური?

— დაცინვა იციან... განსაკუთრებით ნელიმ. ისეთს ვეტყვის, გულს მოგიკლავს.

ჩუმად გაჰყვნენ გზას.

— სულო, ასე გამწარებული საით მიიჩქაროდი? — დაარღვია დუმილი ლალიმ.

— მინდოდა შენთვის მომესწრო, შინ რომ შესულიყავი, ვერ შემოვბედავდი.

— რატომ?..

სულხანმა არ უპასუხა.

— დღეკანდელი ამბავი შენი მოწყობილი იყო?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ორნი ვართ, ორივემ მოვიფიქრეთ.

— ამაღამ ხომ მოხვალ?

— ვერა.

— რატომ?

— ასე სჯობია. — ერთ ხანს გაჩუმდა, შემდეგ ჩუმად ჩაილაპარაკა, — დღეობაზე უნდა იმხიარულონ...

— მერედა, ვის გიშლის, იმხიარულე!

— გულს შევასკდები!

ლალიმ მხრები აიჩეჩა.

სულხანმა პასუხი არ გასცა, სიტყვა ბანზე აუგდო:

— ლალი, მე შენ საჩუქარი მოგიტანე.

— კიდევ საჩუქარი! მაგრამ მაგას ახლა არ აკეთებ, ამ საღამოს შინ მოგიტანე. — მტკიცედ უთხრა ლალიმ.

სულხანმა ჯიბიდან პატარა გულქანდა ამოიღო და გაუწოდა.

— ნახე!

მართალია, ლალიმ საჩუქრის აღებაზე უარი უთხრა, მაგრამ გულქანდა ისეთი ლამაზი ჩანდა, რომ აღტაცება ვერ დაფარა.

— რა კარგია!..

სულხანმა გულქანდა ხელში ჩაუდო. ლალიმ დიდხანს ათვალიერა.

— შენი ნახელავია?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— მითხარი, ხომ შენია? — არ ეშვებოდა ლალი.

— თუნდაც ეგრე იყოს...

ოქროს ხელი აქვს სულხანს. სათუთი ნივთია.

— გახსენი.

ლალიმ გულქანდა გახსნა და სიხარულისაგან შეჰყვირა:

— ეს... ეს რა გაგიკეთებია?!

შიგნით ლალის პროფილი იყო ამოკვეთილი.

— იცი, სულო, რა გითხრა? ხალხის რომ არ მრცხვენოდეს, აი, ახლავე, აქვე გაკოცებდი...

— ლალი!

სულხანს ზედმეტი მღელვარებისაგან ხმა ჩაეხლიჩა. ლალი შეკრთა, სულხანს შეხედა, მერე თვალი მოარიდა, გულქანდა გაუწოდა და მშვიდი ხმით უთხრა:

— ამაღამ მოდი და მომიტანე.

სულხანი გამოერკვა, გულქანდა არ გამოართვა.

— არა, ახლავე წაიღე, თუ არ მოგწონს, მაშინ სხვაა...

— არ მომწონსო! რას ლაპარაკობ? განა შეიძლება, ასეთი რამ არ მოგეწონოს! მადლობა რითი გადაგიხადო?

— მადლობა... — სულხანმა ლალის შეფარვით შეხედა და თითქოს ხუმრობით ჩაილაპარაკა, — მე ისიც მეყოფა, ჩემს ნახელავს გულზე რომ ატარებ.

ლალიმ ცალი წარბი აათამაშა.

— ბიჭოს, ამ ბოლო დროს რანაირი ლაპარაკი გისწავლია! ასე ვინ გამოგაწრთო?

— აქაო და ლამაზიაო, ყველა გადაკრულად გელაპარაკება, რა იქნება მეც რომ...

— ხომ იცი, ასეთი ლაპარაკი მეჯავრება. მგონი ამ გულქანდამ გაგათამამა, უკანვე მომირთმევიო! — მტკიცედ უთხრა ლალიმ.

— გულქანდა რა შუაშია. სხვებისაგან თუ ისმენ...

— სხვებთან ამდენ ხანს არც გაჩერდები, არ უნდა მაწყენინო, სულო, თორემ დაგემდურები!

— რად უნდა დამემდურო? — შეაპარა სულხანმა.

— მაგვიანდება, — მოუჭრა ლალიმ, — საღამოთი გელი, აუცილებლად მოდი.

— მოვალ თუ წავალ, განა შენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— ალბათ აქვს.

— ეჰ, ლალი, — მიწას ჩაჩერდა სულხანი, — რა გითხრა, არ ვიცი...

— ჰოდა, თუ არ იცი, ნურც ლაპარაკობ.

სულხანმა ისეთი თვალით შეხედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ეტკინა ლალის. ინანა, რად ვუთხარი ასეო. აი, ახლავე, ამწუთას რაიმე თბილი სიტყვა უნდა გამონახოს, თორემ სულხანი ნაწყენი წავა. ამის ღირსი კი არ არის, მაგრამ სანამ მოიფიქრებდა, სულხანი გაშორდა.

— სულო, დაიცადე! — მიაძახა ლალიმ.

სულხანი არ მობრუნებულა. ის კი შეამჩნია ლალიმ, თითებით თმა რომ შეისწორა ბიჭმა. ერთ ხანს თვალი გაყოლა.

— კარგი ბიჭია! — გაიფიქრა ლალიმ და ეზოს ჭიშკარი შეაღო.

მათი მეზობელი ქალი, დეიდა მართა, ბოსტანში ფუსფუსებდა.

— გამარჯობა, დეიდა მართა! — მხიარულად მიესალმა ლალი.

— გაეზარდე მამაშენს! — თავი ასწია მართამ, — აბა, ერთი შემახედე, თუ გიხდება ახალი კაბა?

ლალი სიცილით შეჩერდა.

— კარგია, ძალიან კარგი!

— ეს იმიტომ, რომ თქვენ შემიკერეთ.

— მაინც ასე უცებ როგორ გაიზარდე, — ალერსით უთხრა მართამ, — თუ კაბამ გაგამაღლა ასე?

მართა ღობეს გადმოეყუდა, ლალიმ არაფერი უპასუხა.

— როგორ გადის დრო... — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მართამ, — გუშინდელ დღესავით მახსოვს, პირველად რომ წაგიყვანეს სკოლაში. როგორ გამზადებდა საბრალო დედაშენი. თეთრი კაბა ვეცვა, თავზეც ბაბთა გეკეთა.

— ის კაბაც თქვენ შემიკერეთ?

— არა, დედაშენმა...

— მამა თუ არის შინ?

— ალბათ შინაა. ეზოში არ დამინახავს.

— არაფერი უთხოვნია?

— არა, რა უნდა ეთხოვა?

ლალი გაოცდა. როგორ, აქამდე არ უზრუნია მამას ვახშმისათვის? როდისღა მოასწრებენ? ამ დილით კი სწერდა, „არ შეგარცხვენო“. დამაცადოს!..

ზღვიდან ქარმა დაუბერა, ლალიმ მაღლა აიხედა, შავი ღრუბლები მოჯარულიყო, მთლად დაეფარა ზღვა.

ლალიმ სირბილით აიარა კიბე.

„დამაცადოს!.. — იმეორებდა შინ, — დამაცადოს!“

სადარბაზო კარი ღია დახვდა.

— უყურე შენ, შინ ყოფილა!

დერეფანში ანთებულ ნავთქურას მოჰკრა თვალი და გაოცებისაგან იქვე შედგა. ნავთქურაზე ჩამშრალი ჩაიდანი იდგა. ნუთუ მამას დილით ჩაი არ დაუღევია? ეკებ დაავიწყდა ნავთქურის ჩაქრობა? არა, ის ანთებულ პაპიროსსაც კი არ დატოვებს საფერფლეში.

ლალიმ ჩაიდანი გადმოდგა. ნავთქურა ჩააქრო და ოთახში შეეიდა. მამის ოთახის კარი მიხურულია. მაშ, ჯერ კიდევ არ ამდგარა!.. კარი ჭრიალით გაიღო და ლალი ზღურბლზე შედგა. დარაბებიც არ გაუღია მამას, ლოგინში პირაღმა წევს და სძინავს. გოგონა რაღაც გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო, ოთახში სიჩუმეა.

„ავად ხომ არ არის?“ — გაუელვა ფიქრმა, შიში დაძლია და ჩუმად დაუძახა.

— მამიკო!

არავითარი პასუხი, მამა არ განძრეულა. უფრო ხმამაღლა დაუძახა:

— მამა!

კვლავ სიჩუმე, ამაზრზენი, უჩვეულო სიჩუმე იდგა. ლალი ერთბაშად კანკალმა აიტანა. საწოლისაკენ გაიწია, მაგრამ რაღაც ძალამ შებოჭა. შეაჩერა, ბოლოს, როგორც იქნა, ფრთხილი ნაბიჯით მამის საწოლს მიუახლოვდა. მამა თვალღია იწვა, პირი მოღრეცოდა და სახე გაფითრებოდა.

— მამა! — ამოიხრიალა ლალიმ, ჩაიჩოქა, მამის გაყინულ სახეს ჩაეკარა, ყველაფერს მიხვდა. ვერც ხმა ამოიღო, ვერც გაიქცა. შიშმა თავზარი დასცა და ადგილზევე გააქვავა. ყვირილი უნდოდა, ენა ვერ დაძრა, გაქცევა უნდოდა, წელი ვერ გამართა. უცბად გარეთ გაიელვა. შემდეგ ისე ძლიერად დაიგრუხუნა, რომ ფანჯრებმა ზანზარი დაიწყო. ხმაურმა გონს მოიყვანა ჩაჩოქილი ლალი, წამოხტა, ოთახიდან გავარდა და კიბილით კიბეზე დაეშვა.

— მიშველეთ!.. მიშველეთ!

ლალის მაშინვე გამოეხმაურნენ მეზობლები.

— რა იყო?

— ვინ კივის?

— ლალია...

— ლალი, რა მოხდა?

— რა ამბავია?

ეზოში ძლივს შეაკაგეს სახეშეშლილი ლალი.

ნაწილი მეზობლებისა ლალისთან დარჩა, ნაწილი ოთახში შევარდა. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან ქალების მოთქმა და ტირილი მოისმა.

ლალისაგან ვერაფერი გაიგეს. საავადმყოფოში დარეკეს, იქიდან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოაგზავნეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ქალები მიცვალებულის მოვლა-პატრონობას შეუდგნენ. ლალის ხმა ვერ ამოაღებინეს, თვალგაშტერებული ერთ წერტილს მისჩერებოდა და მხოლოდ ერთადერთ სიტყვას ლუღლუღებდა:

— მა-მა! მა-მი-კო! მა-მა! მა-მი-კო!..

არაფერი ესმის, არაფერს ხედავს, არც ნუგეში აწყნარებს, არც ალერსი. მისი ცოდვით ქალები ცრემლად იღვრებიან. მამასთან უნდოდათ მიეყვანათ, არ გაყვა, გაუძალიანდა. კუთხეში წყალმოწყვეტილი ზის და ლუღლუღებს:

— მა-მა! მა-მი-კო! მა-მა! მა-მი-კო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

გულზე დაჭრილი ბელტები

პატარა ქალაქში ახალი ამბავი ელვისუმალ დაირხა. ნოე მასწავლებელი ქოშინით შემოვარდა. გარეთ კოკისპირულად წვიმს და ეს დროული კაცი თავიანთ ფეხებიანად გაწუწულა. გაიკო ლალის უბედურება, წვიმის გადაღებას აღარ მოუცადა და მაშინვე აქეთ გამოიქცა. ლალის ხელი მოხვია, მისი სახე სველ მკერდზე მიიკრა, მიეალერსა, დაამშვიდა, გული გაუმაგრა.

ლალის თანაკურსელებიც მოვიდნენ. კედელს აეკვრნენ, არ იციან, როგორ მოიქცნენ, რა თქვან, რა მოიმოქმედონ. ნელი და თინა ლალის გვერდით დამსხდარან. მუდამ დინჯ ნელის საქციელი წახდომია, წამდაუწუმ სათვალეს იხსნის. ცრემლი სათვალეს უსველებს, უსათვალოდ კი ვერაფერს ხედავს, გული უნდა გაიმაგროს, არ გამოდის. თინა კი ბავშვივით ღრიალებს. სულხანი კუთხეში დგას, თვალები ცრემლით ევსება. არც ცდილობს მის დამალვას, ვერც ამჩნევს, რომ ტირის. ლალი კი გაქვავებულა. ცრემლი სადღაც იქ, გულის სიღრმეში ეღვრება, გარეთ გზას ვერ პოულობს, სახეზე ერთი ნაოჭიც არ უთრთის, კრიჭაშეკრული ზის.

— აატირეთ, აატირეთ ეს გოგო, — წამდაუწუმ ამბობს მართა, — ცრემლი შვებას მოუტანს!

მაგრამ ლალის ცრემლი დაშრობია, ხმაც დაუკარგავს.

კარგა შეღამებული იყო, მიცვალებულის ნათესავები რომ გაახსენდათ. როგორც იქნა, ლალის ხმა ამოაღებინეს. ახლო ნათესავებიდან მხოლოდ დეიდა ჰყავს, თბილისში ცხოვრობს, ქუჩა გაიხსენა, პეროვსკაიას ქუჩაა, ნომერი კი არ აგონდება. თხუთმეტია თუ ოცდახუთი, იქნებ ოცდათხუთმეტიც... საბედნ მისამართით გაგზავნეს დეიდაშვილი, ვარდაფხაძის გვარზე, როგორმე მაუვალ..

მესამე დილით ჩამოვიდნენ თბილისიდან ლალის დეიდა სოფიო, მისი ქმარი გიორგი და მათი ქალიშვილი ნათელა. თან უზარმაზარი გვირგვინი ჩამოიტანეს. ჯერ სახლს კარგად მიახლოვებულნი არც კი იყვნენ, რომ სოფიომ კიბელი მორთო. წინ გვირგვინით ხელში გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მოდის, მძიმეა გვირგვინი, უჭირს ტარება; მიეშველნენ, ჩამოართვეს.

სოფიომ წვიელ-კიბელით აირბინა კიბე და ლალი რომ დაინახა, მოთქმით მიუტირა:

— ეს რა მოგვიდა, შე საბრალო, საცოდავო?! ვაი, ვაი!

მთელი ამ ხნის მანძილზე არც ერთ მეზობელს არ წამოცდენია ლალის მიმართ „უბედური, საბრალო"... გული ეტკინათ ქალებს, მაგრამ რაღას იზამდნენ.

სოფიო ლალის ჩაეკრა:

— ვაი, საბრალო, უბედურო, ობოლო!..

ლალიმ იცის, დეიდა სოფიოს და მამამისს არასოდეს არ ჰქონიათ კარგი ურთიერთობა. მამისაგან გაუგონია, სოფიოს არ უნდოდა, მისი და პროვინციელ ექიმს, ლუარსაბ ავალიშვილს მითხოვებოდა, არც შემდეგ ფარავდა უკმაყოფილებას. ახლა რა ქნას სოფიომ, ახლო ნათესავია და ხალხი რას იტყვის, რომ არ უპატრონოს სიძეს.

სოფიო მიცვალებულთან ჩაჩოქილა, თმაგაწეწილი სახეს იხოკავს, თავგამოდებით ტირის და სხვებსაც ატირებს. ერთიც არ მოეწონათ დამხვდურებს ჩამოსულ დედა-შვილისა. მართალია, შავები აცვიათ, მაგრამ იმგვარად შეკეერილი და გამოყენილი კაბები შეურჩევიათ, თითქოს სამგლოვიაროდ კი არა, საზეიმოდ მორთულანო.

ვერც ნათესავების მოსვლამ იმოქმედა ლალიზე, კვლავ გაოგნებული ზის.

— აატირეთ, აატირეთ ეს გოგო! — მეასედ იმეორებდა მართა.

„ეს გოგო", და არა „საბრალო, უპატრონო, ობოლი!" რა კეთილია დეიდა მართა", — გაიფიქრა ლალიმ.

სოფიომ ლალისაგან რომ ვერაფერი გაიგო, მეზობლებს მიმართა. დაწვრილებით გამოკითხა უბედურების ამბავი.

დიდძალი ხალხი დაესწრო ლურსაბ ავალიშვილის გასვენებას. ოჩამჩირეში პატივს სცემდნენ ამ გულისხმიერ ექიმს და ახლა უკანასკნელ ვალს იხდიდნენ მის წინაშე. თბილისიდან და რაიონებიდან ჩამოვიდნენ ლუარსაბის ამხანაგები.

ნოე მასწავლებლის მეთაურობით მთელი ტექნიკუმი მოსულა. პროცესიის თავში სულხანს და ზურაბს შავ არშიაში ჩასმული დიდი სურათი მიაქვთ. სასუელ ორკესტრი შოპენის სამგლოვიარო მარშს უკრავს. ლალი უხმოდ მიჰყვება პროცესიას. გულში დაგროვილმა ცრემლმა ვერ იქნა და გზა ვერ იპოვა, ხმა დაჰკარგვია, ქუთუთოები დამძიმებია, ძლივს ახელს თვალს, გვერდით ამხანაგები რომ არ ჰყავდეს, ალბათ აქვე, შუა ქუჩაში, წაიქცევა, ისე უჭირს ნაბიჯის გადადგმა. მამის ცხედარი დედის საფლავის გვერდით დასაფენეს. კუბოს თავი დააჭედეს და სამარეში ფრთხილად ჩაუშვეს. როდესაც ფიცარს პირველი ბელტი მოხვდა, ლალიმ ამაზრზენი ხმით შეჰკივლა და თვალთაგან ცრემლმა იფეთქა. რაკი ცრემლმა ერთხელ იპოვა გზა, შეუჩერებლივ წამოვიდა. გოგონები დასამშვიდებლად მიცვივდნენ, მაგრამ მართამ შეაჩერა.

საზარელი ხმაურით ეცემა საფლავს მიწის ბელტები, ლალი წაიყვანეს. მიდის და გრძნობს, ყოველი ნაბიჯი სამუდამოდ აშორებს მამას.

— გამაგრდი, ლალი, — ამშვიდებს დეიდა, — ნუ გეშინია, აქ არა ვართ?.. მოდი, კაცო, მომხედე, — ეუბნება იგი ქმარს.

გიორგი მიეშველა სოფიოს, მსუბუქად მოხვია ხელი ლალის, მისი მარჯვენა თავისაში მოიქცია და იგრძნო ლალიმ, როგორ ეფერება ძია გიორგი მის ხელს, უხმოდ, სიყვარულით.

— შე საბრალო!.. ჩემო ობოლო!.. — ბუტბუტებს სოფიო და ლალისთან ერთად ცრემლს ვერ იმაგრებს. ლალი კი თავჩაღუნული ტირის. მათ ზურგსუკან კიდევ დიდხანს ისმის მიწის ბელტების საზარელი ხმაური.

ლალის ბალიშში ჩაურგავს თავი, ხუთი დღეა თვალი არ მოუხუჭავს. ახლა ძილ-დვიძილშია. დაღლილობისაგან თა-

ვის განძრევაც უჭირს. თუმცა რაც ოთახში ხდება, ყველაფერი გარკვევით ესმის.

ყველაზე მეტს დეიდა სოფიო ლაპარაკობს. ჩუმად უსმენენ, ზოგჯერ ნოე მასწავლებელი თუ ჩაერთავს რამე სიტყვას, ისიც ფრთხილად. მხოლოდ დეიდა მართა ამბობს თავის აზრს ხმამაღლა და დაუფარავად.

ხშირად სოფიოს ნათელა მიეშველება ხოლმე. დედა და ქალიშვილი მუდამ ერთნაირად მსჯელობენ. მართალია, ნათელა მხოლოდ ცხრა წლითაა ლალიზე უფროსი, მაგრამ ლალის მაინც ბავშვად თვლის.

გიორგი ჩუმადაა, ხმას არ იღებს, ვერ იტყვი, ისმენს თუ არა მათ საუბარს. სოფიო ზოგჯერ ქმარს მიმართავს, რატომღაც გიგის ეძახის მას. თავის სახელს რომ გაიგონებს, გიორგი წელში გაიმართება და დასტურის ნიშნად თავს აქნევს, ყველაფერში ეთანხმება ცოლს.

ჯერ საუბარი გარეშე თემას ეხება, მაგრამ იგრძნობა, რომ ყველას ერთი ფიქრი აწუხებს — ლალის ბედი. ვვერდს უვლიან ამ საკითხს. ხან რას იტყვიან, ხან რას. ლუარსაბი მოიგონეს, ბევრი კარგი თქვეს... სოფიოს ენა კბილით უჭირავს, მაგრამ ასეთ დროს ვერ ბედავს თუნდაც ოდნავი ჩრდილი მიაყენოს სიძის ხსოვნას. თანდათანობით საუბარი ლალის შეეხო. თავისი აზრი სოფიომ ისე სხაპასხუპით ვამოთქვა, რომ აშკარა იყო, ლალის საკითხი საბოლოოდ მათ იქ, თბილისში, გადაეწყვიტათ.

— რასაკვირველია, ლალი ჩვენთან იცხოვრებს. ამ საბრალოს ჩემზე ახლობელი ვინა ჰყავს, აბა, ასე უპატრონოდ ხომ ვერ მივატოვებთ!

„საბრალო, უპატრონო“, — რა საზარლად მოხვდა ლალის ყურს ეს სიტყვები!

— რასაკვირველია, — დაუდასტურა ნათელამ. — ჩვენთან უნდა იცხოვროს.

— გიგი, შენ რას იტყვი? — მიმართა სოფიომ ქმარს.

— ჰო, ჰო, — გამოფხიზლდა გიორგი, ჭოლ-შვილს კვერი დაუკრა და კვლავ ფიქრს მიეცა.

— მაგრამ, — ახლა უკვე თამამად ჩაერია საუბარში ნოე, რადგან საკითხი უკვე ლალის ბედს ეხებოდა, — არ დაჩქარდეს, ეწყოთ, ლალი წელს ამთავრებს ტექნიკუმს და ორმაგი მეცადინეობა დასჭირდება — გაიოსაშვები გამოცდებისათვის და სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად. მერე ახლა ასეთი უბედურება გადაიტანა.

— ჩვენთან იქნება, დაგენაცვლე, — თქვა სოფიომ.

— ჩვენთან იცხოვრებს! — დაუდასტურა ნათელამ.

— როგორ სწავლობს? — ჰკითხა ნოეს სოფიომ, — მოხვდება გამოსაშვებ ხუთ პროცენტში?

— ლალი ყოველმხრივ მისაბაძი ქალიშვილია.

— მართალია, სწავლა თბილისში სხვაა და რაიონში კიდევ სხვა, მაგრამ...

ნოემ არ აცალა სოფიოს სიტყვის დამთავრება.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, — მტკიცედ უთხრა მან, — რაიონშიაც მოდის თბილისში დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და აქაც არიან მასწავლებლები.

— შეიძლება ასეც იყოს, არ ვიცი, — არ ცხრებოდა სოფიო, — მაგრამ სად თბილისი და...

— არა, ჩემო ბატონო, — ახლა მართა შეედავა სოფიოს, — სწავლა ყველგან ერთია.

— ხომ არ ჯობდა, ქალბატონო, — მოუბრუნდა ნოე სოფიოს, — ლალისათვის ნება დაგერთოთ, აქ დარჩენილიყო. მაპატიეთ, მე მხოლოდ მისი ინტერესები მალაპარაკებს. აქ დაამთავროს ტექნიკუმი, დიდი დრო არცაა დარჩენილი. ჩემთან იცხოვრებს, არ შემაწუხებს. შემდეგ კი თბილისში წამოვა.

ოთახში სიჩუმე დადგა.

„საყვარელი ნოე მასწავლებელი!“ — აუცრემლდა თვალი ლალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფიოს თითქოს გულზე მოეშვა, მაგრამ უცბად მოვიდა გონს და ორივე ხელი გაასავსავა.

— აბა, როგორ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში, ხალხი რას იტყვის?

„ხალხი რას იტყვის!.. — გაიმეორა გულში ლალიმ, — ხალხი რას იტყვის!"

— მე ისე, — შეეყოყმანდა ნოე, — ვიფიქრე, ლალისათვის აჯობებს-მეთქი.

— ხალხი ჩვენა ვართ, — ჩაურთო სიტყვა მართამ, — ხალხი არაფერს იტყვის, ჩემი ბატონო, ლალი შვილივით გვიყვარს. ჩემთან იყოს, შეჩვეულია.

— ლალისაც შეეეკითხოთო, — თქვა ნოემ, — პატარა ხომ არ არის...

ლალის შეხედეს. თვალი არ გაუხელია, არც განძრეულა; ან რა უნდა ეთქვა?

— სძინავს!.. — ჩაილაპარაკა ნოემ.

— კარგია თუ სძინავს, — ხმას დაუწია მართამ, — ხუთი დღეა, თვალი არ მოუხუჭავს, ნურც გავაღვიძებთ, ცოდვაა.

— არა, — მტკიცედ თქვა სოფიომ, — ეს საკითხი გადაწყვეტილია. ლალი ჩვენთან წამოვა, ჩვენთან იცხოვრებს.

— ჩვენ წავიყვანთ, — დაუდასტურა ნათელამ.

— ავეჯიდან ზოგს წავიღებთ, ლალის მზითევად გამოადგება, ზოგი უნდა ყიდოს, ფულს ლალის სახელზე ბანკში, ხომ დამეხმარებით?

— მაგაზე ნუ სწუხართ, — მიუგო მართამ, — ყველაფერს გავაკეთებთ, სათითაოდ ჩამოგიწერთ, რა ნივთი რამდენად გავყიდეთ.

— ღმერთო მომკალი, დაგენაცვლე, — შეიცხადა სოფიომ, — ჩამოწერა რა საჭიროა? არ გენდობით, თუ!..

— არა, ჩემო, ბატონო, — შეეპასუხა მართა, — ფულს ანგარიში უყვარს, ეს არც ერთმა არ უნდა ვიწყინოთ.

— როგორც გენებოთ, — უცბად დაეთანხმა სოფიო, — თავის დროზე ესეც მზითევად გამოადგება.

„მზითევად!".. — ძილში ჩაესმა ლალის.

— რაც შეეხება უმაღლესში მოწყობას, — განაგრძო სოფიომ, — დამშვიდებული იყავით. მართალია, ძნელია, დაგენაცვლე, სამედიცინოზე მოწყობა, მაგრამ ჩემი ქმარი ვიღაც-ვიღაცეებს ეხმარება და თავის ცოლის დისშვილს არ მიეშველება? თქვი რამე, შე კაცო...— ახლა ქმარს მიუბრუნდა იგი.

— ჰო, რასაკვირველია, — კვერი დაუკრა გიორგიმ, — დავეხმარებით...

თავი მეოთხე

იმედიანად მოციცინეი ფუქი

პირმოღუშული შეხვდა თბილისი ლალის. ქალაქს ღრუბლები დასწოლია, წვიმს.

დიდი ხანია თბილისში არ ყოფილა. მამა სოფიოს ოჯახში არ დადიოდა, არც ლალის უშვებდა მათთან სიხარულით. უკანასკნელად შარშან, იანვრის არდადაგებზე ჩამოიყვანა მამამ და მაშინაც სასტუმროში ცხოვრობდნენ. ერთხელ იყო დეიდასთან ცოტა ხნით, ისიც წასვლის წინ, დასამშვიდობებლად. მამას მაშინ ლალისათვის არ ეცალა. აკადემიკოს ივანე თუხარელთან საავადმყოფოში საკონსულტაციოდ დადიოდა. თუხარელი მისი მასწავლებელი იყო. მამას ძალიან უყვარდა იგი, აფასებდა, პატივს სცემდა. მხოლოდ საღამოობით მოიცლიდა ხოლმე ლალისთვის, თეატრში დაჰყავდა, ახალ დადგმებს უჩვენებდა. თუმცა მაშინ ლალისათვის ყველაფერი ახალი, საინტერესო და საოცნებო იყო. დღე მარტოკა დადიოდა ქალაქში, არც ავტობუსში ჯდებოდა, არც ტროლეიბუსში და ტრამვაიში, ეშინოდა, გზა არ ამებნესო. გაპყვებოდა რუსთაველის პროსპექტს, მაღაზიებში შეიხედავდა, ვიტრინებს ათვალიერებდა. მივიდოდა რუსთაველის ძეგლთან, ახლა მეორე მხარეს გადავიდოდა, ავტომანქანებით მოფუსფუსე პროსპექტზე გადასვლა

უმირდა, უჩვეულო მოძრაობა აშინებდა, აფრთხობდა. ლაღიძის წყლებთან აუცილებლად ტკბილ წყალს დალევდა, ხაკაპურსაც დააყოლებდა. საჩუქრების მაღაზიაში დიდხანს ჩერდებოდა, საყურეებს ათვალიერებდა, შორიდან არჩევდა, აფასებდა. მამისათვის ახალ ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობდა. შემდეგ სასტუმროში მიდიოდა, ჟურნალებს კითხულობდა. მამა სადილობისას მოვიდოდა. ქვემოთ, რესტორანში სადილობდნენ. ეუცხოობოდა, თან ეამაყებოდა იქ ყოფნა.მამა საჭმელებს ლალის არჩევინებდა. ისიც უცხო სახელის მქონე კერძებს უკვეთავდა. სადილს აუცილებლად ნაყინით ამთავრებდნენ, თუმცა ზამთარი იყო, მაგრამ ნაყინს სიამოვნებით მიირთმევდნენ...

მატარებელი თბილისს უახლოვდება. ლალი ფანჯარასთან დგას. ჯანღოსა და წვიმის გამო ირგვლივ ყველაფერი შავად იბურება. კუპეში სოფიო და ნათელა ირთვებიან, სარკის წინ კოხტაობენ. გიორგი ლალის ბარგს ერთად აგროვებს. მატარებელი გაჩერდა, ირგვლივ ერთი ორომტრიალი შეიქნა, დიდხანს მოუდნენ ბარგის გადაზიდვას, ტაქსის რიგშიც დიდხანს იცადეს.

წვიმს, ცივი ქარი ზუზუნებს. სადგურის მოედანზე უამრავი ხალხი ირევა, ყველას სადღაც მიეჩქარება, ყველა სადღაც გარბის. ტრამვაის, ტროლეიბუსსა და ავტომანქანებს სმირავლისაგან ლალის თვალი აუჭრელდა. ასეთი დიდი მოძრაობა ნერგებს უშლის, აღიზიანებს. მყუდრო ოთახში ყოფნა ერთ რამედ უღირს. ამიტომ დეიდას სახლს რომ მიუახლოვდნენ, თავისუფლად ამოისუნთქა. დეიდა მისვლისთანავე ბინის დალაგებას შეუდგა. მართლაც, ოთახებში მტვერი ბლომად დაგროვილიყო. გიორგიმ ბარგი დერეფანში დაიწყო და მაშინვე სამსახურში წავიდა. ნათელა გამოეწყო, მასაც სამსახურში აგვიანდება. სადღაც მმართველის მდივნად მუშაობს. შინ დეიდა და ლალი დარჩნენ.

ორი ოთახი აქვთ გარდაფხაძეებს, ერთს არა უშავს რა, მეორე უფრო პატარაა. დიდხანს მოუნდნენ მათ წმენდადასუფთავებას. ერთი ორჯერ კი უთხრა სოფიომ ლალის, დაისვენეო, მაგრამ გოგონამ დეიდა მარტო ვერ დატოვებს, მოერიდა.

როგორც ჩანს, ყველაფერი მეტის-მეტი უყვარს დეიდას. ყოველი ნივთი ჩერით უნდა გაწმინდოს. იატაკზე დაგებული ხალიჩის, საწოლების გადასაფარებლებისა და ფარდაგის დაბერტყვას ხომ საათებს ანდომებს.

როდის-როდის მორჩნენ დალაგებას. სოფიო სამზარეულოში გავიდა და სადილის სამზადისს შეუდგა, ლალიც გაჰყვა, ოთახში მარტო ვერ გაჩერდა. დეიდამ გაუღიმა და მეზობლებზე ლაპარაკს მოჰყვა. უთხრა, რომ ეს სამზარეულო ოთხი ოჯახისაა, რომ მარცხენა კუთხე მათია. სამზარეულოში არავინ იყო, ამიტომ დეიდამ დაუფარავად დაახასიათა ყველა:

— აი, ჩვენი მოპირდაპირე კუთხე კეკელიას უჭირავს, ყოვლად უმსგავსო დედაკაცია, მუდამ სხვის ქვაბებში იფვრიტება. გვერდითა კუთხე ერთი ესპანელი ქალისაა, ქართველის ცოლია, „მაგათი სინსლა გასკდეს", ასე იცის ლაპარაკი. ქართველობს და ქართული ხეირიანად ვერ უსწავლია, ესპანურსა და ქართულს ერთმანეთში ურევს, უფრო მეტად მაშინ, როდესაც რამეზე გაბრაზებულია. თუ ერთხელ დაელაპარაკე, მორჩა, ბოლომდე ჩაგყვება. სანამ ყველაფერს არ გაიგებს, არ მოგასვენებს. ყველაფერი აინტერესებს, რა თქვეს, რა ილაპარაკეს, რა ჭამეს და რა სვეს. არანჩა ჰქვია. იმ კუთხეში რომ ქალია, ის კი ღმერთმა დაგიფაროს! ყველაზე მეტად მას უნდა ერიდო. ნუნუ ჰქვია, გარეგნობით უშნო არ უნდა იყოს, თუმცა, ჩემი აზრით, მოსაწონიც არაფერი აქვს... ჭორიკანა, მაჩხუბარა და გაუტანელია. ერთ ხანს ჩემი კუთხის მთვისებაც მოინდომა, მაგრამ იცოცხლე, კუდით ქვა ვასროლინე მაგ უნამუსოს... აქაო და ქმარი დოცენტი მყავს, აღარ იცის, რა მოიმოქმედოს...

დაწვრილებით აცნობს დეიდა სამზარეულოს ყოველ კუნჭულს და იქ მო-

ფუსფუსე დიასახლისებს. შემდეგ ოთახები დაატარა. ყველა ელექტროჩამრთველი და ამმრთველი უჩვენა. თან გააფრთხილა, შუქი ზედმეტად ერთი წამითაც არსად დაეტოვებინა, მაშინვე ჩაექრო, რადგან ყველაფერს ფული სჭირდება და ახლა, როცა მთა ოჯახს ერთი წევრი შეემატა, შემოსავალი კი არ გაზრდილა, თვითეული კაპიკი მომჭირნეობით უნდა დაიხარჯოს. ამასობაში დღეც მიწურა. ჯერ ნათელა დაბრუნდა სამსახურიდან, ხმაურით შემოვიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ხალათი გადაიცვა. ასეთი ჭრელი და გრძელი ხალათი ლალის არასოდეს არ ენახა.

ნათელამ სამზარეულოში შეიჭვრიტა, ქვაბს სარქველი ახადა, შიგ ჩაიხედა, რა კეთდებაო, შემდეგ ლალისთან მივიდა.

— ლალიკო, ხომ არ მოიწყინე?

— არა.—თავი გააქნია ლალიმ. ნათელამ გაიარ-გამოიარა და პიანინოს მიუჯდა.

პირველი აკორდი რომ აიღო, ლალი ისე შეკრთა, თითქოს თავში ჩაქუჩი დაჰკრესო. მოწოლილმა ცრემლმა თვალი დაუბნელა. ნუთუ ნათელა ვერ გრძნობს, რომ ახლა პიანინოს ხმა მისთვის...

ოთახში გიორგი შემოვიდა.

— ნათელა! — დაიძახა მკაცრად.

ნათელამ დაკვრა შეწყვიტა.

გიორგი ნათელას მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, წამოაყენა და თვალით ლალიზე ანიშნა. ნათელა მხოლოდ ახლა მიხვდა ყველაფერს და პიანინოს თავი დახურა.

— ბოდიში, ლალიკო, — დაყვავებით უთხრა. — მაპატიე.

საოცარია, როდესაც ყველაზე მეტად გინდა დაისვენო, მაშინ არ მოდის ხოლმე ძილი. აგერ ორი საათია, ლალი თვალგახელილი წევს, ვერ იძინა და ვერ დაიძინა. ნათელა მასზე ვგიან დაწვა და რამდენი ხანია მშვიდად ფშვინავს. ოთახში ბნელა. ქუჩის მხარეს ფანჯრის დარაბები მოხურულია, მაგრამ ერთ ადგილას დარაბას ჭუჭრუტანა აქვს და იქიდან ელექტრონის შუქი შემოდის. გარეთ ქარია და შუქიც ირხევა, თამაშობს.

უჭირს ლალის შეუჩვეველ საწოლზე წოლა. მერე ისე ჭრიალებს ეს რკინის საწოლი. რა ელის მომავალში?.. ძნელია ასე ობლად ცხოვრება. ტექნიკუმი უეცველად ხუთებზე უნდა დაამთავროს, თორემ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩაბარების უფლება არ ექნება. იქ კი აუცილებლად უნდა მოხვდეს, ექიმი უნდა გამოვიდეს!

ჯერ მოხვედრაა ინსტიტუტში ძნელი, შემდეგ რამდენი უნდა ისწავლოს! დაამთავრებს და არაფერი გაუჭირდება, მანამდე კი?.. დედა, ნათელა, ძია!.. როგორი იქნება მისი ადგილი ამ ოჯახში? რა ელის? როგორ შეეთვისება ახალ სასწავლებელს, ამხანაგებს, ახალ გარემოს, მეზობლებს?..

როგორ მოიჩქაროდა თბილისისკენ, რა სიხარულით ითვლიდა დღეებს. მაგრამ არასოდეს იფიქრებდა, რომ ასე მოულოდნელად მოუხდებოდა ჩამოსვლა. ასე საზარლად, ასეთი დიდი უბედურებით დასრულდა მისი ბავშვობა. „მამა!.. საყვარელი, ძვირფასი მამიკო!“ დედა მაინც ჰყავდეს გვერდით. ირგვლივ გამეფებული სიბნელე შიშსა ჰვერის. მხოლოდ კედელზე მოქანავე შუქი ციმციმებს იმედიანად. ხან თვალს ჩაუკრავს, ხუ გეშინია, აქა ვარო, ხან ალერსიანად უყვავებს, გული გაიმაგრეო; ხან უწყრება, ცხოვრება წინ გიძევს, რა მძიმე ფიქრებს მისცემიხარო!..

თავი მეხუთე

არანჩა ეჩიმგარია და მისი მეზობლეები

ლალიმ თვალი გაახილა, უცხო გარემომ გააოცა. თავდაპირველად ვერც მიხვდა, სად იყო. მეორე ოთახში საათმა დარეკა. ლალიმ დაითვალა. „ერთი... ორი... შვიდი... ათი... ათი შესრულებულა!“ თანდათან გონს მოეგო. დაქანცულს

რამდენი სძინებია. ნათელა ამდგარა, წასულა. მეორე ოთახიდანაც ჩამიჩოქში არ ისმის. წამოდგა, ჩაიცვა და დარაბები გამოაღო. მზემ თვალი მოსჭრა, ესიამოვნა სითბო. ფანჯარასთან დადგა და ქუჩას გახედა. ქუჩაში ბიჭუნები ბურთს თამაშობენ, ერთმანეთს არ უთმობენ. თუ აგტომანქანა გამოჩნდა, შეჩერდებიან, გაიკლის და კვლავ ბურთს დასდევენ, ყიჟინით იქაურობას იკლებენ.

— დაარტყი!

— არ გაუშვა!

— გოლია!

მზემ გაათბო ლალი. ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ისე დადახედა მოფუსფუსე ქუჩას.

მოპირდაპირე სახლშიც გაუღიათ ფანჯრები. ქვემოთ, მათ შესასვლელთან, ვაჟი და ქალიშვილი დგანან. ვაჟი გაცხარებით რაღაცას უმტკიცებს, ხელებს შლის, უნდა დაარწმუნოს. ქალიშვილი უარზეა, ასე იდავეს, იდავეს და წავიდნენ. თმაკეჩორა ვაჟი სტვენით მიჰყვება ქუჩას. მის უკან ორი მოხუცი მილასლასებს, მოხუცებს გვერდით პატარა ძაღლი მიჰყვება.

— ვახო, ვახო! — ეძახის შორიდან ამხანაგი ამხანაგს.

— დამაცა, ახლავე მოვალ, — მეოთხე სართულიდან პასუხობს ვახო.

ერთბაშად ქუჩა ვიწროშარვლიანი ვაჟებით გაივსო. იღლიაში წიგნები აქვთ გაჩრილი, ლექციებიდან თუ მოდიან. ერთმა მაოგანმა ლალი დაინახა. თვალები აუციმციმდა, შეჩერდა და ამხანაგები მისკენ მოახედა. მხოლოდ ახლა შეამჩნია ლალიმ, რომ მკერდი გაღეღილი ჰქონდა. სირცხვილისაგან ალმურმა აჰკრა. ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა და ფარდას მიეფარა.

ოთახში დეიდა შემოვიდა.

— ლალი, ადექი?

— დიახ.

— ტკბილი ძილი გცოდნია! — გაუღიმა.

— მაპატიეთ, დაღლილი ვიყავი.

— არაფერია, არაფერია, — მიუალერსა, — წადი, დაგენაცვლე, სანამ მე აქაურობას მივალაგებ, სამზარეულოში შეიხედე. ნავთქურაზე კერძი დგას, ბევრი არაფერი უნდა, არ დაიწვას. შემდეგ ჩვენს კუთხეში რომ განჯინა დგას — ბალიშები მოაღე, ათიოდე კარტოფილი ამოიღე, დათალე და კერძში ჩაყარე, მერე ერთად ვისაუზმოთ. ჩაი მზადაა, გიცდი!

ლალიმ სასწრაფოდ გასწია სამზარეულოსაკენ.

სამზარეულო გუშინდელივით ცარიელი როღია. სამივე კუთხე დაკავებულია, სამივეგან ნავთქურა ანთია, დიასახლისები კერძს ამზადებენ, თან ხმამაღლა საუბრობენ. ლალი მორიდებით შევიდა. შერცხვა და ვერც კი მიესალმა ქალებს. დეიდას დადგმულ კერძს დახედა, ნავთქურას ოდნავ დაუწია, განჯინიდან კარტოფილი გამოიღო და მის გაფცქვნას შეუდგა. სამზარეულოში ერთ ხანს სიჩუმე იდგა. ლალი თავჩაღუნული ფცქვნიდა კარტოფილს. გულში შიში ჩადგომოდა. დეიდამ ისე დაუხასიათა მეზობლები, არავითარი სურვილი არა ჰქონდა მათი გაცნობისა.

სიჩუმე პირდაპირ მდგომმა ქალმა დაარღვია, ლალის მიუახლოვდა და რაღაც უცნაურ კილოზე, ტკბილად შეეკითხა:

— გოგონა, შენ ხომ სოფიოს დისწული ხარ?

„ეს ალბათ ესპანელი ქალია“, — გაიფიქრა ლალიმ. გაახსენდა დეიდას გაფრთხილება და ცალყბად, ჩურჩულით მიუგო:

— დიახ.

მათ თმაჭაღარა, ხანშიშესული ქალი მიუახლოვდა, ეს კეკელია იყო. სხვის ქვაბებში ჭვრეტა უყვარსო, ასე არ უთხრა დეიდამ? კეკელიამ ერთ ხანს უყურა. როგორ ფცქვნიდა ლალი კარტოფილს, შემდეგ დანა გამოართვა და აუხსნა:

— ასე, არა, შვილო, უფრო თხლად უნდა დაფცქვნა.

როგორც ჩანს, ესპანელი ქალი არ აპირებს ლაპარაკს, კეკელიაც ჩუმად დგას.

— დეიდასთან უნდა იცხოვრო? — შეეკითხა მესამე.

ლალიმ მისკენ გაიხედა. თეთრყირმიზი, ქერათმიანი ქალი ციმციმა თვალებით უღიმის. საშინაო, ფართო ხალათიც ვერ ფარავს მისი უზადო ტანის ნაკვთებს. ნუთუ ეს ლამაზი ქალია ჭორიკანა, მაჩხუბარა და წუწკი. რა ჰქვია?.. ჰო, ნუნუ, ნუნუ!..

ფიქრებში წასულმა კითხვა ვერ გაიგო. ნუნუ ხელმეორედ შეეკითხა.

— დიახ, — ჩურჩულით მიუგო ლალიმ, — დეიდასთან უნდა ვიცხოვრო.

ქალებმა არაფერი უთხრეს, მაგრამ ლალიმ შეამჩნია, ესპანელმა ქალმა ნუნუს გადახედა და სინანულით თავი გააქნია.

ქალებმა საქმე განაგრძეს. ლალიმ დრო შეარჩია და შეფარვით გადახედა არანჩას. შავგვრემანი ქალია, ტანთხელი. სახე აქა-იქ ჭორფლს დაუწინწკლავს, მაგრამ ეს ამშვენებს კიდეც.

ცოტა ხნის შემდეგ ნუნუ ლალისთან მივიდა და ალერსიანად შეეკითხა:

— რა გქვია?

— ლალი.

ნუნუს ხელი დედის ხელივით თბილია და თვალებიც ალერსიანი აქვს.

— საშუალო დაამთავრე?

— სამედიცინო ტექნიკუმის უკანასკნელ კურსზე ვარ.

— მე ვიცნობდი მამაშენს, — უცბად უთხრა ნუნუმ და ნათქვამში რაღაც სხვაგვარი სითბო გამოურია, — კარგად ვიცნობდი. არ უყვარდა აქ მოსვლა.

— და კარგადაც იქცეოდა!.. — შეეპასუხა არანჩა.

კეკელიამ მკაცრად გადახედა არანჩას.

— ეს ჩვენი საქმე არ არის, არც ლალისთანაა საჭირო ასეთი ლაპარაკი.

— არ არის და ნუ არის! ო, მაგის სინსლა გასკდეს!..

ლალის კინაღამ გაეცინა. გაახსენდა დეიდას ნათქვამი, მართლაც ჰყვარებია არანჩას ამ სიტყვების გამეორება: „მაგის სინსლა გასკდეს!“ ხომ ასე სასაცილოდ ამბობს, მაინც ტკბილი და საყვარელი ქალი ჩანს. ლალის მოეწონა არანჩა და მისი მეზობლები, გულკეთილი ქალები ჩანან, მათ გაცნობის პირველ წუთშივე არც ღიმილი დაიშურეს ლალისთვის, არც სითბო და ალერსი. მაშ, დეიდა რად ემდურის მათ?

თავი მეექვსე

დაკარგული და ნაპოვნი ფიგნი

ლალი სამედიცინო ტექნიკუმში სოფიომ წაიყვანა. ტექნიკუმი ახლოსაა, კიროვის პარკს გაივლი და იქეკი. დირექტორს გაუკვირდა, სასწავლო წლის დასასრულს უკანასკნელ კურსზე ახალი მოსწავლე რომ მოიყვანეს, ერთ ხანს უარიც თქვა ლალის მიღებაზე, მაგრამ საქმის ვითარება გაიგო თუ არა, მაშინვე დათანხმდა.

თავჩაღუნული შეეიდა ლალი საკლასო ოთახში. მერხი მიუჩინეს. მერხზე მის გვერდით წაბლისფერთმიანი გოგონა ზის. ვერცხლისწყალივით მოუსვენარია, სულ მოძრაობს, სულ რაღაცას აკეთებს, მაგრამ ისე, რომ არც ლექციის მსვლელობას უშლის ხელს, არც ამხანაგებს. ლალის სახელი და გვარი მაშინვე გაიგეს. მასწავლებელმა შემოსვლისთანავე ჟურნალში ჩაწერა და ამოიკითხა:

— ლალი აკალიშვილი, ასე ხომ?

— დიახ, — უპასუხა ლალიმ.

წაბლისფერთმიან გოგონას ნატო ერქვა.

კურსზე ხუთიოდე ვაჟია, უფრო მეტი, ვიდრე ოჩამჩირეში იყო. შეღებრებული ვაჟები არიან. მათი გულისყური მაშინვე ახალმოსულმა გოგონამ მიიპყრო. მასწავლებელს ყურს არ უგდებენ, ლალის უყურებენ.

ნატო გაბრაზდა. თუ აქამდე მხოლოდ ხელებს ამოძრავებდა, ახლა ბერხზე ხტის, ცმუტავს. დაიცადონ, შეს-

ვენება მოვა... უჩვენებს მათ სეირს! შესვენებაზე, იცოცლე, იფრინა ნატომ ვაკეები. ის იყო, ლალის ირგვლივ წრე უნდა შეეკრათ, ერთი თვალი დაუბრიალა და მორჩა, მაშინვე გაეცალნენ.

მეცადინეობის შემდეგ ნატომ ლალის ანიშნა, გამომყევიო.

იმ ოთახში შეუძღვა, სადაც კარზე წარწერა იყო გამოკრული „ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტი“.

— აქ ხელს არავინ შეგვიშლის, — უთხრა ნატომ და ლალი მაგიდასთან დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

ოთახში ბევრი ყვავილია. კედლებზე კი დიაგრამები და საპატიო სიგელები ჰკიდია.

— ლალი ავალიშვილო, — რატომღაც სახელითა და გვარით მიმართა მას ნატომ. — აქამდე სად სწავლობდი?

— ოჩამჩირეში.

— მერე, — გაოცდა ნატო, — ზღვას შეელიე?

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— როგორ სწავლობდი?

— არა უშავს რა...

— პირდაპირ მითხარი!

— ერთი ოთხიანი მქონდა.

— დანარჩენი?

ლალიმ ცერად შეხედა ნატოს, რად მცდისო.

— უნდა ვიცოდე.

— ხუთებზე ვსწავლობდი.

— კომკავშირელი ხარ?

ლალიმ თავი დაუქნია.

— პირადი ბარათი მოიტანე?

ლალი დუმდა. ნატომ მკაცრად გადახედა.

— არა, ხომ?

— დამავიწყდა. — თავი ჩაქინდრა ლალიმ.

— დაგავიწყდა, დაგავიწყდა, — გამოაჯავრა ნატომ. — ასე იცით, კომკავშირის სახელს არ უფრთხილდებით.

ლალი ჩუმად იყო.

— ასე გვიან რად გადმოხვედი, დაგემთავრებინა ოჩამჩირეში ტექნიკუმი, რაღა იყო დარჩენილი!

ხომ მკაცრად ელაპარაკება ნატო, მაგრამ ლალი ატყობს, რომ ეს გოგონა მეტად გულკეთილია.

— მამა გადმოიყვანეს თბილისში — ხმამუშაოდ, არა? — არ ეშვება ნატო.

— არა!

— აბა, დედა?

— არა!

— მაშ?..

— მე არც ერთი არ მყავს, — ჩურჩულით უპასუხა ლალიმ.

ნატო წამოხტა, ასეთი პასუხს არ მოელოდა, აღელვება ვერ დაფარა. ერთ ხანს ოთახში უაზროდ იბორიალა, შემდეგ ლალისთან მივიდა და ხელი მოხვია.

— მაპატიე, — ხმა გაეზარა ნატოს.

ხელი შეუშვა, კვლავ გვერდით მიუჯდა.

— მე აქ სულელური კითხვებით მოგღალე, თითქოს პროკურორი ვიყო.

„მართლაც კარგი პროკურორი გამოვიდოდა“, — გაიფიქრა ლალიმ.

— არ იფიქრო, ასეთი ვიყო, — განაგრძო ნატომ, — პირად ბარათზე კი ნუ სწუხარ, რაიკომს გამოვათხოვნინებ, შენ მხოლოდ მისამართი მომეცი. პირდაპირ ოჩამჩირე, არა?

— ჰო...

— აქ ვისთან ცხოვრობ?

— დეიდასთან.

— სადა?

— პეროვსკაიას ქუჩაზე.

ნატომ მაგიდის უჯრა გამოაღო, მისამართი ჩაიწერა. უჯრაში წიგნი მოხვდა ხელთ.

— ჩემი საყვარელი პოეტია. თუ გაგიჭირდეს, ერთად ვიმეცადინოთ...—მიაყარა სხაპასხაპით.

წიგნს რაღაც წააწერა და ლალის გადასცა. გალაკტიონის ლექსების წიგნია. ლალიმ წარწერა წაიკითხა: „ლალი ავალიშვილს, მეგობრული სიყვარულით, ნატოსაგან“.

— ჩვენს ბიჭებს არ დაემდურო, არ გაწყენინებენ, თუ ვინმემ რამე ვაჯიბედა, მე მითხარი, ჩემთან ექნება საქმე.

ახლა კი, მაპატიე, კომიტეტის სხდომა მაქვს დანიშნული.

ლალი მარტო წავიდა შინ. გზად ჯერ პარკი უნდა გაევლო. ადრეა, შეიძლება ცოტა ხნით აქ, ხის ძირში დასვენება. მყუდრო ადგილი მონახა და სკამზე ჩამოჯდა. ჩანთიდან ნატოს ნაჩუქარი წიგნი ამოიღო, გადაშალა და კითხვა დაიწყო.

> ცვრიან ბალაზზე თუ ფეხშიშველა
> არ გავიარე — რაა მამელი!

უცბად თავზე ჩრდილი დაადგა. მიიხედა და სახტად დარჩა. მის წინ ვიღაც შავგვრემანი ვაჟი იდგა. ლამაზად ეცვა. ლალი დაიბნა.

— უკაცრავად! — მოესმა უცნობის ხმა.

ლალი ამ ხმამ გამოაფხიზლა, შეკრთა, წიგნი ხელიდან გაუვარდა, არ შეუმჩნევია. წამოხტა.

— რისი გეშინიათ! — კვლავ მოესმა ვაჟის ხმა.

არაფერი უპასუხა, ვაჟს ზურგი შეაქცია და სასწრაფოდ იქაურობას გაეცალა. ვაჟი სკამზე ჩამოჯდა. ბალახებში წიგნი დაინახა, აიღო და გადაშალა. ლალიმ ცოტა მანძილი გაიარა. უცბად შეაჩერა, რომ წიგნი დარჩენოდა. ეძნელებოდა დაბრუნება, მაგრამ ნაჩუქარი წიგნის დაკარგვა დაენანა. რას იტყვის ნატო? იყოყმანა, იყოყმანა და მაინც უკან გამობრუნდა.

ბოლოს და ბოლოს პარკში ხალხი დადის, თუ იმ უცნობმა ვაჟმა რამე გაბედა, ყვირილით ქვეყანას შეყრის. სკამზე უცნობი ვაჟი ზის და მის წიგნს კითხულობს. გამბედაობა მოიკრიბა და ვაჟს მიმართა:

— უკაცრავად!

ვაჟი წამოხტა და ლალის დაკვირვებით დააცქერდა. ლალი დაბნეული იდგა, გული გამალებით უცემდა.

— ეს წიგნი ჩემია, თუ შეიძლება მომეცით, ნაჩუქარია.

— თქვენია? — ჰკითხა ვაჟმა. თავფურცელი გადაშალა, ხმამაღლა წაიკითხა, — „ლალი ავალიშვილს, მეგობრული სიყვარულით, ნატოსაგან“. მაშასადამე, ლალი ავალიშვილი თქვენ ხართ? მე კიდევ ოთარ ჩადუნელი ვარ, მოკანდაკე, ვიცნობდეთ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელი გაუწოდა.

ლალიმ ხელი არ ჩამოართვა. თანდათან დამშვიდდა, გამბედაობა მოემატა. მოკანდაკეო, რომ გაიგონა, სულხანი მოაგონდა და უფრო მტკიცედ უთხრა:

— მომეცით წიგნი, უნდა წავიდე!

— აქაური არ უნდა იყოთ.

მაინც ჩაითრია საუბარში უცნობმა. ისეთი შეკითხვა მისცა, ძალაუნებურად პასუხი უნდა გასცეს. არც ისეთ რამეს ეკითხება, შეურაცხყოფად მიიღოს. თანაც კარგი ვაჟი ჩანს, მოკანდაკე ყოფილა. ნეტავი ახლა აქ სულო იყოს! როგორ ოცნებობდა, მოკანდაკე ენახა, გაეცნო, დალაპარაკებოდა. სულო ხომ არასოდეს ყოფილა თბილისში.

საიდან იცის ამ მოკანდაკემ, რომ თბილისელი არ არის, რაში ეტყობა?

— კილოზე შეგატყეთ, — უთხრა ოთარმა, — სამეგრელოდან იქნებით, ან აფხაზეთიდან.

— დიახ, ოჩამჩირედან ვარ, — ჩურჩულით გასცა პასუხი.

— რას ლაპარაკობთ? — გაეხარდა ოთარს, — ოჩამჩირეში დგებუაძეებს თუ იცნობთ?

მოდი და ახლაც ნუ უპასუხებ.

— რომელს?

— ნანული დგებუაძეს.

— როგორ არა, — უკვე თავისუფლად პასუხობს ლალი, — მისი უმცროსი და ჩემი თანაკურსელი იყო.

— ნანულისთან ოჩამჩირეში ვყოფილვარ, — ამბობს ოთარი, — ჩვენც ერთად ვსწავლობდით. მამამისი შესანიშნავ ღვინოს აყენებს. რა დამავიწყეს ჰაჯიკამოყრილ წიწილებს!

— ნანული გათხოვდა.

— ვიცი, მაყარი ვიყავი მის ქორწილში. ცხენებით დაგეხვდნენ აჩიგვარაში, სულ სიმღერ-სიმღერით მივაცილენეთ ოჩამჩირემდე. ასამდე ტყვია მაინც დაცალეთ გზაში. ქმარი კვიტოულიდან ჰყავს.

„აჩიგვარა, კვიტოული“, — გულს ეფონა ნაცნობი სახელები.

— ჩემი დაჯაბნა უნდოდა სიძის

მაყრიონს. ქალაქელია, რა სმა ეცოდინება, კისერს მოვუგრეხთო. მაგრამ ნურას უკაცრავად! მე და თამადა შეერჩით სუფრას. ყველანი რომ ჩამოვიბერტყეთ, ერთმანეთი გადავკოცნეთ და ძმობა შევფიცეთ. რას არ იზამს მთვრალი კაცი? იმ დღის შემდეგ ჩემი ძმობილი არც მინახავს.

ლალის გაეღიმა.

— აქ სწავლობთ? — უცბად შეეკითხა.

— დიახ.

— შესანიშნავი ქალიშვილებია ოჩამჩირეში, — გაიმეორა ოთარმა, — თუნდაც თქვენ.

ამ სიტყვებმა შეაკრთო ლალი. მიხვდა, რომ უცნობ ვაჟთან საუბარში შორს შესტოპა. წარბი ამშვილდა და მტკიცედ უთხრა:

— მომეცით ჩემი წიგნი, უნდა წავიდე!

— რა გეჩქარებათ? — შეაპარა ოთარმა, — ამ სკამზე ორი ადამიანი სუფლად მოთავსდება.

ლალი დუმდა.

— მაშინ, თუ გნებავთ, ამ ხეივანს გავყვეთ.

ლალის თვალზე ცრემლი მოერია, ოთარმა შენიშნა.

— არა, არა, — მოუბოდიშა, — ცუდს ნუ იფიქრებთ, მაგრამ არც ისე იოლად მინდა დავთმო ჩვენი ნაცნობობა.

ლალი სულ დაიბნა, აღელვებისაგან ყელი გაუშრა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, გაბრუნდა და წავიდა. ოთარი წამოეწია, წიგნი მიაწოდა.

— ინებეთ, ლალი, თქვენი წიგნი, ნუ მიწყენთ; ისეთი არაფერი მითქვამს, ნახვამდის! — უთხრა და მოშორდა. ლალი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ხეივანს.

თავი მეშვიდე

მუსიკალური ვიქტორინა

კვირა დღეა. ნათელასთან ამხანაგები მოსულან. ერთს დარო ჰქვია, მეორეს— გულსუნდა. დარო მაღალი, გამხდარი ქალიშვილია, გულსუნდა დაბალი და ჩასუქებული. ჭყეტელა, მოკლე კაბები აცვიათ. ლალი პატარა ოთახში ფანჯარასთან ზის და კითხულობს. წიგნი არ არის საინტერესო, ამიტომ გულისყური მოსაუბრე ქალიშვილებისაკენ აქვს.

გიორგი დილიდანვე სათეეზაოდ წასულა. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც ცოლის ნებართვის გარეშე აკეთებს. რაც არ უნდა იჯაჯღანოს, იკაპასოს სოფიომ, კვირა დღეს, თუ კარგი დარია, აუცილებლად ადრიანად მიდის ანკესით ხელში. მიდის და მთელი დღით გადაიკარგება ხოლმე. საღამო ხანს ბრუნდება, მზემოკიდებული, მოშივებული, მაგრამ ნასიამოვნები და კმაყოფილი. თევზს ბევრს ვერ იჭერს, ერთ კაცს ვახშმადაც არ ეყოფა.

სოფიო ბაზარშია. ნათელა და მისი ამხანაგები ხმამაღლა საუბრობენ. თვალანთებული ნათელა გატაცებით უამბობს ქალიშვილებს:

— რომ იცოდეთ, გუშინ ვინ გავიცანი...

ქალიშვილები ვერ ისვენებენ.

— ვინ გაიცანი?

— ვინ იყო?

— მაცალეთ, — იბერება ნათელა, — ყველაფერს თავიდან მოგიყვებით: გუშინ სამსახურის შემდეგ გოგოებმა ერთ მოქანდაკესთან წამიყვანეს...

— ვინ გოგოებმა?

— ზინამ, ნესტანმა, მზიამ. ბევრნი ვიყავით.

— მერე? — არ ასვენებდნენ ქალიშვილები.

— ვაკის პარკის წინ ბინა აქვს, იქვე მისი სახელოსნოა. მაგრამ რაც იქ ვნა-

ხეთ... ნამდვილად გენიალურია, არა-ჩვეულებრივი, საოცარი.

— ვისთან იყავით? — აჩქარებს გულსუნდა.

— დამაცადეთ, გეტყვით. ჯერ შინ შეგვიპატიჟა. ერთოთახიანი ბინა აქვს. ყველას ფინჯანით შავი ყავა დაგვიდგა. მერე თავიანი ქანდაკებები გვაჩვენა. ისეთებია, ჭკუიდან შეიშლებით. ერთიმეორეზე უკეთესი, ამბობენ, ასეთი რამ ჯერ ჩვენში არ შეუქმნიათო.

— რა უნდა იყოს ისეთი?

— ერთი მაინც აგვიწერე.

— რა არის და... აბა, როგორ გითხრათ. ერთი ასეთია, „უხვი სიყვარული“ ჰქვია. დგას ფიგურა... — შეყოყმანდა ნათელა, — მოქანდაკეს აგვიხსნა, ქალიაო. ჰოდა, დგას ეს ქალი, მართალია, არც სახე აქვს, არც ხელები, სამაგიეროდ ხუთი გული აქვს.

— ეს ხუთი გული რაღაა? — ირონიულად შეეკითხა გულსუნდა.

— როგორ არ გესმის? — აპილპილდა ნათელა, — ხუთი გული — ეს უხვი სიყვარულია.

— ხუთი გული? — ჩაიხითხითა დარომ.

— ჰო, ჰო, ხუთი, — ხმას აუწია ნათელამ, — რა გესმით ხელოვნებისა.

— წარმოგიდგენია, — დაცინვით უთხრა დარომ გულსუნდას, — რა ორიგინალური რამ იქნება?

ისინი რომ ნათელას ადგილას ყოფილიყვნენ, ასევე თვალანთებულნი მოჰყვებოდნენ, რაც ხახეს, ახლა კი შურთ, ყოველ სიტყვას უკრიტიკებენ. მით უფრო, როცა ამის საბაბი აქვთ.

— თავი დამანებეთ! — აცრემლდა ნათელა, — თქვენ ხომ ყველაფრის გამასხარავება იცით. სერიოზულად გეუბნებით, თქვენ კი...

— ჰო, კარგი, კარგი, ნუ იცი აპილპილება, — დაუყვავა გულსუნდამ, — გვითხარი, ვისთან იყავი?

— ოთარ ჩადუნელთან! — უცბად მიახალა ნათელამ და პირდაპირ შეხედა ამხანაგებს, აბა, რა ეფექტს მოვახდენო.

ეფექტი კი მართლაც დიდი იყო. გაოცებისაგან ქალიშვილებმა ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღეს. ლალის წიგნი ხელიდან გაუვარდა. გული ბაგაბუგით უცემდა. თვითონაც არ იცოდა, რად ჩაწყდა გულში რაღაც ძარღვი!..

უკანასკნელ დროს მოქანდაკე ოთარ ჩადუნელის სახელი თბილისელ ქალიშვილებს შორის ძალზე პოპულარული გახდა. ამას ყველაზე მეტად ის უწყობს ხელს, რომ ოთარი გარეგნობით შესანიშნავი ვაჟია, მაღალ-მაღალი, თმახუჭუჭა. მისი ქანდაკებები ბევრს არ ენახა, მაგრამ რატომღაც ყველა აქებდა. ნათელა და მისი ამხანაგები იმ წრეს ეკუთვნოდნენ, სადაც ოთარ ჩადუნელის სახელი ცნობილი იყო. ამიტომ გაოცდნენ, გულში შური ჩაუდგათ, მაგრამ გარეგნულად შეძლეს თავის შეკავება. ნათელამ არ დაინდო:

— დღეს ჩემთან მოვა, ვთხოვე, დამპირდა!..

ამ ამბავმა სულ გასტეხა წელში ქალიშვილები. მაინც რა იღბალი აქვს ამ ნათელას, ოთარ ჩადუნელი არათუ გაუცვნია, შინაც მოუპატიჟენია.

ოთახში აქლოშინებული სოფიო შემოვიდა. ძლივს მოჰქონდა სანოვაგით სავსე ხელჩანთა.

— ლალი, ლალი, — გასძახა. — მომეხმარე, დაგენაცვლე.

ლალი მეორე ოთახიდან გამოვიდა.

— რა მოგვიფიდა, — შენიშნა სოფიომ, — რად ხარ ასე აწითლებული, სიცხე ხომ არა გაქვს?

— არა, დეიდა, — ჩაილაპარაკა ლალიმ.

— ეს ხელჩანთა სამზარეულოში წაიღე, მეც ახლავე მოვალ. — შემდეგ ნათელას ამხანაგებს მიუბრუნდა, — გამარჯობათ, გოგოებო!

— გამარჯობათ, დეიდა სოფიო!

— როგორ ბრძანდებით, დეიდა სოფიო?

— არა მიშავს რა, დაგენაცვლე, — უპასუხა, — ვწვალობ, ცხოვრებას მივაჩანჩალებ.

ლალიმ ხელჩანთა გაიტანა. სოფიომ მეორე ოთახში კაბა გამოიცვალა, საშინაო ხალათი ჩაიცვა და სამზარეულოსაკენ გასწია.

— რაც გინდა, ისა სთქვი, — დაიწყო გულსუნდამ და ნათელას მიუბრუნდა, — ოქვენი ლალი შესანიშნავი გოგონაა.

ნათელამ არაფერი უპასუხა.

გუშანით მიხდნენ ქალიშვილები, ნათელას გულში ეწყინა ლალის ქება და ახლა ამას ჩაეჭიდნენ.

— მაგისთანა გოგო იშვიათად თუ გაივლის თბილისში, — კვერი დაუკრა დარომ.

— აბა, რა გგონიათ, — ნაძალადევად გაიღიმა ნათელამ, — ჩემი დეიდაშვილი ცუდი იქნება?

— მაინც ყველაფერი რომ შესანიშნავი აქვს, — არ ცხრებიან ქალიშვილები.

ნათელა ეთანხმება, მაგრამ გოგოები თავს ძლივს იკავებენ.

— მე, მაგალითად, — განაგრძო დარომ, — მის გვერდით გავლა შემეშინდებოდა.

— რატომ? — ღიმილს ძლივს იკავებს გულსუნდა.

— რატომ და ლალის შემხედვარე ვინ მომაქცევდა ყურადღებას!

— გულწრფელად რომ გითხრათ, — დაეთანხმა გულსუნდა, — სამიგეს გაგვიჭირდებოდა მაგასთან მეტოქეობა.

— ჩვენ რა გვეშველება, — მშვიდად განაგრძო დარომ, — თორემ ნათელაზე მაინც იტყვიან, ლალის ნათესავია, რაღაცით მაინც ჩამოგვავსო.

ნათელა ჩუმადაა, ხმას არ იღებს. ატყობს, რისთვისაც ლაპარაკობენ ასე, მას აბრაზებენ, გულს უკლავენ. ნათელა უცბად წამოდგა და საგარეო კაბა გადაიცვა. სადაცაა ოთარიც მოვა და ესოლ აკლია, ესენი აქ დახვდნენ.

— ბოდიში, გოგოებო, — ზედმეტად დაითაფლა ხმა, — უნდა წავიდე, რაღაც საყიდლები მაქვს.

— ჩვენც მოვდივართ, — დაფაცურდა დარო. — რას გვებოდიშები, ჩვენ რა, უცხონი ვართ?

ერთად გავიდნენ.

— ლალი, — გასძახა დერეფანში ნათელამ, — მე ახლავე დავბრუნდები...

გადასახვევამდე ერთად იარეს, შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ნათელამ მარცხნივ გადაუხვია. ერთ ხანს იარა, შემდეგ შედგა, მობრუნდა. შინისაკენ გაიხედა, მოეშურა, თავის ქუჩაზე გავიდა, ფრთხილად გაიხედა, ხომ არ ჩანანო და რომ ვერ დაინახა, ნაბიჯს მოუჩქარა.

დერეფანში შეეგება. დედა და ლალი სამზარეულოში არიან, იქ შეიხედა.

— დედა, — უთხრა, — სტუმარს ველი.

— ვინ ოხერია?

— ნუ იცი ასე, — გაჯავრდა და დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია, — რა არის ბოლოს და ბოლოს, ჩემთან არავის მოესვლება!

სოფიომ გაოცებით შეხედა ნათელას, შემდეგ ლალის მიუბრუნდა:

— რა ვუთხარი ისეთი, ასე რომ აპილპილდა? ღმერთო ჩემო, ახლანდელ ახალგაზრდებს არც ნერვები გივარგათ და არც უფროსი იცით...

— აბა რა!..—არ ცხრებოდა ნათელა, — რას ნიშნავს „ვინ ოხერიაო!“ სახელგანთქმული მოქანდაკეა. ისა სჯობია, როცა მოვა, ცოტა ხილი გამოგვიტანო.

სოფიომ მხრები აიჩეჩა. ამ დროს სადარბაზო კართან ზარის ხმა გაისმა. ნათელა დაფაცურდა, თმა შეისწორა და კარი გააღო. კართან ოთარ ჩადუნელი იდგა.

— მობრძანდით, ოთარ, მობრძანდით, — ღიმილით შეეგება ნათელა.

ოთარი ოთახში შევიდა. ერთი თვალის გადავლებით შეათვალიერა ნათელა და გულღიად მიმართა:

— გამარჯობა, ნათელა, კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში.

— კეთილი იყოს!—დაუმოწმა ნათელამ.

— მარტო ხართ?

— ჩვენები სამზარეულოში არიან.

ოთარმა გაიარ-გამოიარა, პიანინოსთან შეჩერდა. პიანინოს თავზე ნივთები აწყვია: ზოგი სათამაშოა, ზოგიც პატარა ქანდაკეა.

— ო, როდენი, — მოწიწებით თქვა ოთარმა და როდენის „მარადიული გაზაფხულის“ მინიატურული ასლი აიღო,

შემდეგ ფრთხილად დასდო თავის ადგილას, პიანინოს მიუჯდა და აკორდი აიღო.

— უკრავთ? — შეეკითხა ნათელა.

— ისე, ჩემთვის.

— დაუკარით.

— არა, ასე ვერ დავუკრავ. შემდეგ იყოს, როცა გული მომთხოვს.

— მე რომ გთხოვოთ...

ოთარმა წიგნების კარადაში შეიჭვრიტა. ყვითელ ყდაში ჩასმული წიგნი ამოიღო.

— შერლოკ ჰოლმსი.

— სათავგადასავლო ბიბლიოთეკის ყველა ტომი მაქვს.

— კითხულობთ?

— რა დაგიმალოთ, ყდაშეცრეცილი წიგნების კითხვა უფრო მიყვარს.

— მაშ, რად გინდათ?

— როგორ, ყველას აქვს და მე არ მჭონდეს?

— ოო, გალაკტიონი, — გაეხარდა ოთარს და წიგნი გადაფურცლა, ლექსები ჩაათვალიერა, ერთი მონახა და ნელი ხმით, უბრალოდ წაიკითხა:

> საქართველოში შენ ერთი მაინც
> არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,
> შეგებრალება თვითონ კვენიც —
> თუკი პოეტის ჰქვია სახელი

— რა შესანიშნავად კითხულობთ! — თქვა აღტაცებით ნათელამ.

— ლექსია შესანიშნავი!

ოთახში ლალი შემოვიდა, ლარნაკით ხელი შემოიტანა. ოთარი დაინახა, შეკრთა, თავი ჩაღუნა, დაიბნა.

ოთარს თვალები აუციმციმდა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერ იცნო ლალი. ლალის ნათელა მიეშველა, ლარნაკი ჩამოართვა და მაგიდაზე დადო, ლალიმ უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ოთარი მოხერხებულად გადაუდგა წინ და გზა გადაუჭრა. ლალი შედგა. ოთარმა ლარნაკს შეხედა:

— რა საუცხოო ლარნაკია?

— მოგწონთ? — შეეკითხა ნათელა.

— ეს ქალიშვილი? — ოთარი ახლა ლალის მიუბრუნდა და პირდაპირ შეხედა. ლალის არც ახლა აუწევია თავი.

ნათელა იძულებული გახდა გაეცნო.

— ჩემი დეიდაშვილია, იცნობდეთ! ოთარმა ხელი გაუწოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთარ ჩადუნელი.

ლალიც იძულებულია ხელი ჩამოართვას.

— ლალი ჰქვია,—უთხრა ნათელამ,— დიდი ხანი არ არის, რაც ოჩამჩირედან ჩამოვიდა.

— აქ სწავლობთ? — შეეკითხა ლალის ოთარი.

— დიახ,—ძლივს ამოიღო ლალიმ ხმა, სახეზე ალმური მოეკიდა.

ამჩნევს ოთარი, ლალი დიდხანს არ გაჩერდება ოთახში, დროს ეძებს, რომ გავიდეს. მისი გაშვება კი არ უნდა. უცბად რაღაც აზრმა გაუელვა და ნათელას მიმართა:

— ნათელა, წეღან მთხოვეთ პიანინოზე დამეკრა. ვასრულებ თქვენს სურვილს.

— რა კარგია! — ტაში შემოჰკრა ნათელამ.

— მხოლოდ აი რა, თქვენ აქ დაბრძანდით, — ნათელას ხელმარჯვნივ სკამი დაუდგა — თქვენ კი, ლალი, აქ, — ხელმარცხნივ მიუთითა,—ნათელა, ხომ შეიძლება თქვენი დეიდაშვილი ჩვენთან დარჩეს?

— რასაკვირველია, რასაკვირველია!

ოთარმა ქალიშვილები დასხა, თვითონ პიანინოს მიუჯდა.

ლალი ეკლებზე ზის, წასვლა უნდა, რაღაც ძალამ სკამს მიაკრა. უნდა ბოდიში მოიხადოს, ხმას ვერ იღებს. უნდა წამოდგეს, ფეხი არ ემორჩილება.

— იცით, ქალიშვილებო, — მხიარულად ამბობს ოთარი, — პატარა მუსიკალური ვიქტორინა გავმართოთ.

— უკრავთ თუ ვთამაშობთ?

— ორივე ერთად, ორივე ერთად! ნათელა, ხომ სწავლობდით მუსიკას?

— რა თქმა უნდა, ტექნიკუმის პირველ კურსზე ვიყავი, თავი რომ დავანებე.

— თქვენ, ლალი?

— ჩვენთან, — ძლივს ამოიდგა ენა ლალიმ. — ჩვენთან მხოლოდ შვიდწლედია.

— დაამთავრეთ?

— დიახ...

— კეთილი, — წამოიძახა ოთარმა, — მე პატარა პიესას დავუკრავ, თქვენ კი გამოიცანით. ენახოთ, რომელი აჯობებთ. ნათელა, თქვენ პირობითად... დედოფალი გერქვათ. თქვენ კი, ლალი, რა მოვიგონოთ? გულჩიორა!

— რა საჭიროა ეს შერქმეული სახელები? — შეეკითხა ნათელა.

— ისე. მაშასადამე, ერთი დედოფალია, მეორე — გულჩიორა, დავიწყოთ!

ოთარი ერთ ხანს შეჩერდა, დფიქრდა, შემდეგ დაუკრა. კარგად უკრავდა, მამაკაცური სიმტკიცით, გრძნობით. დაკვრა რომ მოათავა, ქალიშვილებს შეხედა.

— ბეთჰოვენის „სონატინაა“, — წამოიძახა ნათელამ.

ოთარი ლალის მიუბრუნდა:

— გულჩიორა რას იტყვის?

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— კარგად დაუგდეთ ყური, გულჩიორა, ჯერჯერობით კი ნათელამ გაიმარჯვა. აბა, უსმინეთ!

ოთარმა დაკვრა განაგრძო.

ქალიშვილები დაფიქრდნენ, პირველმა ნათელამ გაბედა და თქვა:

— მოცარტის „ბურეა“.

ოთარმა ლალის გადახედა.

იცის, კარგად იცის ლალიმ ეს პიესა, უკრავდა კიდეც. ამიტომ გამბედაობა მოიკრიბა და ნელი ხმით ჩაილაპარაკა, გული კი მაინც ძლიერად უცემდა.

— მოცარტის „მენუეტია“.

ოთარმა აღტაცება ვერ დაფარა.

— სწორია, ანგარიში გათანაბრდა, ერთით—ერთი.

თამაშის აზარტი თანდათან იპყრობს ქალიშვილებს.

— დრო იწურება, — იცინის ოთარი, — შეჯიბრების დამთავრებამდე წამებიღა დარჩა, უკანასკნელად ვუკრავ, უსმინეთ!

მუსიკის ჰანგი ოთახს მოეფინა. დიდხანს ფიქრობდნენ. სიჩუმე ნათელამ დაარღვია:

— შუმანის „მეზღვაურთა სიმღერაა!“

— გულჩიორა რას იტყვის?

— თუ არ ვცდები, — ცოტათი გათამამდა ლალი, — შუმანის „იტალიელ მეზღვაურთა სიმღერაა“.

— თქვენნი აზრი ურყევია? — გამომცდელი კილოთი მიმართა ოთარმა.

ქალიშვილებმა თავი დაუქნიეს.

— რა ვქნა, — ამბობს ოთარი, — ორივემ მინდა გაიმარჯვოს, მაგრამ შეჯიბრების ულმობელი კანონის თანახმად, ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებას იწვევს.

ერთ ხანს შეჩერდა.

— მაშ ასე, დრო ამოიწურა და სადემონსტრაციო დფაზე საბოლოო ანგარიში გამოჩნდა. ორით — ერთი...

— თქვით, გული დაგვეღალა, — ეეღარ ითმენს ნათელა.

ლალი ხმას არ იღებს, განაბულა.

— გულჩიორას სასარგებლოდ! — საზეიმოდ გამოაცხადა ოთარმა.

ლალის სიხარულისაგან გულმა ძალუმად დაუწყო ძგერა. ნათელა გაბრაზებული წამოხტა.

— ნამდვილად ვიცი, „მეზღვაურთა სიმღერაა“.

— რა ვქნა, დედოფალო, — მშვიდად მიმართა ოთარმა, — მეზღვაურისთვის იტალიელიც რომ დაგემატებინათ, მოიგებდით.

— თუ არ მოვნახო...—ნათელა ეცა კარადას, სადაც ნოტები ჰქონდა შენახული.

— რა საჭიროა, ენდეთ ჩემს ჭაღარას.

ლალის გაეცინა. ნათელამ დიდხანს ეძება ნოტები, ვერ იპოვა.

— მაინც მოვნახავ! — დაექადნა ნათელა.

— ამით მხოლოდ ჩემს სიმართლეს დაადასტურებთ.

ნათელას სოფიომ დაუძახა, ვიღაცა მეზობლის ტელეფონთან გეძახისო. ნათელამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი. ტელეფონი რომ არ ყოფილიყო, არ წავიდოდა.

— ბოდიშს ვიხდი, ახლავე მოვალ. ლალი, სტუმარი მარტო არ დატოვო! — თქვა და ოთახიდან გავიდა. გასვლისას მაინც ჩაიბურტყუნა, — ნამდვილად ვიცი, „მეზღვაურთა სიმღერაა“...

ლალი წამოდგა. წასვლა უნდოდა, მაგრამ ოთარი წინ გადაეღობა.

— გულჩიორა, უხერხულია სტუმარი მარტოკა დატოვოთ.

ლალიმ ოთარს ახედა, მის მზერას ვერ გაუძლო და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— თქვენ ხომ ჩემთან არ მოსულხართ!

— გახსოვთ, ბაღში რომ გითხარით, მოგნახავთ-მეთქი, აი, მოგნახეთ კიდეც.

ლალიმ არაფერი უპასუხა, თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა.

— დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება!

ლალი კვლავ ჩუმადაა.

— აწი თუ აქ მოვალ, თქვენს გამო მოვალ. მე არაფერი მინდა, ოღონდ გიცქიროთ, გელაპარაკოთ. მოქანდაკე ვარ, თქვენი სახის ნაკვთებში ისეთი რამ ვნახე, რასაც დიდი ხანია დავეძებდი. ეგებ, ოდესმე ნება მომცეთ, გამოგაქანდაკოთ.

ლალის უცბად სულო გაახსენდა. მართალია, სამედიცინო ტექნიკუმს ამთავრებს, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში აპირებს შესვლას. ეგებ გამოადგეს ოთარი, დაეხმარება. სულოს გახსენებამ გამბედაობა შემატა, მოდი, აჩვენებს მის ნახელავს, შეიტყობს ნამდვილი მოქანდაკის აზრს. კისრიდან გულქანდა მოიძრო, გახსნა და ოთარს აჩვენა:

— ნახეთ, ერთმა ჩემმა მეგობარმა გააკეთა, მოქანდაკე უნდა გამოვიდეს. ოთარმა გულქანდა შეათვალიერა, მოეწონა ლალის პროფილი.

— კარგია, მაგრამ ამას ქანდაკებასთან საერთო არაფერი აქვს.

— ეს ისე გააკეთა. რაღაცეებს აქანდაკებს.

— სად არის?

— წელს ამთავრებს ტექნიკუმს.

— სამხატვროს?

— არა, სამედიცინოს.

ოთარს გაეცინა.

— მერე, სად ექთანი და სად მხატვარი!

ლალის თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, გამოერკვა, გულქანდა შეინახა, შერცხვა, ასე რამ გამათამამაო. არაფერი უპასუხა და კარისაკენ გაემართა.

— ნუთუ ჩემთან ყოფნას ასე გაურბიხართ?—კვლავ წინ გადაუდგა ოთარი.

— გამიშვით, საქმე მაქვს.

ოთარი მიხვდა, ლალის შეეითხვას უფრო გულთბილად უნდა მოპყრობოდა. გზა დაუთმო, მაგრამ სანამ ლალი გავიდოდა, მოასწრო და უთხრა:

— რაც შეეხება უკანასკნელ მუსიკალურ ნაწარმოებს, ის ნამდვილად „მეზღვაურთა სიმღერა“ იყო და არა „იტალიელ მეზღვაურთა სიმღერა“...

გაგრძელება იქნება

გიორგი სანაძირაძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოთხრობა

ამ ზონზროხა, მხრებში ოდნავ მოხრილ კაცს „ველურს“ ეძახდნენ. იგი მთელს დაბაში მხოლოდ ორ კაცს ესალმებოდა — მეთევზეების კაფეს მზარეულსა და კოჭლ ფოსტალიონს. სხვებს კი რატომღაც ერიდებოდა. საღამოობით კაფეს სარკმელთან მარტო ჯდომა უყვარდა, ბოთლით ღვინოს დაიდგამდა და ნელ-ნელა წრუპავდა. შინ ყოველთვის იმ დროს ბრუნდებოდა, როცა შუქურის კოშკზე ნაშუადამევის ზარს ჩამოჰკრავდნენ.

ძაღლები ჩექმის ბრახაბრუხზე ცნობდნენ ლადიმეს და მაშინვე ყეფით მიაწყდებოდნენ მესერს. უკან რჩებოდა განათებული სახლები და უკაცრიელ გზაზე გაისმოდა ჩუმი, სევდიანი ღიღინი. ეს ღიღინი მარტოობით დატანჯული გულის ამოოხვრას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას. მაგრამ აი, ორი დღე გავიდა და ლადიმე არსად გამოჩენილა. კაფეში მოუსშირეს მისი სახელის ხსენებას.

დაბრუნდებოდა ზღვიდან თუ არა, ლადიმე ნავს თავთხელ წყალში გააჩერებდა, ნაპირზე უფრო ადვილი ასათრევი რომ ყოფილიყო. ნავს მაღალი ქიმი, ოდნავ წაწვეტებული ცხვირი და პატარა ანძა ჰქონდა.

ნაპირი შლამს გაეყვითლებინა. შლამი და სილა ნავების შემკეთებელ სახელოსნომდე აღწევდა და მერე ვიწრო ზოლად გასდევდა ნაპირს. ლადიმე პაპიროსს გააბოლებდა, სულს მოითქვამდა და ნადავლის დახარისხებას შეუდგებოდა: დიდ თევზებს ცალკე გადააწყობდა, პატარებს ნავის ფსკერზე ყრიდა და მერე დაბის ბიჭებს ურიგებდა. ბავშვები არ გაურბოდნენ ლადიმეს, ჯგროდ ტრიალებდნენ მის ნავთან, ხარიხების დადგმაში ეხმარებოდნენ და სიგარეტებით უმასპინძლდებოდნენ. ლადიმეს სიგარეტზე უფრო ცელულოიდის ბრჭყვიალა კოლოფები მოსწონდა. ბიჭებმა იცოდნენ ეს და სიგარეტები კოლოფიანად მოჰქონდათ. ისინი ხიდამდე აცილებდნენ ლადიმეს. ლადიმე უყურებდა მათ და თვალებში უცნაური შუქი უკრთოდა. ხიდთან ერთბაშად შეჩერდებოდა, გამოართმევდა მათ ნიჩბებსა და კალათს, ნაღვლიანად გაუღიმებდა, ახლა გეყოფათო, და უკანმოუხედავად გასწევდა კაფესკენ. იქ საღილს მოატანინებდა, ერთ ბოთლ ღვინოს დალევდა და ყავასაც დააყოლებდა.

ბევრი თევზი არასოდეს დაუჭერია; ზღვაში ღილაბნელზე გადიოდა და შუადღისას ბრუნდებოდა, როცა მზე თავთხელ წყალს გაათბობდა და ნიჟარებით მოფენილ ყვითელ ფსკერზე პატარა ათასკვები დაიწყებდნენ ხტომასა და რიალს. ერთ აცმა თევზს ყავარივით ხმელი მზარეული თორნიკე ყიდულობდა. იგი უხმოდ გადაუთვლიდა ფულს, გაკეცავდა და სუფრაზე დაუდებდა. ლადიმე აუჩქარებლად ჭამდა საჭმელს, პირს დიდი, ჭრელი ცხვირსახოცით მოიწმენდდა, ფულს დაუთვლე-

ლად ჩაიდებდა გულისჯიბეში და ზლაზვნით წამოდგებოდა.

— წავალ ახლა შინ, — იტყოდა შეწუხებული, თითქოს მართლა აკავებდა ვინმე და გახუნებულ ქუდს თაგზე ჩამოიფხატებდა.

მისი სახლი დაბის ბოლოს, გორაკზე იდგა. გორაკს იქით სიმინდის ყანები და ლელიანი იყო. ჯახვილისა და მაყვლის ბუჩქებში შაშვები ბუდობდნენ. ზამთრობით, როცა თოვლს დასდებდა, შაშვები ლადიმეს სახლთან მოფრინდებოდნენ ხოლმე. იმ ცივ ზამთარში პირქუში მეგადური მათ გარდა არავის ახსოვდა. არავინ იცოდა, რად აირჩია საცხოვრებლად ეს უმეზობლო და მივარდნილი სახლი, წინანდელი პატრონისგან ჩალის ფასად რომ იყიდა, რად დაადო ჭიშკარს მძიმე ურდული და რად ჩაყოლა ღობეს რკინის ბუნიკები. მეთვეზეებმა მოსვლისთანავე აითვალწუნეს იგი, აითვალწუნეს და ზურგი შეაქციეს, რადგან ლადიმე მეთვეზეთა არტელში არ შესულა, ნავი დაუკვეთა, ნებართვა აიღო და მარტოდმარტომ დაიწყო თევზაობა. ხელცარიელი იშვიათად დაბრუნებულა.

ერთხელ, შუა ზამთარში, ორი უზარმაზარი თევზი დაიჭირა და მზარეული თორნიკე საბოლოოდ მოხიბლა.

— როგორაა შენი ლადიმე? — ეკითხებოდნენ მეთევზეები თორნიკეს.

— რა უჭირს, ალბათ კარგადაა.

— რაზე ლაპარაკობდით გუშინ?

— არაფერზე, გაშტერებული იჯდა და ფიქრობდა. არც ღვინო დაულევია.

— მგონი, მოლად დაწყობილი ჭკუის არ უნდა იყოს.

— რა ვიცი...

დაბაში ხმა დაირხა, რომ ლადიმეს სხვა სოფელში, სადაც წინათ ცხოვრობდა, ცოლი ჰყოლია; გულღია, მეგობრების მოყვარული კაცი ყოფილაო. იმასაც ამბობდნენ ჩუმად, რომ ერთხელ, გვიან დაბრუნებულს ·ცოლი შინ აღარ დახვედრია, ქმარი მიუტოვებია და ვიღაცას წაჰყოლია... ამის შემდეგ ლადიმეს ორი თვე უავადმყოფებია, გულჩახხრობილი და უკარება გამხდარა. გაზაფხულზე კი ბარგი-ბარხანა აუკრეფია, დანჯღრეულ ფორანზე დაუყრია და სოფლიდან ისე წამოსულა, არავის დამშვიდობებია.

ნაწვიმარზე ზღვამ გადარეკა იცოდა. დაბაში შორიდან ისმოდა, როგორ შხუოდა წყალი, როგორ აწყდებოდა ტალღა კლდეებს. ასეთ ამინდში ლადიმე პატარა ფანჩატურში მარტოდმარტო დაჯდებოდა, სახეს ზღვისკენ მიიქცევდა და ფიქრს მიეცემოდა.

ლადიმეს შავი, ზიმზიმა წვერი ჰქონდა. ორ თვეში ერთხელ თუ გაიპარსავდა. დალაქთან შეივლიდა, მორიდებით მიესალმებოდა იქ მყოფთ და სკამზე ჩამოჯდებოდა. ჭუჭყიან, გაცრეცილ ქუდს იღლიაში ამოიჩრიდა, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და იჯდა თავისთვის ჩუმად.

ორი დღეა ლადიმე არსად გამოჩენილა. ზღვაზე ნამდვილი სათევზაო ამინდი იდგა. ღამით წვიმდა, დღისით კი მზის მცხუნვარე სხივები ლიცლიცებდნენ წყლის ზედაპირზე. თორნიკემ შებინდებას დაუცადა, მერე მეზობლის ბიჭს დაავალა, გაეგო რას აკეთებდა ლადიმე. ბიჭმა პირველად იუარა, მერე უცებ დათანხმდა და გაიქცა.

ლადიმე რკინის ვეებრა საწოლზე იწვა და მძიმედ სუნთქავდა. წვიმდა. ფანჯარა ღია იყო. დავხურავო, — იფიქრა ავადმყოფმა, წამოიწია, მაგრამ ადგომა ვერ შეძლო, თავი საშინლად სტკიოდა. ღია სარკმლიდან მოჩანდა მთები და ბაღის ბოლოში აღმართული ხეთა წვეროები. ლადიმემ ჩასთვლიმა. როცა თვალი გაახილა, მოესმა, როგორ ჩხრიალებდა წყალი საწვიმარ მილში. ხანდახან ხედავდა აგურის პატარა ნამტვრევებითა და ხვინჭით დაფარულ გზას. ამ გზით მიდიოდა იგი ნავების შემკეთებელ სახელოსნოში, კაფეში; ამავე გზით ბრუნდებოდა შინ.

წვიმა მატულობდა. „მწყურია, — გაიფიქრა სნეულმა, — მწყურია". გრძნობდა, როგორ უხერდა მკერდი, სასა გაუშრა. „ხვალ გადაიღებს წვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა, — ფიქრობდა. — მზე გააშრობს გზას და თავთხელ წყალში ლიფსიტები დაიწყებენ სრიალს“.

უცებ რაღაც ფაჩუნი მოესმა. შეკრთა, თვალი გაახილა, სარკმელზე პატარა ბიჭი იჯდა. „რა ლამაზი თვალები აქვს ამ ბიჭს“, — გაიფიქრა ლადიმემ. მერე რაღაც გაახსენდა და მოიღუშა. „წვიმა შეწყდება და მეც დავიძინებ. რა სისულელეა!“

— ძია, — დაუძახა ბიჭმა. — ძია!

— ჰო, რა გინდა? — ჰკითხა ლადიმემ. — წყალი დამალევინე. მანდ, კასრში წყალია, მომაწოდე!

ბიჭს შეეშინდა, ჩასახტომად მოემზადა.

— ავადა ხართ? — ჰკითხა ჭოჭმანით.

— საიდან მოიგონე?! — გაბრაზდა ლადიმე. — ჰმ, საიდან მოიგონე, ა? — ცარიელ კათხას წაეტანა.

ბიჭს ეგონა, ახლა მესვრისო, და გაიქცა, მაგრამ ჭიშკართან მისულს რაღაც ხმაური და ყვირილი შემოესმა, ისევ მიბრუნდა, ფანჯარაზე აბობღდა და იატაკზე გაშხლართული მამაკაცი დაინახა.

ათი წუთის შემდეგ ნახევარი დაბა ლადიმეს ჭიშკართან შეკრებილიყო. ოთახში შესვლას კი ვერავინ ბედავდა.

— ხალნნი არა ხართ? იქნებ კვდება, — თქვა მსუქანმა ქალმა, თევზის მიმღებ წერტში რომ მსახუროობდა, — თქვენ კი აქ დგახართ და ელოდებით!

მერე ღონივრად ჰკრა ხელი ჭიშკარს. ჭიშკარი გაიღო. კიბე ხისა იყო და აჭრიალდა. კარი გადარაზული დახვდათ. შეყოყმანდნენ. ერთ ხანს საგდული აწვალეს, იქნებ ავარდესო, და როცა ამან არ გაჭრა, ნაჯახით შემტვრიეს.

ლადიმე იატაკზე ეგდო. საზარელი სანახავი იყო: თვალები დაეხუჭა, ძძიმედ სუნთქავდა, სიცხისაგან იწვოდა და ბოდავდა.

— ფილტვების ანთებაა, — დაასკვნა ექიმმა, როცა ავადმყოფი ნახა.

ქალებმა მიმოიხედეს, ცოდოაო, — ამოიოხრეს და სახლის დალაგებას შეუდგნენ. ვიღაცამ ქათმები დააპარა და ეზოში გაუშვა... აყლაყუდა დალაქი, — მისი ჩოფურა ბიჭი წამლებისათვის აფთიაქში აფრინეს. ეზოში წყალი დაგუბებულიყო, კაცებმა თოხები მოიმარჯვეს და არხი გაიყვანეს. გამოცოცხლდა კერიაც: ვინ თაფლი მოუკითხა ავადმყოფს, ვინ ლობიო და ფქვილი. ოთახში ფეხაკრეფით დადიოდნენ; მორიგეები — ღამისმთევლები გამოჰყვეს და დამშვიდდნენ.

დილით წვიმამ გადაიღო. მაგრამ მზე არ ამოსულა. ზღვა კიდევ უფრო გახალდა, ბეტონში დატანებული აკაციის მორები მოგლიჯა და წაიღო.

როცა ლადიმემ თვალი გაახილა, პირველად ცა დაინახა, დაინახა ჩიტებსლას აყვავებული რტოები და თეთრი ღრუბლები. ოთახში ახლადგამომცხვარი მკადისა და კერძის საამო სურნელი იდგა.

კუთხეში ვიღაცეები ისხდნენ.

შეშინდა. მიმოიხედა. თვალები აემღვრა, წამოიწია. მკლავი მოუდენდა, თავბრუ დაეხვა და ბალიშს მიენდო. საოცრად რბილი ეჩვენა ბალიში. კარგა ხანს იყო ასე, თვალი არ გაუხელია, მძიმედ სუნთქავდა.

— მალე ექიმი მოვა, ნემსის გაკეთების დროა, — თქვა ვიღაცამ.

— სიცხემ დაუკლო? — შეეკითხა მეორე.

— კი, დაუკლო.

— აბა, აწი არაფერი უჭირს.

ლადიმეს ესმის ზღვის შხეილი, გრძნობს, როგორ ეხმიანება გული ზღვის ბობოქარ რიტმს. თვალდახუჭული წევს, გონების თვალით ხედავს მზის თბილი ჩქერალებით ალიცლიცებულ ზღვის ფსკერს, მომწვანო ფერის ნიკერებით რომ არის სავსე. ხედავს მეთევზეთა ნავებს, ხედავს ბავშვებს, მისი ნიჩბები რომ მიაქვთ და იღიმება.

პირველად დღეს დაუხარდა, მარტო რომ არ იყო.

გიორგი სანადირაძე

მებადური

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერა ციხის კედელზე

ოცი წლის წინათ გერმანელმა ფაშისტებმა ტალინის საპყრობილეში მხეცურად აწამეს საბჭოთა ჯარისკაცი ვასილ გრიგოლის ძე ბრეგვაძე. დახვრეტის წინ მამაცმა მეომარმა კედელზე საკუთარი სისხლით წააწერა თავისი სახელი და გვარი.

ვახტანგ გორგანელის ლექსების ციკლი „წარწერა ციხის კედელზე" ვასილ ბრეგვაძისადმი არის მიძღვნილი. ვაქვეყნებთ რამდენიმე ლექსს ამ ციკლიდან.

1. გმირი და სამშობლო

შევკრიბე ყველა ბულბული,
სალი კლდის ყველა ნაჟური,
მტკვრის პირს რომ მითხარ, ვერა თქვეს
ისეთი იავნანური.

შევკონე ყველა ყვავილი,
მთისა და ბარის ფერები,
მაინც მაგ გულმა აჯობა,
სამშობლოვ, მშვენიერებით.

შევკარი ყველა გრიგალი,
ერთ ასპარეზზე ვაქროლე,
მაინც ვერ გადაამეტეს,
სამშობლოვ, მაგ შენს ძალ-ღონეს.

რაც უფრო წინ, წინ მიმქონდა
ალამი ფრიალ-ფრიალით,
მით უფრო მიღვივდებოდა,
სამშობლოვ, შენი ტრფიალი.

დღეს თუკი ცხრა მთის გადაღმა
ვარდ-ყვავილებით ამავსეს,
ეს მიტომ, ჩემო სამშობლოვ,
რომ შენ ხარ ამ ქვეყანაზე.

მიტომ რომ დროშა სიცოცხლის
მაღლა, სულ მაღლა გიჭირავს,
თორემ მე ერთი უბრალო
საქაშეთელი ბიჭი ვარ.

მტკვრის ერთი ტალღის გაშლაა
ჩემი გვარი და სახელი,
საქაშეთში რომ დავკარი,
ტალინში დარჩა ნახმლევი.

2. შემოდგომა და ვაშლის ხეები

მზეზე ბრწყინავს შემოდგომის ჭირხლი,
ისე ცივა, ალბათ მალე მოთოვს,
ბაღი უკვე მწვანე პერანგს იხდის
და ვიღაცა დაბლა აფენს ფოთოლს.

ყურს მივუგდებ, თითქოს ჩურჩულს ვისმენ,
არას ვიტყვი, ასე ვიდგე მარად,
ამ ხეებში შემოხიზნულ ნისლზე
ხომ არ სწერდი სატრფოსათვის ბარათს!

კვლავ მოვუხმობ გაზაფხულის მერცხალს,
გზებს და ბილიკს თითქოს ერთად ვნასკვავ,
ტოტს გავწევ და მეც გავხედავ ზეცას,
რომ მივაგნო შენი ბედის ვარსკვლავს.

დედაშენი აქ ღიმილში გხვევდა,
ვით აპრილი ატმის კვირტებს თოთოს,
წერილს როცა გიგზავნიდა დედა,
შიგა სდებდა მუდამ ვაშლის ფოთოლს.

ის ამ ხეებს გიხატავდა ისე,
ვისი იყო, უნდა ხელად გეცნო,
იმ შორეულ ესტონეთის ცისქვეშ
რომ კვლავ თავი საქაშეთში გეგრძნო.

აწყვეტილ ქარს რკინის ლაგამს მოვსდებ,
ხეთა შრიალს არ გავატან ღელეს,
მოდი, ავკრეფ ამ გაფანტულ ფოთლებს,
ვით იმ შენი სიჭაბუკის დღეებს.

ყველა ტოტზე ოქროს ზარი რეკავს,
ყველა ტოტი შუქით შემოსილა,
მე ამ ბაღის ფოთლებს წიგნად შევკრავ
და იკითხოს საქართველოს დილამ.

3. დედის საფლავთან

დედის გული სანთელივით დადნა,
შენზე ლოცვას შეალია ჯანი,
ახლა აქ წევს, ამ პატარა საფლავს
აბარია მისი დიდი ჯავრი.

ისე მოკვდა, შენზე ერთი სიტყვაც
ვერ შეიტყო საიმედოდ თქმული,
სამარეში დუმილს როგორ იტანს
დაუმცხრალი მშობელ დედის გული.

რაც გინდ გეთქვათ, ირწმუნებდა იგი,
არ დავობდა იღბალთან და ბედთან,
მაგრამ შვილის სამარცხვინო სიკვდილს
ფიქრადაც არ გაივლებდა დედა.

მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის წინ დასცდა:
— შვილო, წყალი, გული თონეს მიგავს.
სულ სხვა გემო ექნებოდა მართლაც
შენი ხელით მიწოდებულ ჭიქას.

ვიდრე გრძნობდა, ვიდრე მაჯა ფეთქდა,
ვიდრე ენთო ბოლო ნაპერწკალი,
როგორ სურდა გაფითრებულ დედას
შენი ხელით დაეხუმა თვალი.

სწამდა, მკვდარიც ადგებოდა უცებ
თუ ხმა შენი სამარემდე მისწვდა,
როგორ სურდა, მის მდუმარე გულზე
შენი ხელით გადაჰყროდა მიწა.

გმირი ხალხის სიყვარულში ცურავ,
გადიდებენ თავდადებულ რაინდს,
დაფერფლილმა მშობელ დედის გულმა
იქნებ ახლა მოისვენოს მაინც.

რაღად უნდა მდუმარებდეს ბაგე,
რაღად უნდა ვარდები და დაფნა,
შენი დიდი სახელი და საქმე
ძეგლად ადგას მშობელ დედის საფლავს.

4. ჩუდის ტბა

ვდგავარ და ცამდის გული მაღლდება,
მერცხლებს მერცხლების ამალა მოსდევს,
ერთ დროს ჩუდის ტბის ვრცელმა ტალღებმა
ფსკერი აჩვენეს ტევტონის ორდენს.

წყალი იყო და მტრის ყელი გაშრა,
აქ მისთვის წვეთსაც ერქვა სიკვდილი,
აქ განადიდეს ნეველის დაშნა
და გმირს დაჰხურეს დაფნის გვირგვინი.

სიმღერის ცეცხლი მისდევს ბილიკებს,
ახალგაზრდული განცდა და თრთოლა,
ახლა ჩუდის ტბა ისე ლივლივებს,
თითქოს აროდეს ყოფილა ბრძოლა.

მე ყველა ვარდის მსურს მიფერება,
მაგრამ სუყველას როგორ მივწვდები,
ამ ერთ ვარდს მაინც ჩემმა ხელებმა
მიუალერსონ თავდავიწყებით.

შორს ცისარტყელა იკვრება თაღად,
მზე ისევ ლაღად გამოდის კარში,
მოდი, ჩუდის ტბის წავიღებ ტალღას
და კალმახივით გავუშვებ მტკვარში.

5. იშრიალე, ფიჭვის ხეო

ისე მოჩანს, გეგონება ქანდაკება,
გეგონება გაშლილ დროშის ტარი,
რომ დაეცეს, ბალტიის ზღვას გადაკეტავს,
ცაში ისე აუყრია ტანი.

რომ ავიდე, ალბათ მყინვარს დავინახავ,
თვალს გავუწვდენ მოდუდუნე ლიახვს,
ფიჭვის ხეო, დიდხანს მსურდა შენი ნახვა,
მაპატიე, რომ მოვედი გვიან.

ფიჭვის ხეო, წამოგიღე მოკითხვები
იორიდან მუხისა და თელის,
აბა, როგორ მომქანცავდა შორი გზები,
ჩემსკენ გქონდა გამოწვდილი ხელი.

ვინ დაგსერა, ვინ გაბედა შენი ვნება,
რატომ დაგრჩა ეგ ჭრილობა ღიად,
სად მოვთვალო, რამდენ რამეს მეუბნება,
მაგ შენს მკერდში ჩაჭედილი ტყვია.

ფიჭვის ხეო, მოწამე ხარ იმ შავ დღეთა,
ის ჩემი ძმაც, ალბათ, გახსოვს კიდევ,
აქ თუ არა, სად დამდგარა, რომელ ხესთან,
მისი კვალი რომელ ბილიკს მისდევს.

ვინ ამხადოს, ზედ რომ მაწევს დარდის ლოდი,
გულებს შორის ვინ ააგოს ხიდი.
ჩემს კითხვაზე მოკრძალებით ხესთან მოდის
და ტყის მცველი ბოხოხს უხმოდ იხდის.

— ეს ხე, შვილო, ომში იყო მათი ფარი,
ეინაც იდგა ესტონეთის ფარად.
ხემ ტოტები შეარხია, როგორც ლარი,
თითქოს გმირთა თქვა სიმღერა წყნარად.

ეს ჭრილობა რა უენო, რა უტყვია,
გზას ვით აძლევს მოზღვავებულ ფიქრებს,
ო, ამ ხეში ჩარჩენილი ცივი ტყვია
ჩემი ძმის მკერდს დაუმიზნეს იქნებ.

ფიჭვის ხეო, როგორ შვენი მთას და მდელოს,
ასე ლაღად იშრიალე მარად,
მაგ ტყვიაზე მთელ ქვეყანას უამბეო,
რომ ომები აღარ იყოს, არა!

დაე, შენი შარიშური ყველას მისწვდეს,
იყოს მტრისთვის განაჩენი მკაცრი,
ფიჭვის ხეო, ისიც აღარ დაგავიწყდეს,
ვით იბრძოდა აქ ქართველი კაცი.

6. ტიინა

მოდიხარ, მოსდევ ბალტიის ნიავს,
ნაპირზე უქრობ შუქურად ბრწყინავ.
შენ ესტონურად ტიინა გქვიან,
მე ჩვენებურად დაგარქმევ თინას.

ამოსვლას ლამობს ვრცელი ზღვა მაღლა,
ცელქი ბავშვივით ბორგავს და ტოკავს,
თითქოს შველივით მოგყვება ტალღა
და მარილივით ნაფეხურს ლოკავს.

შენს სილამაზეს თითქოს გრძნობს წყალიც,
მოგხვიოს უნდა თითქოს ხელები,
მოდი, ძვირფასო, რაც არი, არი,
მეც ამ ზვირთივით აგედევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ მითხარი, რომ შესდექ ლოდთან,
ხალასი გული რად შეეკუმშა,
ვარდის ტუჩები რად შეგითრთოლდა,
რატომ შეჰყარე წარბები კუშტად.

მე რომ გიხსენე თბილისი, ქართლი,
მტკვრის პირას ჩემი პატარა ბინა,
ვინ მოგაგონდა ნეტავი მაშინ,
ო, გეეედრები, მითხარი, თინა!

ო, რომ შემეძლოს, მინდა ახლავე,
ამ ზვირთებივით დაიმსხვრეს გული,
ერთი წამითაც თუ გაგახარებ
და თუ აგავსებ კვლავ სიყვარულით.

ო, დაიბრუნე ის ძველი განცდა,
არ მეწყინება, მისი გზა მიქე,
რომ ბალტიის ზღვის ტალღების მსგავსად
ეგ შენი სულიც დამშვიდდეს იქნებ.

დე იყოს სხვისთვის გულმოსაკლავი,
მე კი მაგ სიტყვამ მომგვაროს ცრემლი,
ნუ გეშინიან, მომაყრდნე თავი,
უძვირფასესო! დაი ხარ ჩემი!..

აკაკი ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ბატარა ღვთისავარი ბანზე ერთობოდა. ღვთისავარის გარდა შინ მისი დაი, თალალო იყო. უფროსები სამკალში წავიდნენ. მთელი სოფელი დაცარიელდა. მკათათვე იწურებოდა და შინ მხოლოდ მოხუცი ქალები და ბავშვებიღა დარჩენილიყვნენ. ცხელოდა. ბანის კუთხეში ჭილობზე დაყრილი საფუარი შრებოდა. მდინარის რიყეზე კამეჩები იდგნენ და სიცხისაგან დათანგულებს ადგილიდან დაძვრა ეზარებოდათ. ცოტა მოშორებით, ფერდობზე, ცხენები ძოვდნენ.

ღვთისავარს ხელში დიდი დანა ეჭირა და პირს უფხაავებდა. დანა მუდამ ჭერხოს თაგზე ეკიდა. მამა შინ რომ იყო, ღვთისავარი ვერ ბედავდა მის ჩამოღებას, მაგრამ როგორც კი თავს დაიმარტოხელებდა, იმწამსვე ჭერხოზე აძვრებოდა, დანას ხელს დაავლებდა და მზეზე აალაპლაპებდა.

კოშკზე შემომჯდარმა ქორმა ფრთები შეიბერტყა და ლაჟვარდში ზანტად შეცურდა. სოფლის ბილიკზე მგზავრი გამოჩნდა. ღვთისავარმა დანის ლესვას თავი მიანება და ფერდობზე მომავალს დააცქერდა, მაგრამ ვერ შეიცნო. წამოდგა, ერთ ხანს კიდევ უყურა ბილიკს, შემდეგ დანა ქარქაშში ჩაცურა და კიბეს ჩამოჰყვა.

— ჩუა, ჰაი, ჩუა! — ომახიანად გასძახა მეზობელს. პასუხი რომ არ მიიღო, გზაზე გავიდა და ხელმეორედ დაიყვირა:

— ჩუა, ჰაი, ჩუა!.. არავის გესმათ? ბილიკზე უცნობ გამოჩნდის!

მოპირდაპირე სახლის შუაბანზე მოხუცი ქალი გამოვიდა.

— ყველანი სამკალ წავიდას! — თქვა და ისევ შინ შებრუნდა.

ღვთისავარმა წუთით დააყოვნა, მკერე ქამარზე ჩამოკიდებულ გრძელ სატევარს მარცხნა ხელი ჩაავლო და შარას დაუყვა. მსუბუქად ხტოდა გზად მიმოყრილ ლოდებზე.

სოფლის თავში ძაღლმა დაიყეფა. ღვთისავარი განაპირა სახლის ეზოსთან დადგა. აქედან კარგად მოჩანდა

ბილიეზე მომავალი კაცი. მას ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. როცა ორმა ნაგაზმა უცნობს გზა მოუჭრა, ის შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, მერე ძაღლებს მიაჩერდა და, ყოველ შემთხვევისათვის, ჯოხი მოიმარჯვა. ძაღლებმა შეპღრინეს. უცნობს შიში არ დატყობია, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაძრულა. მოხუცი ყოფილა, — გაიფიქრა ღვთისავარმა და მის დასახმარებლად გასწია; რამდენჯერმე ბრაზიანად შეუტია ძაღლებს და უცნობს ახედა.

— ღმერთმა გიშველასს,—უთხრა მგზავრმა და დუმატა: — სტუმარ მიიღებთ, სტუმარ?

ამ სიტყვების წარმოთქმისას სახეზე უცნაური, ოდნავ სევდიანი ღიმილი გადაეკრა, თითქოს რაღაცის შერცხვა.

ღვთისავარმა შეფაკრთი შეათვალიერა მგზავრი. მზისგან გარუჯული, გამხდარი სახე ღრმა ნაოჭებით ჰქონდა დაღარული, ტანთ გაცვეთილი, აქა-იქ ულაზათოდ დაკერებული ჯუბა ეცვა.

— სტუმარ ღვთისა ას!— მიუგო ბიჭმა და განზე გადგა, რომ მოხუცს ვიწრო ბილიეზე თავისუფლად გაეცლო.

საღამოვდებოდა. მზე მთებს იქით წვებოდა და ხეობას ვარდისფერ სხივებს ჰფენდა. მოხუცი სამფეხაზე იჯდა, ხელში დიდთავიანი, გრძელტარა ჩიბუღი ეჭირა; იქვე, ჭილობზე, მამუკა წამოწოლილიყო და ისვენებდა, ღვთისავარს მამის გვერდით მოეკალთნა და სტუმარს თვალს არ აშორებდა. მოხუცს სახის კანი სპილენძისფრად უბზინავდა, და ღრმად ჩაცვენილ ქუთუთოებიდან პატარა ცისფერი თვალები ძლივს მოუჩანდა. როცა მგზავრი შინ მოიყვანა, ღვთისავარმა, წესისამებრ, საჭმელი მართვა, ორი რქა არაყიც დაალევინა და მოასვენა. ნასამხრალს სამკალიდან მამაც ჩამოვიდა და ღვთისავარმა ამბავი დაახვედრა, სტუმარი გვყავსო. მამამ მოუწონა, მგზავრი სხვაგან რომ არ გაუშვა, მერე მოხუცს მიუახლოვდა, მიესალმა და როცა ამ უკანასკნელმა ჩაიჩურჩულა, ვეღარ მიცან, მამუკაც, ვეღარო, მხოლოდ მაშინ მიხედა ყველაფერს, ორივე ხელი პირზე მიეფარა, აჰუ, ალუდაო, — ყრუდ წამოიძახა და მოხუცს მკერდზე მიეკრა. ამის მნახველი პატარა ღვთისავარი გაკვირვებული დარჩა. მაშ, სტუმარი უცნო არ ყოფილაო, გაიფიქრა და მეტი გულმოდგინებით დააკვირდა მოხუცს. შემდეგ სამივენი ბაზზე გავიდნენ და სანამ ქალები ვახშამს მოამზადებდნენ, საუბარი გააბეს.

— მრავალ ცხვარ შეზირავდის ხატებს, გუდაშინც ჩავიდოდის, მაგრამ არ უსმინას ხატებმა და შენს ძმას შვილებ არ მისცა, — უყვებოდა მამუკა მოხუცს მისი ოჯახის ამბავს. — შენს ხსენებაში მაკვდა შენი ძმა. თან შენი დარდი წაჰყვა. სულ იმას ამბობდა, ეგეც დაბრუნდესო და — სულიც დალია.

ღვთისავარს სულ უფრო მეტად მოსწონდა მოხუცი. მას ძალიან მშვიდი და კეთილი სახე ჰქონდა.

— მერე მეწყერი ჩამავიდა და სახლ კედლებ ჩამაანგრივა, უკაცოდ აგრეა სახლ, აგრე. აჰუ, ალუდავ, დამხვდური რომ აღარავინ დაგრჩა? — ჩაიდუღუნა მამუკამ და სამფეხაზე მჯდარ მოხუცს ამდვრეული თვალებით ახედა.

— მაშ, მართლა ყოველგან სტუმარ დავრჩომილვარ, — თავისთვის ჩაიჩურჩულა მოხუცმა და ისევ დადუმდა. ამ სიტყვების წარმოთქმისას მას არც ცრემლი მოსდგომია თვალზე, არც ხმა ათრთოლებია, მხოლოდ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლქვად გამოუშვა ბოლი.

— სადაურ სტუმარ ხარ, ალუდავ, აბა, საით გაგიშვებ?! აქ იყავ და სახლჩი მამად დაგვიჯიქ, ხატებსაც გაუხარდების შვილის დაბრუნება, — მიუგო მაშინვე მამუკამ და ღვთისავარს გული სიხარულით აუფანცქალდა.

მოხუცმა არაფერი უპასუხა, გაუნძრევლად იჯდა და მზის ჩასვლის შემდეგ განაცრისფერებულ ღრუბლებს გასცქეროდა. მერე ჩიბუხიდან ფერფლადქცე-

---

აკაკი ვასაძე
სტუმარი

ული თუთუნი ჩამობერტყა და გადაყრიტა.

მამუკა წამოდგა, წავალ ქალებს მივხედავ, ვახშამს რამე არ დაკალდეესო, — თქვა და დარბაზისკენ გაეშურა.

დარბაზში შუაცეცხლი ენთო. უზარმაზარ ქვაბში წვნიანი თუხთუხებდა. ვიდრე ქალები სუფრას გააწყობდნენ, მამუკამ არყინი სავსე თუნგს დაავლო ხელი და რქაში მოყვითალო სითხე ჩამოასხა.

— შენი დაბრუნებისა იყოს, ალუდავ, — უთხრა და რქა მოიყუდა. შემდეგ რქა ხელახლა შეავსო და მოხუცს გაუწოდა.

მოხუცმა უსიტყვოდ გადაკრა არაყი, შუბლი შეიკრა და ულვაშზე ხელისგული გადაისვა.

— რად არაფერს იტყვი? აგრე ნაღველ დაგახრჩობს, — უთხრა მამუკამ და ერთხელაც ჩამოასხა არაყი.

მოხუცმა უბიდან ჩიბუხი ამოიღო და წეკოთი დატენა.

— აბა, რა გითხრა, სათქმელ ბევრ ას, მოსაყოლ ბევრ.

— შენც მაყევ. გულსაც ეამების, ყურსაც.

მოხუცმა ანთებული ფიჩხი ცეცხლიდან გამოიღო და ჩიბუხს მოუკიდა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა ბოლი.

— არ კი ვიცი, გულს თუ ეამების? აგრე გინდა და ერთ დათვის ამბავს გითხრობ.

— დათვისა?

— ჰო, დათვისა.

ღვთისავარმა ყური სცქვიტა და მოხუცისაკენ მიჩოჩდა. მამას ნახევრად დაცლილი რქა ეჭირა ხელში და მოხუცს უსმენდა. მოხუცი ცეცხლს უცქეროდა. ცეცხლის წითელი ენები მის თვალებში ირეკლებოდნენ. ის ძალიან ახლოს იჯდა კერასთან, ისე ახლოს, რომ ცეცხლის ალი ძარღვებით დაღარულ ხელებს თითქმის ულოკავდა: თვალები მიენაბა, ბაგე ღიმილს გაეხსნა და ყვებოდა:

— მთელ ზამთარ ეძება დათვმა ბუნაგ. ხან სად წავიდას, ხან სად. ხან ერთ ადგილს დარჩა და ვერ შეიწყინა. ხანაც სხვაგან, ვერსად მოიკალათა. ზამთარ კი ცხარობდა...

ქალებმა სუფრაზე ჩუმად მოიტანეს საჭმელი და ჩუმადვე გაეცალნენ იქაურობას. ღვთისავარი გარინდებული უგდებდა ყურს მოხუცს.

— ტყეში სიარულით ჯერ ბეწვ შამააცვდა; შიშველ სხეულ სუსხი უთოშავდა. მერე ხორციც დაკალდა. ძალა ეცლებოდა. მაინც დაძრწოდა და ეძებდა. ცოდოა უბუნაგოდ დათვ, ცოდო.

მოხუცი დადუმდა.

— საბრალოი, — ჩაიბუტბუტა მამუკამ და რქაში ჩარჩენილი არაყი გადაჰკრა.

— ...ბოლოს ერთ ადგილ მივიდა. იცნო თავის ძველ ბუნაგ და გაუხარდა. მიუახლოვდა, მაგრამ ბუნაგ ქვით და ეკალბარდით იყო სავსე. დაღლილ, გათოშილ იქვე ჩამოჯდა და ულონოო სიკვდილს დაელოდა...

— საბრალოი, ჰოი, საბრალოი, — ბუტბუტებდა მამუკა.

— ერთ ზამთარ გათავდის?

— ჰო, ერთ ზამთარ. უბუნაგოდ ერთ ზამთარ გრძელ ას, ძალიან გრძელ...

მოხუცმა თხრობა დაასრულა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ აალებული ფიჩხის ტკაცუნი და წვნიანის თუხთუხი ისმოდა.

— კარგ ზღაპარ ას, კარგ ზღაპარ, — თქვა მამუკამ, წამოდგა და მაგიდისკენ გაემართა.

— ყველაფერიც ზღაპარ ას, ყველაფერი, — თავისთვის წაიდუდუნა მოხუცმა და დაფერფლილი წეკო ნაკვერცხლებში ჩაბერტყა.

მეორე დილას მოხუცმა მოგვიანებით გამოიღვიძა. ბანზე გამოვიდა და ღაინახა, რომ სოფლელები უკვე სათიბისკენ მიჰყვებოდნენ ფერდობს. მან დიდხანს უყურა ფერდობზე მიმავალ კაცებს. შემდეგ კიბეს დაუყვა.

ეზოში ღვთისავარი იდგა და ბოსლიდან ძროხებს მოერეკებოდა. ძროხები

ჭიშკარს გადააცილა, დასჭყიტა და ზურგში რამდენიმე კენჭი მიაყოლა. ძროხებმა რიყისკენ გასწიეს. ღვთისავარი მიბრუნდა, კიბეზე ჩამომავალი მოხუცი დაინახა, იმწამსვე ოთახში შევარდა, ჯამით ახლად ადუღებული რძე გამოიტანა და მოხუცს მიაწოდა:

— შესვით, ძალაზე გულს ღალობს.

— კარგ ხარ, ღმერთმა გიშველას! — თქვა მოხუცმა, ჯამი ჩამოართვა. ხარბად მოსვა ცხელი, ქაფმოდებული რძე და დაორთქლილ ცხვირსა და ულვაშზე ხელი ჩამოისვა.

— ახლა წავალ, ნასახლარს დავხედავ... ხატშიც ავიდეს, — დასძინა და ჭიშკრისაკენ წალასლასდა.

მოხუცი შინ შეადღემდე არ დაბრუნებულა. მაღალი ბანიდან ღვთისავარი ხედავდა, როგორ იჯდა იგი ნასახლართან მეწყერის მიერ ჩამოტანილ უზარმაზარ ლოდზე. ზოგჯერ მოხუცი წამოდგებოდა, ხატებისკენ გაუყვებოდა ბილიკს და იქ მიიმალებოდა. ზოგჯერ კი მოჩვენებასავით დაიწყებდა ბორიალს სასაფლაოზე. შემდეგ ისევ ნასახლარს დაუბრუნდებოდა და იმავე ლოდზე ჩამოჯდებოდა.

მთელი კვირა ასე დაიარებოდა მოხუცი ნასახლარზე.

— საბრალოი, ჰოი, საბრალოი... — ჩაიჩურჩულებდა ხოლმე მამუკა, როცა სამკალიდან დაბრუნებული ლოდზე ჩამომჯდარ ალუდას თვალს მოჰკრავდა.

ერთი ორჯერ მეზობლებმა ამოიარეს მამუკასთან და „შინ დაბრუნებული“ ალუდა მოინახულეს. ეკითხებოდნენ, სად იყო, სად ცხოვრობდა, ან რა ენახა. მაგრამ ალუდა იშვიათად თუ იტყოდა რამეს, ან თუ იტყოდა, იმასაც ზღაპრად ჰყვებოდა. უმეტესად კი დუმდა და დიდთავიან, გრძელტარა ჩიბუხს გაბუტული წყვეტლივ აბოლებდა.

— ზღაპარ უყვარს ალუდას, ზღაპარ, — დასძენდნენ ხოლმე გაწბილებული თანასოფლელები.

ამ სიტყვების გაგონებისას, მოხუცი გაიღიმებდა, ჩაყვითლებულ, მეჩხერ კბილებს გამოაჩენდა და თეთრ წვერზე ფრთხილად ჩამოაცურებდა ხელს.

მეორე კვირას მოხუცი ნასახლარზე აღარ წასულა. გაკვირვებულმა ღვთისავარმა ისიც შენიშნა, რომ სტუმარი მთელი დღე არ გამოსულა ჭერხოდან.

როცა მამა სათიბიდან დაბრუნდა და ალუდა მოიკითხა, ღვთისავარმა უპასუხა:

— მთელი დღე სძინავს. მომერიდა და არ გავაღვიძე.

მამუკა წუთით გაოცდა, უნდოდა კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა და უხმოდ ავიდა ჭერხოზე.

ღვთისავარმა დარბაზში შეიხედა. სადილის სამზადისში დედა აქეთ-იქით დაფუსფუსებდა. პატარა თალალოც უკან კატასავით დაჰყვებოდა და უაზროდ ეტიტინებოდა რაღაცას. ღვთისავარი მაგიდას მიუახლოვდა და მერხზე ჩამოჯდა. მამუკა იგვიანებდა, ღვთისავარი უკვე მის დასაძახებლად წასვლას აპირებდა, როცა კარი გაიღო. მამა მარტოკა იდგა კარის ზღურაზლზე და ადგილიდან არ იძრეოდა.

— სტუმარ რად არ ჩამოდის? — იკითხა დედამ და თეუშზე ზვინანი დაასხა.

— მაკვდა!

აკაკი ბასაძე
სტუმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუჯა გაგუა

გუნება

აღარ უჩანდა საქმეებს ბოლო,
და მოუცლელნი, როგორც ბავშვები,
მზეს თუ ვამჩნევდით, ვამჩნევდით მხოლოდ
შუადღით, ანდა სულ არ ვამჩნევდით.

და განთიადის სხივიც ცხოველი
ვეღარ ატანდა ქალაქის კედლებს
და ამის გამო დილა ყოველი
უგანთიადო გვეგონა დღემდე.

მაგრამ გვწყუროდა გაფრენა ცისკენ,
როგორც სიზმარში — თავდავიწყებით.
ცა კი ქალაქში მოჩანდა ისე
პატარა — თითქოს ჭურში ვისხედით.

და როცა გავცდით ქალაქის ქუჩებს
და მოვიტოვეთ დიდი სახლები, —
ცა ქოლგასავით გაიხსნა უცებ,
ღრმა, მაღალი და ხელშესახები.

ამოდიოდა მზე და ვღელავდით,
თავბრუს გვახვევდა ფერი წითელი,
და მზის წინაშე ვჩანდით ყველანი
უფრო კეთილნი და მიმზიდველნი.

ძვირფას განძივით, ფოთლები სველი
მალავდნენ ნამის ბრჭყვიალა წვეთებს
და ალაგ-ალაგ ბოლავდა ველი,
თითქოს ვულკანის დაცხრობის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს გარინდული იდგნენ ნაძვები,
იქვე ტაძარი ჩანდა მახლობლად,
და ხაზს უსვამდა ჩვენს აღტაცებას
უსაზღვრო ცის და მიწის თანხმობა.

სულგანაბული ხეების რიგი.
მსუბუქი ნისლი დაძრული ტყიდან;
ყოველი, რაც კი სუნთქავდა ირგვლივ,
მთლიან და მდიდარ სამყაროს ქმნიდა...

დრო კი გარბოდა ისევ თავისი
საქმით გართული და მოუცლელი.
და, ჰა, აფეთქდა თვალწინ დაისიც —
ბრწყინვალე წიგნის ბოლო ფურცელი.

როგორც ღიმილი უმანკო ქალის
და ვალმოხდილი, როგორც წარსული,
დღის დასასრული ქრებოდა ჩქარა,
ოდნავ შემკრთალი დღის დასასრული.

ო, იდუმალო ბრძენო ბუნებავ!
ისე გვხიბლავდა შენი მშვენება,
რომ შენ იყავი თითქოს ცდუნება,
ტკბილი ზმანება და მოჩვენება.

☆ ————

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ

მე ბედნიერი ვიყავი უკვე,
მე ბედნიერი ვიყავ უდავოდ.
ჩემში იმ დღეთა სითბო და შუქი
ღრმად შემოიჭრა და სამუდამოდ.

და რომ ამეხსნა ეს გრძნობა უკეთ,
ვიხედებოდი ამ გრძნობის იქით.
მე ბედნიერი ვიყავი უკვე
და კარგად ვიცი, რას ნიშნავს იგი.

ო, იმ დღეების სინაზე ისევ
სავსე იმედით და მღელვარებით,
როგორც სიცოცხლის დასტური, მიმზერს
ოდნავ დაბნეულ ქალის თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელი და იდუმალი,
ამაღლებული სულისკვეთებით,
ის მოდის ჩემთან, როგორც სტუმარი,
რომელსაც ხშირად არ ვახსენდები.

ოღონდ მოვიდეს, ოღონდ ინებოს,
მხარს ამომიდგეს, როგორც ახლობელს,
მე დროც მეყოფა და მოთმინებაც,
თუკი ძალიან არ დააყოვნებს.

ოღონდ მოვიდეს და დაიწეროს
ლექსი ცრემლივით შეუბღალავი,
ოღონდ მოვიდეს, მაგრამ ისე რომ,
არ გადაექცეს დარდად არავის.

ოღონდ მოვიდეს, ოღონდ მოასწროს
და ყველაფერი მზისფრად იელვებს,
ოღონდ მოვიდეს და ამოავსოს
ცხოვრების ყველა სიცარიელე.

ოღონდ მოვიდეს! იმასაც ჰქვია
ბედნიერება, იმაზეც ითქმის,
ადრე რომ მოდის ან ცოტა გვიან
და თავის დროზე არასდროს თითქმის.

☆ ————

ტრამალის სევდა

არსად ბუჩქებიც... და უცებ კენტი
ხე აღიმართა თვალწინ ზვიადი,
ამაღლებული თავისი ბედის
ერთადერთობით და სიდიადით.

თავაწეული იდგა მეფურად,
ცისკრის ნათელი სახეში სცემდა,
და მისთვის ძლიერ თავისებურად
ჟღერდა ტრამალის უსაზღვრო სევდა.

მზით კმაყოფილი და ჰორიზონტით,
ის დასცქეროდა ყველას ზემოდან,
მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა,
რომ ქვეყანაზე ტყე არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

დღეები და წლები

როცა დავითვლი დღეებს მოცელილს,
კვირტების სკდომას,
ფოთლების ცვენას,
ვგრძნობ, არის წელი ბევრის მომცველი
და მისი დიდი ნაბიჯი მჯერა.

წელიწადს ძალუძს აგწიოს მაღლა,
ერთი უბირი გაქციოს კაცად,
მის ყოველ სუნთქვას სიახლე ახლავს,
ახლავს ღიმილი, ღელვა და განცდა.

გვიწვევს, გვეძახის დღე ხვალინდელი,
ხვალის თუ ზეგის უცნობი თრთოლა,
გზებით,
ტყეებით,
მთებით,
მინდვრებით,
მოვდივართ წვიმად,
მოვდივართ თოვლად...

და გვახალისებს დღეთა აკლება,
ის კი არ გვახსოვს და არც გვადარდებს,
რომ ყოველი დღე ჩვენს მზეს აკლდება
განთიადიდან — განთიადამდე.

☆

დიდი მთის ქება

ფიქრი ვაქციე მომავლის ხიდად,
გზა მომავლისა იქცა ფიქრებად,
ბორბალო დიდი ფიქრისთვის მზრდიდა
და მეც მახარებს დიდი მთის ქება.

სადაც ვიქნები, ზღვაზე თუ ცაზე,
გინდაც მატკბობდეს ტრამალთა სივრცე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მაინც ვიტყვი სიმღერას მთაზე,
პირველ სტრიქონებს მთის კალთებს მივცემ.

მთათა სიკეთე არ მავიწყდება,
ჩემი მთა ნისლით არ იბურება,
ჩემი სიცოცხლე მთიდან იწყება,
სივრცეს ედება დაუსრულებლად.

ვარ ჭიუხების ერთი ბილიკი,
თეთრი ცირცელის ერთი ფურცელი
და მაინც ვდგავარ მთათა პირისპირ,
უბოროტო და ფერშეუცვლელი.

არ მშურს ნახტომი ადამიანთა,
მათი წინსვლა და მათი სილაღე,
კრძალვით შევყურებ ყველა მზიან მთას
და დაფიქრებით ვიღებ სიმაღლეს.

ბევრისგან ვნახე სიმწარე ბევრჯერ,
ბევრმა ნაღველმა გადამიარა,
ორგულობისთვის სიკეთე შევძელ
და მოვირჩინე გულის იარა.

მარტყია შუქი ურყევი რწმენის,
არ ვემონები ღელვას წუთიერს,
დაღლილ მგზავრს ტვირთის წაღებას ვშველი,
გზაზე დაცემულს ღამე ვუთიე...

და ყველა ამით ვარ ბედნიერი,
მთის ნაკადულის მახლავს სილაღე,
უვალ კლდეებზე ვარჩევ იერიშს,
მე დაფიქრებით ვიღებ სიმაღლეს.

☆

დედა

საფლავს ეცემა საღამოს ბინდი,
შენთან საუბარს ქვითინით ვბედავ...
მე შენ სიკვდილიც მასწავლე მშვიდი,
თბილი ღიმილით დამშორდი, დედა.

როცა ჩაქრება ჩემი სანთელი,
ჩამოჭკნებიან პირიმზეები,
დამრჩება კიდევ ბევრი სათქმელი,
საღიდებელი მზიან დღეების.

დამებურება შავი სუდარა,
საფლავზე ცრემლი ჩამოიღვრება...
და მალე ისევ გამოიდარებს
და სხვა თაობა იტყვის სიმღერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდა კოღოშვილი

ძმაჯი

მოთხრობა

ბვერდათოვლილმა მოხუცებმა სულის მოსახსენებელი საგალობელი დაგუგუნეს. ეს საგალობელი მთებში ჩაგუბებულ, გახურებულ ივლისის ჰაერს სევდითა და ნაღვლით ავსებდა. მოხუცები დუდუნებდნენ, კუბოში კი სამუდამო ძილს მისცემოდა მოკლული ვაჟკაცი. გიშერივით თმა დედის ხელებმა შუბლიდან გადაუწიეს. ღიმილი თუ სიმწარე — უკანასკნელი ნიშანწყალი სიცოცხლისა — შეჰყინოდა ბაგეს და მიცვალებული მძინარესა ჰგავდა.

თეიმურაზი ბავშვი იყო. იგი გვერდში ამოსდგომოდა კუბოსთან ჩამდგარ ბიძეს და თვალს არ აშორებდა მამას. მიცვალებული იმისთვის ყველაზე ლამაზიც იყო და ყველაზე ძვირფასიც. ბიჭი ბურანში იყო, არა სჯეროდა, რაც თავს დაატყდა. გული ხან სულ მიელეოდა, ხან მახეში გაბმული ჩიტივით უფრთხიალებდა. თვალს არ აშორებდა საყვარელ, ახლა დადუმებულ, უცნაურად დამშვიდებულ სახის ნაკვთებს და ეშინოდა, რომ მალე მკვდარ მამასაც მოაშორებდნენ.

საგალობელს სვანური ტირილი მოჰყვა. მათე მარგიანი მოსთქვამდა. ხალხი ბოლო სიტყვას იმეორებდა და ამ შეძახილში გლოვაზე მეტად აღმფოთება ისმოდა.

თეიმურაზს თვალები აუჭრელდა. უცებ კუბო ტახტს მოსწყდა, ძაძით შემოსილი ხალხი შავი მდინარესავით დაიძრა, ჭადრებქვეშ საქელეხო ტაბლებმაც ფეხი აიდგეს და წყალში აცურებული ჩრდილებივით შეტორტმანდნენ. ბიჭს აქაფებული ჩხალთის ნაპირზე ეგონა თავი, გაღმა მამა ჯვებრის აშენებდა. სწორედ ჩხალთის ნაპირზე თევზაობის დროს, წყალმა მოიტაცა თეიმურაზი და კოდორის შესართავისაკენ წაიღო. ისე შორს იყო მამა, ხმას ვერც კი მიაწვდენდა, მაგრამ უცებ მის გვერდით გაჩნდა. მამის მძლავრმა მკლავებმა წყალს აჯობეს და ბიჭი დაღრჩობას გადაარჩინეს. დასცქეროდა მშობლის უღონოდ დაწყობილ, გაყვითლებულ ხელებს და თითქოს ახლაღა ხვდებოდა, რომ მდინარის ვერც ერთ ნაპირზე ვეღარ იპოვიდა მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვალებულის პირით კი მოხუცი გურმაჩი ლაპარაკობდა: „ჩხალთის პირას ავიდგი ფეხი. როცა წამოვიზარდე, დედაჩემმა და მამაჩემმა მითხრეს: კლდეებში ჩაქედილ ჩვენს ვიწრო ბილიკს თუ დაადგები, დიდ ქვეყანაში გაგიყვანს, წადი და ისეთი რამ ისწავლე, რაც ხალხს გამოადგებაო.

მეზობლები და ნათესავები შეიყარნენ სათათბიროდ, რა მესწავლა ქალაქში.

— რკინის ხიდების აგება ისწავლე,— მითხრეს ბიძებმა. — მთელი სოფელი გამოვდივართ და ხიდს ვდებთ მდინარე ჩხალთაზე. ერთ მშვენიერ დღეს კი წყალი მოგლეჯს ამ ხიდს და მიაქვს. ხანი გავიდა. ოდესღაც ბრგე ვაკაცები დავჩიავდით, ცოდნა იოტის ოდენა არ მოგვემატა. მდინარემ კი ნარი არ შეიცვალა. ჯერ ისედაც რა სახნავ-სათესი გვაქვს და იმასაც მდინარე გადარეცხავს ხოლმე და რაც სიკეთეა, თან მიაქვს. ფიჩხისა და ქვა-ღორღის ჯეგირი ვერ ულლებს გაშმაგებულ წყალს. ისწავლე რკინისა და ქვის ჯეგირების აგება და ჩვენც აგვიშენე ასეთი ჯეგირი, — მთხოვდნენ მეზობლები.

— ამისთანა ქვის ჯეგირს თუ წყალი მიაწყდება, ელვის ნაპერწკლები ჩნდებაო. ამ ნაპერწკლებს ადამიანი მინაში ამწყვდევს. ასი სანთელიც ვერ გაანათქებს ისე, როგორც ამ მინაში მომწყვდეული ნაპერწკალი. თვალი ჩაგვიწყალდა მბჟუტავ ჭრაქზე კერვითა და ქსოვით. ისწავლე, შვილო, როგორ მოგტაცოთ ნაპერწკალი მდინარეს! — მემუდარებოდნენ დედაჩემი და მეზობლის ქალები.

— დიდი დღე აღარ დამრჩენია, — მხარზე ხელი დამადო მოხუცმა ბაბუამ.— ვიდრე ჩემს მშობელ მიწას მივეგებრები, მინდა ვნახო, სად რა ქვეყნებია, სად რა ხალხია. ისწავლე ჯადოსნური ლამპრის ანთება! მოწყურებული ხარი წყალს რომ დაიწოფება, ისე დაეწოფე ქალაქში წიგნებს, მაგრამ ომი დაიწყო და წიგნის მაგივრად თოფი ავიღე ხელში. გავიდა ხანი. ომი დამთავრდა. მე სოფელს დავუბრუნდი. მუშაობას შევუდექი. გავიყვანე საურმე გზები, ავაგებ ხიდები, ჯეგირები. ჩემს გაყვანილ გზებზე დაჭრიდნენ მანქანები და ელსადგურისა და სკოლის საშენებლო მასალა მოჰქონდათ. ჩემს მოხუც ბაბუს ცოტა კიდევ რომ დასცლოდა, კინოაპარატის წყალობით ნახავდა დიდი ხნის ნანატრ ქვეყნებს. გზა გავიყვანე მთებში მიმალულ სოფელ პტიშმადე. კლდე ავაფეთქე და ადგილი მოვასუფთავე ფერდობის ძირში. ამ ფერდობზე, ტყეში, მიმალულია გულჩიანების სახლი. ბეჭა გულჩიანის უმცროსი შვილი — იონა — სწორედ ჩემს გაყვანილ გზას დაუყვა, უიარაღოს მომეპარა და მომკლა. არ ვიცი, ასეთი რა დავუშავე! თვალი დამეხუჭა, ვეღარ ვხედავ ჩემი სოფლის ლამაზ მიდამოებს, ხალხს. ნუ შეარჩენთ მტერს ჩემს სიკვდილს!“

დრტვინვამ და აღშფოთების გუგუნმა იმატა.

„თეიმურაზ, ჩემო არწივო, ჩემს მაგივრად შენ გაიცი პასუხი“, — ჩახრინწული ხმით დუდუნებს მოხუცი გურმაჩი. თეიმურაზს ფერი წაუვიდა, ხელები ჩუმად დამუშტა. უეცრად ამ აღშფოთების გუგუნში ქალის ხმა გაისმა:

— გურმაჩო, ხალხს რად აქეზებ, შური იძიეთო, გრიგოლის სახელს ტყუილად ხვევ მაგ საქმეში!

გურმაჩმა ციცად შეხედა თავაწეულ, ჭაღარაშერთულ ქალს და თავისი განაგრძო:

„ხალხო, იპოვეთ ჩემი მტერი და გადაუხადეთ სამაგიერო!“

ბარბარემ ხელები ჰაერში გაასავსავა, თითქოს უნდა საზარელი უბედურება ხალხს ააცდინოსო.

— ხალხო, მე ვიცნობდი გრიგოლ ზურაბიანს, პატარა ბიჭი იყო, როცა ვასწავლიდი, მაგრამ მისი სიტყვისა მაშინაც მეკეროდა. ძველი ადათების არაფერი სწამდა.

მან თვალი მოავლო ხალხს, უნდოდა მათ სახეებზე ამოეკითხა, მართალი ხარო, მაგრამ ყველამ თავი დახარა. მარტო ანთა გვერდიანმა შეხედა პირდა-

პირ. გურმაჩი ქალს მიუახლოვდა და დაცინვით უთხრა:

— ბარბარე, როცა შენ ბავშვებს ასწავლი, ჩვენ არ ვერევით! მაშ, შენ რად ერევი ხალხის საქმეში? ვინ მოგცა ნება, რომ ჩვენს ადათს გმობ? შეი სუსტი ხმა ვერ ჩაახშობს სისხლის ძახილს.

— მაშ, რაღად ვუნერგავდი გრიგოლს ადამიანობას, თუ მკგდარსაც კი ვერ დავიხსნიდი საგვარეულო მტრობის კლანჭებიდან? ქალი ხარ და შენი საქმე არ არისო! ამ საბედისწერო ადათის მსხვერპლის გლოვა და ტირილი ხომ იმავე ადათმა ჩვენ, ქალებს, დაგვკარა! მე ვგმობ ამ ადათს. რად გაჩუმებულხართ, ქალებო, როცა გულში თქვენც ამასა ფიქრობთ?

— ბარბარე, შენ შებღალე მიცვალებულთან გამოთხოვების წესი. დაგგტოვე, ბარბარე! — გაკიცხვით უთხრა გურმაჩმა.

ბარბარეს ხმა აღარ ამოუღია, მტრიალდა და კარისკენ გასწია. ისევ თავღებული მიდიოდა. ხალხი გზას აძლევდა, მაგრამ აღშფოთებული აყოლებდა თვალს.

III

ის იყო მზე დომაი-უღლანის ქედს მოეფარა, ხეობაში მყინვარიდან ცივი ჰაერი დაიძრა. დასავლეთის მხარეს, მწვერვალზე, თეთრქობიანი ღრუბლები მოგროვდნენ. აბრეშუმივით ნისლი აქა-იქ შენაოქმდა. ნაზი ბოკკოებივით გაიშალა ქედზე და ამწვანებული საძოვრები, პორფირიტების ჩაშავებული ქედები, ხეობებში ჩაწოლილი თოვლი, ოქროსფერი, მოჩხრიალე ნაკადულები, და თეთრი გვირილები თითქოს უსიოვ ზეყალზე ამოტივტივდა. ფერდობზე, თამამად მობიბინე ბალახში— თითქოს ფირუზი ცის ანარეკლიაო, ბღუჯად-ბღუჯად აყვავებული კესანეც გამოჩნდა.

ციცაბო ბილიკთან კლდეს მიჰყუდებოდა შუა ტანის, ჯმუხი, ჩოხიანი კაცი. თავზე რუხი, მოთელილი ქუდი დაეკოსებინა, ჩაკანგებული ბრაუნინგი ქამარში გაერჭო, ბარძაყთან ტყავის ჩალითიანი დანა ეკიდა.

დიდი ღონე ემჩნეოდა მის გარგნებას, კუნთოვან მკლავებს, ბექობივით წამოდგმულ მკერდს. მოწითალო წვერი წამოზრდოდა. ყინულის ნატეხებივით გაცივებული მორუხო-მიმწვანო თვალები შეგაკრთობდა. ამ თვალების პატრონი არც არავის შეუშინდებოდა, არც არავის დაინდობდა.

ის ქვევითკენ იცქირებოდა, ჩხალთის ხეობაში. ზურაბიანის საფლავთან ისევ ირეოდა ხალხი. კაცი თვალს არ აშორებდა ამ ადგილს და მის თვალებში ხან ბოროტება იელვებდა, ხან სულაც უაზროდ აშტერდებოდა რაღაცას. რაღაც სიტყვებს ჩურჩულებდა, იცინოდა, სიცილის დროს ყვითელი ღრძილები მოუჩანდა. ამ ეულად მდგარი კაცის სიცილი მთაში ჩაგუბებულ სიჩუმეს სჭრიდა.

იონა გულჩიანი კმაყოფილი იყო, რაც მოხდა.

მაშ, ამდენს რაღაც ფიქრობდა? ვის ედავებოდა? რად იგონებდა წარსულს, გაქსუებულმა სინდისმა რაღად გაიღვიძა? თავის თავს კი არა, მიცვალებულის მამას, ვარლამ ზურაბიანს ედავებოდა.

„ძლივს ეს დღეც დადგა! სამაგიეროს გადახდის დღე! სისხლით მოირწყო შენი შვილის საფლავი. სწორედ ათი წლის წინ გადმოაბიჯე, ვარლამ, ჩემი სახლის ბჭეზე და უბედურება მომიტანე. დაგავიწყდა, რა სიტყვები უთხარი მამაჩემს — ბექას? შენ თუ დაგავიწყდა, მე ისევ მახსოვს. შენი ვაჟების გარდა, ყველანი გავედით უდელტეხილის დასაცავადო. ეს იმას ნიშნავდა, თითქოს ჩვენ, ბექამ და მისმა შვილებმა, მტერს ხელში ჩავუფდეთ სამშობლო. შენა თქვი ეს სიტყვები, თუმცა ჩვენი მახვში არა ხარ და მსაჯულადაც არავის აურჩევიხარ. მე ყველაფერი მახსოვს, ყოველი სიტყვა. ჩემმა თორმეტი წლის ბიჭმა გადაწყვიტა, „გამოესყიდა“

ლიდა კოღოშვილი
ქმნები

დანაშაული და თავისი უგუნურობით იმ დღესვე გაიქცა სახლიდან. მე შევებრძოლები გერმანელებს, თუ უღელტეხილზე გადმოვლენ.

ბეერი ვეძებეთ ლაზო, მაგრამ მის კვალსაც ვეღარ მივაგენით. რა მოუვიდა ჩემს შვილს, დღესაც არ მეცოდინებოდა, ლაზოს დაღუპვის მოწმე რომ არ გამხდარიყო სიმონ გასვიანი. აი, ლაზო დადგებოდა ვაკეკაცი, სვანი ვერ აკოობებდა, მაგრამ შენი მიზეზით, ვარლამ ზურაბიანო, დამეღუპა შვილი. ათი წელია მას შემდეგ, მაგრამ ჯერაც არ გამგრილებია ცეცხლმოდებული გული. შენ დამატეხე თავს ეს უბედურება და შენვე უნდა ზღო სამაგიერო.

დიდხანს ვუთვალთვალე შენს უფროს შვილს, ჩოპანს, რომ სიცოცხლეს გამომესალმებინა. მოკვლით ვერ მოეკალი, მაგრამ დავეჭერი. ციხეშიც ჩავჯექი; შენ კი ისე გეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარაო. იმითაც კი არ შეიფუჩე თავი, გეთქვა, ჰო, მე შენთან ვტყუივარო, რომ ამით ჩემი გაბოროტება დამეცხრო. ეჭვი არ გეპარებოდა, რომ ძალა შენს ხელთ იყო და დარწმუნებული იყავი, რაკი დამსჯიდნენ, სამუდამოდ გამინელდებოდა ღადარი შურისძიებისა. როცა მე ციხეში სული მხდებოდა, ჩემს ოჯახს ყველამ ზურგი შეაქცია. შენ მდიდარი და ბედნიერი ოჯახი გქონდა, შენთვის ძნელი არ იყო, სიკეთე გამოგეჩინა. ჰოდა, ისევ შენ, ჩემმა დაუძინებელმა მტერმა, გაუწოდე ხელი ჩემს გაჭირვებულ ოჯახს. ნუთუ ერთხელ არ იფიქრე, რა შეურაცხყოფა მომაყენე? რა დამავიწყებს შენს სიტყვებს, შენს საქციელს! ციხიდანაც იმ ფიქრით გამოვედი, მალე გაგსწორებოდი! მაგრამ ბეჭამ გამაჩერა, ნუ ჩქარობ, დროს დაელოდე და შური ისე იძიეთ. მეც დროს ველოდი. დიდხანს ველოდი. ჰოდა, როცა ერთი ვაჟის ანაბარა დარჩი — შენი უმცროსი შვილი, შენი იმედი, შენი სიამაყე ხელიდან გამოგაცალე. ეს ჩემი ვალი იყო და აღვასრულე კიდეც.

მაისში, გამარჯვების დღეს გრიგოლი სოფლის ყრილობაზე გამოვიდა: სისხლის აღების ადათი ჩვენში მოისპოო, ვუყურებდი გრიგოლს და გულში ეფიქრობდი, მაგ სიტყვებს უკან წაგაღებინებ-მეთქი".

ბინდი ჩამოწვა მთებში, აცივდა. იონა გულჩიანმა ვერც ეს სიცივე იგრძნო. ისევ თავის თავს ელაპარაკებოდა. ვერა და ვერ დაიმშვიდა აფორიაქებული სინდისი.

IV

სამი დღით ადრე, ვიდრე ეს უბედურება დატრიალდებოდა, იონა გულჩიანის ეაკი, ბადრი, ჩია ტანის, მაგრამ მკვრივი ბიჭი, დილით ადრე გავარდა სახლიდან და დიდხანს იტანტალა შარ-ვალაკაპიწეებულმა მდინარე რეკვის პირას. დიდი ხანია გული მოუწევს აქეთკენ. ძლივს იხელთა დრო. გუშინ ძალზე არეული დღე იყო. დღესაც გუშინდელი დღე არ განმეორდესო, ნატროობდა. გუშინ დილიდან ბინდამდე რვა გზა გააკეთა, წისქვილში მიჰქონდა საფქვავი. ჯერ ასე არ დაღლილა! „ნეტა რაში გვინდა ამდენი ფქვილი? ზოგი ხვალ დავფქვათ", — უთხრა მამას, მაგრამ იონამ ისე შემოუტია, ბადრიმ ხმა აღარ გასცა. „ჩუმად იყავი, ის გააკეთე, რასაც გეუბნებიან", — გაჯავრებული იმეორებდა ბადრი მამის სიტყვებს.

დღეს სულ სხვა იყო! ხელსა ჰყოფდა წყალში და ქვების ქვეშ უსვამდა. თითები თევზის ლაყუჩებში წასავლებად ჰქონდა მომარჯვებული. ორი თევზი დააფრთხო და კარგა ხანს მოუნდა, ვიდრე ნაპირზე გადმოაგდებდა აფართხალებულ ვერცხლისფერ კალმახს. ცივ წყალში ხელ-ფეხი გაეყინა, მაგრამ ეს გუშინდელთან შედარებით ნეტარება იყო! უცებ მოაგონდა, სახლის კედელთან მიწყობილი ფქვილის ტომრები ღამე სადღაც გაქრა. შინიდან რომ გამოდიოდა, მაშინვე შეამჩნია, მაგრამ გონებამდე მხოლოდ ახლა მოაღწია, ფქვილი გაზაფხულამდე ძლივსა ჰყოფნიდათ, ზედმეტი არასოდეს არა ჰქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, სად წაიღეს? აქ რაღაც ამბავია!

წყლისაგან გასლიპულ ლოდზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა... გუშინ, ბინდის ხანს, როცა უკანასკნელი ტომარა ფქვილი მიიტანა, დედა გამოეგება საშველად. ბადრიმ არ დაანება. დედა ისეთი სიბრალულით უყურებდა, რომ ბადრის გააჟრჟოლა. მერე მოეჩვენა, დედა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ინონამ დაუძახა და დედამ ფეხს აუჩქარა.

რამდენჯერ შესცოდებია ბადრის დედა! ციხიდან გამოსული ინონა ოჯახში მწყარე-მწყარეებს არავის ულევდა და პატარა რამე ჰყოფნიდა, რომ გაჯავრებულიყო. დედას ხომ სულსა ხდიდა. ბადრის ხშირად ნამტირალევი დახვედრია დედა.

ერთ ღამეს დაჩირქებული მუხლის ტკივილმა გამოაღვიძა. ოთახში ბნელოდა. თუთუნის კვამლის სუნი იგრძნო. კუთხიდან, სადაც მშობლებს ეძინათ, ჭამის ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, დედა მალიმალ აწყვეტინებდა სიტყვას. ბადრი გაინაბა და ყური მიუგდო.

— ერთი სათითე ფქვილიც არ უნდა გამოგერთმია, ყველის ერთი ნამეცეციც არ უნდა აგეღო.

— როგორ მეკრა ხელი, ინონა! წრფელი გულით მოჰქონდათ, ჩვენ არაფერი გაგვაჩნდა...

— ჩვენი ადათი ასეთია, როცა ქალს ქმარი შინ არა ჰყავს, უცხო კაცისაგან დახმარება არ უნდა მიიღოს, თუ ის პატიოსანი ქალია!

— ჩემს პატიოსნებაზე ვის რა აქვს სათქმელი! — ტირილით ეუბნებოდა ცოლი, მაგრამ როცა ინონას ბოროტად გაეცინა, მან ამაყად მიუგო: — ნუ დაგავიწყდება, შენ რაც ჩაიდინე, იმის მერე შენს ოჯახს თემი არ დაეხმარებოდა.

— შიმშილი სჯობდა თავის მოჭრას, — ციცად უთხრა ინონამ.—სჯობდა, ყველანი დახოცილიყავით, ვიდრე ვისიმე დახმარება მიგეღოთ. ისიც იმისგან, ვინც ჩვენი ოჯახი დაღუპა. ვერც ახლა მიხვდი ამას, შე გამოყეყეჩებულო?

— ეჰ, ჩვენი ოხერი ბედიც ეს იყო! — ტიროდა ბადრის დედა.

— ბედი კი არა! — გააფთრებით შეჰყვარა ინონამ და ხველა აუვარდა. დიდხანს ახველა. ხველა რომ გაუჩერდებოდა, ვიღაცას ემუქრებოდა ჩახლეჩილი ხმით, მაგრამ ვის ემუქრებოდა, ვერ გაიგო ბადრიმ. როცა დედის ტირილი მოესმა, მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო.

— გონს მოდი, ინონა, ვითომ კიდევ რას აპირებ!

ბადრი თავის ძმაზე, ლაზოზე, ფიქრობდა. ბუნდად ახსოვდა ძმა. ეამაყებოდა, რომ ისეთი უშიშარი იყო. მამამ ვიღაც ახსენა, ვისაც ლაზოს სიკვდილში ბრალი ედო.

— ეგ ტყუილია, მთელმა სოფელმა იცის, როგორ დაიღუპა ლაზო. სიმონმა თავისი თვალით ნახა.

ეს იმ დროს მოხდა, როცა მთიელთა მოლაშქრე რაზმებმა ვერმანელები უღელტეხილიდან გადარეკეს. ქლუხორის ტბისკენ გასვლა სახიფათო იყო. კლდეებში შემალული ვერმანელები ზარბაზნებს უშენდნენ ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას. ეს გზა სწორედ ქლუხორის ტბის ნაპირს გასდევდა. ამ გზის გაწმენდა თავს იდო ალპინისტების ჯგუფმა. თეთრად შენიღბულ მეომრებს თოვლში ვერ ამჩნევედნენ ვერმანელები. ერთ ასეთ ჯგუფს დაეწია პატარა ლაზო. გზაზე ნაპოვნი თოფი მხარზე ვაედო და ისე მოაბიჯებდა, თითქოს დიდი ვინმე ყარამანი იყო. სწორედ ამ გზაზე ნახა იგი დაჭრილმა სიმონმა, იგი საექიმო კარავისკენ მიჩლახუნებდა. ლაზომ გეერდით ჩაურბინა, სიმონმა დაუძახა, მაგრამ ბიჭი არ გაჩერდა. სიმონმა თვალი გააყოლა ლაზოს. ბიჭი ციცაბო ფერდობს აჰყვა და ბილიკზე გავიდა. სწორედ ამ ბილიკზე ცოტა ხნის წინ მეთხილამურე ჯარისკაცებმა გაიარეს. ბილიკი ზედ ტბის ნაპირზე, კლდის ძირში გადიოდა. ლაზოც ამ ბილიკზე მირბოდა. სიმონმა თავისი თვალითა ნახა. უცებ ზარბაზან-

---

ლიდა კოღოშვილი
ძმები

მა დაიგრიალა. თოვლის, ქვიშისა და ბოლის კორიანტელი დადგა. როცა გზა ისევ გამოჩნდა, ლაზო იქ აღარ იყო.

ბადრი წყლის ნაპირზე იჯდა. გულზე ნაღველი ეხვეოდა. ყოველი სიტყვა ახსოვს ის ღამისა, კილოც კი, რა კილოთი იყო ნათქვამი, ისიც ახსოვს. იქნება სწორედ იმღამინდელ ლაპარაკში იმალება პასუხი იმისა, მამას სახე სულ ასე რომ ჩამოსტირის, ასეთ უეცარ გუნებაზე რომ არის.

როცა მინდორში არიან და ბადრი მამას ეხმარება, ან როცა სანადიროდ მიპყვება, ბადრი აღტაცებული უყურებს და უხარია, რომ ეს ღონიერი, მარჯვე კაცი მისი მამაა, მაგრამ მამისაგან ბადრის ბევრი წყენაც ახსოვს.

ერთი ამბავი დღემდე არ დავიწყებია ბიჭს, რად ესროლა მამამ ჩოპან ზურაბიანს?!

ჰო, დღემდე არ იცის ბადრიმ, რა უსიამოვნება ჩამოვარდა მამასა და ჩოპანს შუა. თუ კიდევ რამე იყო სადავო, ამ სიკვდილმა გაასწორა. მაშ, მამა ისევ რად არის გაბორტებული! ვის ემუქრებოდა იმ ღამეს?

ბადრიმ თავი გაიქნია. დღეს მეტისმეტად გაავწვალეს ფიქრებმა და მოსვენება აღარ მისცეს. თევზაობა ვიღა ახსოვს! ლოდიდან ჩამოხტა, პირდაღებულ კალმახს ქალამნის ჭვინტი ამოჰკრა და წყალში გადაავდო. თევზი წყალში შეცურდა. ბიჭს გაეღიმა და შინისკენ მოუსვა.

V

ბადრი ეზოს ღობეს გადაეკრა. მამა წინ შემოხვდა.

— სად დაეხეტები? — უკმეხად უთხრა შვილს.

— ვთევზაობდი.

— დღეს რა დროს თევზაობაა?

— ვითომ დღეს რა ამბავია? — გაოცებით ჰკითხა ბადრიმ. მამას მხარზე თოფი დაუნახა და მხიარულად დაუმატა: — სანადიროდ მიდიხარ?

— ჰო, ვაპირებ.—ენაზე იკბინა იონამ და ბიჭს შეხედა, ხომ არაფერს მიხვდაო, თვალი გვერდზე გააპარა. ... შვილს უთხრა: — აბა, ერთი საწყობისაკენ გაიქეცი, ნახე, მუშებს ხელსაწყოებს აძლევენ თუ არა. თუ აძლევენ, ერთი კარგად დამისტვინე. თუ ჯერ არ აძლევენ, დაიცადე. როცა მისცემენ და კაცები სამშაოდ გზაზე გამოვლენ, მაშინ დამისტვინე. მე არ მინდა გამოვჩნდე, — იონა გაჩუმდა მერე ისევ შვილს მიუბრუნდა: — ჰო, თუ თადია საწყობშია, ერთხელ დამისტვინე, თუ საწყობიდან გამოვა — მაშინ ორჯერ. დაიხსომებ?

— ჰო, დავიხსომებ, მამა! — მკვირცხლად მიუგო ბადრიმ. ბიჭს მოეწონა ეს საიდუმლო ლაპარაკი. მამის ნათქვამი არც გაჰკვირვებია. იცოდა, მამა სანადიროდ რომ მიდიოდა, ხალხს ერიდებოდა. ეს თოფი ქლუხორის უღელტეხილზე იპოვა. ღმერთმა ნუ ქნას, სოფლსაბჭოში გაიგონ!

ბიჭი ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ფერდობზე. უცებ რაღაც ეშვი აიღო და შედგა. ტყეში თუ მიდის, რატომ ზევით არ დაადგა ბილიკს? ან მუშები რას დაინახავდნენ იქიდან! თუ რამდენიმე დღით აპირებს სანადიროდ წასვლას, რატომ საგზალი არ წაიღო? ჰო, კარგად ახსოვს, აბგა თან არა ჰქონდა! ბადრის მოაგონდა დილით ადრე ამდგარი ოჯახი, ფქვილით სავსე ტომრები სადღაც რომ გაქრა... და ისევ მამა დაუდგა თვალწინ. უცებ ბადრის ფერი დაეკარგა. „უჰ, შე გამოტვინებულო! მამაშენი ისევ ვიღაცას უპირებს მოკვლას და უნდა ამ საქმეში შენც მიეხმარო“. ბიჭმა შუბლი შეიჭმუხნა და პირი შინისაკენ იბრუნა. ხელებს მუშტავდა და მიწას ჩასცქეროდა. ვიღაცა უნდა მოკლას! ნეტა ვინ უნდა მოკლას, ან რისთვის კლავს?

ბადრი აქოშინებული შევარდა შინ. ოჯახში ერთი არეულობა იყო. ყველანი ფაციფუცში იყვნენ. ტანისამოსსა და ლოგინისა ჩარავდნენ. ხურჯინში ყველის კვერებსა ჰყრიდნენ. სოხანეზეს ქვაბები და სხვა საოჯახო ნივთები ეყარა.

— ფრიდონს უშველე, ბადრი. ცხენებს ბარგი აჰკიდე. საჩქაროდ უნდა

გავშორდეთ ამ სახლს! — აკანკალებული ხმით უთხრა დედამ.

ბადრიმ დედის ათრთოლებულ წარბებს შეხედა.

— გზაზე თოფი გავარდება თუ არა, უნდა გავიქცეთ!

დედამ ღონიერი ხელი დაავლო დიდ ფუთას, მხარზე შეიდგა, მკაცრად გადახედა შვილს და ეზოში გავიდა.

„გზაზე? გზაზე ვინ უნდა მოკლას?“ — ფიქრობდა ბადრი.

„იონა, გონს მოდი, რა ჩაიდე გულში?“ — მოაგონდა დედის სიტყვები, იმ ღამეს რომ გაიგონა... „თუ თადია საწყობში იქნება, ერთხელ მოკლედ დაუსტვინე!“ „თადია გრიგოლის ბრიგადირია, ისინი ერთად მუშაობენ. შენ იმისგან ერთი სათითე ფქვილიც არ უნდა აგიღო“.

ბურანივით აგონდება ბადრის და რაღაცას ხვდება... მაშ, თუ თადია საწყობში შეფერხდება... უცებ გონს მოეგო და დედას გამოუდგა.

— ვინ უნდა მოკლას, მითხარი? — შესძახა ბადრიმ.

დედა ჯორს ტვირთავდა. მან ბიჭს ხმა არ გასცა, მაგრამ გაქვავდა. ბიჭი დედას სახეში ჩაუშტერდა. დედამ ათრთოლებული ქუთუთოები ასწია და შვილს შეხედა. ამ თვალებში ისევ ის ფარული დარდი და სიძულვილი ამოიკითხა. დედას თვალები ცრემლით დაენისლა, მაგრამ თავს სძლია და უაზროდ შეხედა შვილს. ბადრისთვის ეს ერთი გამოხედვაც საკმარისი იყო, მისი ეჭვი გამართლდა.

ბადრი უცებ ბილიკზე გაჩნდა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა თავქვე. „ჩქარა, ჩქარა! უნდა მივუსწრო! ეგებ თოფი კიდეც დაუმიზნა... უნდა გადავარჩინო, რაც არ უნდა მოხდეს, უნდა გადავარჩინო!“

ჯერ შარაზე არ იყო გასული, სროლის ხმა გაიგონა. ბიჭი გაშეშდა და გულზე წაივლო ხელი, თითქოს იმას მოხვდა ტყვია.

— მაშ, უკვე ესროლა! — ჩაილაპარაკა ხმაჩამწყდარმა ბადრიმ.

„არა, არა ეს იმას არ უსვრიან“ — შესძახა მან და ისევ თავქვე დაეშვა. ფეხები ეხლართებოდა, გონი ეკარგებოდა, მაგრამ მაინც გარბოდა.

— სად მირბიხარ? — ხელი წაავლო მამამ.

მოულოდნელობისაგან ბიჭი შეკრთა, აკანკალებულს კბილს კბილზე აცემინებდა.

იონა გულჩიანს გაეცინა:

— ნიშნის მიცემა დაგავიწყდა?

ბიჭი თავდახრილი იდგა.

— ლეკვივითა ძაგძაგებ. იონა გულჩიანის შვილი ასეთი არ უნდა იყოს! მე თუ შური ვიძიე, ეს იმასა ნიშნავს, რომ შენც იძიე შური. ჩემს შვილს გული ფოლადივით მტკიცე უნდა ჰქონდეს და დანის პირივით ულმობელი.—მან წარბები შეჰყარა. — ეს კი ვისა ჰგავს! ვმირი შვილი დავკარგე და შინ ლაჩარი დამრჩა. რაკი ასეა, შენც გრიგოლ ზურაბიანის სისხლიან კვალს გაგაყოლებ, — მან ბიჭს თოფის კონდახი მოუქნია.

ბადრიმ დაიკვნესა და გადახტა. მზემოკიდებული სახე გაულურჯდა. მაგრამ იმავე წამში უშიშრად გამოეჭიმა მამას, თითქოს ეუბნებოდა, დამარტყიო. ბიჭი ისეთი აშკარა სიძულვილით უყურებდა მამას, რომ იონამ უნებურად თოფი დაუშვა.

— გასწი, — უთხრა შვილს და წინ გაიგდო.

ბადრი მიტრიალდა და მხრებში წახრილი, მთაში გაჰყვა მამას.

VI

განთიადის ბინდბუნდი ჯერ არ აკრეფილიყო ხეობაში. მზისაკენ მიბრუნებული დათოვლილი მწვერვალები უკვე წითელ სხივებში პირს იბანდნენ.

თეიმურაზ ზურაბიანი ბილიკს მისდევდა. ამ დილაადრიან რა უნდა მთაში? წინადღეს მწყემსებმა ამბავი მოიტანეს, იონა გულჩიანი მთაში ვნახეთო.

თეიმურაზმა პაპის პატარა დანა ჯიბეში ჩაიდო, გათენებამდე გაიპარა ში-

ნიდან და გზას გაუდგა მწყემსების საზამთრო ბინისაკენ.

ბავშვი რომ არა ყოფილიყო, აბა ამას იზამდა? მტერს უნდა შებმოდა, ჰაპის დანას კი სუსტ ხელს ძლივს უჭერდა. მამის ანდერძი ისევ ყურებში ედგა: „ჩემო არწივო, აბა შენ იცი, ჩემს მაგივრად შური იძიე!“—კი არ მიდიოდა, მიჰქროდა.

მზემ თავი ამოჰყო და ტყეში ჩაშავებული ნაძვის კენწეროებს ცეცხლი წაუკიდა. ბიჭს დაავიწყდა, რად ამოვიდა მთაში. ბუნების სილამაზემ გაიტაცა, მაგრამ გული უცებ სევდით აევსო. „მამაჩემი ხომ ვერასოდეს ვერ ნახავს ამ ნაძვებს, ამ მოჩხრიალე ნაკადულებს!“

ბილიკი ნაპრალს მისდევდა. ამ ბილიკს მიჰყვებოდა თეიმურაზი. უცებ ცისფერმაისფრიანნი ბიჭი დაინახა. იგი ნაპრალს ჩასცქეროდა და თეიმურაზს ვერ ხედავდა.

„ჩემი მტრის შვილიც ხომ ჩემი მტერია. — გაიფიქრა თეიმურაზმა, — ხელს ვკრავ და ხევში დავაგორებ. მაგრამ ზურგიდან მიპარვა რა ვაქკაცობაა!“

— ეჰეი!.. — დაუძახა მან.

ბიჭი შეკრთა. თეიმურაზმა ზიზღით შეხედა ბადრის.

— მამაშენი სად არის?

— მამაჩემი? — ბადრი შეყოყმანდა

— ჰო, კი არაფერი მოჩჩახო.

ბადრიმ ისევ დაუგვიანა პასუხი.

— მამაჩემი დილაადრიან ქვევითკენ დაეშვა...

— სტყუი!

— არ გატყუუბ, ქვევით წავიდა.

ბადრის გააკანკალა. თეიმურაზმა სიმწრის ნერწყვი ჩაყლაპა.

— ის თუ არ არის, შენ ხომ აქა ხარ!

ბადრი არ განძრეულა, ჩუმად იდგა და ჩამუქებული, სევდიანი თვალებით იცქირებოდა.

— ადათიც ხომ ამას მოითხოვს... — თეიმურაზს სახე სიბრაზისაგან გაუწითლდა. — მამაჩემის ანდერძიც ამას მავალებს...—თეიმურაზმა ხელები დამუშტა და ნაბიჯი გადადგა ბადრისკენ, — მამების ანგარიში ახლა ჩვენ უნდა გავასწოროთ.

ბიჭებმა ერთმანეთს თვალი შეავლეს.

— აი, აქვე, სადაც ვდგავართ!

ბიჭებმა ისევ შეხედეს ერთმანეთს, მერე კლდეს გააყოლეს თვალი. ფეხი ერთი რომ აუცდეთ, უფსკრულში გადაცვივდებიან.

ბადრიმ თავი გაიქნია.

— მე შენ არ შეგებრძოლები, — თქვა მან.

— მხდალო, — შესძახა თეიმურაზმა და ბადრის წინ დაუდგა, — შეგეშინდა?

ბადრის თვალის კილოები დაუვიწროდა. მან შეხედა თეიმურაზს და კბილებში გამოსცრა:

— კიდეც რომ მოგერიო, კლდეზე მაინც არ გადაგაგდებ.

თეიმურაზი უცებ შეკრთა. გუშინ მამის ანდერძი რომ ესმოდა, თავის თავს ფიცი მისცა, შურს ვიძიებო. ახლა კი რა მოუვიდა, ხელები ჩამოუცვივდა. ნუთუ ისეთი უნებისყოფოა, რომ მამის ერთადერთ სურვილსაც ვერ შეასრულებს?

მან ბადრისკენ გააპარა თვალი. ბადრი გულღიად უყურებდა. ეს სითამამე შეურაცხყოფად მიიღო თეიმურაზმა და მამაც და შვილიც ორივე შესძაგდა.

— აქ დანდობა არ შეიძლება! — შესძახა მან და ბადრის მუშტი შემოჰკრა.— მამის დანაშაულზე შვილმა უნდა აგოს პასუხი!

თვალდახუჭული, კლდეზე გაკრული ბადრი ხელს არ ანძრევდა.

— კლდეს რომ გაეკარი, აბა, თუ ბიჭი ხარ, აქეთ გადმოდი!

თეიმურაზმა მაისურაში წაავლო ხელი და თავისკენ მოითრია. მაისურა ჩაიხა და სურათი გადმოვარდა.

— მამაჩემის სურათს შენთან რა უნდა?

თეიმურაზი ასაღებად დაიხარა, მაგრამ ბადრიმ დაასწრო თეიმურაზს. ხელი ჰკრა და სურათი თვითონ აიტაცა. თეიმურაზი ბადრის ხელში სწვდა.

— მომეცი, ახლავე მომეცი! — დაეჯაჯგურა იგი. ბადრიმ მთელი ძალ-

ღონე მოიკრიბა და გაქცევდა. რამდენი არ ეწვალა თეიმურაზი, ხელები ვერც გაეხსნა, ვერც გადმოუბრუნა. კატასავით მოქნილ თეიმურაზს მოხერხება არ აკლია, ჭიდაობს კიდეც, და ახლა ჭიდაობის ყველა ფანდი იხმარა, რომ ბადრისთვის მამის სურათი წაერთმია, მაგრამ ვერაფერს ვერ ახერხებ. ბოლოს მოწინააღმდეგეს ყელში სწვდა.

— არც ახლა მომცემ? — ჰკითხა გაჭირვეულებულ ბიჭს.

— არ მოგცემ, არა! — ძლივს ამოიღო ხმა სულშეგუბებულმა ბადრიმ.

ბიჭი გალურჯდა, ხრიალი დაიწყო, მაგრამ თითები მაინც არ გაშალა. ბიჭი თითქოს კუნთების გორგლად იქცა. რვაფეხასავით სადღაც შემალა თავისი მარწუხები. თეიმურაზს დაავიწყდა, რომ ნაპრალის პირას იდგნენ, მანძილი ვერ მოზომა, უცებ ფეხქვეშ საყრდენი გამოეცალა და უფსკრულში ჩაეკიდა.

ეს ისე მოხდა, რომ ბავშვებმა სიკვდილის შიშიც კი ვერ იგრძნეს. რვაფეხამ უცებ თავისი მარწუხები გამოუშვა და თვალისდახამხამებაზე ამოსწია თეიმურაზი.

— მე შენი ველა არ მინდა, მამაჩემის სურათი მომეცი!

ბადრის აღარ ეჭირა ხელში სურათი, იგი არც კლდეზე ეგდო. სურათი აღარსად იყო. ბიჭები კლდეზე გადაწვნენ და უფსკრულს გადაეკიდნენ. შორს, კლდის ძირში, შავ ნაყარზე თეთრად მოჩანდა რაღაც. ბიჭებს სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, კლდეზე ჩაცურდნენ. მიბობღავდნენ და თან იელის ბეჭქებს ეჭიდებოდნენ, მთელ სხეულს სძაგრაგდნენ, კლდეს მუცლით ეკერდნენ, ფეხის თითებით სინჯავდნენ დამსკდარსა და დაკბილულ ქვებს, ეხლაუმეტბოდნენ კლდეს და ხელის მოსაჭიდებელს ეძებდნენ. ერთმანეთის ჯიბრით პატარა ბიჭები ციცაბო კლდეზე ხვლიკებივით მიძვრებოდნენ. სურათი კი ისევ კლდის ძირში ეგდო. ეს სურათი ძალას მატებდა და ამხნევებდა ბიჭებს. ბადრი ერთი-ორი ნაბიჯით უკან ჩამორჩა და რომ დაესწრო სურათის აღება, კლდიდან ნაყარზე ჩახტა, ქუსლი წვეტიან ქვას დაჰკრა და გაიჭრა. ნაყარი დაიძრა და სურათიც თან წაიყოლა. ბადრი ცდილობდა შეეშაგრებინა ნაყარი მიწა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თეიმურაზს სურათი ხელში ეჭირა და დაცურებულ ქვა-ღორღს შეშინებული უყურებდა. უცებ გაიქცა, ბადრის ხელი სტაცა, წელზე ხელი მოხვია და გადაიყვანა. ბადრი ძლივს ადგამდა დაჭრილ ფეხს.

თეიმურაზი გვერდში მისდევდა ბადრის და რაღაცაზე ფიქრობდა, მერე მამის დაჭმუჭნილი სურათი გაუწოდა და უკმეხად უთხრა:

— აჰა, შენი იყოს.

VII

ისინი კლდეზე ისხდნენ დადუმებულები. თეიმურაზი ხეობას გასცქეროდა. რამდენჯერმე მიხედა ბადრის, მერე გაუბედავად ჰკითხა. ხმაზე ეტყობოდა, გულში უკვე შერიგებოდა მას.

— ეს სურათი გუშინ დილით სახლიდან გაქრა, შენ წაიღე?

ბადრიმ დაბლა დახარა თავი. თეიმურაზმა დაკინებით შეხედა, რაღაცას მიხვდა და უცნაურმა მღელვარებამ შეიპყრო. ჯერ ბავშვები იყვნენ და თვითონაც ვერ გაერკვნენ, რა მოხდა, მაგრამ რაც მოხდა, ამან გულახდილობისაკენ უბიძგა ორივეს.

— არ შეგეშინდა? სოფელში როგორ ჩამოხვედი, ისიც დასაფლავების დღეს? — ჰკითხა თეიმურაზმა.

ბადრი შეკრთა, შეხედა თეიმურაზს. სახეზე შეეტყო, რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ გადაიფიქრა და მუხლებს დაადო თავი. თეიმურაზი ისევ ჩაეკითხა:

— რად გინდოდა სურათი?

ბადრიმ თავი ასწია, გულგრილი სახე უცებ მწუხარებით დაებინდა. ნაღვლიანად ამოიკვნესა და თეიმურაზს სახეში შეხედა.

— მარტო შენ გიყვარდა გრიგოლ ზურაბიანი? მეც მიყვარდა, ჰო, ყველაზე მეტად მიყვარდა! რას მიყურებ, არა გჯერა? — მან ისევ მუხლებზე დადო

თავი, ტირილისაგან ტანი უთახთახებდა. მერე გასწორდა და თითქოს ახლა ხდება ყველაფერიო, ყრუდ დაიწყო:

— როცა მიეხვდი, რას აპირებდა მამაჩემი, გზისაკენ გავიქეცი. ვიფიქრე, მივუსწრებ და ვუშველი-მეთქი... ამ დროს სროლის ხმაც გავიგონე და წინ მამაჩემი ამეყუდა. მან მკლავში წამავლო ხელი. შენც ისე ჩაგაძაღლებ, როგორც ის... გრიგოლი ჩავაძაღლეო. მე ხმა არ გამიცია, მაგრამ მზად ვიყავი. უჰ, განა შენ მიხვდები, რა გავიფიქრე?

გაჩუმდა, თითქოს აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ უცებ თეიმურაზს მიუბრუნდა:

— შენ შეგიძლია შური იძიო, მე რა შემიძლია?

ბადრი ატირდა.

— გრიგოლი რომ არ დამხმარებოდა, განა მე სკოლას ვეღირსებოდი! — ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ბადრის ცრემლი. — დედაჩემს ჩააცივდა, სკოლაში გამოგზავნეო. მერე როცა სწავლაში ვიყოჩაღე, როგორ უხაროდა. — ბიჭი ისევ გაჩუმდა. — როცა გაგვიჭირდა, ბიძაშენს ფქვილი გამოატანა... — ისევ გაჩუმდა. მერე უცებ თვალები გაუბრწყინდა. — იცი, სკოლაში ხშირად ომზე გვიამბობდა, სულ სხვების გმირობაზე, თავის თავზე სიტყვა ერთხელაც არ დასცდენია. ჩვენ კი ვიცოდით, რომ ისიც გმირი იყო! ჰოდა, ასეთი ადამიანი ვერ გადავარჩინე... — ბადრიმ ამოიოხრა.—ახლა ნადირივით გარე-გარე უნდა ვიაროო. — ბავშვმა უცებად ჩაჰკიდა ფაფარი. თეიმურაზმა ცრემლიანი თვალებით ჩია ბიჭს ნამტირალევ სახეში შეხედა.

— არაფერიც არ უნდა იაროო გარე-გარე. ჩვენი ოჯახიდან შენ ხელს არავინ გახლებს. მე არ მივცემ ამის ნებას. ბარბარე მასწავლებელი გუშინ ამბობდა, გრიგოლს ნუ აბრალებთ ნურაფერს, ის სისხლის აღებას არ მოითხოვსო.

თეიმურაზმა გაუღიმა ბადრის:

— გუშინ არ მესმოდა, დღეს კი მესმის, რომ მართალია ჩვენი მასწავლებელი. — შენ სკოლაში ისევ ივლი, როგორც დადიოდი. თუ მამაჩემი გიყვარდა, ჩვენც ის საქმე უნდა გავაკეთოთ, რაც იმას უყვარდა. სვანეთის ყოველ კუთხე-კუნჭულში გზები გავიყვანოთ, სკოლები ავაშენოთ.

თეიმურაზმა სახეში შესცინა ბიჭს.

— იცი, კიდევ რა გავაკეთოთ? ჩხალთიდან საბაგირო გზა გავჭიმოთ. მაშინ ხალხი მყინვარებამდე ავა... მანამდე კი ძმობა შევფიცოთ ერთმანეთს.

მთის ბილიკს მიჰყვებოდნენ დაკაწრულები, დალურჯებულები, ტანისამოსშემოგლეჯილები. ერთმანეთს შველოდნენ... ცინცხალი დილის მზით გაწითლებულ გზაზე მშვიდად მიმავალ ხელგადახვეულ ბიჭებს თვალს აყოლებდნენ თანასოფლელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა მინდაძე

აპრილი

1

მე თოვლში ვწევარ. ამდენი თეთრი
არ მინახია არსად აქამდის.
ფანტელებისგან მოქსოვეს ჭერი,
კედლები, კარი, ფარდა, ხალათი...

და ზამთრის კეთილ ბაბუებს ჰგვანან,
ვის მხრებზეც თბილ თოვლს გააქვს ხასხასი...
...სწრაფად მოძრაობს ქირურგის დანა,
ცივი და ზუსტი, როგორც ნახაზი.

განაჩენივით სწორი და მკაცრი
სული უდგია ელვარე ლითონს...
...და თოვლი, როგორც დაფაზე ცარცი,
თავის ხანმოკლე სიცოცხლეს ითხოვს.

როგორც ხე ქარში, თოვლით დახრილი,
ფანტელებივით სულ ვფანტავ აზრებს
და ქლოროფორმის თეთრი მარხილი
მე მიმაქანებს თოვლიან გზაზე.

მე თოვლში ვწევარ. თეთრ ბანდად თოვლი
მეხვევა შუბლზე, ნიდაყვზე, მხრებზე...
და თეთრ ხალათში კაცი რომ მოდის,
კეთილი არის და ყოვლისშემძლე.

2

მე ვარ უმწეო ახლა ბარტყივით,
დღეები ფრთების შრიალით მიჰქრის.
თითქოს სიცოცხლე მოაქვთ ნისკარტით,
ისე წვეთ-წვეთად ვივსები სიხლით.

ასე წვეთ-წვეთად მოდის იმედი
და ის მამშვიდებს, როგორც სინაზე.
ჩემი ნერვები — გამძლე სიმები,
ისევ ეწყობა აპრილის ხმაზე.

და გაზაფხული რეკავს და მეხი
გაბუტულ ღრუბლებს ახვედრებს მაშინ...
და მე ჩაკეტილ ოთახში მესმის,
მდინარე როგორ ღრიალებს მთაში.

და ჩემი სისხლი აწყდება ვენებს,
ვით აკაციის ტოტები ფანჯრებს.
და მე ვგრძნობ, მალე უნდა გათენდეს,
უნდა განათდეს, უნდა გადავრჩე.

ღია ფანჯრებთან დილა იმორცხვებს,
გულზე იმედის ტალღად გადამდის
და მზე სიცილით, როგორც სიცოცხლე,
შემოვარდნილა თეთრ პალატაში.

3

ფანჯრიდან მოჩანს პატარა ბაღი,
მთელი ზამთარი რომ აციებდა...
აპრილმა ხეებს შეუგდო ნაღმი —
თეთრად აფეთქდნენ აკაციები.

ფრთებივით აკრავთ ტანზე ტოტები,
ქარი ვით საკენკს, ყვავილებს აპნევს...
ოთახში მყოფი ავადმყოფები
ბეღურებივით მიაწყდნენ სარკმელს.

უცხო მხარეში ჩიტების ყოფნას
ზღვარი დაედო — აპრილი მოდის.
...ჩემს საწოლიდან ლურჯი ცა მოჩანს
და აკაციის პატარა ტოტი.

ჩემს საწოლიდან ლურჯი ცა მოჩანს.
ღამით თავსდება ერთი ვარსკვლავი.
ის კეთილია, ჩქარობს ამოსვლას
და მოწყალეა სათნო დასავით.

მე ის ჭრილობებს სათუთად მიხვევს
და ოდნავ არხეინ შეორთქლილ მინას...
უსასრულობის უშორეს სხივებს
მე თავქვეშ ვიწყობ და მშვიდად მძინავს.

4

ტკივილი მოდის ადრე თუ გვიან,
ველურ ცხენივით არ აქვს აღვირი
და როგორც წვიმა შარაგზას მტვრიანს —
მე თეთრ მალამოდ მაწვეს აპრილი.

და აკაციის თეთრი ტოტები
ლურჯ ცაზე ჰგვანან დახატულს ცარცით...
და განაბულან ავადმყოფები —
ოთახს დაივლის ჭაღარა კაცი.

მას ყველა ანდობს სატკივარს რიდით,
სიცოცხლის გზების მპოვნელს და მძებნელს...
მასთან მოკლდება სიკვდილის შიში,
ვით ხეთა ჩრდილი შუადღის მზეზე.

სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი ომი...
და გამარჯვების მძაფრი წადილი...
ის თეთრად მოჩანს საწოლებს შორის,
როგორც მოხევე ქალის მანდილი.

ის დილით მოდის და მონდომებით
გვისმენს და ფიქრობს, სინჯავს და არკვევს...
და აკაციის სუსტი ტოტები
ბავშვის თითებით აღებენ სარკმელს.

5

დღემ გაიარა და მნახველებმა,
ვალმოხდილებმა საკუთარ თავთან,
სახლს მიაშურეს და მზის ხელებმა
დაუშვეს ციდან მსუბუქი ფარდა.

და აკაციის ნაზმა ტოტებმა
დაკარგეს თავის თეთრი ხალისი...
მერე მიყუჩდნენ ავადმყოფები —
ზოგი მორფით და ზოგი თავისით.

და ფანჯარაში შემოსულ ვარსკვლავს
(რომელიც ტკივილს ასე მიქარვებს),
მე მოვუყევი ის, რაც ჯერ არსად
და არავისთვის მითქვამს აქამდე.

...ქარში კიოდა მაღალი ოდა.
ცის სილურჯეში მირბოდნენ მთანი.
ქვებს ეხლებოდა და იმსხვრეოდა
გაავებული მდინარის ტანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის მოსვლას, როგორც მზეს და სინათლეს,
აღარ ვუცდიდი, აღარ ველოდი
და ულაყივით დამფრთხალ მდინარეს
ფეხქვეშ გიჟივით ვუვარდებოდი.

6.

ვეღარ ვუჯერებ საკუთარ თვალებს,
მე თვითონ მიკვირს, თუ როგორ შევძელ...
მე, როგორც ბაღი, გამოვიცვალე
აპრილის თეთრი წვიმების შემდეგ.

და ჩემი სისხლი აწყდება ვენებს,
ვით აკაციის ტოტები სარკმელს
და როგორც ქარი ტანაყრილ ხეებს,
აპრილის სუნთქვა მათრობს და მარხევს.

არ დამიშლია მე ასე ზუსტად
ჩემი წარსული, როგორც საათი,
მე ღონეს მაძლევს აპრილის სუნთქვა,
როგორც მდინარეს მცირე სათავე.

ჩემი განცდების მღვრიე მორევი
იწმინდება და ხდება ანკარა...
და მე ხვალინდელ დღისგან მოველი,
რაც უნდა მოხდეს და არ მომხდარა.

მხრებზე მაწვება მზე და სინათლე,
გაზაფხულის ცა, თეთრი ღრუბლები...
და მსურს აპრილი, როგორც მდინარე
ჩემში ბორგავდეს დაუსრულებლივ.

ამ დღეებისგან სიყვარულს ისე
მოველი, როგორც მზისაგან სითბოს.
...მე ის შემხვდება გზაჯვარედინზე
და აკაციის ტოტებით მიცნობს.

მოთხრობა

— არც ერთი არ ვარგა! არც ერთი არ არის პიკანტური, ერთი განახათ ოდესელი გოგონები. აი ისინი არიან, რაც არიან.

სანიამ და კოლკა მაზინმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს ისინიც არ თვლიდნენ თანაკლასელ გოგონებს „პიკანტურად". სინამდვილეში კი ამ სიტყვის მნიშვნელობა არც იცოდნენ. როცა ისინი ერთად დასეირნობდნენ ქალაქში, იგორი გოგონებს აშტერდებოდა. გოგონები დარცხვენილი ჩაიცქიდნენ. სანია კი ამ დროს რატომღაც უხერხულად გრძნობდა თავს. მართალია, სანია ბევრ რამეში კრიტიკულად უყურებდა იგორს, მაგრამ არც იმდენად, რომ მასთან მეგობრობა შეეწყვიტა. ამაზე იგი არც ფიქრობდა და ყველაფერს აკეთებდა, რაც იგორს სურდა: მასთან ერთად აცდენდა გაკვეთილებს, დასეირნობდა მოსკოვის ქუჩებში და აღტაცებული იყო მისი მსჯელობით. როცა მათ კოლკა მაზინი ჩამოშორდა, როცა იგი, იგორის თქმით, „მართლმორწმუნეთა ბანაკში" გადავიდა, სანია კმაყოფილი დარჩა.

სანიამ იცოდა, რომ გულს ატკენდა დედას ორიანებით და გაცდენებით, ამიტომ ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა.

ახლა კი ყველაფერი გამომჟღავნდა. თუ ყველაფერი არა, მთავარი მაინც. რა იქნება შემდეგში? ნეტავ ყველაფერი სიზმარი იყოს.

ვახშამზე არც ერთს ხმა არ ამოუღია. ირა უხალისოდ ემზადებოდა სასეირნოდ წასასვლელად, სანიამ თავი წიგნში ჩარგო.

კიბიდან წამდაუწუმ ისმოდა შემოსასვლელი კარის ჯახუნი. სანიამ გაიგონა, როგორ წავიდა მიშა ფოლოვი, ზინაიდა ივანოვნა შელმათი, შემდეგ მიშას დედ-მამა. ყველა დღესასწაულობს, სანია კი ვერსად ვერ წავა, დედამ მას კოსტუმი დაუმალა. იგი გაბოროტებული იყო: „ჰმ, დამსაჯა! ამის შემდეგ რა, უკეთ ვისწავლი? პირიქით, ჯიბრზე არ ვისწავლი! ანდა თუ ვისწავლი — მხოლოდ მათ ჯიბრზე".

ირა წავიდა. დაც ასეთი უნდა! მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. დედას რომ ირა დაესაჯა, განა სანია მარტო

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 6.

წავიდოდა? არავითარ შემთხვევაში, იგი აუცილებლად დაიყოლიებდა დედას. ირა კი წავიდა. მოღალატე!

ტატიანა მიხაილოვნა ელოდა, რომ სანია მოტყდებოდა, მოთხოვდა კოსტუმს, ბოდიშს მოუხდიდა, დადებდა პირობას, რომ გამოსწორდებოდა, მაგრამ ბიჭი დუმდა. როცა იგრძნო, რომ შვილი დანაშაულს არ მოინანებდა, ამოიღო გასაღები, გააღო კარადა და გაწმენდილ-გაუთოებული კოსტუმი გამოიტანა:

— აჰა, ჩაიცვი და წადი სადაც გენებოს!

სანიას ხმა არ ამოუღია. წიგნის კითხვა განაგრძო. ტატიანა მიხაილოვნამ ჩაიცვა და წავიდა, მაგრად გამოიხურა კარი. იგი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. უნდა მოეთმინა, არ უნდა მიეცა სანიასთვის კოსტუმი, შინ დაეტოვებინა, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ასეთი დღესასწაული ჩაუმწარო ადამიანს.

სანია იცვამდა კოსტუმს და ფიქრობდა: „რაო, მოტყდა? თვითონვე იგრძნო, რომ გადაეჭარბა". სანია კიბეზე დაეშვა, — თითქოს მეოთხე სართულიდან ჩაფრინდაო. ეზოში არავინ იყო. რასაკვირველია, ყველანი, პატარებიც კი, ბულვარზე და გორკის ქუჩაზე არიან. ღირს კი იქ წასვლა? სამხედრო ნაწილებმა დიდი ხანია გაიარეს, დემონსტრაცია მალე დამთავრდება. სანიამ გადაწყვიტა, ბედი ეცადა — იგორთან შეევლო, შეიძლება შინ დახვედროდა.

იგორი ბრონის ქუჩაზე ცხოვრობდა, ორსართულიან ძველ სახლში. შეუხვია თუ არა, სანიამ დაინახა მისკენ მომავალი იგორი. სიხარულისგან აღელდა. რამდენი დღეა, მეგობარი არ უნახავს, მერე რა დროს!

— გამარჯობა! — მიესალმა სანია, — სად დაიკარგე?

— იყო საქმეები, — დაბნეულად მიმოიხედა იგორმა, — დედა მყავს ავად, ხშირად დავდიოდი საავადმყოფოში, ისე კი, გადავწყვიტე, არ ვიარო სკოლაში, სრულიადაც არ მაინტერესებს ნოტაციების მოსმენა. შენ ალბათ უკვე დაწერე მონანიების ბარათი დირექტორის სახელზე, ციტატები ხომ არ ჩაურთე, როგორც მას უყვარს?

— მე რა, სულელი ვარ? არაფერიც არ დამიწერია.

— სწორად მოქცეულხარ. მე ვიცოდი, რომ შენ მაგარი ბიჭი იყავი. მოდი, ერთად მოვეწყოთ სამუშაოდ, ა? კინოფაბრიკაში მინდა ვიმუშაო, თუნდაც მუშად. მე გზას გავიკაფავ, ყურადღებას მივიპყრობ. მსახიობი გამოვალ!

სანია აღფრთოვანებული უყურებდა იგორს. მართალია, იგი ხანდახან ფიქრობდა, იგორი არც თუ ისე კარგი მეგობარიაო, მაგრამ ახლა ყოველივე გადაავიწყდა. სანია კმაყოფილი იყო, რომ ბედმა იგი ასეთ ადამიანს შეჰყარა. კარგია! ისინი მოეწყობიან სამსახურში, იგორი გახდება მსახიობი, ხოლო სანია თუნდაც კინოოპერატორი. იგი ხომ ამაზე ოცნებობდა. მართალია, მსახიობის ნიჭი მას არ აქვს, მაგრამ ოპერატორი კი შეიძლება გახდეს. ბევრს იმოგზაურებენ, მთელს ქვეყანას შემოივლიან. იგორი მიმზიდველად ხატავდა თავისი მომავალი ცხოვრების სურათებს, როცა იგი ეკრანის ვარსკვლავი გახდებოდა. უცებ ოცნება შესწყვიტა და თქვა:

— მაპატიე, მაგრამ ახლა შენთვის არ მცალია. მე აქ ერთ გოგონას ველოდები. მოდი, ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს, დაგირეკავ.

სანია გაშეშდა. რომელ გოგონას შეუძლია ჩაშალოს მათი შეხვედრა?

— რას დაგიღია პირი? წადი, მარტოკამ ისეირნე. — მერე მიტრიალდა და ტბისკენ წავიდა.

სანია იდგა გაოგნებული და შეურაცხყოფილი. განა შეიძლება მეგობარი გოგოში გაცვალო? და ისიც ასეთ დროს!

6

9 ნოემბერს, დილით, ტატიანა მიხაილოვნა შიშით უთვალთვალებდა შვილს, ნელა და უხალისოდ რომ ემზადებოდა სკოლაში წასასვლელად. იგი ზარის დარეკამდე მხოლოდ ხუთი წუთით ადრე გავიდა სახლიდან. წავიდა კი სკოლაში? ამაში ტატიანა მიხაილოვნა დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებული არ იყო. უკანასკნელ წუთამდე სანიამ თვითონაც არ იცოდა, წავიდოდა თუ არა სკოლაში. იგორი სადღაც დაიკარგა. სანიამ ვერ შეძლო მასთან ტელეფონით დაკავშირება და ვერც შინ ნახა. კინოფაბრიკაში ხუმაობის საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა.

სკოლაში წასვლა საჭიროა. სულ ერთია, არ მოგასვენებენ. დაგიწყებენ ჭკუის სწავლებას, შეგარცხვენენ; დედა ისევ იტირებს.

სკოლაში ზარის დარეკვამდე ნახევარი წუთით ადრე მიიჭრა. პალტო გასახდელში დატოვა, კიბეზე აირბინა და საკლასო ოთახში ისე სწრაფად შევარდა, რომ ინგლისური ენის მასწავლებელს, სერგეი ვლადიმიროვიჩს, კინაღამ დაეჯახა. სანია თავის მერხზე, ზოია სტეხოვას გვერდით დაჯდა, იქ, სადაც იგორის მოსვლამდე იჯდა. ცოტათი სული რომ მოითქვა, მიმოიხედა და უცებ დიჩკოვი დაინახა. იგი ნადია შაპკინას გვერდით იჯდა. ნადია, როგორც ჩანს, ამით ძალიან კმაყოფილი იყო: გულიანად იცინოდა, არხევდა კულულებს და თეთრად მოელვარე კბილებს აჩენდა. ესეც ასე! სანია ისევ მარტოდ დარჩა.

სერგეი ვლადიმიროვიჩმა გამოაცხადა, რომ კარნახს ჩაატარებდა. მოსწავლეებმა მერხები აახმაურეს, რეულები ამოიღეს, შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. სერგეი ვლადიმიროვიჩის გაკვეთილებზე ყოველთვის სამაგალითო წესრიგი იყო. საკმარისი იყო მას თავი აეწია, კლასისათვის შეეხედა თავისი დაღლილი, ნაცრისფერი, ოდნავ ბეცი თვალებით, რომ კლასში წესრიგი დამყარებულიყო.

სერგეი ვლადიმიროვიჩი დადიოდა მერხებს შორის და მკაფიოდ, აუჩქარებლად კარნახობდა. იგი ხედავდა ყველას: იმათ, ვინც წერდა წყნარად, აუღელვებლად და იმათაც, ვინც ცალი თვალით მეზობლის რეულში იცქირებოდა, მაგრამ მასწავლებელი არავის არ აძლევდა შენიშვნას, რომ კლასის ყურადღება არ გაეფანტა. როდესაც კარნახს მორჩება და რეულებს შეაგროვებს, მაშინ დაფასთან გამოიძახებს იმას, ვინც ცუდად დაწერა. ამჯერად დაფასთან იგორ დიჩკოვი აღმოჩნდა.

სერგეი ვლადიმიროვიჩმა დიჩკოვს წანადადება უკარნახა, თვითონ კი მისი რეულის შემოწმებას შეუდგა.

— დაწერე? მაშ კარგი, ახლა გადათარგმნე.

იგორი დუმდა, იმედის თვალით გადახედა მოსწავლეებს. სერგეი ვლადიმიროვიჩმა შენიშვნა მისცა:

— იჩქარე! თორემ მე თვითონ გიკარნახებ, ხუთიანს დაგიწერ და მერე პატიოსნად შუაზე გავიყოთ მე და შენ.

კლასში სიცილი ატყდა. დიჩკოვი ცდილობდა ამ ხმაურში დაეჭირა ნაკარნახევი, მაგრამ სერგეი ვლადიმიროვიჩამდე უფრო ადრე და უკეთ აღწევდა სიტყვები.

— მაზინ, ნუ აცდენ ამხანაგს. აი, ზადოროვი სწორად ამბობს, მაგრამ მე დიჩკოვს ვეკითხები და არა ზადოროვს.

სერგეი ვლადიმიროვიჩი თვითონ თარგმნის ფრაზას, დიჩკოვს კი სთხოვს მოიფიქროს და გაარჩიოს დაფაზე დაწერილი წინადადება. სანამ დიჩკოვი ფიქრობს, სერგეი ვლადიმირიროვიჩი კლასის გასაგონად ახალ კითხვას სვამს. ვის შეეკითხება, ჯერ არ იცით, ამიტომ ყველა ყურადღებითაა. წუთის შემდეგ სერგეი ვლადიმიროვიჩი ახალ შეკითხვას იძლევა:

— დიჩკოვ, როგორ არის საქმე? შეგიძლია მიპასუხო?

დიჩკოვი დუმს. მძიმე პაუზის შემდეგ სერგეი ვლადიმიროვიჩი აჯავრებს:

— პირველ კითხვაზე სწორად უპასუხა ზადოროვმა. ამით მე კმაყოფილი ვარ, მაგრამ შენ მეორეზედაც ვერ მიპასუხე და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ კარნახშიც ხუთი შეცდომა გაქვს. მომეცი დღიური!

დასვენებაზე სანია ყოველთვის იგორთან ერთად დასეირნობდა და ახლაც, როცა საკლასო ოთახიდან გამოდიოდა, ფიქრობდა, იგორიც გამომყვებაო, მაგ-

---

მარია ბელახოვა
ვაჟიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ იგი ნადიასთან დარჩა. ისინი მხიარულად საუბრობდნენ და რაღაცას გულმოდგინედ ღეჭავდნენ. ნაწყენმა, დადარდიანებულმა სანიამ მთელი დაისვენება მარტო გაატარა. როდესაც კლასში დაბრუნდა, იგორი და ნადია ღეჭვას განაგრძობდნენ და იცინოდნენ. „რას ღეჭავენ ამისთანას, რომ ვერა და ვერ გადაყლაპეს?“ — ფიქრობდა გაბოროტებული სანია.

დიდ შესვენებაზე იგორი კლასიდან შაკენასთან ერთად გამოვიდა. ისინი დერეფანში სეირნობდნენ და რაღაცას ღეჭავდნენ. სანია მათ ზაზღით უყურებდა.

სანიას ზოია სტეხოვა მიუახლოვდა.

— რა მოწყენილი ხარ? — შენიშნა ზოიამ. სანიამ მხრები აიჩეჩა, ჩვეულებრივად ვარო, უთხრა. ზოიას შეხედა და პირველად შეამჩნია მისი ლაჟვარდოვანი თვალები. „ალბათ ძალიან გულკეთილია“, — გაიფიქრა სანიამ.

— შენ რა, ადიუტანტობას თავი დაანებე?

— რა ადიუტანტობაზე ლაპარაკობ?

— შენ ხომ დიჩკოვის ადიუტანტი გახდი ამ ბოლო დროს, სიარულშიც კი ჰბაძავ მას.

— რას ლაპარაკობ! — გაბრაზდა სანია, — რადგან გოგო ხარ, გგონია, ყველაფერი გეპატება?

— ნუ მემოქმედები, მე შენი არ მეშინია, მეცოდები მხოლოდ. წინათ კარგი იყავი. ახლა კი კომიტეტშიც გამოგიძახებენ. ალბათ პედსაბჭოზედაც გაარჩევენ შენ საკითხს.—სანია უცებ გაწითლდა, შემდეგ გაფითრდა. ოჰ, დმერთმა დასწყიალოს ეს ცხოვრება. რატომ გაჩნდა ამქვეყნად? კომიტეტის სხდომაზე რას ეტყვიან? არა, არ წავა! სად არის ის გელი დიჩკოვი? სანია ჩაითრია, თვითონ კი ნადიასთან ერთობა! გაბოროტებული სანია დერეფანში გამოვიდა. იგორი მარტო იდგა, ჩანდა, მას ელოდებოდა.

— რა გითხრა ზოიამ? — ჰკითხა სანიას.

— კომიტეტით გვაშინებს.

— ნუ მოვიმღურებთ. — ჩუმად თქვა დიჩკოვმა. — კლასის ორგანიზატორი და გამოგვადგება.

— რა გამიჭირე საქმე? შენი გულისთვის მლიქვნელობას ვერ დავიწყებ.

სანიამ გაბრაზებით შეხედა დიჩკოვს. იგი ისევ რაღაცას ღეჭავდა.

— რას ღეჭავ?

— გინდა მოგცე? ამერიკული საღეჭი რეზინია! მაჩუქეს.

მან სანიას რეზინის პატარა ნაჭერი მიაწოდა. სანიამ პირში ჩაიდო და დაიღმაჭა:

— ფუჭ, რა საზიზღრობაა! — თქვა და გადმოაფურთხა.

— შენ არაფერი გაგეგება, — იგორი დაიხარა, რეზინი აიღო, შარვალს გაუსვა და ჯიბეში ჩაიდო. — გაკვეთილების შემდეგ გასასვლელში მომიცადე, მოვილაპარაკოთ.

ლიტერატურის გაკვეთილი დაიწყო. კლავდია ივანოვნა კლასში გაჯავრებული შემოვიდა. მან ჟურნალი მაგიდაზე დაავდო და მოღუშული დაჯდა. ცხადი იყო, რომ იგი საკუთარი განწყობილების დაფარვას არ აპირებდა, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვებს დაენახათ, თუ როგორი აღელვებული იყო. ბავშვები ყველაფერს მიხვდნენ. ისინი ელოდებოდნენ, როდის გაუმჟღავნებდა კლავდია ივანოვნა მათ აღელვების მიზეზს.

საკლასო ჟურნალის ამოკითხვის შემდეგ კლავდია ივანოვნამ თქვა:

— მოხარული ვარ, რომ რიაბინინი და დიჩკოვი კლასში არიან, ბედნიერებაა პირდაპირ! ალბათ მათ სინდისმა დაუწყო ქენჯნა, რომ მათი გულისთვის წესიერი ადამიანები ისჯებიან. როგორც ხედავთ, ყმაწვილებს ესაკმოდ ხეტიალი ნებავთ. მათ საქციელზე კი კლასის დამრიგებელმა უნდა აიღოს პასუხი.

ყველაფერი ცხადი შეიქნა. ეტყობოდა, კლავდია ივანოვნა დირექტორმა შეახუტა იმის გამო, რომ დღიურში ნიშნებს არ წერდა და გაცდენებზე ცნობებს არ სთხოვდა მოსწავლეებს. მთელი კლასი ღერწასულ სანიას და დიჩკოვს მისჩერებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს კრებაზე რიაბინინის და დიჩოგის საქმეს გავარჩევთ, — ისე თქვა კლავდია ივანოვნამ, რომ გამომეტყველება არ შეუცვლია. ასეთივე უკმაყოფილო ტონით დაიწყო გაკვეთილის ახსნა.

გასულ წელს ლიტერატურის გაკვეთილებს ანატოლი პეტროვიჩი ატარებდა. ძალიან საინტერესო იყო მისი გაკვეთილები! ახალგაზრდა მასწავლებელი გატაცებით უყვებოდა მათ მწერლებისა და ნაწარმოებთა გმირების შესახებ. ანატოლი პეტროვიჩს მოსწონდა, როცა მოსწავლეები საკუთარ შეხედულებებს, საკუთარ აზრს გამოსთქვამდნენ. ბავშვები ამაყობდნენ, რომ მასწავლებელს სჯეროდა მათი, მან ჩამოაყალიბა სკოლაში ლიტერატურული წრე, სადაც ბავშვები კამათობდნენ, კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს და მოთხრობებს, ახლა კი?

კლავდია ივანოვნა დაზეპირებულივით ლაპარაკობს „დდდბინ" და „უარყოფით" გმირებზე. „დემოკრატიულ" და „რეაქციულ იდეებზე", „მემამულურ ყოფაზე". დროდადრო ჩერდება და შენიშვნებს იძლევა: „შეწყვიტეთ ლაპარაკი", „მე შენ გაგაძევებ კლასიდან". მიუხედავად ამისა, ბავშვები მაინც ჩურჩულებენ, ერთმანეთს ბარათებს სწერენ, ხოლო ვინც წყნარად ზის, მისი ფიქრებიც შორს არის „მემამულური ყოფისაგან". სანია უკმაყოფილო იყო ამ მოსაწყენი ლექციითა და იგორთან ლაპარაკით, იგი ააღელვა ზოია სტეფოვას ნათქვამმა და გააკვირა კლავდია ივანოვნას შენიშვნებმა. ხომ არ აკობებდა წასულიყო მშენებლობაზე, ყამირზე ან სადმე სხვაგან? რა მოხდება, მართლაც ასე რომ გაკაეთოს?

შესვენებაზე, ახალი იდეით გატაცებული სანია იგორს მიუახლოვდა.

— წამოდი, მოვილაპარაკოთ.

იგორმა შაპკინას გადახედა, რას იზამ, არ მცილდებაო, ადგა და უხალისოდ გაჰყვა სანიას.

როგორც კი დერეფანში გავიდნენ, სანიამ დაუფარავი სიხარულით უთხრა:

— წავიდეთ ყამირზე! ვაჩვენოთ მათ, რა ბიჭები ვართ.

იგორმა დამცინავად შეხედა:

— რა დამრჩენია ყამირზე?

— არ გინდა? — ბრაზით თქვა სანიამ, — კარგი!

სანიას ბოღმა ახრჩობდა, მიტრიალდა და იგორს გაეცალა.

7

საკლასო კრება მეხუთე გაკვეთილის შემდეგ ტარდებოდა. სანია დარწმუნებული იყო, დიჩოგი კრებაზე არ დარჩებოდა, მაგრამ იგორი მშვიდად იჯდა თავის ადგილზე. სანიამ გადაწყვიტა დარჩენა. რისი უნდა ეშინოდეს? გამოჩნდნენ მოსამართლენი! თუ დაუწყებენ ტუქსვას, სანია პირდაპირ ეტყვის, „რაც მსურს, იმას ვაკეთებ. სწავლა არ მინდა! ყამირზე წავალ. რა თქვენი საქმეა!"

კლავდია ივანოვნამ საუბარი დაიწყო იმით, თუ რამდენი დღე და საათი გაატარეს რიაბინინმა და დიჩოგმა, რამდენი ორიანი მიიღეს. აღშფოთებული იყო მათი სიზარმაცით და სიცრუით. სიტყვა ასე დაამთავრა:

— ჩემი აზრით, რიაბინინს და დიჩოგს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მაგნებლები, სწავლაზე სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს, ისინი კი არ სწავლობენ. განა ეს მაგნებლობა არ არის? მშობლები მათ აკმეკენ, აკმეკენ, მაგრამ მათგან რა გამოვა? ან ახლაც დროს გვართმევენ. თურმე ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისინი! გთხოვთ გამოსთქვათ თქვენი. აზრი. დიჩოგისა და რიაბინინის საქციელის დაგმობა აუცილებელია.

კლასში სამარისებური სიჩუმე დადგა. კლავდია ივანოვნას ხმამაღალი ფრაზები უყვარდა და ამიტომ, ჩვეულებრივად, მის სიტყვებს არავინ აძლევდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ „მაგნებლების" თქმა ნამეტანი მოუვიდა.

მარია ბელასოვა
ვაჟიშვილი

— რას გაჩუმებულხართ? საჭიროა აზრის გამოთქმა! — მიმართა კლასს კლავდია ივანოვნამ.

— რა საჭიროა ლაპარაკი? — თქვა კოლია მაზინმა. — ისინი მეტს აღარ გაიმეორებენ. ასე არ არის, ბავშვებო?

ეს ისე გულუბრყვილოდ, ბავშვურად თქვა, და ისე ეწინააღმდეგებოდა კლავდია ივანოვნას მძიმე საბრალმდებლო სიტყვას, რომ ყველას გაეცინა.

როცა ბავშვები დაწყნარდნენ, გამხდარმა გოგონამ — კაბლუკოვამ — ადგილიდან წამოიძახა:

— კოლეა, გიჩჩევნია გაჩუმდე. განა შენც მათთან ერთად არ დასეირნობდი?

— მერედა, შენ მნახე? — მიეარდა მას კოლეა. — მნახე? აბა, დამიმტკიცე!

ყველას გაეცინა.

— ამხანაგებო! — აღშფოთდა კლავდია ივანოვნა, — ასე არ შეიძლება! თქვენ ბავშვები აღარ ხართ, სერიოზულად უნდა გავარჩიოთ დიჩკოვის და რიაბინინის საქციელი.

სიტყვა ზოია სტეხოვამ ითხოვა; ყველა გაჩუმდა, რამე საქმიანს იტყვისო.

— რასაკვირველია, რიაბინინი და დიჩკოვი დამნაშავენი არიან. მე მგონია, ისინი ამას გრძნობენ. მეც, როგორც კლასის ორგანიზატორი, დამნაშავე ვარ. ვიცოდი, რომ აცდენდნენ და ვდუმდი, არ მინდოდა მათი ღასმენა. მე მგონი, რიაბინინის დიჩკოვთან შედარება არ შეიძლება. სანაკ კარი ბიჭია, მაგრამ უნებისყოფოა, დიჩკოვი მასზე ცუდ ზეგავლენას ახდენს. თქვენ კი უფრო რიაბინინს ესხმით თავს. ჩემი აზრით, საჭიროა დიჩკოვის სხვა კლასში გადაყვანა. ერთმანეთისაგან დაშორება მათთვის სასარგებლო იქნება. მე მინდა დიჩკოვს შევეკითხო, საიდან იშოვა მან საღეჭი რეზინი?

ნადია შაპკინამ კულულები შეარხია და ატიტინდა:

— რეზინი აქ არაფერ შუაშია. რია? ინინი პატარა აღარაა. დიჩკოვი ცუდ ზეგავლენას ახდენსო! ყველამ თავის თავს მიხედოს!

ამის შემდეგ რამდენიმე ერთდროულად ასწია ხელი, მაგრამ არკაშა ივანოვი არ დაელოდა ნებართვას, იგი მაგიდასთან მიეიდა და დაიწყო:

— ყველაფერი ცხადია. ბიჭებმა საკვირველია, კარგად ვერ მოიქცნენ, შეცდნენ, მაგრამ თქვენ, კლავდია ივანოვნა, ტყუილად ტუქსავთ მათ. რა მავნებლები არიან ისინი? მაშინ ყველა მავნებლები ვყოფილვართ. აი, მაგალითად, სანია, ჩემი აზრით, აკადემიკოსი გამოვა... რატომ იცინთ? შეიძლება აკადემიკოსი არ იყოს, მაგრამ კარგი ადამიანი დადგეს.

— ივანოვ, შენ ძალიან შესტოპე, — შეაწყვეტინა მას კლავდია ივანოვნამ, — ჰმ, აკადემიკოსი! რა არის მოსწავლის ძირითადი მოვალეობა? სწავლა, სწავლა და სწავლა! შენი რიაბინინი კი არ ასრულებს ამ მოვალეობას. იქნებ ის მავნებელი არ არის, მაგრამ არც პატრიოტია. თუ იგი ვერ შეასრულებს უბრალო მოვალეობას, რას უნდა მოელოდეს მისგან სამშობლო მძიმე წუთებში? მე წინადადება შემომაქვს, მათი საკითხი გასარჩევად პედაგოგიურ საბჭოზე გავიტანოთ.

— რატომ პედსაბჭოზე? — არ დაემოწმა არკაშა, იგი კვლავ მაგიდასთან იდგა, — ჩვენ ყველაფერს თვითონ გადაწყვეტდთ. რაც შეეხება ამერიკულ საღეჭ რეზინს, მის მიჩქმალვას ტყუილად ცდილობს შაპკინა.

ისეთი ხმაური ატყდა, რომ რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო. არკაშა იგორთან მივიდა. მუშტებს იქნევდა და იმუქრებოდა. შაპკინა რაღაცას უყვიროდა სტეხოვას. ყველა ერთად ალაპარაკდა, ახმაურდა, ფეხზე ადგა.

— ჩუმად, ჩუმად! რა არეულობაა! — ეკლავდია ივანოვნა ცდილობდა თავისი ხმით ჩაეხშო ხმაური, — მე ყოველივეს დირექტორს მოვახსენებ და თვითონ გადაწყვეტოს.

მას არავინ უსმენდა. გაჯავრებულმა კლავდია ივანოვნამ ეუშტი დაკბარა მაგიდას და უფრო ხმამაღლა შეჰყვირა:

— კრებას დახურულად ვაცხადებ!

ბავშვებმა სანია დაიცვეს, მაგრამ კრებიდან იგი მოღუშული, უხასიათოდ წავიდა. მას ეჩვენებოდა, რომ ორიანები

და გაცდენები არაფერს ნიშნავდა ყოველივე იმასთან, რაც თვითონ იცოდა და რაც ამხანაგებმა არ იცოდნენ. იგი ხშირად დასეირნობდა იგორთან ერთად გორკის ქუჩაზე, ზშირად ჩერდებოდა ახალ საზღვარგარეთულ მანქანებთან. მაგრამ იგორს მანქანები არ აინტერესებდა, ის ყოველთვის ცდილობდა უცხოელებს დალაპარაკებოდა, პირფერობდა მათთან და ერთხელ შეუთანხმდა კიდეც ერთ უცხოელს, რომ შეხვდებოდა. მაშინ სანიამ იგორს ჰკითხა:

— სერიოზულად უთხარი? ნუთუ მართლა წახვალ?

იგორს გაეცინა:

— რაში მჭირდება! ნუ გეშინია, არ წავალ! შენ უკვე შეგეშინდა?

მაშინ სანიამ დაუჯერა, მაგრამ ახლა, როცა საღეჭი რეზინი დაუნახა, იგი მიხვდა, რომ იგორი უცხოელს შეხვდა.

სანია რატომ უნდა აღელდეს? მას ხომ არაფერი დაუშავებია. არაფერი დაუშავებია? მაშ, რატომ დაიხეტებოდა კომკავშირელი სანია იგორთან ერთად ქუჩებში იმ დროს, როცა კლასში უნდა მჯდარიყო? სანიამ გაიხსენა ერთი შემთხვევა: ისინი ერთად იყვნენ ქუჩაში. იგორმა თქვა:

— გინდა გავაცურო რომელიმე მძღოლი? სიცილით მოკვდები!

მანქანები რამდენიმე მწკრივად მიდიოდა ქუჩაში. იგორმა დაინახა, რომ „მოსკვიჩს“ ხანშიშესული კაცი, როგორც ეტყობოდა, მოყვარული შოფერი მართავდა. იგორმა შეშინებული სახე მიიღო, მძღოლს მანქანის საბურავზე ანიშნა და დაიყვირა: „საბურავი დაეშვა!“ მძღოლმა წამსვე დაამუხრუჭა. უკან მომავალმა სატვირთო მანქანამ ვერ მოასწრო გვერდის აცლა და „მოსკვიჩს“ დაეჯახა ისე, რომ მანქანა გაგორდა. გაისმა მილიციელის სასტვენის ხმა, ხალხი მოგროვდა, იგორი გაიქცა და ბრონის ქუჩაზე შეუხვია. სანია, რასაკვირველია, გაეკიდა.

კარგი იქნებოდა, მაშინვე ეთქვა სანიას, რომ იგორი ხულიგანია, მაგრამ მაშინ სანია ლაჩრულად გაჩუმდა. მან ხომ არ იცის, რა მოუვიდათ იმ მანქანებს. იქნებ ვინმე დაშავდა, იქნებ ვინმე ტყუილუბრალოდ დაადანაშაულეს. ეს ისეთი საძაგლობა იყო, რომ დეც. ეს ისეთი საძაგლობა იყო, რომ ვერ ბასენებაც კი არ უნდოდა. ვის უამბოს ყოველივე ეს. ვის გაუმჟღავნოს თავისი გულისნადები? ვის ჰკითხოს რჩევა-დარიგება?

8

კომკავშირის კომიტეტი ხუთშაბათობით იკრიბებოდა. დღესასწაულის შემდეგ, პირველსავე ხუთშაბათს მეცხრე და მეათე კლასების ყველა ორმოსანი კომიტეტში გამოიძახეს. ბლომად აღმოჩნდნენ ისეთი კომკავშირელები, რომელთაც მეოთხეღნი თითო ორიანი მაინც ჰქონდათ მიღებული.

პიონერთა ოთახში დიდ, გრძელ მაგიდას უსხდნენ კომკავშირის კომიტეტის წევრები: ოთხი თეთრბაბთიანი გოგონა, და სამი ბაბუკი. ერთი მათგანი ვიტია პახომოვი იყო. თავმჯდომარის ადგილი კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, ფერმერთალმა სენინმან დიაკვა. მის გვერდით ცარიელი სკამი იდგა. ამ სკამზე, ჩვეულებრივ, გეოგრაფიის მასწავლებელი ილია ლვოვიჩი იჯდა. მას დაგალებული ჰქონდა მუშაობაში დახმარებოდა კომკავშირულ ორგანიზაციას. მაგრამ ილია ლვოვიჩი ავად გახდა. დაპირების თანახმად, მის ნაცვლად სხდომაზე ფიზკულტურის მასწავლებელი ივან კუზმიჩი უნდა მოსულიყო.

ივან კუზმიჩი, ახალგაზრდა, ღონიერი და ტანადი კაცი, ოდნავი დაგვიანებით მოვიდა, სკამზე დაჯდა თუ არა, თქვა:

— ყველანი ვარო? დაიწყოთ სხდომა.

სენინა ადგა და წრიალნა ხმით გამოაცხადა:

— ამხანაგებო! სხდომას გახსნილად ვაცხადებ. — და გაჩუმდა.

— გამოაცხადე დღის წესრიგი, — ჩუმად უკარნახა ივან კუზმიჩმა.

— ვაცხადებ დღის წესრიგს. პირველი საკითხია მეორე მეოთხედში კომიტეტის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მეორე — ოროსანი კომკავშირელების შესახებ და მესამე — სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის კრების ჩატარება.

— ხომ არ აჯობებდა, პირველად ოროსნებზე გვემსჯელა? — შეეკითხა სენინას ივან კუზმიჩი.

— ხომ არ აჯობებდა, პირველად ოროსნებზე გვემსჯელა? — მიუბრუნდა სენინა კომიტეტის წევრებს.

წინადადება მიღებულ იქნა.

— როგორ გამოვიძახოთ: სათითაოდ თუ ყველანი ერთად? — შეეკითხა სენინა ივან კუზმიჩს.

— სათითაოდ კარგი იქნებოდა, მაგრამ ძალიან ბევრნი არიან. ხმაურობენ, მეზობელ კლასებში კი საღამოს ცელა მეცადინეობს. გარდა ამისა, შეიძლება დაიფანტონ. მოდი, ყველანი შემოვიდნენ, ოთახი დიდია. პასუხმოვ, გამოუძახე!

პასუხმოვი ღიმილით გავიდა და მოსწავლეებმა შემოსელა იწყეს, ოდღლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე დასხდნენ. პირველად მეათეკლასელი დუდნიკოვი გამოიძახეს. მაგიდას ქერა, მაღალი ჭაბუკი მიუახლოვდა. ივან კუზმიჩმა შეხედა მას და თქვა:

— ესეც ასე, დუდნიკოვ, მე ხომ ადრევე გეუბნებოდი, გონს მოდი-მეთქი?

— მეუბნებოდით, ივან კუზმიჩ.

— მოახსენე კომიტეტს, რატომ გაქვს ორები.

ჭაბუკი გაჩუმდა, მერე გულგრილად ჩაილაპარაკა:

— ეზარმაცობდი.

— შინ გაკვეთილებს სულ არ ამზადებდი, არა?

— რატომ? ვამზადებდი.

— მაშ ორები რატომ გაქვს?

ჭაბუკმა ისეთი გამომეტყველებით აიჩეჩა მხრები, თითქოს არ იცოდა, რატომ ჰქონდა ორიანები.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ივან კუზმიჩისა და დუდნიკოს დიალოგში კომიტეტის არც ერთი წევრი არ ჩაერია.

— რას ფიქრობ? — კვლავ შეეკითხა ივან კუზმიჩი.

— ვისწავლი, — გულგრილად ჩაილაპარაკა დუდნიკოვმა.

— აქამდე რატომ არ დაიკერე ღილი? — გაუკვირვით ჰკითხა ივან კუზმიჩმა. — მე ხომ ერთი კვირის წინ გაგაფრთხილე.

— ღილი შაბათს დავაკერე.

— ცუდად დგიკერებია! როგორ მოვეძებეთ, ამხანაგებო, დუდნიკოს? — ეკითხება ივან კუზმიჩი კომიტეტის წევრებს და რადგან ისინი დუმან, თვითონ იძლევა წინადადებას: — ერთი თვის ვადა მივცეთ გამოსწორებისათვის. იცოდე, დუდნიკოვ, ერთი თვის შემდეგ კვლავ გამოგიძახებთ. შემდეგი! ვინ არის მანდ, ჩურკინი?

ტანმორჩილი, ჯმუხი ჭაბუკი მომღიმარი სახით და სამწყობრო ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას. ცხვირაწეულმა მედიდურად გადახედა კომიტეტის წევრებს და მზერა ივან კუზმიჩის ქოჩორზე შეაჩერა. გაისმა ხითხითი. ივან კუზმიჩმა ჩურკინს შეხედა, თვითონაც ძლივს შეიკავა თავი სიცილისგან და მკაცრად თქვა:

— აბა, სისულელეებს თავი გაანებე! რა საგნებში გაქვს ცუდი ნიშნები?

— თქვენს საგანში, ივან კუზმიჩ.

— ვიცი! მეტი?

— ფიზიკაში.

— კიდევ?

— გეომეტრიაში.

— რატომ გაქვს ორიანები?

— არ ვსწავლობდი.

— რატომ?

— ისე.

— რას აკეთებდი შინ?

— ვსეირნობდი.

— ექიმებმა გირჩიეს სეირნობა?

— არა, მე თვითონ.

— ყორი მიგდე, ჩურკინ! მუდამ რატომ გძვრება ქამარი? რამდენჯერ გაგაფრთხილე ამის გამო.

— თავისით მძვრება, ივან კუზმიჩ, — ისევ ღიმილით ამბობს ჩურკინი და ქამარს ოდნავ ზევით ქაჩავს.

— დილის გამამხნევებელ ვარჯიშს თუ აკეთებ?

— როგორც თქვენ მასწავლეთ, ისე!— სხარტად პასუხობს ჩურკინი.

კომიტეტის წევრები კარგა ხანია იცინოდნენ და თავიანთ არასერიოზულობის დაფარვას ცდილობდნენ, იცინოდნენ მოსწავლეებიც, გამოძახებას რომ ელოდნენ. ივან კუზმიჩმა სასწრაფოდ მისცა ჩურკინს ერთი თვის ვადა სრული გამოსწორებისათვის და გაუშვა. ჩურკინი ისევ კედელთან დაჯდა, მაგრამ ივან კუზმიჩმა უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ოთახი და შინ წასულიყო.

— კმარა თავის აგდება! წადი, იმეცადინე!

სანია უსმენდა, თუ როგორ მსჯელობდნენ ჩურკინზე, დუდნიკოვზე და სხვა ბავშვებზე. აღარ ღელავდა, სხვებთან ერთად იცინოდა. ამ დღეს კომიტეტის სხდომაზე საშიში არაფერი იყო. ილია ლვოვიჩი რომ დასწრებოდათ, ასე ვერ იცინებდნენ. რაღა კომიტეტია, თუ მხოლოდ ივან კუზმიჩი ლაპარაკობს? სენინას შეხედვაც კი არ ღირს. ტყუილად კი არ ნანობენ ბავშვები, რომ იგი აირჩიეს. რანაირი მდივანია? სხდომას ვერ ატარებს დამოუკიდებლად. მხოლოდ კარნახით ლაპარაკობს.

როცა მაგიდასთან სანია რიაბინინი გამოიძახეს, ყველას მობეზრებული ჰკონდა ერთი და იგივე შეკითხვები და პასუხები. ყველამ იცოდა, რომ სანია კარგი მოწაფე იყო, ამიტომ მისთვის გამოსასწორებელი ვადაც კი არ მიუციათ. მასწავლებელს დღეურს რომ არ აძლევდა და მეცადინეობას უმიზეზოდ აცდენდა, ეს მხოლოდ ვიტია პახომოვმა იცოდა. ვიტკა ჩუმად იჯდა, არაფერი უთქვამს. როცა სანია ოთახიდან გამოისტუმრეს, ვიტიამ გამომშვიდობებისას თვალი ჩაუკრა: ხომ ხედავ, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო.

კარგი იყო ეს? სანიას არც გახარებია, რომ ასე იოლად გადარჩა კომიტეტის სხდომაზე. იქნებ უმჯობესი იყო, სერიოზულად მოლაპარაკებოდნენ მას, ეთქვა ყველაფერი, რაზედაც ის ფიქრობს? ახლა კი რა გამოვიდა? გულზე ლოდი აწევს.

საღამოთი, ლოგინში რომ იწვა (ბოლო ხანებში მას ცუდად ეძინა), [illegible] ფიქრობდა, ასე ცუდად არასოდეს [illegible] ხოვრიაო. მამა რომ დაელუპა, პატარა იყო და არაფერი გაეგებოდა. მეტი მის ცხოვრებაში ცუდი არაფერი მომხდარა. ახლა კი დედა მის გამო ტირის, ირაც იცრმელება, მარია პეტროვნა საგანგებოდ, მის გასაგონად სხვადასხვა ანდაზებს ამბობს: „ჭაბუკს ჭკუით აფასებენ“, „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“, „ვინც მშობლებს პატივს არ სცემს, იგი ბედნიერებას ვერ იხილავს“. აუტანელი მოსასმენია. მიშა ფროლოვს არ ელაპარაკება. დერეფანში შეხვედრისას ერთმანეთს არ ესალმებიან. ძია პაშას სათოფეზე არ ეკარება. რასაკვირველია, ტელევიზორსაც აღარ უყურებს ფროლოვებთან. სანია ვერ ბედავს, რომ ბორის ვასილიევიჩს ენციკლოპედიის ახლად მიღებული ტომი გამოართვას. თვით შელმაც კი აღარ ეალერსება მას. სკოლაში ყოფნაც უშარს. ბავშვები, თუ არ გაურბიან, არც მეგობრობენ. მართალია, არკაშა ყოველთვის ეპატიჟება სტადიონზე, ზოიაც... რა მშვენიერი გოგოა. თუმცა ადიუტანტსა და ლანდს ეძახდა, მაგრამ ყოველთვის იცავდა სანიას, დღეს კი ზოია კლასში შეეკითხა მას: „როგორაა შენი საქმე?“ და ისე შეხედა, როგორც პატარას ან ავადმყოფს შეხედავენ. სადამდე მივიდა იგი! გოგოებსაც კი ეცოდებათ. სასწავლო წლის დასაწყისში გადაწყვეტილი ჰქონდა ფრიადოსანი გამხდარიყო. რა დასამალია და ფიქრობდა, რომ გოგოები მისი წარმატებით აღფრთოვანებული იქნებოდნენ. სანია იმასაც ხედავს, რომ იგი მასწავლებლებსაც ეცოდებათ. ერთხელ, შესვენებაზე მასთან მათემატიკის მასწავლელი პეტრე ანდრეევიჩი მივიდა. თავისი მძიმე ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— რიაბინინ, გავიგე, სწავლა შეგიჩერებია. რატომ ჩაიდინე ეს? შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, იფიქრე შენს თავზე,

---

მარია ბელახოვა
ვაჟიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაშენზე. თუ მათემატიკას თავი ვერ გაათავი, მოდი, დაგეხმარები.

პეტრე ანდრეევიჩი, ეს მოხუცი, ავადმყოფი კაცი, სხვა კლასებსაც ასწავლის მათემატიკას და სანიას, ნიჭიერ და ზარმაცს სანიას, სთავაზობს დახმარებას. ვაი სირცხვილო!

ოდესღაც სანიას ეშინოდა, რომ სანამ გაგიზრდები, ქვეყნად ყველა საინტერესო საქმე გაკეთებული იქნებაო, ცდილობდა, ყველაფერი მალე გაეგო, ბევრს კითხულობდა. მას თავი მოსწონდა. მისი ნაკითხობით ამაყობდნენ დედამისი და მისი და, ახლა კი იგი არაფერს კითხულობს, ზოგჯერ გაზეთებსაც კი არ გადახედავს. ცხოვრება მოსაწყენი და უინტერესო გახდა. მას არცხვენენ და ამავე დროს კიდეც ებრალებათ. ხოლო ადამიანს პატიოს უნდა სცემდე და არა გებრალებოდეს.

რისთვის უნდა გცემდნენ პატიოს? ოცნებაში სანია არაერთხელ ყოფილა ცნობილი მუშა, საუკეთესო გამომგონებელი, ჩემპიონი. რა სასიამოვნო იყო იმაზე ფიქრი, რომ მისით იამაყებდნენ დედა, ირა და თუნდაც იგივე მიშკა. მარია პეტროვნა ხალხში იტყვის, რომ იგი ალექსანდრე რიაბინინის მეზობლად ცხოვრობს. ახლა კი ვეღარც ოცნებობს. ირგვლივ რა საინტერესო ცხოვრებაა! დედამიწის გარშემო თანამგზავრები დაფრინავენ. მალე გაფრინდებიან ხომალდები სხვა პლანეტებზე. არნახული მანქანები გაუგონარ სიღრმეზე გათხრიან დედამიწას. სანიას ბედმა გაუღიმა, ასეთ დროს და თანაც ასეთ ქვეყანაში რომ დაიბადა.

შენება, ფრენა, მოგზაურობა... ყველა მისი ოცნება განხორციელდება, თუ იგი ჭკუას მოუხმობს, მაგრამ ვის უამბოს ყოველივე ის, რაც მას ტანჯავს, როგორ გათავისუფლდეს ამ ტვირთისაგან?

9

ტატიანა მიხაილოვნამ ნელა დააკაკუნა კარზე, მაგრამ დირექტორის კაბინეტში გაცხოველებული საუბარი მიმდინარეობდა. მისი კაკუნი არავის გაგონია. მაშინ ტატიანა მიხაილოვნამ ოდნავ შეაღო კარი და შეიხედა. ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა დაინახა.

— შემოდით, გეთაყვა, დაბრძანდით.

ტატიანა მიხაილოვნა იქვე, კართან ახლოს დაჯდა. გრძელ მაგიდას, რომელზედაც მწვანე მაუდი იყო გადაფარებული, მასწავლებლები უსხდნენ. პედსაბჭოს სხდომა ჯერ არ დაწყებულიყო. დაგვიანებულებს ელოდებოდნენ. სერგეი ვლადიმიროვიჩი ახლომხედველობის გამო ზომაზე მეტად დახრილიყო მაგიდასთან და სკალასო ჟურნალს ავსებდა. მათემატიკის მასწავლებელი პელაგია ანტონოვნა ისტორიის მასწავლებელს ელაპარაკებოდა. პელაგია ანტონოვნა, როგორც ყოველთვის, თავისი ღიმილით, ვერცხლისფერი ჭაღარით, ქათქათა კოფთით და ალერსიანი ცისფერი თვალებით ყველას ყურადღებას იპყრობდა. ისტორიის მასწავლებელი ალბინა ალექსანდროვნა მთლიანად საწინააღმდეგო ტიპი იყო პელაგია ანტონოვნასი. სახეზე ნაცრისფერი ედო, დაღვრემილი, მოთენთილი იჯდა. მხრებზე ნაცრისფერი თავშალი შემოეხვია, თითქოს ტანში აკრიალებდა. გეოგრაფიის მასწავლებელს ილია ლვოვიჩს, როგორც ყოველთვის, ხელში საჩვენებელი ჯოხი ეჭირა. იგი უხალისოდ უსმენდა კლაედია ივანოვნას, რომელიც რაღაცას ეჩურჩულებოდა მას. ტატიანა მიხაილოვნა უსიამოვნო აზრმა შეიპყრო, რომ თითქოს კლაედია ივანოვნა მოკავშირეებს იბირებდა მის წინააღმდეგ. მოხუცი მათემატიკოსი პეტრე ანდრეევიჩი ჯოხზე დაყრდნობილი თვლემდა. დაგვიანებულები მალე მოვიდნენ. უკანასკნელად ქიმიის მასწავლებელი შემოვიდა; ეტყობოდა, სასურსათო მაღაზიაში შეევლო, დარცხვენილმა, ხელჩანთა სკამის ქვეშ შემალა.

— დავიწყოთ სხდომა, — თქვა ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა და მაგიდაზე ფანქარი დააკაკუნა. — დღეს ჩვენ ვიღაპარაკებთ პირველი მეოთხედის შედეგებზე და იმაზე, თუ როგორ ავამაღლოთ აკადემიური მოსწრება მეორე მეოთხედში. არის აგრეთვე პერსონალური საკითხი

ორი პიროვნების — დიჩოვისა და რიაბინინის შესახებ. რიაბინინის დედა ეს-წრება პედსაბჭოს, დიჩოვის დედა ავადაა, ხოლო მამა მოსკოვში არ ცხოვრობს, თვითონ „ემირები“, ალბათ, დერეფანში იცდიან. დავიწყოთ ამ საკითხით. სიტყვა მივცეთ მე-9 კლასის დამრიგებელს კლავდია ივანოვნას.

— არ ვიცი, რა ვთქვა, — მხრების აჩეჩვით დაიწყო კლავდია ივანოვნამ: თან სკამიდან უხალისოდ წამოდგა, — ალბათ ყველამ იცის ეს ამბავი.

— მაპატიეთ! — შეაწყვეტინა ტიმოფეი ნიოლაევიჩმა. — რას ნიშნავს, ყველამ იცის? შეიძლება იციან, მაგრამ სხვადასხვაგვარად. თქვენ მოახსენეთ პედსაბჭოს.

— კარგი. პირველ მეოთხედში მოსწავლეებმა — რიაბინინმა და დიჩოვმა მრავალი მეცადინეობა გააცდინეს. ასე ვთქვათ, დასვირნობდნენ: ქუჩაში ხეტიალობდნენ, დადიოდნენ კინოში და რა ვიცი, რას კეთებდნენ. თაეიანთ დღიურებს მე არ მაძლევდნენ და არც მშობლებმა იცოდნენ შვილების ამბავი. ყველანი — მეც და მშობლებიც მოატყუეს. კიდევ ერთი რამე მინდა ვთქვა: როცა ეს კლასი ჩამბარეს, ნადაედა ალექსეევნა მარწმუნებდა, რომ იქ კარგი და წესიერი მოსწავლეები არიანო. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ისინი არავითარ ავტორიტეტს არ ცნობენ. გაკვეთილებზე ცუდად იქცევიან.

ამ სიტყვებზე ისტორიის მასწავლებელმა ალბინა ალექსეევნამ დასტურის ნიშნად თავი დააქნია. კლავდია ივანოვნას ივან კუზმიჩმაც დაუჭირა მხარი.

— დიახ, ნამდვილად უდისციპლინო კლასია. ყველა უჩივის ამ კლასს.—მხარდაჭერით კმაყოფილი კლავდია ივანოვნა განაგრძობდა: — რაც შეეხება რიაბინინს და დიჩოვს, ისინი არიან ტიპიური ხორცვეტები, რომელთა შესახებაც გაზეთებში წერენ. სწავლა მათ არ უნდათ და მე არ მესმის, რატომ არ გადაგეყაკვს ისინ, სახელოსნო სასწავლებელში. ასეთები მთელ სკოლას ზიანს აყენებენ. სხვებსაც რყვნინან. რიაბინინის დედა ცდილობს ყველაფერი სკოლას გადაამარალოს. თვითონ კი ყურადღებას აქცევს ბავშვებს.

ტატიანა მიხაილოვნა შეტოკდა, სკამის საზურგეზე გადაიწია, თითქოს სილა გაარტყესო სახეში. ბავშვებს ყურადღებას არ აქცევს? მთელს ცხოვრებაში ერთხელ წავიდა სამკურნალოდ! მთელი ცხოვრება ბავშვებს შესწირა — მისსა და სხვის ბავშვებს! და უცებ ასეთი შეურაცხყოფელი საყვედური! რატომ დუმან ყველანი? მართლაც, კლავდია ივანოვნას გამოსვლის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორს კი, ტიმოფეი ნიკოლაევიჩს, თავი ჩაექნიდრა და დუმდა. დუმილმა თითქმის ერთ წუთს გასტანა.

— ერთი მითხარით, — მიმართა დირექტორმა კლავდია ივანოვნას,—სთხოვდით თუ არა თქვენ დიჩოვესა და რიაბინინს ექიმის ცნობას, როცა ისინი გაკვეთილებს აცდენდნენ?

— მე ხომ უკვე გითხარით ამის შესახებ, ტიმოფეი ნიკოლაევიჩ?

— ახლა პედსაბჭოს წინაშე გაიმეორეთ.

— კარგი. ერთხელ მე მოვთხოვე დიჩოვს ცნობა. მან მითხრა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში წარმოადგინა გულის აკადმყოფობის ცნობა, რაც უფლებას აძლევდა მეცადინეობა გაეცდინა.

სერგეი ვლადიმიროვიჩმა კლავდია ივანოვნას გადახედა.

— მერედა, თქვენ დაუჯერეთ? სკოლის ექიმს არაფერი ჰკითხეთ?

— დავუჯერე. ხომ უნდა ენდო ადამიანს.

— რიაბინინს თუ მოსთხოვეთ?

— არ მახსოვს, ვგონებ მასაც მოვთხოვე.

— რატომ არ თხოვდით მათ დღიურებს? — იკითხა პელაგია ანტონოვნამ.

— მე მოვითხოვდი, მაგრამ ისინი არ მაძლევდნენ. შემდეგ კი გადამავიწყდა. საქმე არც ისე ცოტა მაქვს.

მარია ბელახოვა
ვაჟიშვილი

— ერთი მითხარით, კლავდია ივანოვნა, თუ ბრძანდებოდით რიაბინინისა და დიჩოვის ოჯახებში? — იკითხა დირექტორმა.

უეცრად კლავდია ივანოვნა გაბრაზდა.

— მე არ მესმის, რა არის ეს! დაკითხვას მიწყობთ? აქ რიაბინინის და დიჩოვის საქმეს არჩევენ თუ ჩემსას? მე ძიძა არა ვარ, რომ კუდში ვსდიო მათ და ვეხვეწო: მომეცით, გეთაყვა, დღიურები და კარკად ისწავლეთ-მეთქი, რატომ დედისგან არ თხოულობთ არაფერს? — მან ტატიანა მიხაილოვნასაკენ გაიხედა, — გარდა ამისა, ასე რა ავტორიტეტი ექნება კლასის დამრიგებელს, როცა მას მშობლების თანდასწრებით დაკითხვას უწყობთ?

კლავდია ივანოვნას უცებ ქვითინი აუვარდა. ტიმოფეი ნიკოლაევიჩი მოიღუშა.

— კლავდია ივანოვნა, ნუ ღელავთ და ნუ ფიქსობთ. ტირილი აქ უადგილოა. თქვენ პედაგოგი ხართ და არა ჟინიანი გოგონა. ჩვენ ადამიანის ბედს ვწყვეტთ და ამიტომ ყველაფერში კარგად უნდა გავერკვეთ. თქვენ თქვით, დამნაშავეები სახელოსნო სასწავლებელში გადავიყვანოთო. ხედავთ, რა ადვილად შეგიძლიათ გაუსწორდეთ მათ! მაგრამ ჯერ ერთი, — სახელოსნო სასწავლებელი გამასწორებელი სახლი არ არის, იგი მუშაახალგაზრდობის კარგი სკოლაა, მეორეც, თქვენ სრულიად არ იცნობთ არც რიაბინინს, არც დიჩოვს, ასე უყოყმანოდ კი წყვეტთ მათ ბედს. ხოლო ჩვენ რომ ყოველივე ამას რიაბინინის დედის თანდასწრებით ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ არის საგანგაშო, იგი პედაგოგია და საერთოდ, რატომ უნდა ჩავატაროთ დახურული პედსაბჭო? მე გთხოვოთ, მიპასუხოთ შეკითხვაზე: იყავით თუ არა ოჯახებში რიაბინინთან და დიჩოვთან?

— არა.

ტიმოფეი ნიკოლაევიჩი ტატიანა მიხაილოვნას მიუბრუნდა:

— თქვენ ხომ არ გსურთ რაიმეს თქმა?

ტატიანა მიხაილოვნა ადგა, ფერდაკარგული, აღელვებული, — ხელებს უკანკალებდა, ყელი გამშრალი ჰქონდა.

— მე, რასაკვირველია, დამნაშავე ვარ, რომ სანატორიუმში წავედი. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა. როგორმე უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა. არ ვიცი კი, როგორ. თუმცა მე თვითონ პედაგოგი ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ დაკარგე შვილზე ზეგავლენა. მე იგი აღარ მემორჩილება. ყველას ეთხოვთ დამეხმაროთ. მას ახლა სჭირდება მხარში ამოდგომა, კიდევ გვევდრებით, დამეხმაროთ, მე ხომ მარტო ვარ... ლაპარაკი მიჭირს, ეფიქრობ, ყველაფერი ისედაც ცხადია.

ტატიანა მიხაილოვნა თავის ადგილზე დაჯდა. მას რომ ბრალი დაედო პედაგოგებისათვის და შვილი გაემართლებინა, როგორც ამას ბევრი მშობელი აკეთებს, მაშინ შეიძლებოდა აქ მსხდომნი გულგრილნი დარჩენილიყვნენ მის მიმართ, მაგრამ ამჯერად მათ წინაშე იდგა ქალი, შვილის დარღვით გაწამებული, იდგა და მათგან დახმარებას ელოდა, რაც მთავარია, სჯეროდა, რომ დაეხმარებოდნენ. ყველას სურდა, დახმარებოდა ტატიანა მიხაილოვნას. მის სიტყვებს პირველად პეტრე ანდრეევიჩი გამოეხმაურა.

— რიაბინინი ყოველთვის კარგი ბიჭი იყო. რა მოუვიდა მას? რა თქმა უნდა, დახმარება სჭირდება. აღზრდა დიდებასაც სჭირდებათ და ესენი ხომ ჯერ ბავშვები არიან? გაიღლის რამდენიმე წელი და თვითონვე იტყვებს, სულელები ვიყავითო. პირველი ხომ არ არის ეს ჩვენთვის? მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთქვა ის, რასაც დიდი ხანია ვფიქრობ. აჰ, ბავშვებზე ლაპარაკობენ, რომ ისინი მეცადინეობის ნაცვლად ქუჩაში დაეხეტებოდნენ, კინოში დადიოდნენ. ბევრი ბავშვი დახეტიალობს და თუ მათ თვალყურს არ მივადევნებთ, კიდევაც იხეტიალებს. ჩვენთან აღზრდა საზოგადოებრივია. საზოგადოება კი არა მარტო სკოლა და ოჯახია, არამედ ქუჩა და ეზო, სადაც ბავშვებს დიდხანს უხდებათ ყოფნა. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქუჩებისა და ეზოებისათვის კომ-კავშირელებს, მასწავლებლებსა და პენ-სიონერებს გაეწიათ ზედამხედველობა. მაშინ ადამიანთა მსხვერპლი გაცილე-ბით ნაკლები იქნებოდა...

— იქნებ თვით „გმირები“ გამოგვე-ძახა? — იკითხა ტიმოფეი ნიკოლაევიჩმ-ა.

— თქვენს ადგილზე მე ცოტა ხნით მოგვთმენდი, ტიმოფეი ნიკოლაევიჩ. — თქვა სერგეი ვლადიმიროვიჩმა. — მო-დით, ჩვენ თვითონ გვეერკვეთ ამ საქ-მეში: ნება მიბოძეთ, ვილაპარაკო.

— ბრძანეთ!

— კლავდია ივანოვნა, მაპატიეთ, — დაიწყო სერგეი ვლადიმიროვიჩმა, — გულახდილად უნდა ვილაპარაკო. პირში გეტყვით: თქვენ ბევრ რამეში ხართ დამ-ნაშავე. ბავშვები მეცადინეობას აცდე-ნენ, თქვენ კი მიზეზის დადგენა არ შეგიძლიათ, ოროსნები დღიურებს არ გაძლევენ, თქვენ არ აიძულეთ, რომ მოგცენ. ასე არ ვარგა, წეღან თქვით, მე მათი ძიძა არა ვარ, რომ კუდში ვსდიოო. თუ საჭირო გახდა, კიდეც უნდა სდიოთ. ბოდიშს გიხდით, მაგრამ მე მეუხერხულებოდა თქვენი სიტყვების მოსმენა. ალბათ, ცუდად ლაპარაკობ-დით. უპირველეს ყოვლისა, მინდა ვილა-პარაკო „ხორცმეტებზე“, ასეთებს თქვენ დიჩკოვი და რიაბინინი მიაკუთვნეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი გვაქვს ბავშთა აღზრდაში. პეტრე ანდრეევიჩმა სწორად ილაპარაკა ქუ-ჩებსა და ეზოზე. მაგრამ ხომ არ შეიძ-ლება ადამიანს ასე უცებ „ხორცმეტი“ ეუწოდოთ. ეს წინდაუხედაობაა. თვითონ განსაკუთრებულ რამდენი ბავშვი აღიზრდა ჩვენს ხელში. აბა გაიხსენეთ, ბევრი იყო მათ შორის ხორცმეტი? ბევრი გაგრიცხეთ, ბევრი გადავიყვანეთ სხვა სკოლებში? ათასში, ალბათ ერთი შემთ-ხვევა იყო ასეთი. მართალია, ზოგ ბავშვს მძიმე ხასიათი აქვს, არიან ავადმყოფე-ბი, ნერვიულებიც.

— ყოველივე, რასაც ვამბობთ, დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტებაა. არ მესმის, ამას რა კავშირი აქვს... — გაა-წყვეტინა უეცრად კლავდია ივანოვნამ. სერგეი ვლადიმიროვიჩი გაფიორდა.

— პირდაპირი კავშირი აქვს ამ საკ-ითხთან და პირადად ჩვენთან. რიაბი-ნინი უმამოა. ბავშვები მარტოხელა დედამ გაზარდა, დედას ჯანმრთელო-ბამ უფალატა. გაითვალისწინეთ თუ არა თქვენ ეს გარემოება? — არა. ჩვენთან ბევრი ობოლი სწავლობს. არიან მამები-საგან მიტოვებული ბავშვებიც. აი, რა-ტომ ვლაპარაკობ მე ასე. ასეთი რამე-ები არ უნდა დავივიწყოთ. რიაბინინის მიმართ მოდური სიტყვა „ხორცმეტი“ უადგილოდ მიმაჩნია. იგი პატიოსანი, ბეჯითი, მეტსაც ვიტყვი — ნიჭიერი ყმა-წვილია. ასეთებს უნდა გავუფრთხილ-დეთ. რაც შეეხება დიჩკოვს, მე მას ნაკ-ლებად ვიცნობ, მაგრამ იგი არაგულ-წრფელ და პოზიორ კაცად მეჩვენება. ბევრჯერ ვეცადე, მისთვის ქედმაღლობა მომეშლეგვინებინა. იქნებ ვინმე ჩემზე უკეთ იცნობს მას?

— დიჩკოვს არავინ არ იცნობს კარ-გად, — თქვა ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა. — იგი ოდესღაც მეზობელ სკოლაში სწავ-ლობდა. შემდეგ ერთი წელი საზღვაო სასწავლებელში იყო. იქიდან გარიცხეს, როგორც აკადემიურად ჩამორჩენილი. ოჯახური მდგომარეობა დიჩკოვს არა-სახარბიელო აქვს. დედა მძიმე ავად-მყოფია, ხოლო მამა მასთან არ ცხოვ-რობს. რიაბინინი უმამოდ დარჩა, ხოლო მამა ცოცხალი ჰყავდა. მამამისი მე შე-მოდგომაზე ვნახე. იგორი თვითონ მან მომიყვანა, მთხოვა, ბავშვს მკაცრად მოვქცეოდი და თუ რამე ისეთი მოხდე-ბოდა, მისთვის მიმეწერა ოდესაში. მე უკვე მივწერე მას, დე, იფიქროს თავის შვილზე.

— ტიმოფეი ნიკოლაევიჩ, — თქვა ფიზიკულტურის მასწავლებელმა ივან კუზმიჩმა, — მე ახლახან გაეიდი დერე-ფანში, იქ მხოლოდ რიაბინინია. დიჩკო-ვი არ არის. იგი არც გაკვეთილზე ყოფილა.

მარია ბელახოვა
ვაჟეშვილი

სიტყვა პელაგია ანტონოვნამ მოითხოვა.

— მე ასეთ წინადადებას გთავაზობთ, ყველაფრის გარკვევა მე და სერგეი ვლადიმიროვიჩს მოგვანდეთ. თუ საჭირო იქნა, მომავალ პედსაბჭოზე ჩვენ კვლავ დავაყენებთ ამ საკითხს.

სანია უკვე მთელი საათია მარტო დგას ცარიელ დერეფანში. იგი ფანჯარაში იყურება. გარეთ თოვლშყალი, ნესტი და სიცივეა. მეზობელი სახლის ანტენაზე სიცივისაგან ბუმბულაშლილი ბეღურები შემომსხდარან.

წინა ღამით, როცა სანიამ მტკიცედ გადაწყვიტა გამოსწორებულიყო, ეგონა, რომ ამას იოლად შეძლებდა. ღილით კი მოთენთილი, დაღლილი ადგა, არაფრის თავი არ ჰქონდა. არც სკოლაში წასვლა უნდოდა და არც ვინმესთან დალაპარაკება. თავი უბრუოდა. ასე იყო ყველა გაკვეთილზე. კიდევ კარგი, რომ არც ერთ საგაზეთ არ გამოუძახიათ, თორემ ახალ ორიანებს მიიღებდა. ახლა კიდევ პედსაბჭო. რა უნდათ? ხომ დაუწერა სანიამ დირექტორს ახსნა-განმარტება და პირობა დასდო, რომ კარგად ისწავლიდა. მეტი რა უნდათ? ისევ დაუწყებენ ჭკუის დარიგებას და შერცხვენას. მათ არც კი იციან, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა მის გულში.

დირექტორის კაბინეტის კარი რომ გაიღო, სანია შეკრთა და მოიხედა. მის წინ დედა იდგა. ტატიანა მიხაილოვნა მივიდა მასთან და უთხრა:

— შინ წავიდეთ, შვილო. შემდეგ პედსაბჭომდე გადასდეს.

ეს მან ისე ალერსიანად და ნაზად თქვა, თითქოს მათ შორის საწყენი არაფერი მომხდარიყო: სანია ქვითინს ძლივს იკავებდა.

ისინი კიბისკენ გაემართნენ, მაგრამ კაბინეტის კარი ისევ გაიღო. სერგეი ვლადიმიროვიჩი გამოვიდა.

— რიაბინინ! ერთი წუთით მოიცადეთქვენ წაბრძანდით, ტატიანა მიხაილოვნა. ბავშვი მალე დაბრუნდება შინ. —შემდეგ სანიას შეხედა და უთხრა: — წამოდი, შეგიღეთ თუნდაც კლასში, მოვილაპარაკოთ.

სანიას შემდეგში თვითონაც უკვირდა, როგორ მოხდა ეს. მან ყველაფერი უამბო სერგეი ვლადიმიროვიჩს. იგი მას არც აძალებდა, არც არცხვენდა; ელაპარაკებოდა, როგორც თანატოლი, როგორც მეგობრის ცუდი ამბით გულნატკენი კაცი. სანია ყველაფერს მოჰყვა, თუ რა აწუხებდა ბოლო დროს. ლაპარაკი რომ დაამთავრა, იგრძნო — ტვირთი მოეხსნა. რა მოხდებოდა შემდეგში, მან არ იცოდა, ხოლო იმაზე უარესი, რაც ამ დღეებში მოუვიდა, რა უნდა დამართოდა?

სერგეი ვლადიმიროვიჩი ყურადღებით და კეთილი თვალებით უყურებდა სანიას. ბოლოს ჰკითხა:

— ყველაფერი გულახდილად მიამბე? არაფერი არ დაგიმალავს? ხომ იცი, მე სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ვარ. შემიძლია გენდო ჩემი პარტიული, საბჭოთა სინდისით და დაგიჯერო, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ასე იყო?

— შეგიძლიათ. მე ყველაფერი ვთქვი.

სანიამ თავი ვეღარ შეიკავა, აქვითინდა. ამოდენა ვაჟკაცი ბავშვივით ატირდა.

სერგეი ვლადიმიროვიჩმა ხელი მოხვია მას.

— არაფერია, ნუ ღელავ. ნურაფერზე ნუ იფიქრებ, მე დამენდე. შენი დრდი ახლა მე ვიტვირთე. წადი შინ, რიაბინინ და იმეცადინე. დედაშენი დაამშვიდე. კარგი დედა გყავს, გაუფრთხილდი.

სანია შინ რომ დაბრუნდა, ტატიანა მიხაილოვნამ შესცდა მის ფერმკრთალ სახეს, დაწითლებულ თვალებს, მიხვდა, ბიჭი საოცრად დაძაბული იყო. მას არაფერი უკითხავს. სანიამ კი უთხრა:

— დედიკო! მე არა მშია. მეძინება მხოლოდ. ნუ იფიქრებ, თითქოს ავად ვიყო. ეს ისე...

საღამოს შვიდი საათი იყო, მან კი გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და გაირინდა. ტატიანა მიხაილოვნამ შუქი ჩააქრო. მაგიდის ლამპას გაზეთი შემოახვია და ოთახიდან გავიდა. როგორც ჩანს, დარდი შეუმსუბუქდა. კარგის მეტი რა

უნდა მოჰყოლოდა სანიას საუბარს სერგეი ვლადიმიროვიჩთან. ძვირფასი ადამიანია! სად არის ირა? ბოლო ხანებში დედამ მთელი ყურადღება სანიას დაუთმო. რაიმე სისულელე ხომ არ ჩაიდინა გოგონამ. აი ნიურა ფროლოვა: ჩუმი, წყნარი ბავშვი იყო. ახლა კი გაწამებული ჰკავს ანა ალექოვნა. გვიან დამემდე სეირნობს. არაფერს არ აკეთებს. ყველა შენიშვნაზე უხეშად პასუხობს.

ტატიანა მიხაილოვნა სამზარეულოში ზის. იგი არ შედის ოთახში, ირას ელოდება. ირა რომ არ გააფრთხილოს, იგი ხმაურით შემოიკრება ოთახში და ბიჭს გაადვიძებს. თუკი ადამიანი დამშიდებულია, მუშაობითაც კარგად მუშაობს, გარშემო მყოფი ხალხიც სიამოვნებს. ასე იყო ტატიანა მიხაილოვნაც. მეორე დღეს, როცა იგი სამსახურში წავიდა, ბავშვებს სიყვარულით უყურებდა და ფიქრობდა: „ამ დღეებში თქვენ ალბათ მოწყენილები იყავით ჩემთან, რადგან სულ ცსლუკუნებდი“. დღეს კი მისი ბავშვები, მხიარულები, სასაცილონი და ცელქები იყვნენ. ყველაფერი გამოსდიოდა. ძერწვისა და ხატვის გაკვეთილები კარგად ჩაატარა, დღიური ხალისით შეაგსო, მორიგეობა დაამთავრა და დამშვიდებული წავიდა შინ.

შინის შესასვლელი კარი ტატიანა მიხაილოვნამ თავისი გასაღებით გააღო. დერეფანში შევიდა და განცვიფრდა, საკიდი სხვისი პალტოებით იყო დახუნძლული, ხოლო მისი ოთახიდან მხიარული ხმები გამოდიოდა. რა უნდა ყოფილიყო? სანია ლოგინში იწვა, ხოლო მის ირგვლივ სკამებზე და საწოლზე თანაკლასელები ისხდნენ.

— რა მოხდა? ავად ხარ? — ჰკითხა შეშინებულმა ტატიანა მიხაილოვნამ სანიას.

— ისეთი არაფერი, — უპასუხა სანიამ, — სკოლაში ვიყავი, მაგრამ სიცხე მომცა და გამომიშვეს. ოცდაჩვიდმეტი და ხუთი ხაზი, ყელიც მტკივა.

— ანგინა გექნება. ბავშვებო, თქვენ ცოტა მოშორებით დასხედით.

— არა უშავს, არ გადაგვედება! — ხმამაღლა წამოიძახეს ბავშვებმა.

ერთმა ყმაწვილმა შეწუხებული სახე მიიღო და სანინულით თქვა:

— არ გადაგვედება. ყველას სანიასავით არ სწყალობს ბედი. მაგას ახლა მთელი კვირით გაათავისუფლებენ მეცადინეობიდან.

ყველამ ხმამაღლა გაიცინა.

მაინც რა მოხდა? რამ შეყარა ამდენი ბავშვი?

სანიას თვითონვე უკვირდა, რომ მასთან ამდენი ამხანაგი მოვიდა. ეს რომ სცოდნოდა, ტრუსის ამარა არ ჩაწვებოდა ლოგინში. უხერხულია: მარტო ბიჭები კი არ მოსულან, გოგოებიც მოვიდნენ, მოვიდა ზოიაც...

ახლაც ზოია ლაპარაკობს:

— ბავშვებო, ვუთხრათ სანიას ახალი ამბავი?

— რა თქმა უნდა, ვუთხრათ, — გაისმა აქეთ-იქიდან.

...სანია მეორე გაკვეთილის შემდეგ წამოვიდა სკოლიდან, დიდ დასვენებაზე. მესამე გაკვეთილი ინგლისური ენისა იყო, მოვიდა სერგეი ვლადიმიროვიჩი და იმის ნაცვლად, რომ გაკვეთილი დაეწყო, გამოაცხადა:

— დღეიდან მე თქვენი კლასის დამრიგებელი ვარ.

გაკვირვებისაგან ყველამ პირი დააღო. სერგეი ვლადიმიროვიჩი პარტორგანიზაციის მდივანია, მას ძალიან დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს და უცებ — კლასის დამრიგებელი. ისიც შუა წელიწადში.

სერგეი კლავდიოვიჩმა გადახედა ბავშვების გაკვირვებულ სახეებს და ნათქვამი ერთხელ კიდევ დაადასტურა.

— დიახ, ასეა, გაგიკვირდათ? ახლავე აგიხსნით. კლავდია ივანოვნას უჭირს თქვენი კლასის გაძღოლა. თქვენ მას არ უწყობდით ხელს, ის კი ახალგაზრდა მასწავლებელია, ბევრი საათი აქვს ლიტერატურაში, ამიტომ ძალიან დაკავებულია. მე ნებაყოფლობით დავთანხმდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი კლასის ხელმძღვანელობაზე. მაგრამ თუ თქვენ არ დამეხმარებით, მეც გავიქცევი. ვინ არის მორიგე?

მერხიდან არკაშა წამოდგა.

— ვინ არ ეცწრება?

— დიჩოვი და რიაბინინი.

— რატომ?

— დიჩოვის არაფერი ვიცით, ხოლო რიაბინინი იყო და წავიდა. ალბათ, ავადაა.

— დანამდვილებით არ იცით? საბიროა მასთან სახლში მიხვიდეთ და გაიგოთ ამბავი. დიჩოვთან მე თვითონ წავალ დღეს, რიაბინინთან კი რომელიმე თქვენგანი მივიდეს. შევთანხმდით?

გაკვეთილების შემდეგ ბავშვებმა კამათი დაიწყეს, თუ ვის უნდა ენახა სანია და გადაწყვიტეს, რომ ყველა წასულიყო, ვისაც სურვილი ჰქონდა.

ტატიანა მიხაილოვნა ორკეარ შევიდა ოთახში, თითქოს რაღაც ნივთი სჭირდებოდა და ბავშვების ნაამბობი მოისმინა. ჩანდა, გუშინდელი პედსაბჭოს შემდეგ კლავდია ივანოვნა კლასის დამრიგებლობიდან გაეთავისუფლებინათ. ნეტა რა ელაპარაკა სერგეი ვლადიმიროვიჩი მის ვაქს? ახალმა ამბავმა სანიაც გააოცა. იგი ფიქრობდა, რომ სერგეი ვლადიმიროვიჩმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მათს საუბარს, რადგან კლასის დამრიგებლობა თვითონ იკისრა. ბავშვებს გაუკვირდათ, რომ ახალი ამბის მოსმენის შემდეგ სანია ჩაფიქრდა და მოიწყინა.

— დიდი სიცხე გაქვს? ყელი გტკივა? — მზრუნველობით შეეკითხა ზოია. — წადიდეთ, ბავშვებო! სანიამ უნდა დაისვენოს!

სანიას მართლაც აღმოაჩნდა ანგინა. ტატიანა მიხაილოვნამ იგი აიძულა წამალი დაელია, ყელი გამოერეცხა, ლიმონი ეჭამა. სამსახურში რომ მიდიოდა, მარია პეტროვნას სთხოვა, თუ მორიგეობიდან თავისუფალი იქნები, სანიასთან ხშირ-ხშირად შეიარე, იქნებ ბიჭს რაიმე დასჭირდესო.

— წადი, მიეხედავ, — უპასუხა მარია პეტროვნამ, — მართალია, რომ ამბობენ: დედის გული შვილებშია, შვილებისა კი — ქვაშიო. სიცოცხლე გაგიმწარა მაგან: გაუხეშდა, სწავლას თავი მიანება, შენ კი ლოგინად კინალამ ჩაწექ ვარდი, ლანდად იქეცი.

— კმარა, მარია პეტროვნა, ახლა ავად არის.

— რა დიდი ავადმყოფიც ეგ არის. პატარა სიცხე აქვს. კარგი. კარგი, წადი. შევივლი ხოლმე. ჩემთვის მას არაფერი დაუშავებია. სანიასთან საუბარი კიდევაც მსიამოვნებს.

მარია პეტროვნას გარდა, სანიასთან მიშა ფროლოვიც ხშირად მოდიოდა. ერთხელ სახელმძღვანელოსთვის მოვიდა, დაელაპარაკა და ისეგ მეგობრები გახდნენ, თითქოს მათ შორის არავითარი უსიამოვნება არ მომხდარიყო. მიშას შელმაც მუდამ თან შემოჰყავდა. შელმა შეხტებოდა ხოლმე სანიას ლოგინზე და საბანზე მოკალათდებოდა. ზინაიდა ივანოვნამ, რასაკვირველია, იცოდა, სად იყო შელმა, მაგრამ რატომღაც არაფერს ამბობდა; სკოლიდან მოდიოდნენ არკაშა, ზოია, ვიტია პახომოვი. მათ მოჰქონდათ დავალებები და ერთად მეცადინეობდნენ.

ასე რომ, ავადმყოფობას მთლად უსარგებლოდ არ ჩაუვლია.

კომკავშირის კრება დიდ დარბაზში მიმდინარეობდა. მოხსენებას აკეთებდა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ნადეჟდა ალექსეევნა. მან მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რაც ადასტურებდა სკოლის მიღწევებს აკადემიურ მოსწრების მხრივ და მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ნადეჟდა ალექსეევნამ დაასახელა მრავალი ფრიადოსანი კომკავშირელი, წაიკითხა იმ მოსწავლეთა სია, რომლებმაც ცუდი ნიშნები მიიღეს წინა მეოთხედში. ერთი შეხედვით, მოხსენებაში ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ იმის გამო, რომ ნადეჟდა ალექსეევნა ცუდი ორატორი იყო, თუ იმის გამო, რომ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა, სანამ იგი ლაპარაკობდა, დარბაზი საშინლად ხმაურობდა. თავმჯდომარემ რამდენჯერმე დარეკა ზარი და შეკრებილთ წესრიგისაკენ მოუწოდა.

სასწავლო ნაწილის გამგის შემდეგ სიტყვა აიღო კლასის კომორგმა მიშა ფრილო

ბიათ, მაგრამ თავს დამნაშავედ გრძნობდა. იგი კმაყოფილი იყო, რომ დედამ არაფერი იცოდა დიჩოვისა და კომკავშირული კრების შესახებ. როცა კრება მიმდინარეობდა, სანია უკვე კარგად სწავლობდა, ამიტომ დედამისი სკოლაში არ დადიოდა. თუმცა საბოლოოდ ტატიანა მიხაილოვნამ ყველაფერი შეიტყო; დირექტორი ელაპარაკა მას.

— აი რა წრეში აღმოჩნდა თქვენი შვილი, — თქვა ტიმოფეი ნიკოლაევიჩმა, — მაგრამ მაინც ყოჩაღი ყოფილა, სუფთა სინდისი ჰქონია, პასუხისმგებლობა იგრძნო.

ნაგვიანევი შიშისაგან ენაჩავარდნილი რომ დაინახა, დირექტორმა დამშვიდება დაუწყო ტატიანა მიხაილოვნას:

— ნუ ღელავთ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თქვენი შვილი ახლა გამოწრთობილია. გახსოვთ, მაკარენკო ამბობდა: ყოველი ადამიანი ისე უნდა შევიდეს ცხოვრებაში, რომ შეეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს მავნე ზეგავლენას, რომ საჭიროა არა მარტო აირიდო ეს ზეგავლენა, არამედ, მთავარია, ისწავლო მასთან ბრძოლაო. ცუდი ზეგავლენა შეიძლება კომუნიზმის დროსაც არსებობდეს. და არა მარტო ზეგავლენა. ახალგაზრდობაში ბევრი რამე კეთდება დაუფიქრებლად, აღზრდა კი ყველა ასაკის ბავშვს ესაჭიროება.

როცა სანია და ირა პატარები იყვნენ, ტატიანა მიხაილოვნა ფიქრობდა, ბავშვები გაიზრდებიან, სკოლაში სიარულს დაიწყებენ, ტვირთი შემოსსუბუქდებაო. ახლა დარწმუნდა, რომ საზრუნაკი შემატებოდა. ეს ორთვენახევარი სანიამ გაიწამა. რა მოხდება შემდეგში? მშვიდად წავა ცხოვრება, თუ კიდევ გამწარება მოელის? მისი შვილები ნამდვილი ადამიანები უნდა გამოვიდნენ. ასე თუ არ იქნა, იგი ვერ მოიხდის დედის მოვალეობას. ეყოფა თუ არა ძალა და ჯანმრთელობა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოამზადოს ისინი?! დამშვიდდება კი მაშინ? არა, იგი მაინც მათზე იფიქრებს: როგორ მუშაობენ, როგორ აცვიათ, ვისთან მეგობრობენ. შემდეგ, როცა სანია ცოლს შეირთავს და ირა გათხოვდება, ტატიანა მიხაილოვნას ახალი საზრუნავი გაუჩნდება. ეღიმება და ფიქრობს, ალბათ სხვა დედებივით მოეჩვენება, რომ რძალი ცუდად უვლის სანიას, რომ სიძე ნაკლებად ეხმარება ირას საოჯახო საქმეებში, რომ მათ არ შეუძლიათ ბავშვების აღზრდა, ძალზე მკაცრად ექცევიან შვილებს.

უყურებს ტატიანა მიხაილოვნა შვილს და უნებურად ყოველთვის ქმარი ახსენდება. სანია ზედგამოჭრილი მამაა. ტატიანა მიხაილოვნა ბევრს ფიქრობს ცხოვრებაზე, ბავშვებზე. ასეთია დედის გული.

აფასებენ კი ამას შვილები?

თარგმნა გიორგი ვრიგორაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ისტორიულ თემატიკაზე დაწერილმა ნაწარმოებებმა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი ა. მ. გორკი ჯერ კიდევ 1931 წელს აღნიშნავდა: **„შეუმჩნევლად, და სხვათა შორის ჩვენთან უკვე შეიქმნა ჭეშმარიტი და მაღალმხატვრული ისტორიული რომანი... ისეთი, როგორიც არ ყოფილა რევოლუციამდელ ლიტერატურაში.“** დღეისთვის კი ჩვენ ბრწყინვალე ისტორიული რომანების მთელი სერია გვაქვს. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ალექსი ტოლსტოის „პეტრე პირველი“ და „ივანე მრისხანე“, ს. გოლუბევის „ბაგრატიონი“, ვ. იანის „ბათო“ და „ჩინგიზ ყაენი“, ა. ანტონოვსკაის „დიდი მოურავი“, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მ. აუეზოვის „აბაი“, აიბეკის „ნავოი“, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და სხვა.

ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს გრიგოლ აბაშიძის მეორე ისტორიული რომანის „დიდი ღამის“ გამოქვეყნება.

ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე ჰისი და რუსუდანი ავიდა, რომლის მეფობის დროს ქართველ ხალხს განუზომელი უბედურება დატყდა თავს. ჯერ იყო და საქართველოს მიწა-წყალზე მონღოლთაგან დევნილი ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი შემოიჭრა, ხოლო შემდეგ ხანგრძლივი ომისაგან ღასუსტებულ ქვეყანას მონღოლთა ურდოები შემოესივნენ. ქართველი ერის ისტორიის ამ მეტად ტრაგიკულ ხანაზე, რომლის დროსაც თითქმის მთლიანად განადგურდა უბადლო ქართული კულტურა, მოგვითხრობს გრიგოლ აბაშიძის ახალი რომანი „დიდი ღამე“.

„დიდი ღამე“ ქრონოლოგიურად რუსუდანის მეფობის ხანას მოიცავს — 1222 წლიდან 1245 წლამდე. რომანში აღწერილი მოვლენები სცილდებიან საქართველოს საზღვრებს და გადმოგვცემენ აღმოსავლეთის იმ ქვეყნების ძალზედ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, სადაც ჯერ ჯალალედინის და შემდეგ მონღოლების ურდოებმა ითარეშეს. რომანის გმირთა მოქმედება დიდ გეოგრაფიულ სივრცეებზე იშლება და, რაც მთავარია, ნაწარმოების თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს ჯერ ჯალალ-

ედინის პიროვნებისა და მისი საომარი მოღვაწეობის და მერე, მონღოლთა ურდოების ლაშქრობათა აღწერას, რაც სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან რუსულ-ფეოდალის ფეოდაბში ქვეყნის ბედ-იღბალი მეტწილად დამოკიდებული იყო იმ ისტორიული მოვლენებისაგან, რომლებიც საქართველოსაგან დამოუკიდებლად და მისი საზღვრების მიღმა ხდებოდა.

ისტორიული პროცესის სწორმა გაგებამ გრიგოლ აბაშიძეს საშუალება მისცა ჯერ კიდევ თავის პირველ ოდენ „ლაშარელაში“ მაღალხატვრული სახეებით ეჩვენებინა ის შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური წინააღმდეგობები, რომელმაც დაასუსტა საქართველოს ძლიერება და უსუსური გახადა დაეცა თავი მიზღვავებული მტრისაგან. „დიდ ღამეში“ კი ასახულია ის დიდი ტრაგედია, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა ქვეყნის იმდროინდელ მესვეურთა უგუნური და ბეცი პოლიტიკის გამო. კითხულობთ გრიგოლ აბაშიძის რომანს და რწმუნდებით, რომ, თუ საქართველოს ძლიერი ერთმმართველი ეყოლებოდა, რომელიც შესძლებდა მთავართა თვითნებობის ალაგმვას, და თუ საქართველო შესძლებდა თავის გარშემო კაკასიის ხალხების შემოკრებას, შესაძენელი იქნებოდა მრისხანე მტრების ღირსეული მოგერიება და დიდი ქართული კულტურის განდგურებისაგან გადარჩენა. „აუძლურებულ, დასუსტებულ, მთავრებ-ნ, მიერ დაქუცმაცებულ საქართველოს ჯალალედინი და მონღოლები, რომ ან დასხმოდნენ თავს, რუსუდანის დროის ქართველ ხალხს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შრომის ნაყოფი უნდა მოემკათ, ჩვენი ისტორიის ეჭვის ხანა უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა შეტრიალდა, რის გამოც ქართველმა ხალხმა არა მარტო თავისი კულტურული მონაპოვარი, არამედ სახელმწიფოებრივი ძლიერებაც და ეროვნული თავისუფლებაც დაკარგა.

გრიგოლ აბაშიძის წინაშე იდგა ამოცანა, მთელი სიგრძე-სიგანით ეჩვენებინა ის „დიდი ღამე“, რომელიც თავს დაეწვა საქართველოს მთებსა და ველებს, ეჩვენებინა, თუ როგორ იქცა ნაცრად და ფერფლად ნიჭიერი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შრომისა და გარჯის ნაყოფი.

ამ მიზნის მისაღწევად გრიგოლ აბაშიძემ ყურადღების ცენტრში ხალხი და ხალხის წიაღიდან გამოსული გმირები დააყენა. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ მთავარი გმირების ძირითადი ნაწილი ხელოვნების წარმომადგენელნი და მწიგნობარნი არიან. გააზნაურებული უბრალო მოლაშქრის ოჯახიდან გამოსულ ოქრომჭედელ-მამუკას, მისი ძმის — მწიგნობარ „პავლია კუტის“, მათი მეზობლის, შემდეგში განთქმული მხატვრის ვაჩეს, მხატვართუხუცესი დემეტრე იყალთოელის, მეფის კარის მგოსნის თურმან თორელის, კარის ხუროთმოძღვარი გორი მუხასძის ღრმა ტრაგიზმით აღსავსე სახეების შექმნით მწერალმა შესძლო მე-13 საუკუნის ქართული კულტურის უმაგალითო გაფურჩქნისა და მისი ჯალალედინის და მონღოლთა დაუჭედელი ცხენების ფლოქვებით გაქელვის სურათების შექმნა.

მწერალი თავის რომანში არა მარტო სასახლეების, მონასტრების, კულტურის კერების და საერთოდ, ძვირფასი მატერიალური კულტურის მოსპობას გვიჩვენებს, იგი ქართველი ხალხის სულიერ ტანჯვას და დიდ განსაცდელსაც გვიხატავს.

ხალხის ტრაგედია მწერალს მშრალად და აბსტრაქტულად კი არა აქვს გადმოცემული, იგი სისხლსავსე პერსონაჟების ენებათა ღელვას, განცდებსა და თავგადასავალს კონკრეტულ და ტიპიურ გარემოში გვიჩვენებს. ცალკეული ადამიანების ბედის ასახვით მწერალი დიდ განზოგადოებას აღწევს. ამ მხრივ ტიპიურია მხატვარ ვაჩეს ბედი. ახალდაბელი ბიჭი თავისი ნიჭისა და იმ კულტურული გარემოს წყალობით, რომელშიაც იგი ტრიალებს, დიდი ხელო-

ვანი ხდება, მას რუსუდანის სასახლის მოახატვას ანდობენ. ავტორმა თავის გმირს ამაღლებული, პოეტური და რაინდული სული შთაბერა. წარმტაცია და წმინდა მისი გრძნობა ცაგოსადმი, სიყვარული ცოლ-შვილისადმი, თავდადება სამშობლოსა და ხალხისადმი. გამხეცებულმა ჯალალედინმა ვაჩეს თვალები დასთხარა, მხატვარს სამუდამოდ დაუბნელა სინათლე. დიდი ღამე ჩამოწვა მისთვისაც და საქართველოსთვისაც და მის დაბრმავებას სიმბოლური ხასიათი აქვს.

მაღალი ზნეობრივი იდეალების მატარებელი არიან აგრეთვე ქართველი მხედართმთავრები შალვა და ივანე ახალციხელები, რომლებმაც უყოყმანოდ შესწირეს თავი სამშობლოს და მტრის წინაშე ქედი არ მოიხარეს. მათთვის ყველაზე მაღალ საქართველოს ბედნიერება და თავისუფლება იდგა და მათი ფიქრი, მათი ყოველი ნაბიჯი ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლით არის შთაგონებული.

ნიშითა და ვაჟკაცობით, ღრმა ინტელექტით, დიდი ზნეობრივი სიწმინდით გამოირჩევიან სამეფო კარის პოეტის თურმან თორელის და კარის ხუროთმოძღვრის გოჩი მუხასძის სახეები. ისინი მშვიდობიან დროს თავდავიწყებით ემსახურებიან ხელოვნებას, ქართულ კულტურას და განსაცდელის ჟამს, როგორც უბრალო მეომრები, მკერდით იცავენ საყვარელ სამშობლოს.

ძალზედ კოლორიტულია რომაში პავლია კუტის პროოვნება. მიუხედავად იმისა, რომ პავლიას ორივე ფეხის დამბლა აქვს, იგი მაინც პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში და მემატიანე, პირუთვნელი ჟამთაადმწერელი ხდება. მაგრამ პავლია კუტი არ არის მხოლოდ ისტორიული მოვლენების გულცივი მოწმე და აღმნუსხავი. იგი, მიუხედავად ხეიბრობისა, თბილისის დაცვაში მონაწილეობს. შემდგომში, როდესაც მას გზაზე მონღოლი გადაეყარა, მოთმინებიდან გამოსულმა პავლიამ მტარვალს სული გააფრთხობინა. მონღოლებმა მონასტრის წინამძღვარი პავლია ცოცხლად დასწვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ქალები ყოველთვის ნირჩეოდნენ ძაღალი ზნეობით, შეუდარებელი სილამაზით, სინაზითა და კეთილშობილებით. მათ გრძნობების სიფაქიზე, სამშობლოსა და ოჯახისადმი სიყვარული აკვნიდანვე ჰქონდათ შესისხლხორცებული. საქართველოს ისტორიის შავბნელ ღამეებში ჩაუქრობელი ვარსკვლავებივით კიაფობენ მათი სახელები, ვინც ქედი არ მოიხარა მტრის წინაშე და თავი სამშობლოს შესწირა. გრიგოლ აბაშიძემ თავის რომაწში ქართველი ქალების მიმზიდველი და დაუვიწყარი სახეები შექმნა. ცაგო და ლელა ოჯახისა და სამშობლოსათვის სიყვარულით ანთებულნი მტერს არ დანებდნენ, არ შეარცხვინეს ქართველი ქალის მანდილი.

გრიგოლ აბაშიძის დამსახურება ისიც არის, რომ მან საკმაოდ კარგად დაგვიხატა მტრის ბანაკი. განსაკუთრებით, ჯალალედინის სახე. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჯალალედინის მემატიანის ნესეკის სიტყვები, როცა იგი თურმან თორელს თავისი მატიანის ერთ ცალს აძლევს შესასახად: **„ამ წიგნის მეორე ცალს შენ გაბარებ და შემოგვედრებ როგორმე გადაარჩინო და შეუნახო შთამომავლობას. ამ სიკეთეს არა მარტო სამაჰმადიანო დაგიმადლებს, არამედ შენი ქვეყანაც მადლობელი დაგრჩება, რადგან შთამომავლობამ თავისი მტრის ცხოვრებაც ისევე უნდა იცოდეს, როგორც მოკეთისა“.**

ჯალალედინი რომანში დახატულია როგორც მხედართმთავარი, პოლიტიკური მოღვაწე და როგორც ადამიანი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჯალალედინის მიერ შვილის დატირებისა და ჯალალედინის მოკვლის სცენა.

გრიგოლ აბაშიძემ ჯერ კიდევ „ლაშარელში“ გვიჩვენა, რომ იგი ბატალური სცენების ოსტატია, ხოლო „დიდ ლა-

---

დიმიტრი ქუმსიშვილი
ქართლის ცხოვრების ერთი ფურცელი

მეში“ მან ამ მხრივ მეტ სრულყოფას მიაღწია. დიდი დამჯერებლობითა და წამხედრო ხელოვნების ცოდნითაა დახატული გარნისის ცნობილი ბრძოლა და ჯალალედინის მიერ თბილისის აღება.

„დიდი ღამე“ ღრმა შინაარსის მქონე ნაწარმოებია, მისი პრობლემატიკა ძალზედ ფართოა. რომანის გმირები მსჯელობენ ისტორიულ პროცესზე, ხალხის როლზე ისტორიაში, სამეფო ხელისუფლების რაობაზე, ხელოვნებაზე და პოეზიაზე, ცხოვრებაში ადამიანის დანიშნულებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, მოჯანურობაზე, ვაჟკაცობაზე და სამშობლოსათვის თავგანწირვაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის რომანებისათვის დამახასიათებელი ობიექტივიზმი. იგი ყოველგვარი შელამაზებისა და გაყალბების გარეშე გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს. მისთვის სრულიად უცხოა ის სუბიექტივიზმი, რომელიც დამახასიათებელი იყო რევოლუციამდელი და ახლანდელი ბურჟუაზიული ისტორიული რომანებისათვის.

მაგრამ გრიგოლ აბაშიძის ობიექტივიზმი სრულიადაც არ ნიშნავს ისტორიული ფაქტების გულგრილ აღნუსხვას. იგი ცდილობს ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შეფასებას ერის მომავლისა და შემდგომი წინსვლის თვალსაზრისით.

„დიდ ღამეში“ ასახული ეპოქა ძალზე მძიმე და უსიხარულო იყო საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, ნაწარმოების ყოველი სტრიქონი და განსაკუთრებით მისი ფინალი დიდი ოპტიმიზმითაა აღსავსე და ჩვენი აზრით, რომანის იდეური არსიც სწორედ ესაა.

აქ ჩვენ თავს ნებას მივცემთ, მკითხველს გავახსენთ რომანის ფინალი, რომელშიც ნაწარმოების დედააზრი ნათლად არის გამოხატული.

ავადმყოფი, დაუძლურებული თურმან თორელი და უსინათლო მხატკარი ვაჩე გაპარტახებულ, გადამწვარ სოფელს მიჰყვებიან და ქართლის ბაგეზე მის მომავალზე მსჯელობენ.

ვაჩე ეკითხება თურმანს, დადგება თუ არა მონღოლეთისაგან გათავისუფლების დრო და თურმანიც პასუხობს:

„— დადგება! გვიან, მაგრამ მაინც დადგება! მონგოლეთმა ინოდენას მოხვიეს ხელი, ინოდენა მიწა-წყალი დაიპყრეს, რომ ვერ გასწვდებიან. ჩინგიზის მემკვიდრეებს ერთმანეთში შეულია აქვთ, ამოდენა ნადავლის გაყოფაზე საბოლოოდ ერთიმეორეს აეშლებიან და დაერევიან, დღეს თუ არა, ხვალ ერთმანეთზე აღსდგებიან. მაშინ დაპყრობილი ხალხებიც ავანყდებიან და მონგოლთა უღელს მოიშორებენ. აი, ამ დროისთვის უნდა შევინახოთ თავი, ვაჩე, და მაშინ უნდა დავკრათ მტერს, როცა ჩვენი ხმალი ნამდვილად გასჭრის.

— მე კი მგონია, რომ ეგ დრო არასოდეს აღარ დადგება. როგორც ჩემს დათხრილ თვალებში წყვდიადი არ გაფანტება აღარასოდეს, ისე საქართველოზე ბამეფებული დიდი ღამე აღარ გათენდება.

— გათენდება, ვაჩე, გგჯეროდეს, რომ გათენდება!..

— გათენებული გვქონდა და ჩვენს თვალწინ დაღამდა. ვინ იცის, საქართველოს კიდევ უწერია თუ არა ცისკრის გახსნა?! იქნება მართლა ერთხელ იხსნება ერისთვისაც ცისკარი და თუ მაშინ ვერ მოასწრო საუკუნო ძლიერებისა და უკვდავების დამკვიდრება, მერე ის ცისკარი აღარასოდეს აღარ გაეხსნება.

— საქართველო უკვდავია, ვაჩე, კიდევ ბევრჯერ გაიხსნება მისი ცისკარი.

— ღმერთმა ჰქნას, თურმან, მაგრამ ჩვენ კი ვეღარ მოვესწრებით.

— ჩვენ, ალბათ, ვერა, ვაჩე. ჩვენ ქართველთა მოდგმის ყველაზე უბედური თაობა ვართ, რომელიც საქართველოს ყველაზე დიდ ბრწყინვალებასაც მოესწრო და ყველაზე დიდ უბედურებასაც, ჩვენ სუსტნი და უღონო-

ნი აღმოვჩნდით, დაგვეცვა, შთამომავლობისათვის გადაგვეცა საქართველოს თავისუფლება და ძლიერება. მაგრამ ბოლოს მეც იმ აზრზე დავდექი, რომ ყველაფერი, ჩვენი ნებაცა და მოქმედებაც განგებისაგან არი განსაზღვრული. განგებამ მისცა მონგოლებს მთელ ქვეყანაზე გამარჯვება და აქაც, ჩვენშიაც ასე მოაწყო, რომ მათ წინააღმდეგ სუსტი და უნებისყოფო თაობა წამოაყენა. განგებამ, ბედისწერამ დაამხო საქართველოს ძლიერება, ისევ ის ბედისწერა აღადგენს ახლო, ძლიერ საქართველოს. იმ საქართველოს ჩვენზე ძლიერი შვილები ეყოლება. ჩვენ უზრუნველობით მოდუნებულნი ვიყავით, ისინი გაჯირვებისაგან გამოწრთობილნი, განსაცდელისაგან გაკაჟებულნი იქნებიან.

— მაშ კიდევ დაიბადება დავით აღმაშენებელი?

— დაიბადება, ვაჩე, კიდევ დაიბადება!!!"

ამ დიალოგის შემდეგ, როგორც საქართველოს მომავალი აღორძინების სიმბოლო, „თეთრი დროშის რხევით მოგუგუნებენ ტაეედგასული მეამბოხეები" თეორმან თორელის ვაჟის შალვას მეთაურობით, და ისმის სიმღერა:

> აღსდგე, ნუ ვძინავს, ქართველო,
> ხელში აიღე ფარ-ხმალი...

დიდი საშინელება დაატყდა ძველი და დიდი კულტურის მქონე ქართველ ერს, როცა მის მიწა-წყალზე ნახევრად ველური მომთაბარე მონღოლების ურდოები შემოიჭრენ. მათ ხომ ჯერ ცხენების დაჭედვაც კი არ იცოდნენ და როგორ შეეძლოთ დაეფსებინათ ეა გაფრთხილებოდნენ სასწაულებრივად ცაში აზიდულ სასახლეებსა და ტაძრებს! მათ საკუთარი დამწერლობაც კი არა ჰქონდათ და როგორ მიხვდებოდნენ, თუ რა საგანძურსა სპობდნენ, როდესაც საოცარი გულმოდგინებით გადაწერილ ფილოსოფიურ და პოეტურ ქმნილებებს ცეცხლს უკიდებდნენ! გრიგორ აბაშიძე დიდი ისტორიკოსი დაგვიხატა იმის შემაძრწუნებელი სურათი, თუ ჯერ ჯალალედინმა და შემდეგ მონღოლთა ურდოებმა როგორ გაასწორეს მიწასთან, გადაწვეს და გადაბუგეს ქართული კულტურის მრავალსუკუნოვანი მონაპოვარი, უმოწყალოდ გაქელეს ადამიანის ღირსება, გაძარცვეს და ფერფლად აქციეს მოსახლეობის სახლ-კარი, აჩეხეს თვალუწვდენელი ვენახები და ბაღები, ულმობლად ამოწყვიტეს მოსახლეობა და ტყეების გრძელი ქარავნები აღმოსავლეთის ბაზრებისაკენ გაუყენეს გზას. ეს ჭეშმარიტად დიდი ღამე იყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ქართველმა ხალხმა ყველაფერს გაუძლო და დღევანდლამდე შეინარჩუნა თავისი მეობა ენა, ზნე-ჩვეულებები, ხელახლა აღადგინა თავისი კულტურა.

კითხულობ გრიგორ აბაშიძის რომანს და გკვირა, რომ ის დიდი ღამე, რომელიც საქართველოს მიწა-წყალს დაეწვა, მალე გაიფანტება, და საქართველო ფენიქსებრ ისევ აღსდგება ფერფლიდან და ნანგრევებიდან. მკითხველში თანდათან მტკიცდება რწმენა იმისა, რომ ხალხს, რომელმაც ამდენ ვაჟბას გაუძლო, რომელმაც ამდენი რამე გადაიტანა, დაღუპვა და განადგურება არ უწერია. და მართლაც, ხალხის, მისი კულტურის მოსპობა შეუძლებელია, რადგან მხოლოდ ხალხია უკვდავი.

დასასრულ, ჩვენ გვინდა გამოვთქვათ ერთი სურვილი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა შემოქმედებითი გეგმები აქვს გრიგორ აბაშიძეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მან უნდა განაგრძოს მუშაობა ისტორიულ ჟანრში. ამისათვის მას ძალაც შესწევს, ნიჭიცა და გამოცდილებაც.

დიმიტრი ქუმსიშვილი

ქართლის ცხოვრების ერთი ფურცელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღიშვის თქმა

ერთი შეხედვით

ახლახან გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ რუსულ ენაზე გამოსცა ირაკლი აბაშიძის წიგნი „ერთი შეხედვით“. წიგნში დაბეჭდილია, როგორც თვითონ პოეტი უწოდებს, მგზავრის წერილები: „პალესტინის დღიური“, „ინდოეთის გზებზე“ (რუსული სათაური „განგის ნაპირებზე“) და „ევროპა თვალის ერთი გადავლებით“ (რუსული სათაური „ევროპული დღიურიდან“).

ამ ნაწარმოებებიდან მკითხველის ყველაზე მეტი სიყვარული და აღიარება „პალესტინის დღიურს“ ხვდა წილად. ეს გასაგებიცაა, იგი ხომ მგზავრის უბრალო ჩანაწერები არ არის, ეს დიდ პატრიოტულ და საშვილიშვილო საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტია. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 1960 წელს აკადემიკოსები ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი ჩავიდნენ პალესტინაში და... მრავალი ძიებისა და „თავგადასავლების“ შემდეგ ქართველ ხალხს ჩამოუტანეს ფასდაუდებელი საუნჯარი — შოთა რუსთაველის პორტრეტი.

„პალესტინის დღიურში“ დიდი შინაგანი სითბოთი, საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით არის აღწერილი ამ ექსპედიციის მუშაობა. მართალია, ირაკლი აბაშიძე დიდი და საპასუხისმგებლო დავალებითაა ისრაელში ჩასული, მაგრამ იგი იმავე დროს ცნობისმოყვარე მოგზაურიც არის. დღიურში შესანიშნავად არის აღწერილი ყოველივე ის, რის ნახვაც პოეტმა მოასწრო, აღნუსხულია ყველა მისი ფიქრი თუ განცდა. ჭეშმარიტი ბელეტრისტული ოსტატობითაა გამოძერწილი პორტრეტები იმ ადამიანებისა, რომლებთანაც შეხვედრები ჰქონიათ ქართველ მოღვაწეებს: არქიმანდრიტი ავგუსტინე, პროფესორი ვარდი, ახალგაზრდა დიაკვანი ბიკენტიოსი და სხვ.

„პალესტინის დღიურის“ მცირე შესავალ წერილში ირაკლი აბაშიძე წერს: „ამ დღიურებს თითქმის ისევე ვაქვეყნებ, როგორც პალესტინაში ჩავწერე. ისე კი, მგზავრის წერილებს, შთაბეჭდილებებს მზის სინათლეზე გამოტანისას, როგორც ცნობილია, ერთგვარი მხატვრული ყალიბი მაინც სჭირდება. იგი მაინც თხოულობს თავისებურ ფორმას, წესრიგს“... ჩვენ ვეთანხმებით პოეტის ამ მართლაც „ცნობილ“ დებულებას, მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ თითქოს რომელიმე ზეჟოთ ჩამოთვლილი თვისება — „ყალიბი“, „ფორმა“, „წესრიგი“ აკლდეს „პალესტინის დღიურს“.

„ინდოეთის გზებზე“ („განგის ნაპირებზე“), როგორც სათაურიც მიგვანიშნებს, ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზეა დაწერილი. ეს მოგზაურობაც რუსთაველის სახელს უკავ-

შირდება. აქ დაედო სათავე ლექსების ციკლს („რუსთაველის ნაკვალევზე“). აქაც მიმზიდველად არის გადმოცემული მოგზაური პოეტის მიერ ნანახი და განცდილი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „მუშაირა“ — პოეტების შეჯიბრი ლექსად, რომელშიც სხვებთან ერთად ირაკლი აბაშიძესაც მიუღია მონაწილეობა და შორეულ ინდოეთში ქართულ ენაზე წაუკითხავს:

ამ ზღაპრულ ქვეყნის, ამ საოცრების,
მე ვერ ავხსენი ერთი მეცხრედიც...

ამ მცირე რეცენზიაში ძნელია აღნუსხო ყველა ის თვისება, რაც ირაკლი აბაშიძის დღიურებსა და ჩანაწერებს ახასიათებს, მაგრამ არ შეიძლება კიდევ ერთხელ ხაზგასმით არ აღინიშნოს პორტრეტის დახატვის, კალმის ერთი მოსმით ადამიანის ხასიათის გადმოცემის იშვიათი უნარი. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ამრიტა, ინდოელი პოეტი ქალი, რომელსაც ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე (და პოეტის მეშვეობით ჩვენზე, მკითხველებზეც — გავიხსენოთ ირაკლი აბაშიძის ლექსი „ამრიტა, ლექსად დამწვარო ქალო“).

„ევროპა თვალის ერთი გადავლებით“ მცირეოდენი შემცირებით არის ნათარგმნი და მას მართლაც შეეფერება სათაურის რუსული ვარიანტი „ევროპული დღიურიდან“. ამ ნაწარმოებში თხრობა შედარებით დინჯად მიმდინარეობს, გაჟღენთილია მსუბუქი იუმორით, რაც ნაწარმოებს თავისებურ სიმსუბუქესა და მიმზიდველობას მატებს.

ორიოდე სიტყვა თარგმანზე (მთარგმნელები: ბ. გასი, მ. ზავერინი, ი. ივანოვი, ნ. მიქავა და ე. ელიგულაშვილი): იგი კეთილსინდისიერად, გულისხმიერად არის შესრულებული. ზოგიერთი თავისუფლება, რასაც მთარგმნელები ორიგინალის მიმართ იჩენენ (მაგალითად, „პალესტინის დღიურის“ დასაწყისში და სხვ.), ძირითადად გამართლებულია და რუსული ენის სტილისტური თავისებურებებით არის გამოწვეული.

ირაკლი აბაშიძის „მგზავრის წერილებს“ პირველად ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ ფურცლებზე გაეცნო რუსი მკითხველი. ცალკე წიგნად გამოცემა (ტირაჟი 20 ათასი ცალი) მათ ხელმისაწვდომს გახდის მკითხველი საზოგადოების უფრო ფართო მასებისათვის.

ფაშა ციციშვილი

უკვდავი კოგზარი

მიმდინარე წლის მარტში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა და მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს გენიალური უკრაინელი პოეტის, თავისუფლებისა და ხალხთა ძმობის დიდი მომღერლის ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავი.

საიუბილეო დღეებში „ნაკადულმა“ გამოსცა თენგიზ ბუაჩიძის წიგნი „ცხოვრება კობზარისა“, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს შევჩენკოს ცხოვრებასა და მხატვრულ მემკვიდრეობაზე.

წიგნის პირველ თავში მოთხრობილია პოეტის ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებზე — დაბადებიდან პეტერბურგში გამგზავრებამდე.

თ. ბუაჩიძე მკაფიოდ, ამაღლებულად მოგვითხრობს პატარა ტარასის უღიმღამო ცხოვრების ამბავს, მის პირველდაწყებით „სწავლა-აღზრდას“ — „მას ხან ერთ მღებავს მიაბარებდნენ ანბანისა და ხელობის შესასწავლად, ხან—მეორეს. მაგრამ ამ გაუნათლებელ „მასწავლებელთა“ ხელში ბიჭს ცემა-ტყეპა, ხელზე მოსამსახურეობა და უმსგავსო ლოთობის სურათების ხილვა თუ შერჩებოდა“.

ამავე თავში მოთხრობილია, რომ „ტარასს მრავალი თქმულება, ლეგენდა და სიმღერა გაუგონია ბავშვობაში. იგი ყურადღებით უსმენდა სახალხო მომღერლებს, კობზარებს, ქნარზე დამკვრელთ“.

ყველაფერმა ამან დიდი გავლენა მოახდინა მომავალი კობზარის ჩამოყალიბებაზე და შემდგომში არა ერთი შესანიშნავი ნაწარმოება შთაგონა მას.

წიგნის მესამე თავში („თავისუფლება, თავისუფლება!“) ტარას შევჩენკოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზეა საუბარი, კერძოდ, პოეტის ყმობიდან გამოსყიდვაზე. კობზარის მეგობრები, მოწონავე რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები დიდხანს იბრძოდნენ ტარასის გამოსასყიდლად, მაგრამ მებატონე ენგელჰარდტს ვერაფერი მოუხერხებს. „მაშინ მეგობრებმა ასეთი ხერხს მიმართეს: ბრიულოვმა დახატა ჟუკოვსკის პორტრეტი. ეს პორტრეტი ჟუკოვსკისა და გრაფ ვიელგორსკის დახმარებით 2500 მანეთად ლატარიაში გაითამაშეს“.

„ამ ფულით იყიდეს, — წერდა ტარას შევჩენკო, — ჩემი თავისუფლება 1838 წლის 22 აპრილს“.

ამავე თავში მოტანილია ერთი საინტერესო დეტალიც. როგორც ირკვევა, სამხატვრო აკადემია ერთად დაუმთავრებიათ ყმობისაგან გათავისუფლებულს უკრაინელ ტარას შევჩენკოსა და ქართველ გიორგი მაისურაძეს — შემდგომში ცნობილ მხატვარ-რეალისტს.

პოეტის ბიოგრაფიასთან ერთად თვალგიზ ბუაჩიძე ვრცლად მიმოიხილავს ტარას შევჩენკოს მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობასაც. იგი დაწერილებით არჩევს დიდი კობზარის ლირიკულ ლექსებს, საფუძვლიან ანალიზს უკეთებს პოემებს: „კატერინას“, „ბრძას“, „ჰაიდამაკებს“, „ივანე პოდკოვას“, „სიზმარს“, „კავკასიას“ და სხვ.

წიგნში „ცხოვრება კობზარისა“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტარას შევჩენკოს მოწამებრივი ცხოვრების, მისი რევოლუციური მოღაწეობის, შშობლიური ხალხის გათავისუფლებისათვის ბრძოლის, დაპატიმრებისა და გადასახლების ეპიზოდებს. კითხულობ ამ ფურცლებს და თვალწინ წარმოგიდგება დიდი სულიერი სიძლიერითა და გენიალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის მონუმენტური სახე, რომელმაც უარყო ყოველივე პირადული და ყველაფერი — სიცოცხლისა და ჩანგის ჩათვლით — მამულისა და თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა.

წიგნის უკანასკნელი თავი მიძღვნილია უკრაინა-საქართველოს ისტორიული ბედისა და ამ ორი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანების ურთიერთობისადმი. ქართველი მკითხველისათვის უაღრესად საინტერესოა აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოს შეხვედრის ეპიზოდი.

დიდი პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ცნობებში თენგიზ ბუაჩიძეს მოჰყავს შემდეგი ფაქტი — „მალე შევჩენკოს საფლავი ყოველი უკრაინელისათვის წმინდა ადგილად იქცა. მოვალეობად თვლიდნენ მისულიყვნენ და თაყვანი ეცათ თავისუფლების უბადლო მომღერლისათვის... ტარას შევჩენკოზე ლეგენდები იქმნებოდა. 90-იან წლებში კიევის გუბერნიის გლეხობაში გავრცელდა თქმულება შევჩენკოს უკვდავების შესახებ: პოეტი არ გარდაცვლილა, არამედ ციმბირში ბოძზე მიჯაჭვულია. ბოძი თანდათან ლპება, მალე მოტყდება და მა-

შინ შევჩენკო უკრაინაში დაბრუნდებაო.

ეს მართლაც უკვდავება იყო“.

თენგიზ ბუაჩიძის „ცხოვრება კობზარისა“ დიდი ინტერესით იკითხება და ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს უკრაინელი ხალხის უბადლო მგოსნის, რევოლუციონერისა და ბრძოლათა მეგობრობის მომლერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ვაჟა მესხი

„თხმორის განძი“

თხმორი ძნელად მისასვლელი, მაგრამ მშვენიერი, მარადმწვანე ბზის კორომებითა და წაბლის დაბურული ტყეებით შემკული სოფელია ქვემო რაჭაში. თხმორში შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს, განთქმული ხის დამუშავების ოსტატობით. აქ დამზადებული საწნახელი საუკეთესოა და „თხმორული“ სახელით მთელს რაჭაშია ცნობილი.

...ეს მოხდა 1953 წლის ზაფხულში. წვიმებისაგან გადარეცხილ საურმე გზაზე შემთხვევით იპოვეს სპილენძ-ბრინჯაოს ნივთებით სავსე მოზრდილი დერგი, რაც სასწრაფოდ აცნობეს მეცნიერებს. ისინიც მალე ჩამოვიდნენ და ასე გაჩნდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში ახალი სახელწოდება „თხმორის განძი“. განძი შეისწავლა ახალგაზრდა არქეოლოგმა ოთარ ღამბაშიძემ და 1963 წლის დამლევს გამოაქვეყნა წიგნი „თხმორის განძი“.

რამ განაპირობა განძის არსებობა თხმორში, რა ადგილი უჭირავს მას არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის, რას მატებს ქართველი ხალხის მატერიალურ კულტურას იგი? აი, პრობლემები, რომლებიც მკვლევარს უნდა გაერკვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მეცნიერმა შეძლო მათი გარკვევა და ბევრი საყურადღებო მოსაზრებაც წამოაყენა.

განძი 54 ნივთისაგან შედგება, ავტორი ჯერ განიხილავს თოხებს და სეგმენტურ იარაღებს, რომელთაც საშეურნეო დანიშნულება აქვთ. დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თოხების კუფტინსეულ კლასიფიკაციას მკვლევარი არ იზიარებს, იმიტომ რომ, „პროფ. ბ. კუფტინის მიერ მოცემული ტიპოლოგიური დაჯგუფებით ძნელი ხდება, პირველ რიგში, კოლხური თოხების ტიპების ასაკობრივ-ქრონოლოგიური გავრცელების წარმოდგენა, ხოლო შემდეგ კი მიწის კომპლექსურად დამუშავების ეტაპების დადგენა“ (გვ. 11). ამიტომ ავტორი იძლევა თხმორის განძის თოხების საკუთარ კლასიფიკაციას, ძირითადად ფორმისა და ფუნქციის მიხედვით.

სეგმენტისებური იარაღებიდან ავტორი გამოყოფს ექვს სახეობას, კრიტიკულად მიმოიხილავს მკვლევართა შეხედულებებს იმ იარაღის ფუნქციის შესახებ და საბოლოოდ მხარს უჭერს პროფესორ გ. ჩიტაიას მოსაზრებას, რომ სეგმენტური იარაღი ხის ქერქის ასაჭრელ ხვეწს წარმოადგენს.

განძში ყურადღებას იქცევს საკულტო დანიშნულების ნივთები, კერძოდ, იმიტირებული სატევრის პირები, რომლებიც ავგაროზებად უნდა გამოეყენებინათ. ზოგიერთი „სატევრის პირის“ შემკულობაში ავტორი ადგენს „სიცოცხლის ხის“ უძველეს მოტივებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცულისმაგვარი უნივერსალური იარაღი—კელტი, რომელიც ამიერკავკასიის კულ-

ტურისათვის უჩვეულოა. სამაგიეროდ ეს იარაღი დამახასიათებელია მთელი ევროპისათვის. კავკასიის ტერიტორიაზე კელტების გავრცელების საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია. ზოგიერთი მკვლევარი კავკასიაში მათს გაჩენას კიმერიელთა სამხრეთისაკენ მოძრაობას მიაწერს. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი აყენებს მეტად საყურადღებო მოსაზრებას: „ამიერკავკასიაში კელტის ტიპის იარაღის არარსებობის ფაქტი, ვფიქრობთ, ახსნილი უნდა იქნეს აქ გვიანბრინჯაოს ხანაში მაღალგანვითარებული კულტურის არსებობით. ეს, უცხოური, ერთსადაიმავე დროს ცუდადაც, თოხადაც და სატეხადაც „გამოსადეგი“ იარაღი ვერ დამკვიდრდებოდა, რადგან ამიერკავკასიაში ამ დროს იყო საკმაოდ სრულყოფილი, თანაც დიფერენცირებული იარაღები, როგორიცაა რამდენიმე ტიპის კოლხური და აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცულები, ნაირსახეობის თოხები, სატეხების მთელი სერია და სხვა“ (გვ. 43).

კელტის აღმოჩენის კანონზომიერების დასამტკიცებლად მკვლევარი ვრცლად და დამჯერებლად იხილავს კოლხური კულტურის ურთიერთობას ჩრდილო კავკასიისა და შავი ზღვისპირა ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მცხოვრებ ხალხთა კულტურასთან და საბოლოოდ ასკვნის, რომ მდ. რიონის შუა წელში კელტის „მოხვედრის ფაქტი უნდა აიხსნის იმ კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის მიზეზით, რომლის საწყისები ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან შეიმჩნევა ამიერკავკასიისა და უკრაინის ველების კულტურებს შორის“ (გვ. 70).

განაშრომის შემავალ საგანთა ქიმიური ანალიზის შედეგები, ადგილობრივი, კერძოდ თხმორის მიდამოებში გვიანი ბრინჯაოს დროინდელი მეტალურგიული კერის არსებობა. ავტორს საშუალებას აძლევს გამოთქვას მოსაზრება, რომ თხმორის განძის ნივთები ადგილზე უნდა იყოს დამზადებული.

ავტორი არკვევს განძის მფლობელის საზოგადოების სოციალური მდგომარეობის საკითხსაც. განაშრომში მოთავსებული სრულყოფილი სამეურნეო იარაღები მეტყველებენ მიწათმოქმედების მაღალ დონეზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველი ტომები უკვე დიდი ხანია ეწევიან ბინადარ ცხოვრებას და განვითარებული აქვთ მეურნეობის ინტენსიური დარგები (მემინდვრეობა, მებაღეობა-მევენახეობა).

განძი უნდა ეკუთვნოდეს მიწათმფლობელობის საფეხურამდე მიღწეულ პატრიარქალურ დიდ ოჯახს და თარიღდება ძვ. წ. XI — IX საუკუნეებით.

ახლა ორიოდე სიტყვა თვითონ „განძის“ რაობის შესახებ. არქეოლოგები განძს ეძახიან ნივთების გროვას, რომელიც რიმე ჭურჭელშია მოთავსებული და მიწაშია ჩაფლული, ნივთების (სამეურნეო იარაღები, სამკაულები და სხვა) გადანახვა მტრის შემოსევას უნდა გამოეწვია. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ თხმორის განძის მფლობელები შიშიანობის დროს.

თხმორში განძის აღმოჩენა სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. რაჭა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო რაიონი იყო, რასაც ადასტურებს როგორც ძველი წერილობითი წყაროები, ისე თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემები. რაჭა მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს კერადაც ითვლება. ამგვარად, თხმორის განძი ქართული კულტურის უწყვეტ ჯაჭვში ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

და ბოლოს გვინდა გამოთქვათ რამდენიმე შენიშვნა:

წიგნი გადატვირთულია სქოლიოებით. ვფიქრობთ, საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას აღარ სჭირდება რომელიმე ავტორიტეტის დამოწმება.

რატომღაც ნაშრომში გამოყენებული არ არის ნიკორწმინდის XI საუკუნის „დაწერილი“, რაც მეტად დასანანია. საქართველოს ისტორიის ეს ძვირფასი დოკუმენტი დიდ დახმარებას გაუწევდა მკვლევარს.

ავტორს თხმორის განძში შემავალი თოხების არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიაჩნია ადგილობრივ მევენახეობის ძველთაგანვე განვითარება. რა თქმა უნდა, ეს სწორი მოსაზრებაა, მაგრამ ამ თვალსაზრისით მკვლევარის მიერ მოტანილი მაგალითი დაზუსტებას საჭიროებს. აი, რას წერს ავტორი: „სოფ. თხმორის მიდამოებში უძველესი მევენახეობის არსებობის შესახებ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობა, რომელიც ეხება რაჭაში გავრცელებულ 25 ჯიშის ყურძენს და მათ შორის „თხმორულა თეთრი" ჯიშის ყურძენს" (გვ. 81). მართლაც, აკადემიკოსი ვახიშვილს თავის ეკონომიურ ისტორიაში (წ. II) ჩამოთვლილი აქვს რაჭული ვაზის ჯიშები და მათ შორის „თხმორულა თეთრი" (გვ. 520), მაგრამ მისი უძველესობის შესახებ ავტორის მიერ მითითებულ გვერდზე არაფერს ამბობს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ რაჭაში ვაზის ჯიში „თხმორულა თეთრი" არ არსებობს, არის „თხმორულა" შავი ყურძენი, რომელიც მხოლოდ თხმორისთვისაა დამახასიათებელი და კარგადაა შეგუებული მთის პირობებს.

ლევან ფრუიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ყიასაშვილი

ინგლისური დღიურიდან

1959 — 1962

ჰაიდ-პარკი

ჰაიდ-პარკი ჩვეულებრივი პარკია — ხეები, შემოუღობავი გაზონები, ხელოვნური ტბები... და მხოლოდ მაშინ ვივრძენი ინგლისის დედაქალაქში ვარმეთქი, როცა კარგად დავუკვირდი ხალხს, იქ რომ სეირნობს და ისვენებს; დიახ, ეს გახლდათ დედაქალაქი ინგლისისა, რომლის მკვიდრთა შორეული წინაპარნი დღენიადაგ ნაოსნობაზე ფიქრობდნენ. წარსულმა თავისებური კვალი დამჩნია თანამედროვე ინგლისელთა გართობა-დასვენებასაც — ჰაიდ-პარკის ხელოვნურ ტბაში ბავშკები პაწია იალქნიან გემებს უშვებენ და მეორე ნაპირას ელოდებიან მათ გამორიყვას. აქ ნახავთ ხანშიშესულ მამაკაცებს, რომლებიც ასევე იქცევენ თავს, ოღონდ მათი ხომალდი უფრო მოზრდილია და იალქნების უფრო რთული სისტემა აქვს. საოცარია, უძველეული არმადის წინაალმდეგ შეპურვილი დედოფალ ელისაბედ პირველის ფლოტილიის შორეული აჩრდილი დედოფალ ელისაბედ მეორის თანამედროვეთა ცნობიერებაში ბალღურ გასართობად ქცეულა...

კიდევ ერთი დეტალი: ჰაიდ-პარკში ინგლისელები ფრანის გაშვებითაც ერთობიან. გრძელ თოკზე მიბმულ ფრანს ბავშვებზე მეტი ეატაცებით მოხუცები უშვებენ.

ჰაიდ-პარკში კიდევ ერთი გასართობია, — გადმონაშთი ძველი ბრიტანეთის პარლამენტური დემოკრატიისა, ისევე როგორც ბავშვების იალქნიანი გემები — უძველეული ფლოტილიისა. ეს გახლავთ ორატორების გამოსვლა ჰაიდ-პარკ-კორნერში, ტურისტული ლონდონის ამ ერთ-ერთ გასართობ ადგილას.

ამას წინათ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა ვინმე ბონარ ტომსონი; მას ჰაიდ-პარკის „პრემიერმინისტრს“ ეძახდნენ. თითქმის 40 წლის მანძილზე ყოველ კვირა დღეს ხის კათედრას ადმართავდა ხოლმე ჰაიდ-პარკის ერთ-ერთ ადგილას და სეირის საყურებლად შეგროვილ ხალხს გონებამახვილური სიტყვებით ართობდა. მეც მინახავს მოხუცი — შავ ქუდს ისურავდა, უნდოდა სხვებისაგან განსხვავებული ყოფილი-

ყო: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — კაცს „პრემიერმინისტრობისთვის“ მიეღწია!

ტომსონი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს არ ყოფილა: ძირითადად მსახიობობდა, თამაშობდა პატარ-პატარა დასებში, მართავდა მხატვრული კითხვის საღამოებს...

ტომსონი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პიროვნება იყო ჰაიდ-პარკ-კორნერის ორატორთა შორის და მან ავტობიოგრაფიული წიგნის წინასიტყვაობა თვით სახელგანთქმულმა შონ ო'კეისიმ დაწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლეონი და გიზანეი

ცნობილია, რა მნიშვნელობა აქვს მეპატრონისთვის დუქანსა და რესტორანზე წარწერას. ძველ თბილისში ხალხი „ელდორადოში“ დადიოდა, მაგრამ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა იყო ელდორადო, — რაღაც უცხოური კეთილხმოვანება იზიდავდა მუშტარს. როცა წინათ ევროპისა და ამერიკის კაფე-რესტორნებს წამდაუწუმ „ელდორადოს“ არქმევდნენ, ამით მუშტარს გამდიდრების სურვილს აღუძრავდნენ, რადგან ელდორადომ გაითქვა სახელი ოქროთი და მისკენ ისწრაფვოდნენ ოქროსმაძიებლები.

ლონდონის ერთი რესტორანი ღრმა სარდაფშია მოთავსებული. კიბესაც კი ძნელად მიაგნებს კაცი. პატარა აბრაზე დახატულია საჩვენებელი თითი, რომელიც ქვეითკენაა გაშვერილი, აბრაზე წერია — „იქ ჯოჯოხეთია!“. ქვაფენილზე დატანებული ფანჯრებიდან კი მუსიკის ხმები, ღრიანცელი და ოხშივარი ამოდის; მეორე რესტორანი სულ ჩონჩხებშია ჩაფლული, მესამე კი იმითაა ცნობილი, რომ საუკუნეზე მეტია, რაც იქ მტვერი არ გაწმენდილა.

მაგრამ წმ. ელენეს კუნძულზე ყოფილა თურმე ერთი რესტორანი, რომელსაც მართლაც გონებამახვილი პატრონი ჰყოლია. საქმე ისაა, რომ ამ კუნძულზე მთელი ბიზნესი ნაპოლეონის სახელთან არის დაკავშირებული. ყოველი დასასვენებელი თუ ბასართობი ადგილი აქ ფულის მახედაა ქცეული, აქაოდა, ნაპოლეონს ამ ადგილას უყვარდა ყოფნაო. და მხოლოდ ერთი რესტორანი იზიდავს მუშტარს იმით, რომ უბრალოდ, დამჯერებლად აწერია: „ნაპოლეონი აქ არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ ყოფილა!“

კინგ კონგი ლონდონში

1957 წლის 3 აპრილს ოიჰანესბურგის ციხის წყალსაცავში თავი დაიხრჩო ზულუს ტომის ვეება ზანგმა — ეზეკიელ ტჰლამინიმ. სამხრეთაფრიკელები მას მეტსახელად კინგ კონგს ეძახდნენ.

სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი კრივში (მძიმე წონა) კინგ კონგი ოიჰანესბურგელების სათაყვანებელი გმირი გახდა. ქალაქის ქუჩებში მას მუდამ უკან მისდევდა თაყვანისმცემელთა დიდი გუნდი.

კინგ კონგის მზეს ლოცულობდნენ მისი თანამემამულეები. ყველა იმედოვნებდა, რომ მას მსოფლიო დიდება არ ასცდებოდა. მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა კინგ კონგი ლონდონს გამგზავრებოდა საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად.

და აი, მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: განებივრებული და გაზარმაცებული გმირი სამარცხვინოდ დამარცხდა თავისსავე ქალაქში, მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი მიუწვდომელ ოცნებად ექცა. დარდმა დაღრღნა ჭაბუკის გული, სმას მიეძალა, ოიჰანესბურგის საეჭვო გასართობ ადგილებს მიაშურა...

ნიკო ყიასაშვილი
ინგლისური დღიურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრფოს მოკვლისათვის მას 12 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ცხოვრებაში იმედგაცრუებულმა, ერთ დროს თანამემამულეთა სათაყვანებელმა, ახლა კი ყველასაგან მივიწყებულმა კინგ კონგმა ამდენი უბედურება ვეღარ აიტანა...

ეს ნამდვილი ამბავი საფუძვლად დაედო მუსიკალურ დრამას „კინგ კონგი", რომელმაც დიდი წარმატებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი სცენა და ბოლოს ლონდონამდეც ჩამოადწია.

კომპოზიტორმა ტოდ მაჩიკიზამ დაწერა მუსიკა ჰარი ბლიუმის პიესა-ლიბრეტოზე. დასი მთლიანად შავკანიანი მსახიობებისაგან შედგებოდა. ლონდონში ჩამოსვლისას მსახიობებმა განაცხადეს: „ჩვენ ამ სპექტაკლს ლონდონისა და ნიუ-იორკის მაყურებელს ვაჩვენებთ, რათა მათ აზრი შეიცვალონ ჩვენ რიკელებზე".

მართლაც, „კინგ კონგი" დიდი წარმატებით დაიდგა ლონდონის „პრინსეს თეატრში". შესაძლოა, ბევრ მსახიობს აკლდა პროფესიონალიზმი, მაგრამ გულწრფელობისა და უშუალობის ნაკლებობას ვერავინ უსაყვედურებდა.

გასტროლების დაწყების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე დასის ერთმა წევრმა თქვა — კინგ კონგს ძალიან ესიამოვნებდიდა, თავისი სახელი რომ ენახა ამდენ აფიშასა და გაზეთშიო. მეორემ კი ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: „საბრალო კინგ კონგი ბოლოს და ბოლოს მაინც მოხვდა ლონდონში".

პრემიერმინისტრი და კოსმონავტი

ხალხით გაჭედილი დარბაზი შეტოკდა. ერთ კუთხეში რუსული „ეი უხნემ" გაისმა. ნეკის ფრჩხილამდე დახვეწილი ლორდ დროიდას აღშფოთების მიუხედავად, რესპექტაბელური ინგლისელების მასა აჩოჩქოლდა...

ტანმორჩილი, მუდამ მომღიმარი კოსმონავტი რომ დაენახათ, გრძელკანჭიანი ინგლისელი ქალიშვილები ფეხის წვერზე დგებოდნენ.

როგორც იყო, ვიწრო დერეფანში გზა გავიკვალე და ერთ პატარა ჯგუფთან ერთად თავი ამოვყავი მეორე ოთახში, სადაც რეპორტიორები ერიამულობდნენ. კარი ჩარაზეს, სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ახლა შევნიშნე, ამ ოთახში პრემიერმინისტრს შემოვყოლოდით. პირისპირ იდგნენ ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელი და მსოფლიოში სახელმოხვეჭილი კოსმონავტი...

აშკარა უხერხულობა იგრძნობოდა: ფოტორეპორტიორები სურათებს ვერ იღებდნენ — პრემიერმინისტრი და კოსმონავტი ისე შორიშორ იდგნენ, ვერაფერით ვერ ხვდებოდნენ ობიექტიზეში...

ბოლოს ერთმა ფოტორეპორტიორმა მაკმილანს მიმართა:

— ბატონო პრემიერმინისტრო, პატივს ხომ არ დაგვდებთ და ბატონ გაგარინს ხომ არ მიუახლოვდებით?!

მცოცავი ბგოსნის იუბილე

ედით სიტუელი უფროსი თაობის იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედებაც მუდამ სჯა-ბაასისა და სულ საწინააღმდეგო შეფასებათა საგანია. მასზე ამბობენ, არასოდეს არ დაბერდებაო.

ღრმად მოხუცებული ქალი, რომელსაც 80 წელი შეუსრულდა და საიუბილეო სალამოზე მაყურებელთა წინაშე ბორბლებიანი სავარძლით გამოიყვანეს, — დაუშრეტელ ენერგიას არ ჰკარგავს. ძველებურად ამაყი, ეგზტრავაგანტურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალბატონი ედითი კვლავ გარშემორტყმულია მისი პოეზიის თაყვანისმცემლებით.

არ ბერდება ის, ვინც მხოლოდ წარსულით არ ცხოვრობს, არ იფიტება ის, ვისაც ფესვები ღრმად აქვს გამდგარი წარსულში. ტრადიციებზე აღზრდილი,

მაგრამ თანამედროვე სულისკვეთებით გამსჭვალული პოეტი მკითხველს არაა სოდეს არ დაჰკარგავს...

ლონდონის საფესტივალო დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. ბილეთებს ცეცხლის ფასი ადევთ, მაგრამ მაინც ბევრი ახალგაზრდა მოსულა.

დარბაზში სინათლე ჩაქრა და დარბაზის პირველი რიგის წინ პროექტორების შუქით განათებული, ინვალიდების სავარძელში ამაყად მჯდარი, ძოწეულ ფარაჩაში ჩაცმული და ალმოსავლური ყაიდაზე თავზე ჩალმადახურული მაღალი ქალი გამოატარეს. ტაშისცემა შეწყდა და სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ედით სიტუელის მხნე და ძლიერი ხმა — პოეტი საკუთარ ლექსებს კითხულობდა.

კოლრიჯის, უორთსუორთის, ტენნისონის ტრადიციებიდან ამოზრდილი და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის პოეტური სკოლების ბრძმედში გამოვლილი ენით აყალიბებული ბავშვი, პოეტური სახეებით მდიდარი, რიტმულად მრავალფეროვანი და მსუბუქი, ხალისიანი ლექსი.

ედით სიტუელის მხატვრული აზროვნება, ისევე როგორც მისი ლექსი, ზედმიწევნით მუსიკალურია. იგი თხზავს როგორც კომპოზიტორი, მუსიკოსი, ე. ი. პოეტური საშუალებებით კი არ ცდილობს მუსიკალური ეფექტის შექმნას, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუსიკალური კომპოზიციით აღწევს პოეტურ ეფექტს. ამიტომაა სწორად, რომ მისი ლექსები მუდამ დამოუკიდებელი რიტმული მონახაზები, მუსიკალური ეტიუდებია.

აღრე თუ გვიან ედით სიტუელს უნდა გამოსჩენოდა კომპოზიტორი, თანაც ისეთი, რომელიც დამოუკიდებელი ნაწარმოების შექმნას კი არ დაისახავდა მიზნად, არამედ შეეცდებოდა ედით სიტუელის პოეზიის მუსიკალური არსის გამომზეურებას, მასში დაფარული მუსიკალური რიტმის მუსიკალურ აკომპანიმენტში გამოტანას.

ასეთი კომპოზიტორიც გამოჩნდა...

1922 წლის 24 იანვარს ედით სიტუელისა და მისი უმცროსი ძმის, აგრეთვე ცნობილი პოეტის საჩვენელ სიტუელის ბინაზე გაიმართა შინაურული კონცერტი. ცხრამეტი წლის უოლტონი (ახლა ცნობილი ინგლისელი კომპოზიტორი სერ უილიამ უოლტონი) სიტუელების ოჯახის მეგობარი იყო. მან ედითთან ერთად მეტად ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოება შექმნა. ეს იყო ედით სიტუელის ლექსების პატარა კრებულის მუსიკალური აკომპანიმენტი. ამ მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციას „ფასადი" შეარქვეს. იგი აერთიანებდა 21 ლექსს, რომლებიც თავისთავად სპეციალურ რიტმულ ექსპერიმენტებს წარმოადგენდა. ამ საღამოზე უოლტონის მუსიკალური აკომპანიმენტის თანხლებით ედით სიტუელმა დიდი წარმატებით წაიკითხა საკუთარი ლექსები.

მაგრამ ავტორებს მოლოდინი დიდად გაუცრუვდათ, როცა ერთი წლის შემდეგ საჯაროდ გაიტანეს თავიანთი ქმნილება. პრესამ სასტიკად გაილაშქრა ამ თავისებური ექსპერიმენტის წინააღმდეგ. პრესის შეფასებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ერთ-ერთი სტატიის სათაურით: „ლაქლაქი, რომლის მოსასმენადაც ხალხმა ფული გადაიხადა".

და აი ახლა, 1962 წელს, ედით სიტუელის საიუბილეო საღამოზე საშუალება მომეცა მომესმინა „ფასადი". დირიჟორის პულტთან თვით სერ უილიამ უოლტონი იდგა, ლექსებს კი ორი მსახიობი კითხულობდა. ქალბატონი ედითი ამჯერად სამეფო ლოჟიდან უსმენდა საკუთარი ლექსების კითხვას და პროგრამის ამ ორიგინალური ნომრის დასრულების შემდეგ გულწრფელად მიესალმა თავის ძველ მეგობარს — უოლტონს.

საიუბილეო საღამო დამთავრდა. პროექტორები სამეფო ლოჟას მიანათეს — სხივი ფარჩას წაეკიდა და ხმელი, ღრმად მოხუცი ამაყი ქალი თითქოს დაისმა ჩანთქა...

ნიკო ყიასაშვილი

ინგლისური დღიურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ხშირად კენსიგტონის ბუკინისტებთან დავიარები — ჩემს სახლთანაც ახლოს არიან და სამსახურთანაც.

ამას წინათ რომელიღაც წიგნს ვეძებდი. მაღაზიაში ნახევრად დამბლადაცემული მოხუცი კაცი შემოვიდა. მაღაზიის პატრონი ძველი ნაცნობივით მიეგება და მასლაათი გაუბა უნიკალურ წიგნებზე. მოხუცი ან თავად ოდესღაც ბუკინისტი, ან ჩემსავით ბუკინისტური მაღაზიების მოტრფიალე უნდა ყოფილიყო. თრთოლვით მომიახლოვდა და მორიდებით მკითხა, რას ეძებდო. საოცრად ზუსტად ახსოვდა, ლონდონის რომელ კუნძულში რა წიგნის შოვნა შეიძლებოდა. აშკარა იყო, მთელი სიცოცხლე წიგნებთან გაეტარებინა.

უცებ მოხუცმა ენის ბორძიკით მითხრა:

— ყმაწვილო, ერთი რჩევა მინდა მოგცეთ.

— ბრძანეთ, ბატონო.

— ნურასოდეს დაბერდებით, სიბერე ძალზე ცუდი რამ ყოფილა.

წამით დავიბენი. მოხუცის ნახევრად სახუმარო, ნახევრად სერიოზულ კილოში მწარე ნაღველი იცოო ჩაქსოვილი.

რატომღაც სომერსეტ მოემის ერთი ფრაზა გამახსენდა და ღიმილით მივუგე:

— სიბერეს თავისი ლაზათი აქვს...

მოხუცი შეკრთა, გაიღიმა...

— გმადლობთ... გმადლობთ...

რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ სომერსეტ მოემს შევხვდი ლონდონის ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმრო „დორჩესტერში“. საფრანგეთში მცხოვრები მოემი მუდამ სასტუმროში ჩერდება ხოლმე, როცა ლონდონს ჩამოდის.

ოთხმოცდაექვსი წლის სომერსეტ მოემი ფერადი აბრეშუმის ხალათშემოწყობილი შემოგვეგება. მისმა მდივანმა და შვილობილმა ალან სირლმა მე და ჩემს ამხანაგს გაგვაცნო მხცოვანი მწერალი და ყველანი სავარძლებში ჩავეშვით.

სომერსეტ მოემიც ჩემი ნაცნობი ბუკინისტივით მეზუკებულიყო. რა თქმა უნდა, მას არც დამბლის ნიშნები ჰქონდა და გარეგნულადაც დახვეწილი, კოპწია მოხუცი იყო, მაგრამ საუბარში წამდაუწუმ თავის წლოვანებას უჩიოდა.

უნებლიეთ ბუკინისტებთან გაცნობილი მოხუცი წარმომიდგა თვალწინ. სიბერეს თავისი ლაზათი აქვს-მეთქი, შევახსენე მოემს, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისივე მოგონებებიდან მოტანილი ფრაზისათვის და იმაზე დაიწყო ლაპარაკი, თუ რა სიკეთე გაუკეთა მას ინგლისურმა ტელევიზიამ, როცა მისი მოთხრობების თეატრალური ინსცენირება აჩვენა მაყურებელს. ფულს კარგად მიხდიანო, კმაყოფილებით აღნიშნა მსოფლიოში ერთ-ერთმა უმდიდრესმა მწერალმა. შემდეგ ბავშვურად აუცმაცია თვალები და ღრმად მოხუცებული ადამიანისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით დაიტრაბახა: იცით, ასზე მეტი ნაწარმოები მაქვს შექმნილიო...

მაშინვე გამახსენდა, ერთხელ ქართველ პოეტს მის საკუთარ ლექსებს ვუკითხავდი და სადღაც გულის სიღრმეში მეგონა, რომ ის ლექსები ჩემთვის უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე თვითონ ავტორისთვის. ეს ალბათ ერთ-ერთი იმ პარადოქსთაგანია, რომელიც შემოქმედისა და მისი შემოქმედების შემფასებლის ურთიერთობაში იჩენს ხოლმე ზოგჯერ თავს...

8 ოქტომბერი, 1960 წ., ლონდონი.
დორჩესტერ ჰოტელ

ინგლისელებს არ უყვართ თავიანთი მწერლები, რომელნიც საზღვარგარეთ იხვეჭენ პოპულარობას. ეს თითქმის კანონზომიერებად იქცა. როცა ამის მიზეზი ლონდონის უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს კერძო საუბარში ვკი-

ოხე, მან მიპასუხა — ეს ალბათ ძირითადად იმის ბრალია, რომ თარგმანში ხშირად იჩქმალება დედნისათვის სპეციფიკური ენობრივი და სტილისტური თავისებურება და ის, რაც ინგლისელისათვის საკმაოდ არაბუნებრივად, ანდა ბანალურად ჟღერს, უცხოელთათვის ზოგჯერ საინტერესო საკითხავი ხდება სწორედ თარგმანის წყალობითო.

მე კი საკუთარი დაკვირვებიდან ვასკვნი, რომ ამ თავისებური მოვლენის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ინგლისელთა საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებათა გათვალისწინებით. მათი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში ხშირად ძალზე ვიწრო სოციალურ და კლასობრივ ინტერესებს გამოხატავენ, რაც ინგლისელებს აგრეთვე ძალიან ნათესაურ და წმინდა ინგლისურ, ნაციონალურ მოვლენად მიაჩნიათ.

ოვიგე ითქმის ცნობილ ინგლისურ იუმორზე: ის, რაც ინგლისელს გულიანად აცინებს, უცხოელს ან სრულიად არ ესმის, ანდა ბანალურ ოხუნჯობად ეჩვენება.

სომერსეტ მოემს მთელი სიცოცხლე აწუხებდა ის გარემოება, რომ მიუხედავად დიდი პოპულარობისა, დიდ მწერლად იგი არასოდეს ყოფილა აღიარებული. ამას მწერალი მუდამ ირონიულად უცქერდა, მაგრამ გულის სიღრმეში მწარედ განიცდიდა.

ახლა მოემი სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობს. იგი დიდად პოპულარულია მთელს მსოფლიოში, როგორც პატარა მოთხრობების ავტორი. მას ბევრ ენაზე თარგმნიან (მათ შორის მის რუსულ თარგმანსაც დიდი მოწონება ხვდა საბჭოთა კავშირში). მაგრამ... საკმარისია ინგლისელ ლიტერატურათმცოდნეს შეეკითხო, თუ რა ადგილი უჭირავს სომერსეტ მოემს ინგლისურ ლიტერატურაში — მაშინვე დაინახავ მოსაუბრის სახეზე ტიპიურ გამომეტყველებას, რომელიც მუდამ ნიშნავს: „მოემი თქვენთვის, უცხოელებისათვის უფრო დიდი მწერალია, ვიდრე ჩვენთვის — ინგლისელებისათვის“.

ამის თაობაზე მოემი ცინიკურად შენიშნავს ხოლმე: კმაყოფილი ვარ, რომ ჩემმა ნაწერებმა ამდენი სიმდიდრე შემძინეს, ხოლო სიმდიდრემ თავის მხრივ საშუალება მომცა ჩემი საყვარელი მხატვრების ნამუშევრები შემეძინაო...

სოთბის აუქციონზე

„სოთბი და კომპანიამ“ იმპრესიონისტული და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების გაყიდვა დაიწყო. აუქციონი, როგორც ყოველთვის, ნიუ ბონდ სტრიტზე გაიმართა.

მილიონერებმა და ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეებმა თვით აუქციონის ოთახში მოიყარეს თავი (შეც ამ ოთახის პირველ რიგში მომიწვიეს, როგორც სტუმარი). მეორე ოთახში შეგროვილი ხალხისათვის ტელევიზორით გადასცემდნენ აუქციონის მსვლელობას და თუ რომელიმე მათგანს რაიმეს შეძენა სურდა, შეეძლო ტელეფონით ჩარეულიყო ვაჭრობაში. ერთი მათგანი ჩაება კიდეც: რენუარის „ბავშვის პორტრეტში“ 40.000 გირვანქა სტერლინგი შეაძლია, მაგრამ პირველმა დარბაზმა დაჯაბნა: ეს სურათი 60.000 გირვანქად გაიყიდა (ეს, სხვათა შორის, ამ აუქციონზე ყველაზე მაღალი ფასი იყო).

თავისებური ზარბტული თამაში ყოფილა აუქციონი. მონაცვლეობენ რენუარი, დეგა, პიკასო, ბრაკი, მოდილიანი... აძლევენ ათასებს, ერთმანეთს ექიშპებიან, ეცილებიან... ფასი კი სულ ზევით იწევს, მაგრამ არავინ არ ღელავს, არ ყვირის... თავის ოდნავი დახრით (ან თვალების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით) აუქციონში მონაწილე ნიშანს აძლევს აუქციონერს, რომ თანახ-

მაა მეტი თანხა გადაიხადოს. აუქციონერიც საოცრად სწრაფად და შეუცდომლად განსაზღვრავს, თუ რამდენი უნდა წაუმატოს შექმნილ ვითარებაში და ახალ თანხას ასახელებს. ფასი სულ ზევით იწევს, ზოგჯერ 5.000-დან 38.000-მდე ადის (მაგალითად, დეგას ერთ-ერთი სურათი), მაგრამ აზარტი არავითარ აჟიოტაჟს არ იწვევს. აუქციონში მონაწილენი გასაოცარი სიდინჯითა და სიმშვიდით ზომავენ საკუთარ შესაძლებლობებს და თავის გაქნევით ანიშნებენ აუქციონერს, ამაზე მეტს ვეღარ მივცემო. აუქციონის შედეგები საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა გარკვეული საზოგადოებრივი ფენის დღევანდელ მყიდველობითს უნარზე.

მხოლოდ ერთი კაცი აღელდა ამ აუქციონზე — ეს გახლდათ ამერიკაში მცხოვრები გერმანელი ებრაელი. ჩემს გვერდით იდგა. პიკასოს ნახატში იგი 11.200 გირვანქა სტერლინგს აძლევდა. სჯეროდა, რომ ეს უმაღლესი ფასი იყო, მაგრამ მოტყუვდა—ვიღაცამ უკანა რიგებიდან 11.400 შეაძლია. აუქციონერი ერთ ხანს დაჰყურებდა ჩემს მეზობელს თავისი მაღალი სკამიდან, მაგრამ ვაჭარი კატეგორიულად აქნევდა თავს უარის ნიშნად. აუქციონერმა ჩაქუჩი დაარტყა მაგიდას. ჩემი მეზობელი შეიშმუშნა, მიიხედა უკან და გაოცებულმა ჩაილაპარაკა: „ეს ვინ ქნა!" ეს იყო და ეს. ამაზე მეტი აღელვება დღევანდელ დიდ აუქციონზე სხვას არავის გამოუხატავს. ყველა ისე დაიშალა, თითქოს გული არავის დასწყვეტია.

ჩემს გარშემო მსხდარი ვაჭრები გაფაციცებით ინიშნავდნენ მყიდველების გვარებსა და ფასებს. რამდენიმე წლის შემდეგ (შესაძლოა ათეული წლების შემდეგაც) იგივე რენუარი და იგივე პიკასო რომ გაიყიდება და ყველას, ვინც ვიწყებული ექნება, რა ფასად იყო ასახელი ნი შეძენილი 1961 წლის 28 ივნისს, მაშინ დაფასდება პატარა აუქციონის კატალოგის კიდეებზე გაკეთებული ეს ჩანაწერები: თუ ეს ვაჭარი ცოცხალი აღარ იქნა, მის შვილს ან მემკვიდრეს მაინც ეცოდინება ძველი ფასები და შეიძლება ზუსტად გამოიანგარიშოს, რისი ყიდვა იქმნება ხელსაყრელი.

ასეთი კურიოზიც მოხდა: მოდილიანის ერთი სურათი 12.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ერთი ნაცნობი კოლექციონერი გადმოიხარა ჩემსკენ და წამჩურჩულა—სინდოს გეფიცებით, ეს ყალბი სურათიაო. გამიკვირდა, როგორ ცდებიან-მეთქი. შესვენებისას კოლექციონერმა დაასრულა თავისი ამბავი: ამ რამდენიმე წლის წინათ ეს სურათი ჩემს ოთახში ეკიდა, ერთხელ შაგალი მესტუმრა, პორტრეტს ახლოს დააკვირდა, თვალებზე მიმითითა და მითხრა, ეს მოდილიანის ხელით არ არის დახატულიო.

პორტრეტი კი 12.000-ად გაიყიდა. 12.000 გირვანქა სტერლინგით კაცი 10 შესანიშნავ ავტომანქანას იყიდის, — ეს სურათი კი ყალბი ყოფილა!

ჰო, სულ დამავიწყდა: როდესაც ჩემი მეზობელი ამერიკელი ებრაელი გაწბილებული მიბრუნდა და ჩაილაპარაკა „ეს, ვინ ქნა?!", ერთმა დარბაისელმა ინგლისელმა ღიმილით მიუგო, მას ალბათ პიკასო თქვენზე მეტად მოეწონაო...

ამრიგად, ზოგი სეირის საყურებლად, ზოგიც მომგებიან საქმეში ფულის დაბანდების მიზნით შეიკრება იმ დღეს ნიუ ბონდ სტრიტზე...

ოლივიე და ვივიენ ლი

სამი წლის განმავლობაში ბევრი ინგლისელი მსახიობი, რეჟისორი და ხელოვნების დარგის სხვა წარმომადგენელი გავიცანი. როგორღაც ისე მოხდა, რომ ჩვენში ყველაზე პოპულარულ ინგლისელ მსახიობებს ლოურენს ოლივიეს და ვივიენ ლის ვერსად ვერ შევხვდი სალაპარაკოდ.

კოვენტ-გარდენის საოპერო თეატრის დირიჟიორის მიერ გამართულ ბან-

კეტზე უამრავი ხალხი ირევა; დედოფლის დაი, პრინცესა მარგარიტა თავისი მეუღლით სტუმრების ყურადღების საგანია: ყველა გარშემო უკლის უცხო რამ სანახავივით.

ხენდროს სეზონია და საითაც გაიხედავ, დიდი დარბაზის ყველა კუთხეში, ლაქიებს ხენდროთი დახვავებული სინები დააქვთ...

უამრავ ხალხს ვეცნობი (რა თქმა უნდა, ნახვვარსაც ვერ დავიხსომებ...)

სტუმრებს შორის შესანიშნავი გარეგნობის ქალმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ახალგაზრდა აღარ არის, ეტყობა, ნოყიერების დასაფარავად გარკვეული ჯაფა ესაჭიროება, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ მომხიბლავად გამოიყურება... თანაც საოცრად ნაცნობი სახეა, თითქოს სადღაც მინახავს, ნამდვილად მინახავს... უკვე დარბაზიდან გადიოდა, როცა მოვახერხე და ერთ-ერთ მასპინძელს ვკითხე, ის ქალი ძალზე მეცნობა და ვინ არის-მეთქი. მასპინძელმა გაიკვირვა: ნუთუ არ იცნობთ, ვივიენ ლია. რატომ ცოტა ადრე არ მითხარით, სანამ წავიდოდა, უსათუოდ გაგაცნობდითო...

ასე ვერ გავიცანი შესანიშნავი ინგლისელი მსახიობი ვივიენ ლი...

ლონდონის თეატრ ოლდ-ვიკმა ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ წარმოადგინა. დიდი ინტერესით ვნახე პრემიერა.

პარტერის პირველ რიგში ვიჯექი და ჩემს მარჯვნივ მჯდომ ნაცნობებს ვემუსაიფებოდი ანტრაქტების დროს. ხელმარცხნივ მეჯდა სათვალიანი ინგლისელი, რომლისთვისაც მთელი სპექტაკლის განმავლობაში ერთხელაც არ შემოხედავს წესიერად. მხოლოდ ის შევატყვე, რომ მარტო იყო მოსული სპექტაკლზე. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ყველანი ფეხზე ავდექით და ისე მივესალმეთ მსახიობებს. ჩემმა მეზობელმა ხელის სწრაფი მოძრაობით სათვალე მოიხსნა და მეც უნებლიეთ მისკენ მივიხედე: „ალუბლის ბაღი“ მე და ლოურენს ოლივიეს ერთად გვენახა!

ასე ვერ გავიცანი ჩემი საყვარელი მსახიობი, შექსპირის შესანიშნავი შემსრულებელი ლოურენს ოლივიეც...

დანჯღრეული „არლანი“

კედლიდან ამაყად გადმოგვცქერის ამადეო მოდილიანი. ცნობილი ფრანგი მხატვრის ალეუტური ფიგურა ფიდი ტილოს კომპოზიციურ ცენტრს შეადგენს. მარჯვენა ხელით მოდილიანს დინჯი შემოუყრია, ხოლო მარცხენათი ჭიქა აუწევია, თითქოს ვიღაცას ადღეგრძელებსო. ამ კომპოზიციური ცენტრის გარშემო განლაგებულია მოდილიანის მეგობრების ცოცხალი პორტრეტები. აქ არის ცნობილი მექსიკელი მხატვრის დიეგო რივერას და ილია ერენბურგის პორტრეტები, აქვეა ამ კომპოზიციის ავტორის მარევნას ავტოპორტრეტი. მარევნასთან ზის მისი და რიგერას ქალიშვილი მარიკა და სხვ.

ღრმად მოხუცებული მარევნას მითითებით სურათი მეორე ოთახში გავიტანეთ. მის უკან ასეთივე დიდი კომპოზიცია გამოჩნდა. ამჯერად სურათის ცენტრშია მაქსიმ გორკი, რომელსაც მარცხენა მხარეს ილია ერენბურგი უდგას. წინა პლანზე ახალგაზრდა მარევნაა გამოსახული — გორკის მისთვის მხარზე დაუდვია ხელი. ამ სურათზე სულ ექვსი პორტრეტია. სახეები რეალისტურადაა დახატული, კუბისტური მანერა მხოლოდ მაგიდის, ფონისა და ტანისამოსის დეტალების გეომეტრიულ ნახაზში ჩანს.

მარევნა ამაყობს ნატიფი პროფესიონალიზმით...

— შეხედეთ, როგორ ჩავსვი ღვინის ჭიქები ხაზების გადაკვეთის ადგილას წარმოშობილ სამკუთხედებში, — ღიმილით მომიბრუნდა მხატვარი.

ამ სურათის უკან კიდევ აღმოჩნდა ტილო: მხატვრების ჯგუფი „ლუმანიტეს“ კითხულობს. პაბლო პიკასოს

დიდრონი ჭკვიანი თვალები სურათის ემოციურ ძაღვს წარმოადგენს.

მარევნა მთლიანად მოგონებებით ცხოვრობს. დიეგო რივერა, პაბლო პიკასო, მოდილიანი, მაქსიმ გორკი, ილია ერენბურგი — ყველა ესენი მისი წარსულის ცოცხალი სარკეებია. ახალგაზრდა, ლამაზი, ნიშიერი რუსი ქალი ვორობიოვი, რომელიც ბედმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე სამშობლოდან შორს გადატყორცნა, თავისი მეგობრების სული და გული იყო. იტალიაში ყოფნისას იგი დაუახლოვდა მაქსიმ გორკის, რომელიც ზრუნვასა და მფარველობას არ აკლებდა ჯერ კიდევ გამოუცდელ „ნიჭიერ გოგონას". ასე ეძახდა გორკი ახალგაზრდა ქალს, რომელმაც შემდგომ თავის არტისტულ ფსევდონიმად სწორედ გორკის მიერ შერქმეული „მარევნა" აირჩია.

ილია ერენბურგის გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულებაც მეტად სასიამოვნო მოგონებად დარჩა მარევნას. და როცა არც ისე დიდი ხნის წინათ ლონდონში ყოფნისას ერენბურგი სტუმრად ეწვია თავის ძველ მეგობარს, თურმე რამდენიმე საათმა ისე გაიარბინა, წლების მანძილზე დაგროვილი სათქმელი მაინც უთქმელი დარჩათ მეგობრებს. „სულ ძაღლებზე ვმუსაიფობდითო", სევდიანი ღიმილით მითხრა მარევნამ.

ამის მეტი არაფერი უთქვამს მარევნას ერენბურგთან შეხვედრის შესახებ. არც მე მიხსენებია ერენბურგისათვის მარევნას ნაამბობი. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ ორ ადამიანს, რომელთაც უდავოდ ბევრი სასიამოვნო მოგონება აკავშირებთ — მაინც უკვე ცოტა რამ აქვთ საერთო: ერენბურგისათვის წარსულის მოგონებები წარსულის მოგონებებია, მარევნასათვის კი წარსული, თუ შეიძლება ითქვას, მის აწმყოსაც შეადგენს; იგი მხოლოდ ამ წარსულით სუნთქავს, აწმყოსაც მხოლოდ წარსულის თვალებით ხედავს და აფასებს.

დიეგო რივერა კარგა ხანს მარევნას სათაყვანებელი ხელოვანი და მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო. მართალია, მათ ჯვარი არ დაუწერიათ, მაგრამ მარევნა დიდად ამაყობს ამასთან. სიახლოვით და ზრუნვა-ამაგი არ მოუკლია პატარა მარიკასთვის, რომელიც აგრეთვე ყოველთვის სიამაყის გრძნობით ატარებდა მამამისის — დიეგო რივერას სამკეკუნოდ ცნობილ გვარს.

ამას წინათ პარიზის კომუნის დღეებისადმი მიძღვნილ სპექტაკლში ვნახე მარიკა. არტიერ ადამოვის პიესა მიდიოდა. მარიკა ფრანგ ქალს თამაშობდა საშინელი ფრანგული აქცენტით, უჭირდათ ინგლისელებს მისი გაგება, მაგრამ დასში უყვარდათ, უომისოდ სპექტაკლზე მუშაობა ვერ წარმოედგინათ, რადგან პარიზის კომუნაზე დაწერილ პიესას სწორედ მარიკას ტემპერამენტი ესაჭიროებოდა.

გენერალურ რეპეტიციაზე რეჟისორი გაჯავრდა, ფარდის დაშვების წინ მარიკა ავანსცენაზე გამოვიდა და „მარსელიეზა" იმღერა. მთელი დასი აჰყვა მარიკას და ასე, „მარსელიეზას" სიმღერით, ახალგაზრდები თეატრიდან გამოვიდნენ და ლონდონის ქუჩებს მოედვნენ...

ამჟამად მარევნა თავის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს ლონდონის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში, ილინგში. ოჯახში ყველაფერი — ავეჯი, ნივთები — ისეთივე ძველია, როგორც მარევნას მოგონებებში. ოთახის კუთხეში კლავიკორდის მაგვარი რაღაც დგას. უცვე მარიკამ სახელური დაატრიალა და ინსტრუმენტმა დანჯღრეული არღანივით ძველი მელოდიები დაუკრა. სიმღერები ფრანგული იყო, მაგრამ თვალწინ ძველი თბილისი ახმაურდა... დანჯღრეული არღნის ხმები მიწყდა, თვალებგაბრწყინებული მარევნა მე და ჩემს ცოლს მოგვიბრუნდა და მოულოდნელად ქართულად თბილისელი კინტოების სიმღერა წამოიწყო:

მე არ მინდა სემიჩკა,
მინდა ქალი სონიჩკა.
მე არ მინდა დუქანი,
ქალი მინდა მსუქანი.

კვლავ ძველისძველი მოგონებები...

ბავშვობა და ყმაწვილქალობა მარევნას თბილისში გაუტარებია. მამამისს იგი 1898 წელს ჩაუყვანია თბილისში, სადაც ვინმე გოლოვაშკინის ოჯახში გაჩერებულან. არც გოლოვაშკინებთან გატარებულ წლებს და არც თბილისის იმდროინდელ საზოგადოებას, რომლის გაცსობის საშუალებაც შემდგომ ჰქონია გოგონას — დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე... არც არის გასაკვირი. როგორც თვითონ მარევნა აღწერს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში — გოლოვაშკინები საკმაოდ უკულტურონი ყოფილან, ხოლო თვით მარევნას მამას, რომელიც ნაკრძალების უფროსად მუშაობდა, ცხოველური სიძულვილი ჰქონდა „ადგილობრივ მცხოვრებთა“ ენისა და კულტურისადმი და, როგორც ჩანს, კარგ ქართულ საზოგადოებაში არც შეესვლებოდა.

პატარა გოგო სიამოვნებით სწავლობდა ქართულ ენას, თუმცა მამას მაინცადამაინც არ უმეღვაწებდა თავის ამ გატაცებას.

ორი ცოცხალი მოგონება დარჩენია მარევნას საქართველოზე: ერთი — რომელიღაც მონასტრის დათვალიერება და მეორე — კინტოებთან შეხვედრის „ჟანრული სურათი“.

მონასტერში სტუმრებისათვის ბევრი საინტერესო რამ უჩვენებიათ. ახალგაზრდა ქალაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია **როგორც თვით ნაგებობას**, ისე საქართველოს ისტორიას — ვახშამზე ქართველ ბერებს ლამაზი ლეგენდები უამბნიათ სტუმრებისათვის.

მეორე მოგონება ეხება ლიცეუმში მარევნას სწავლის პერიოდს. მეგობარ გოგონასთან ერთად იგი ვერაზე სეირნობდა ხოლმე. ერთ დღეს ქალაშვილები კინტოების პატარა ჯგუფს გადაეყარნენ. ერთმა კინტომ შესთავაზა, ველოსიპედის ტარებას გასწავლითო. ქალაშვილებს ეს ამბავი მოეწონათ. ველოსიპედზე შემჯდარი „ბარიშნების“ დამნახავი კინტოები, რა თქმა უნდა, პიკანტური სიმღერების გუნებაზე მოვიდნენ, ერთი ამ სიმღერათაგანი აკი ქართულადაც დახსომებია მარევნას.

მეგობრები აფრთხილებდნენ ქალაშვილებს, კინტოებთან სიახლოვე ხეირს არ მოგიტანთ, უბედურებას შეეყრით რამესო, მაგრამ ოხუნჯობისა და, შესაძლოა, არც თუ ისე ნატიფი ქათინაურების გარდა, კინტოებს არაფერი უკადრებიათ გოგონებისათვის;

და თუმცა მარევნას შთაბეჭდილებები საქართველოზე ასეთი ეპიზოდური და ზერელეა, იგი მაინც დიდი სიმპათიით იგონებს თბილისს.

მარევნას მოგონებების წიგნი ლამაზადაა გამოცემული. მას დართული აქვს ცნობილი ფრანგი მოქანდაკის ცადკინის წინასიტყვაობა, ხოლო გარეკანზე პიკასოს მიერ შესრულებული მარევნას პორტრეტია გამოსახული.

ნიკო ყიასაშვილი

ინგლისური დღიურიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ციბაძე

მოქაღაქე—უპირველესი ყოვლისა

ეს მოხდა 1955 წლის მაისში, მსოფლიო პირველობაზე კლასიკური ჭიდაობაში. დასავლეთ გერმანიის ქალაქ კარლსრუეს „შავი ხის დარბაზში“ მსოფლიოში რჩეული ფალავნები ერკინებოდნენ ერთმანეთს. საბჭოთა ქვეყნის სპორტულ ღირსებას, სხვა გამოჩენილ მოჭიდავეებთან ერთად, იცავდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე გივი კარტოზია. ფინალამდე მან იოლად გაიკაფა გზა, ფინალში კი უაღრესად დაძაბული ბრძოლები ელოდა, რადგან აქ მასთან ერთად მოხვდნენ საქეეყნოდ აღიარებული საარელი ზონჰალტერი, იუგოსლაველი სიმიჩი, შვედი იანსონი და უნგრელი გურიჩი.

დილით გივიმ რვა წუთში დაამარცხა ზონჰალტერი, მაგრამ სერიოზულად იღრძო მარჯვენა ხელი და მაშინვე დასასვენებლად წავიდა, რადგან საღამოს კვლავ სარბიელზე უნდა გამოსულიყო.

საღამოს ქართველი ფალავანი იუგოსლაველი სიმიჩის პირისპირ დადგა. „ამასაც თუ მოვუგე, — ფიქრობდა გივი, — ხვალამდე მოვასწრებ დასვენებას და ხელიც მომირჩება“. თავგანწირვით იბრძოდა სიმიჩი, მაგრამ კარტოზიას მარწუხებს მაინც ვერ დაღწია თავი და დამარცხებულმა დატოვა ხალიჩა.

გახარებული დაბრუნდა გივი გასახდელში. ის-ის იყო შხაპის მიღებას აპირებდა, რომ დიქტორის ხმაც შემოესმა:

— კარტოზია — იანსონი!

დაქანცული გივი კვლავ საბრძოლველად მოემზადა. დაძაბული 15 წუთის შემდეგ მსაჯმა გამარჯვების ნიშნად გივის მარჯვენა ხელი ასწია. დარბაზში ტაშმა იგრიალა.

გივი გასახდელში შევიდა, საწოლზე დაეცა და ძილისწინა ბურანს მიეცა. ათი წუთის შემდეგ იგი მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლის თავაზიანმა შეხებამ გამოაფხიზლა:

— თქვენ საბოლოო შეხვედრაზე გიხმობენ!

ეს უკვე მეტისმეტი იყო: ერთ საათსაც არ გაევლო, გივი კი მესამე შეხვედრას ატარებდა. მან მთელი ძალა მოიკრიბა და უნგრელი გურიჩიც უკან ჩამოიტოვა. მაშინ გივი კარტოზია მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

საკითხავია, ფიზიკური მონაცემების გარდა, კიდევ რა იყო ის ძალა, რამაც სახელოვან ქართველ ფალავანს კრიტიკულ მომენტში უდიდესი სულიერი აღმაფრენა მიანიჭა, ერთი საათის განმავლობაში სამი გოლიათი წამოაჩოქებინა და მსოფლიო ჩემპიონის სატიტო კვარცხლბეკზე აიყვანა?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, თვალი უნდა გადავავლოთ აღზრდის იმ პროცესს, რომელიც საბჭოთა სპორტსმენში მაღალ მორალურ თვისებებს ნერგავს. საბჭოთა სპორტსმენის მორალურ სახეზე როცა ვლაპარაკობთ, უპირველესად ვგულისხმობთ ახალი ტიპის საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც წარმატებით შრომობენ კომუნისტური საზოგადოების აშენებისთვის.

საბჭოთა სპორტსმენების მორალურ სახეზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მათი უმრავლესობა ხშირად განსაკუთრებულ მდგომარეობაშია: მათს გამოსვლებს უყურებს უცხო ქვეყნების ათასობით მაყურებელი, მათს მორალურ თვისებებზე, სპორტულ შედეგებსა და ქცევაზე ლაპარაკობს პრესა, რადიო და ტელევიზია და ამის მიხედვითაც მსჯელობენ ჩვენს სამშობლოზე, სადაც საფუძველი ჩაყარა ჩვენი სპორტსმენების სპორტულსა თუ ზნეობრივ აღზრდას.

ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არის აქტუალური საბჭოთა სპორტსმენის მორალური სახის საკითხის განხილვა. საბჭოთა სპორტსმენებში მაღალი მორალური თვისებების აღზრდა ჩვენი მწვრთნელებისა და პედაგოგებისაგან მოითხოვს მუშაობის ახალ-ახალი ფორმების ძიებას, ყველაზე უფრო ეფექტური და საინტერესო ხერხების გამოყენებას.

ერთ-ერთი ძვირფასი თვისება, რომელიც უვითარდება საბჭოთა ადამიანს კომუნისტური აღზრდის პროცესში, არის სოციალისტური საშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება. ჩვენი ქვეყნის ისტორია ამ თვისების გამოვლინების მრავალ საგულისხმო ფაქტს იცნობს. აი, ერთი მათგანი: თურქი დამპყრობლები რომ ჯავახეთს დაეპატრონენ, იქ ცხოვრობდა სახელგანთქმული ქართველი მოჯირითე სოლაღი. მისი ოსტატობის ამბავი ხონთქრის ყურამდე მივიდა. ხონთქარმა დაიბარა სოლაღი და უბრძანა შებმოდა მის ფალავანს, არად მოჯირითეს. უარის თქმა არ იკადრა ქართველმა ვაჟკაცმა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბარბაროსთა ფალავანი ... მარჯვების შემთხვევაში ცოცხალს არ გაუშვებდნენ. ხალხური ლექსი გადმოგვცემს, რომ სოლაღმა „დაჰკივლა და შემოსტყორცნა, დაარჭო ბეჭის ფრთაზედა, არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა“. სირცხვილნაჭამმა თურქებმა მართლაც სიკვდილით დასჯეს გამარჯვებული ქართველი მოჯირითე.

დღესაც სპორტსმენის გამარჯვება, მისი ფიზიკური მომზადების გარდა, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უყვარს მას თავისი კოლექტივი, თავისი ქვეყანა, რამდენად მზადაა იგი გაუძღოს ყოველვგარ ფიზიკურსა თუ სულიერ დაძაბულობას მშობლიური ქვეყნის ინტერესებისთვის.

დიდი სამამულო ომის დროს სოლაღს მსგავსი გმირობა ჩაიდინეს კიეველმა ფეხბურთელებმა და სხვა საბჭოთა სპორტსმენებმა. მაგრამ დღეს, მშვიდობიან პერიოდში, სპორტული მამაცობის გამოვლინება სხვაგვარად უნდება სპორტსმენს. აი, ამის მაგალითიც: 1949 წლის აგვისტოში უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი მსოფლიოს დემოკრატიულ ახალგაზრდობას მასპინძლობდა. საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში, დღითი-დღე მიიკვლევდა გზას საერთო პირველი ადგილისაკენ, რაშიც მის ყოველ წევრს შეჰქონდა თავისი წვლილი. მძიმე ბრძოლებით იკაფავდა გზას გამარჯვებისაკენ ქართველი მოკრივე გაბრიელ ხანუკაშვილიც; მან ზედიზედ დაამარცხა მრისხანე მეტოქეები, მაგრამ პოლონელ მარგარეტთან შეჯიბრების უკანასკნელ წამებში ნეკნი ჩაუტყდა ზედ გულთან და მაინც ბოლომდე გაუძლო. გამოაცხადეს თუ არა გაბრიელის გამარჯვება, მან უგუნებობა მოიმიზეზა, სასტუმროში წავიდა და ჩაწვა. მთელი ღამის განმავლობაში იგი უხმოდ იტანდა საშინელ

ავთანდილ ციბაძე
მოქალაქე — უპირველეს ყოვლისა

ტკივილებს, მეორე დილით კი ნეკნჩამტვრეული გავიდა რინგზე უნგრელი ჩიკის წინააღმდეგ და ისე წარმართა ბრძოლა, რომ ნაკეცან ადგილზე ყველა შესაძლებელი დარტყმა აიცილა, რის გამოც მას ზოგჯერ პირისახე დაუფარავი რჩებოდა. ეს ბრძოლა ჩიკის მინიმალური უპირატესობით დამთავრდა. გაბრიელმა გამარჯვება მიუღოცა მეტოქეს, შემდეგ თავის მწვრთნელთან მივიდა და ხმადაბლა უთხრა, მეორე დღეა ნეკნი მაქვს ჩატეხილი, თავს ცუდად ვგრძნობ, ჩქარა წამიყვანეთ საავადმყოფოშიო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— ეგ რა ჰქენი, ბიჭო! — დატუქსა იგი მწვრთნელმა მეორე დღეს.

— აბა, გუნდს ქულას ხომ არ დავუკარგავდი!

— მერედა, შენ ხომ საფრთხე გელოდა?

— მართალი გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია! — მშვიდად მიუგო გაბრიელმა.

ეს ამბავი უნგრეთის პრესამაც შეიტყო და ხანუკაშვილი შეჯიბრების გმირად გამოაცხადეს.

ჩვენი მწვრთნელები და სპორტული ორგანიზაციები სპორტსმენებს სპორტული თავგანწირვის მსგავს გრძნობებს უნდა უნერგავდნენ, მაგრამ ზოგჯერ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ჯეროვან ყურადღებას როდი ვაქცევთ, აღსაზრდელებთან ურთიერთობის პროცესში გამოუსწორებელ შეცდომებს ვუშვებთ, რაც მეტად არასასიამოვნო ფაქტის წინაშე გვაყენებს. ამ ორიოდე წლის წინათ ჩატარდა თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სპარტაკიადა. ორ ფაკულტეტს შორის გამარჯვებული სტუდენტი მძლეოსნების დასკვნით ასპარეზობას უნდა გამოვლინებინა. დამთავრდა ათჰიდელთა გამოსვლაც, მაგრამ ორივე ფაკულტეტს თანაბარი ქულები აღმოაჩნდა. სპარტაკიადის დამამთავრებელი სახეობა იყო ათას ხუთას მეტრ მანძილზე რბენა, რომელიც პირველობის ბედსაც გადაწყვეტდა. მაგრამ ამ მანძილზე მორბენალი ერთ-ერთი ფაკულტეტის სტუდენტი ავად გახდა და საჭირო შეიქნა მისი სასწრაფოდ შეცვლა. ეს კი შეუძლო მხოლოდ ერთ ათჰიდელს, რომელმაც ის-ის იყო დაამთავრა გამოსვლა თავის რთულსა და მომქანცველ სახეობაში.

— მართალია დაღლილი ხარ, მაგრამ შენს იქით გზა არა გვაქვს, შენზეა დამოკიდებული ფაკულტეტის გამარჯვების ბედი! — მიეცივნენ მას თანაკურსელები. ათჰიდელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, დავიქანცე, ტუსელად ნუ მეხვეწებიო. მაინც კიდევ დიდხანს ევედრებოდნენ ბიჭები და როცა არაფერმა გასჭრა, სტარტზე სხვა, უფრო სუსტი მორბენალი დააყენეს. ფაკულტეტმა სპარტაკიადა წააგო. ის „დაღლილ-დაქანცული“ ათჰიდელი კი მთელი საღამო მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდა ვაკის პარკში (სხვათა შორის, ის ათჰიდელი საუკეთესო სტუდენტი იყო და მისგან ასეთ საქციელს არავინ მოელოდა. როგორც ჩანს, მარტო კარგად სწავლა და კარგი სპორტული შედეგები ზოგჯერ საკმარისი როდია!).

საბჭოთა სპორტსმენი თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს უნდა აკლენდეს. გავიხსენოთ 1959 წელი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, როცა ბოლო წუთებში მოედანზე სამი მოთამაშით დარჩენილმა საქართველოს კალათბურთელებმა სძლიეს ლატველ კალათბურთელთა სახელგანთქმულ ხუთეულს.

კოლექტივის ინტერესების ყველაზე მაღლა დაყენება, სპორტული ბერობა და თავდადება მარტო სახელმოხვეჭილი გუნდებისა და სპორტსმენების თვისება როდია. იგი რიგითი საბჭოთა სპორტსმენის თვისებაცაა. ამაზე მეტყველებს შორეული პორტ-არტურის სამხედრო გზეთ „ეო სლავუ როდინის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული საინტერესო წერილი „სპორტსმენის ბიოგრაფია“, რომელიც ჩვენი თანამამულე ოფიცრის აკაკი ხუციშვილის სპორტულ საქმიანობას ეხება. აკაკის დაუმყარებია პოლკის რეკორდები

მძლეოსნობის წამყვან სახეობებში. აღნიშნულ გაზეთში ვკითხულობთ:

„დიახ! ა. ხუციშვილმა დაამყარა რეკორდები, დაიცვა პოლკის ღირსება, მაგრამ იგი თავის პირად გამარჯვებაში რიდი ხედავს მთავარს. მას სურს, რომ მთელი ბატარეია, ნაწილის ყველა მებრძოლი და ოფიცერი მისდევდეს ფიზკულტურასა და სპორტს. წარმატებას გისურვებთ, ამხანაგო ხუციშვილო! თქვენი სურვილი — გახდეთ წითელარმიელთა მწვრთნელი, სავსებით რეალურია! წითელ არმიაში უყვავრთ და პატივს სცემენ ფიზიკური კულტურისათვის თქვენსავით თავდადებულებს“.

დღეს ჩვენი ბევრი მწვრთნელი ამაყობს ასეთი აღზრდილებით, ამაყობს არა მარტო მათი სპორტული შედეგებით, არამედ იმითაც, რომ ისინი აკეთებენ სასიამოვნო და მისაბაძ მაღალადმიანურ თვისებებს.

თავისი აღზრდილთ შეუძლია იამაყოს მწვრთნელმა ზალვა კილაძემ. გურამ გუდაშვილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მთიულეთიდან თბილისში ჩამოვიდა და ბადროს ტყორცნაში დაიწყო ვარჯიში. 1957 წელს, ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების წინ, გურამი რიგაში გადიოდა წვრთნას. ერთხელ, როდესაც იგი ქალაქგარეთ ვარჯიშობდა რბენაში, მისი ყურადღება მიიპყრო პურის ყანაში მომუშავე მოხუცმა. მწვრთნელის ნებართვით გურამი ყანაში შევიდა, გლეხს ცელი გამოართვა და მუშაობას შეუდგა. შრომაში გართული გურამი ხალხის ყიჟინამ შეაჩერა. კოლმეურნეებს მკისთვის თავი მიენებებინათ და ქართველი სპორტსმენის საყურებლად მოსულიყვნენ.

გურამი ტაშით მიაცილეს ავტობუსამდე. მოხუცი თომასი (ასე გაეცნო იგი გურამს) აღტაცებული იყო. როცა მან გაიგო, რომ გურამი საკავშირო რეკორდსმენი იყო ბადროს ტყორცნაში ჭაბუკთა შორის და ჩქარა სპორტის ოსტატიც გახდებოდა, გაუკვირდა, — ეს რა კარგი ბიჭი ყოფილა, ზოგიერთ ცხვირაწეულ სპორტსმენს როდი ჰგავსო.

ორი კვირის შემდეგ მოხუცი თომასი ისევ შეხვდა გურამს, ახლა უკვე რიგის სტადიონზე, სადაც ჭაბუკ მძლეოსნთან შესარჩევი შეჯიბრება ტარდებოდა. იგი სპეციალურად მოვიდა, როგორც გურამის გულშემატკივარი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თომასი მამაშვილურად გადაეხვია გურამს და უთხრა:

— იცი რა, ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა შეკითხვა, ვინ მიგაჩნიათ სეზონის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენადო. მე და ჩემმა თანასოფლელებმა უკვე გავგზავნეთ პასუხი.

— ვისი გვარი მისწერეთ, ბიძია თომას? — ჰკითხა გურამმა.

— ვისი და შენი!

— ეგ როგორ, — გაუკვირდა გურამს, — ჩემზე უკეთესები ხომ ბევრნი არიან?

— ნუ მასწავლით, ყმაწვილო, — ღიმილით მიუგო მოხუცმა, — თომასი და მისი თანასოფლელები არ ცდებიან!

ასე მაღლდება თავმდაბალი სპორტსმენი ხალხის თვალში, ხოლო ქედმაღალი და ტრაბახა, მიუხედავად მისი მიღწევებისა, არასოდეს არ იმსახურებს ხალხის სიყვარულს.

ტრაბახი, ბაქიობა, უძღეველობის მანია, კურიოზული პროგნოზები და სხვა მისთანანი ბურჟუაზიული სპორტის თანამგზავრია. სპორტის მოყვარულებს ახსოვთ საბჭოთა კალათბურთელების ნაკრები გუნდის პირველი გამოსვლა ევროპის პირველობაზე 1947 წელს ქ. პრაღაში, სადაც ეგვიპტის კალათბურთელებიც მონაწილეობდნენ. როდესაც მოედნის წინ გათამაშების უზარმაზარი ცხრილი გამოაკრეს, ეგვიპტელთა გუნდის კაპიტანმა ქედმაღლურად განუცხადა შეკრებილთ: ამ ცხრილში ციფრი I ეგვიპტის გუნდის გასწვრივ დაიწერება, მომდევნო ადგილების განაწილება კი თქვენთვის მომინდვიაო. როგორც ცნობილია, ეგვიპტელი კალათბურთელები ამ ასპარეზობაში სასტიკად და-

ამარცხა საბჭოთა ნაკრებმა. ტრაბახა კაპიტნის გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

განა თვითეული ჩვენთაგანისათვის ღიმილის მომგვრელი არაა ამერიკელი მოჭადრაკეების სამუელ რეშევსკისა და განსაკუთრებით კი რობერტ ფიშერის დაუსრულებელი ტრაბახი? ტრაბახმა და თავის თავის მომაბეზრებელმა ქებამ შელახა მადრიდის „რეალის“ ცნობილი ფეხბურთელის დი სტეფანოს ავტორიტეტი სპორტის მოყვარულთა თვალში. 1960 წელს, ინგლისში, თამაშის წინ მან კორესპონდენტებს განუცხადა: „ინგლისელი მაყურებელი მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელების თამაშის საყურებლად კი არ მოსულა, არამედ ჩემს სანახავად. განა ოპერაში მისული მსმენელი ხოროს მომღერებითაა დაინტერესებული? მას ხომ სოლისტი აინტერესებს!“

ბევრი ჩვენი მწვრთნელი დროულად იღებს ზომებს ამგვარი მავნე ჩვეულების წინააღმდეგ და სასურველ შედეგსაც აღწევს. ამ მხრივ მისაბაძია წარსულში სახელგანთქმული ძალოსნის მამია ყენტის მოქმედება. მან სასტიკად დასაჯა თავისი ერთ-ერთი მოწაფე, რომელმაც შეჯიბრებაზე გამოავლინა საბჭოთა სპორტსმენისათვის უცხო საქციელი. მამია ყენტმა ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო. იგი მოუთმენლად ელოდა ფიცარნაგზე თავისი აღზრდილის გამოსვლას. ახალგაზრდა შტანგისტმა ბანამართლა მწვრთნელის მოლოდინი, აჰკრა სარეკორდო წონა, მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: მან რატომღაც კარგა ხანს დააყოვნა შტანგა ჰაერში, შემდეგ გაუღიმა მაყურებელს, ასწია ცალი ფეხი და იმით მეორე ფეხის ფსანი დაიწყო, აქაოდა, ნახეთ რა ძლიერი ვარ, ცალფეხა ვაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც სხვებს ორივე ფეხით უჭირთო. მამია ყენტმა მოხსნა იგი შეჯიბრებიდან და გააუქმა მისი შედეგი.

ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენი სპორტსმენები თვითდამშვიდებას ეძლევიან, სწორად ვერ აფასებენ მოწინააღმდეგის ძალებს. იშვიათად როდი ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ ჩვენს საყვარელ გუნდს, ან ცალკეულ სპორტსმენს, დამარცხებულს დაუტოვებია მოედანი გაცილებით სუსტ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. გულდაწყვეტილი მაყურებელი ხვდებოდა, რომ ამ სამარცხვინო დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო თვითდამშვიდება, მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობა.

სპორტსმენს პირველი სპორტული ვარჯიშიდანვე უნდა ჩავუნერგოთ სკეთარი ძალების სწორად შეფასების უნარი. ახალგაზრდა სპორტსმენი, როცა იგი სხვადასხვა შეჯიბრს ესწრება, ხშირად ფიქრობს, რომ ისიც შეძლებს ყოველივე იმის გაკეთებას; ასწევს ისეთსავე სიმძიმეს, გაიქცევა ისევე სწრაფად და ა. შ. ვის არ ახსოვს გულდასაწყვეტი ფაქტები ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების გამოსვლებიდან, მაგალითად, სიმძიმეების აწევაში, როდესაც შტანგისტი ვერ აფასებდა თავის შესაძლებლობას, იარაღთან მისვლას მაღალი წონიდან აწყებდა და ქულებს კარგავდა.

საბედნიეროდ, ჩვენი სპორტსმენების უმრავლესობა გამოირჩევა იშვიათი თავმდაბლობით, ზომიერების გრძნობით და სხვა თვისებებთან ერთად ამითაც აკვირვებს უცხოელ მაყურებელს. თუმცა ზოგიერთ უცხოელ საქმოსანს ატყუებს ჩვენი სპორტსმენების თავმდაბლობა და მოკრძალება და ფიქრობს, რომ ადვილია პროფეკაციის ანკესზე მათი წამოგება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი მოგვითხრო საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ტრამპლინიდან ხტომაში, საერთაშორისო შეჯიბრებების მრავალგზის მონაწილე კობა წაქაძემ:

— კორტინა დ'ამპეზოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემი პირველი გამოსვლის შემდეგ ერთ-ერთ ამერიკელ საქმოსანს უკითხავს, ცოლიანია თუ არაო. მეორე დღეს სასტუმროში ჩემთან მოვიდა ჩასუქებული ამერიკელი, მომესალმა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: თქვენ, — მითხრა მან, —

პირველი შეხვედრისთანავე შეუყვარდით ფიგურული სრიალის ამერიკელ ოსტატ გოგონას სტენლი ოლბრიატს, მე ვიკისრე შუამავლობა. იცოდეთ, არ წაადგებთ, დაიწერეთ მასზე ჯვარი, ამერიკაში ბედნიერად იცხოვრებთ! სტენლი ცნობილი მილიონერის დედისერთაა. მე თავაზიანად გავისტუმრე ამერიკელი „მაჭანკალი“ და აღვუთქვი, ოლბრიატს თვითონ ვნახავ-მეთქი. სადამოს კი მარილაც შევხვდი. თქვენ იცნობთ მას დოკუმენტური ფილმებიდან, მან პირველი ადგილი დაიკავა ფიგურულ სრიალში ხაძთრის მე-7 ოლიმპიურ თამაშებზე. ჩემი მეგობრისა და თარჯიმნის თანხლებით მივედი მასთან სათადარიგო მოედანზე, არამკითხე საქმოსანიც იქ გაჩხდა.

— მისის სტენლი, მართალია, რაც ამ ჯენტლმენმა მითხრა? — კითხე მე. მანაც თავის დაქნევით დამიდასტურა. — მაშ, თანახმა ვარ! — ვთქვი მე.

ჩემმა მეგობარმა გაოცებისაგან კინაღამ შეჰყვირა. საქმოსანს სახე გაებადრა. ლამაზი სტენლი ოლბრიატი კი გაუნძრეველად, დამნაშავესავით იდგა ჩემს წინ.

— თანახმა ვარ, — გავიმეორე მე,— დიდი ხანია მოხუცი დედა მთხოვს დავქორწინდე და ოჯახში მოვახმარო ჩემი ახალგაზრდა მეუღლე!

თარჯიმანმა უთარგმნა.

— ეს როგორ, სერ! — იყვირა „მაჭანკალმა“, — სტენლის საბჭოთა კავშირში რა უნდა? ო, არა, ბატონებო, ეს არ მოხდება! — მან ქალიშვილს ხელი დასტაცა და ტრიბუნებისაკენ წაყვანა დაუპირა.

— ძვირფასო სტენლი, — ვუთხარი გამომშვიდობებისას, — მე თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს წმიდაწყლის პროვოკაცია იყო. სამწუხაროა, რომ ყინულის მოედანზე ასე ლამაზად მოსრიალემ, ძალზე ულამაზო საქციელი ჩაიდინეთ!

ასეთ მაღალ მორალურ თვისებებთან ერთად, უცხოეთში ყოფნისას, ჩვენ სპორტსმენებს აუცილებლად სჭირდებათ საკუთარი ქვეყნის ისტორიის, მისი თანამედროვე კულტურის, ტექნიკური მიღწევებისა და ბევრი სხვა რამის სა-ფუძვლიანი ცოდნა. უცხოელი სპორტსმენები, კორესპონდენტები, დირიგენტრესებული პირები გულწრფელი ინტერესითა თუ სხვა არამეგობრული ზრახვებით ხშირად შეკითხვების სეტყვას აყრიან ჩვენს სპორტსმენებს. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა მწვრთნელ ა. მეიფარიანს სამი კორესპონდენტი გადაეკიდა. მათი შეკითხვებიდან აშკარად იგრძნობოდა ავსტრალიის განდიდებისა და საბჭოთა კავშირის დამცირების სურვილი. ა. მეიფარიანმა საკადრისი პასუხი გასცა კორესპონდენტებს — ნახევარ საათს ელაპარაკა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის წარმატებებზე. ამ ამბავთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი კურიოზული ფაქტი: თბილისის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს, ცნობილ სპორტსმენს, სახელმწიფო გამოცდაზე უთხრეს — რუკაზე ეჩვენებინა ის ქვეყნები, სადაც მან საერთაშორისო შეჯიბრებებში მიიღო მონაწილეობა. წარმოიდგინეთ საგამოცდო კომისიის წევრების გაოცება, როცა ამ სპორტსმენმა პოლიტიკური რუკაზე ვერ აჩვენა სკანდინავია და ინგლისი.

საბჭოთა სპორტსმენი ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყოს საზღვარგარეთ გამოსვლებისათვის. სწორედ მაშინ შეძლებს იგი თავიდან აიცილოს ყველა მოსალოდნელი უსიამოვნება.

1950 წელს მძლეოსანთა ევროპის პირველობაზე, ბრიუსელში მიმდინარეობდა შეჯიბრება ამანათრბენში 4×100 მეტრზე. შიდა სარბენ ბილიკზე ბელგიელი სპორტსმენი დადგა, გარე ბილიკზე კი — ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი ლევან სანაძე. მის მიერ გადაცემული ამანათი ფინიშამდე უნდა მიეტანათ კალიაევს, სუხარევსა და კარაკულოვს. სტარტის აღებიდან რამდენიმე წამის შემდეგ ბელგიელმა სპორტსმენმა დატოვა თავისი სარბენი ბილიკი

ავთანდილ ციბაძე
მოქალაქე — უპირველეს ყოვლისა

და სანაძის ბილიჯზე გადავიდა, ამით მან რამდენიმე მეტრი მანძილი მოიგო. ჩვენმა გუნდმა ამანთარბენი წაიგო ერთი მეათედი წამით, პროტესტის შემდეგ ხელახლა მოიწყო ამანთარბენი. ახლა კი ბელგიელები მთელი ოთხი მეათედი წამით ჩამორჩნენ საბჭოთა სპორტსმენებს. ამ ამბის შემყურე ერთი ბელგიელი მუშა სწრაფად მივიდა მიკროფონთან და ჩასძახა: „სირცხვილი თქვენ, ბელგიელებო, ნუთუ გამარჯვების სხვა გზა ვერ გამონახეთ!“

სიმპოლელ და პატიოსნება ჩვენი სპორტსმენების დამამშვენებელი თვისებაა. ეს თვისება ამკობდა და ამკობს ბევრ საბჭოთა სპორტსმენს. გავიხსენოთ ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებელ გიორგი ეგნატაშვილის საქციელი: 1932 წელს ქართველი ტანმოვარჯიშეები წარსდგნენ მოსკოველი მაყურებლის წინაშე. პირველ ადგილზე გამოვიდა შესანიშნავი ქართველი ტანმოვარჯიშე გულო რცხილაძე. მეორე ადგილისათვის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა თბილისელ გიორგი ბაბილოძესა და მოსკოველ ასტაფიევს შორის. ბოლო ეტაპი ღერძზე ვარჯიში იყო. ბაბილოძე ბრწყინვალედ გამოვიდა და უმაღლესი შეფასება მიიღო. დამსწრეთა ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ფეხზე წამომდგარი მაყურებელი მხურვალედ ულოცავდა გიორგი ეგნატაშვილს მისი მეორე ბოწფის გამარჯვებასაც. გიორგიმ კი ხმამაღლა მიმართა დარბაზს: „ამხანაგებო! სამწუხაროდ, ვერავინ ვერ შენიშნა ის შეცდომა, რაც ჩემმა მოწაფემ დაუშვა. აღმა ტრიალი ნაცვლად ორისა, მან მხოლოდ ერთხელ გააკეთა. ამის დამალვა არ შემიძლიაო!“ დარცხვენილმა მსაჯებმა შეცვალეს გადაწყვეტილება და გააუქმეს ბაბილოძის შედეგი, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გიორგი მივიდა თავის აღზრდილთან, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, შენი მასწავლებელი სხვაგვარად ვერ მოიქცოდა, ბიჭო!

როცა ასეთ ფაქტებს ვიხსენებთ, დანანებით შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი ჩვენი სპორტსმენი, ანდა მისი მწვრთნელი გამარჯვების მოპოვებისათვის ზოგჯერ სამარცხვინო ხერხებსაც ეშველებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ამა თუ იმ შეჯიბრების სამანდატო კომისიები ზოგჯერ ისეთ დარღვევებს აღმოაჩენენ ხოლმე, რაც გუნდების მწვრთნელთა კეთილსინდისიერებაზე კარგს არაფერს ლაპარაკობს. ქუთაისელ ფეხბურთელთა გუნდი „იმერეთი“ ძირეული კოლექტივების 1963 წლის პირველობაზე დამარცხდა დუშანბეს „ზვეზდასთან“, მაგრამ მას მაინც მიანიჭეს გამარჯვება. გამოირკვა, რომ ამ გუნდში სხვა კლუბების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობდა.

საბჭოთა სპორტსმენებს უდიდესი და საპატიო მოვალეობა აკისრიათ, ისინი მსოფლიოს ფიზკულტურულ მოძრაობაში მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან. ამტომ, განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ჩვენი სპორტსმენების აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების სულისკვეთებით. საზღვარგარეთ ყოფნისას ამ თვისებებისა და მისწრაფებების გამოვლინება ერთნირად ამაღლებს უცხოელთა თვალში არა მარტო ცალკეულ სპორტსმენებს, არამედ მთელს ჩვენს საშობლოს.

მშვიდობისათვის ბრძოლასა და ხალხთა შორის ძმობის განმტკიცებას საბჭოთა სპორტსმენები ემსახურებიან საერთაშორისო ამანთარბენების, კროსების, საავტაცეო გადასვლების, ველომოტო გადარბენების სისტემატური მოწყობით. ისინი მშვიდობის ველორბოლებისა თუ სხვა ღონისძიებების აქტიური მონაწილენი არიან.

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი სპორტული წარმატებებით ასახელეს დედასამშობლო, იდეოლოგიური ფრონტის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა იდგნენ. ზრუნვა ჩვენი ახალგაზრდობის მაღალიდეური აღზრდისათვის მათი წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დიდი მოვალეობა, რომელიც აკისრია საბჭოთა

სპორტსმენს, როგორც მოქალაქეს. ესაა ზრუნვა ლამაზი, ჯანსაღი და სანიმუშო საბჭოთა ოჯახის შესაქმნელად. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული პრესა ათასგვარ ჭორს აერცელებს საბჭოთა ქვეყანაზე, მის ადამიანებზე, არასწორ შეხედულებას ახვევს თავს მოსახლეობას საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე, საბჭოთა ოჯახზე.

ასეთი ყალბი შეხედულების გაბათილებისათვის ბრძოლა ყველა საბჭოთა სპორტსმენის ვალია, პირველ რიგში კი უცხოეთში ჩასული სპორტსმენისა. დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს იტალიური დოკუმენტური ფილმის „დიდი ოლიმპიადის“ ერთმა ეპიზოდმა, სადაც ჩანს, თუ როგორი სიყვარულით კოცნის შვილის სურათს რობერტ შავლაყაძე გამარჯვების შემდეგ. სადად მოაზროვნე მაყურებელი ამ ეპიზოდში იგრძნობს საბჭოთა სპორტსმენის სიყვარულს შვილისადმი, ოჯახისადმი.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი იმისა, თუ საბჭოთა სპორტსმენები თავიანთი ოჯახის წევრებითურთ რაოდენ მაღალადამიანური თვისებებს ავლენენ საზღვარგარეთ ყოფნისას.

საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ტანვარჯიშში, დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ თაყაიშვილი ტანვარჯიშის ეროვნული კადრების მომზადების მიზნით ამჟამად ინდოეთში იმყოფება. მას თან ახლავს მეუღლე და ქალიშვილი. თაყაიშვილის ოჯახის შესახებ ბევრჯერ დაწერილა ინდოეთის პრესაში.

ქალაქ ლუდიანაში ტარდებოდა ქვეყნის პირველობა ტანვარჯიშში. შეჯიბრების თთავარი მსაჯი ნ. თაყაიშვილი იყო. მისი მეუღლე ტატიანა, რომელიც ექიმად მუშაობს, რიგით მსაჯად მიიწვიეს. მათი 13 წლის ქალიშვილი ნანა კი შეჯიბრებაზე მოვიდა, როგორც მონაწილე. მოხდა საოცარი რამ: პატარა ნანა თაყაიშვილი ინდოეთის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ტანვარჯიშში ქალთა შორის, ხოლო სამ იარაღზე პირველი ადგილის დაკავებისათვის პატარა გოგონამ სამი ოქროს მედალი მოიპოვა, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა ნანა. მან მონაწილეობა მიიღო პენჯაბის შტატის პირველობაზე ცურვაში და ბატერფლაის სტილის მოცურავეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ნ. თაყაიშვილის ოჯახმა ინდოეთთა დიდი სიყვარული დაიმსახურა პირველ რიგში იმით, რომ მისმა წევრებმა გამოავლინეს საუკეთესო ადამიანური თვისებები, დიდი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი.

ინდოეთის ერთ-ერთი გამომცემლობა გამოსაცემად ამზადებს წიგნს ნ. თაყაიშვილის ოჯახზე.

ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენები ყოველთვის იყვნენ და არიან შრომის ამა თუ იმ დარგის მოწინავენი, მათს რიგებში ვხედავთ სახელმოხვეჭილ პედაგოგებს, ინჟინრებს, მეცნიერ მუშაკებს, საბჭოთა არმიის ოფიცრებს, მოწინავე მუშებსა და კოლმეურნეებს.

სამწუხაროდ, ყველა სპორტსმენი როდი იჩენს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას; ზოგჯერ იგი ეძებს იოლ გზას, გამორჩენაზე ფიქრობს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთ-ერთი მწვრთნელის წერილი, რომელიც მან სპორტული გაზეთის რედაქციას გაუგზავნა. „ლბათ, — წერს იგი — გამომრჩა ზრუნვა ამ მიმართებით ერთ აღსაზრდელზე, რომელმაც ჩემი ხელმძღვანელობით მიაღწია სპორტის ოსტატის წოდებას, დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. იგი ერთ-ერთ რაიონში გაანაწილეს სპორტსკოლის დირექტორად. მისცეს საათები სკოლაშიც. მაგრამ მან თავი აარიდა ამ საპატიო საქმეს და რესტორანში მოეწყო ოფიციანტად. გთხოვთ, კარგად გამგიგოთ! ჩვენში არც ერთი სამუშაო სათაკილო არაა, მაგრამ ოფიციანტობას განა ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრება სჭირდება? მე, სამწუხაროდ, გვიან დავრწმუნდი, რომ ვერ მოვახერხე მის გულში შრომისადმი სიყვარუ-

---

ავთანდილ ციბაძე

ლის გრძნობის აღზრდა, მისი საქციელით აღშფოთებულმა ვინახულე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი და ქვეყანას ვამცნე ჩემი და ჩემი აღზრდილის სირცხვილი“.

დასასრულ გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია სპორტსმენთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. ლაპარაკია ათეისტურ აღზრდაზე, რასაც პარტია განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა.

ცრურწმენათა გამოვლინებებს ზოგჯერ ადგილი აქვს ჩვენი სპორტსმენების ერთ ნაწილში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, თუმცა ხშირად საკმაოდ ცნობილი სპორტსმენებიც სცოდავენ ამ მხრივ.

შეჯიბრებაზე გამოსულ საბჭოთა სპორტსმენს არ უნდა ჰქონდეს არავითარი იღბლიანი ბილეთის, „ბედნიერი“ ტრუსების, ავგაროზებისა და სხვა ამგვარი სისულელეების იმედი. სპორტსმენთა ათეისტური აღზრდა ჩვენი მწვრთნელებისა და პედაგოგებისაგან ოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან უბნად უნდა იქცეს.

საბჭოთა პედაგოგებმა, მწვრთნელებმა და ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მაღალი მორალური თვისებების მქონე მომავალი თაობის აღზრდა, უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსის შესახებ ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის დებულების ცხოვრებაში გატარება, აგრეთვე უნდა ახსოვდეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის დადგენილების სიტყვები: „განვავითაროთ ახალი ადამიანის საუკეთესო თვისებები, რომლებიც რევოლუციონერთა თაობებს ჩაუნერგა ჩვენმა ლენინურმა პარტიამ“. საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის თვითეულმა წარმომადგენელმა თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად უნდა გაატაროს იგი თავის საქმიანობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ზარდალიშვილი

„წყურვილის გეოგრაფია“

არსებობს ასეთი გეოგრაფია? ცხადია, არსებობს და იგი სასმელი და ტექნიკური წყლის განაწილებისა და მოხმარების გეოგრაფიას გულისხმობს.

წყალი სიცოცხლის საფუძველია, სიცოცხლის პირველწყაროა; ძველი ბერძენი მეცნიერები სამართლიანად უწოდებდნენ მას ბუნების მიერ შექმნილ საოცრებას. მართლაც, წყალი და ბუნება, წყალი და სიცოცხლე განუყოფელნი არიან. ბუნებაში ყველა ცხოველი თუ მცენარე ყოველგვარ პირობებს ეგუება, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუძლია უწყლოდ არსებობა. ეს რომ ასეა, ამას ამტკიცებს უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების ორგანული სამყარო, სადაც არსებობისათვის ბრძოლა წყლისათვის ბრძოლასთან არის გაიგივებული. შუა აზიის ხალხებს აქვთ შესანიშნავი ანდაზები, რომლებიც წყლის უდიდეს მნიშვნელობას გამოხატავენ. მაგალითად: „სადაც წყალი თავდება, იქ სიცოცხლეც თავდება“. მართლაც, უწყლო მიწა გამოუსადეგარი და მაშასადამე, უსიცოცხლოა.

უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში მთავარ სიმდიდრედ წყალი ითვლებოდა. ერთი თურქმენული ანდაზა შესანიშნავად გამოხატავს ამ აზრს: „მდიდრის მინდორზე წყალი მიედინება, ღარიბის მინდორზე კი უდაბნო გადისო“.

წყალი მართლაც ბუნების საოცრებაა. წყლის თვისებებიდან ყველაზე უცნაურია მისი „უკვდავება“. ასე, მაგალითად, ადამიანი ყოველწლიურად დედამიწის წიაღიდან იღებს შვიდ მილიარდ ტონა სხვადასხვა სახის წიაღისეულს და ცხადია, ამით დედამიწის წიაღისეულის მარაგი რამდენადმე მცირდება. მსოფლიოს მოსახლეობა ყოველდღიურად ზმარობს შვიდ მილიარდ ტონა წყალს (სასმელი, დასაბანი, ტექნიკური), წლიურად კი 2,5 ტრილიონ ტონა წყალს, ამით კი წყლის მარაგი დედამიწაზე სრულიადაც არ მცირდება. ამის მიზეზია ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილი კანონი—წყლის ბრუნვისა დედამიწაზე.

მართლაც, წყლის მარაგი დედამიწაზე განუსაზღვრელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელი დედამიწის ფარ-

თობის 71% უჭირავს წყალს, ხმელეთს კი — მხოლოდ 29%. განსაკუთრებით ბევრია მლაშე ზღვის წყალი, მაგრამ ისიც არათანაბრად არის განაწილებული. ეს არის ბუნების დიდი „შეცდომა“, ამიტომ ამ შეცდომას თვით ადამიანი ასწორებს — გაჰყავს მიწისქვეშა არხები, თხრის არტეზიიულ ჭებს, აშენებს წყალსაცავებს და ა. შ.

მთელი უბედურება ის არის, რომ მლაშე წყალი სასმელად და ტექნიკური მიზნებისათვის გამოუსადეგარია. ხმელეთზე მცხოვრებ ცხოველებიდან მხოლოდ აქლემი სვამს ზღვის მლაშე წყალს. მეცნიერების აზრით, აქლემს შეუძლია მლაშე წყლის შეთვისება ისე, რომ ორგანიზმი არ დაუზიანდეს.

ზღვის წყალში აღმოჩენილია 44 ქიმიური ელემენტი, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით — ნატრიუმი, ე. ი. ჩვეულებრივი სუფრის მარილი. ერთ კილოგრამ ზღვის წყალში საშუალოდ 35 გრამი მარილი არის, აქედან 27,2 გრამი ნატრიუმია. სწორედ ამის გამოა, რომ ზღვის მლაშე წყალს ვერ იყენებენ ტექნიკური მიზნებისათვის. ყველა სამგზავრო თუ სატვირთო გემს შორეული ცურვისას თან მიაქვს მტკნარი წყლის დიდი მარაგი. ნოსსობის ისტორიაში მრავალი შემთხვევა არის აღრიცხული, როცა მტკნარი წყლის უქონლობით ხალხი წყურვილით დაიხოცა, ხოლო მარილის დიდი ლექის გამო ორთქლის ქვაბმა მუშაობა შესწყვიტა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ქალაქების განვითარებას წყალი განსაზღვრავს. მსოფლიოში არც ერთი დიდი ქალაქი არ არსებობს, რომ მდინარეზე, ზღვის ან ტბის პირად არ მდებარეობდეს. „წყურვილის გეოგრაფია“ ფაქტიურად საზომია მსოფლიოს ყველა ქვეყნის თუ მხარის სახალხო მეურნეობის ზრდა-განვითარებისა.

საბჭოთა კავშირში ქვანახშირის მოპოვების ერთ-ერთი დიდი ცენტრია ყარაღანდა, რომელიც სამხრეთ ურალს, კერძოდ, მაგნიტოგორსკს ამარაგებს. რამდენიმე წლის წინათ ყარაღანდასთან აშენდა დიდი მეტალურგიული კომბინატი — „ყაზახეთის მაგნიტკა“, მაგრამ ყარაღანდის სამრეწველო კომბინატების შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა წყლის სიმცირე. საბჭოთა ინჟინრებმა ეს დაბრკოლება ბრწყინვალედ გადალახეს; ყარაღანდის სამრეწველო კვანძი წყალს მალე მიიღებს მდინარე ირტიშიდან გაყვანილი არხით.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში წყლით უზრუნველყოფილი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიმართ. საბჭოთა კავშირში უდაბნოების, ნახევრადუდაბნოების ფართობი თითქმის სამი მილიონი კვადრატული კილომეტრია; უპირატესად თურქმენთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებში. მართლაც, იქ მიწათმოქმედების განვითარება ერთობ შეზღუდულია და განვითარებულია ისეთ ადგილებში, სადაც წყალი არის. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ შუა აზიისა და ყაზახეთის რესპუბლიკების რიგი გეოგრაფიული სახელწოდებები პირდაპირ გამოხატავენ წყალმცირობას ამ ადგილებში. მაგალითად, ერთ დიდ უდაბნოს ეწოდება მშიერი ველი (პედ-პაკ-დალა) და აქ პირველყოფლისა უწყლობა იგულისხმება. შუა აზიის დიდი უდაბნო ყარა-ყუმის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც უსიცოცხლო, უწყლო, ბორბატ შავ ქვიშას ნიშნავს.

საბჭოთა გეოლოგებისა და ჰიდროლოგების თავდადებული შრომის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა უდაბნოებისა და ნახევრადუდაბნოების წყლით უზრუნველსაყოფად. გასულ წელს ყაზახეთის რესპუბლიკაში ჰიდროგეოლოგთა პარტიამ ათობით ჭაბურღილი გათხარა და აღმოაჩინა მიწისქვეშა ოკეანე, რომელიც 93 მილიარდ კუბმეტრ წყალს შეიცავს, რაც 25 არალის ზღვის ტოლია. ახლო მომავალში მიწისქვეშა ოკეანე გამოაცოცხლებს საუკუნეობით მძინარე უწყლო ველებს.

გარდა ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებისა ნახევრადუდაბნოები და უწყლო ტრამლების დიდი ფართობებია კასპიისპირა დაბლობზე, ჩრდილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიაში, აზერბაიჯანსა და თვით საქართველოში. მის აღმოსავლეთ ნაწილში.

დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ნალექები: 1000—2500 მმ წელიწადში. ქობულეთ-ბათუმის მიდამოები ნალექების რაოდენობით პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში. დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტენიანობა მაღალია, ზამთარი თბილია და ტემპერატურის მერყეობაც შედარებით დაბალია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 490 — 800 მმ შორის მერყეობს, ზამთარი ცივი და უფრო ხანგრძლივია. ყველაფერი ეს ორივე მხარის სოფლის მეურნეობაზე სხვადასხვანაირად მოქმედებს. აღმოსავლეთ საქართველოში წყლის სიმცირის გამო სოფლის მეურნეობის კულტურები უხვ მოსავალს მხოლოდ მორწყვის შემდეგ იძლევიან. დასავლეთ საქართველოში კი წყლის სიჭარბის გამო ხშირად საშრობ ღონისძიებებს ატარებენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ იაიონში, განსაკუთრებით ვეგეტაციის პერიოდში, საჭიროა ხელოვნური რწყვა, მაგრამ სარწყავი ფართობები აქ ერთობ მცირეა.

რწყვისა და საერთოდ წყალმომარაგების საკითხს ძველ საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მით უმეტეს, რომ საკმაოდ იყო უწყლო ადგილები. მაგალითად, თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ძველ ეკლესიას „გარეჯის უდაბნო“ ეწოდებოდა. მართლაც ეს ადგილი უწყლობის გამო უდაბნოს მოგვაგონებდა.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო „ლაზარობა“, რაც „ღრუბელი ბატონის“ თაყვანისცემაში გამოიხატებოდა. დიდი გვალვის დროს სოფლად იმართებოდა თავისებური კარნავალი. სოფლის გოგონები შეიყრებოდნენ და „ლაზარობას“ აწყობდნენ. ეზო-ეზო დადიოდნენ და მღეროდნენ:

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარე მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
ცხვი აცხავებულა,
ზვიმა გაჩქარებულა,
ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
ადარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვე ტალახი,
ადარ გვინდა გორახი!

ძველად საქართველოში დიდი რაოდენობით გაჰყავდათ სარწყავი არხები, ანუ რუები. ძველქართულად რუ, რუსხმული სწორედ სარწყავ არხს ნიშნავდა. განსაკუთრებით ბევრი რუ იყო ქართლსა და კახეთში. პირველი ოფიციალური ცნობა ძველ ქართულ სარწყავ არხებზე მეხუთე საუკუნეს მიეკუთვნება. მემატიანის ცნობით V — VI საუკუნეებში გაყვანილი ყოფილა წილკანის რუ, ყარაიის რუ მტკვრიდან, რამდენიმე რუ მდინარე დებედიდან და სხვ. XII საუკუნეში თამარ მეფის ბრძანებით გაუყვანიათ ორი დიდი სარწყავი არხი. ერთ მათგანს — ალაზნის არხს 119 კილომეტრი სიგრძე ჰქონია და 53 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა, მეორე — სამგორის არხი კი ოცი კილომეტრის სიგრძისა ყოფილა. ამავე ხანებში ანტონ მწიგნობართუხუცესს შიომღვიმის უდაბნო სოფელ სხალტბიდან 7 კილომეტრის სიგრძეზე სარწყავი არხი გაუყვანია. ეს არხი შიომღვიმის სავანეს დღეღამეში ორასი ათასზე მეტ ლიტრ წყალს აწვდიდა.

საქართველოში შემოსული მტერი, როგორც წესი, პირველ რიგში ვენახს, ხეხილს და თუთის ნარგავებს სჩეხდა და სარწყავ არხებს ანგრევდა, რითაც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ შაჰ-აბასის ჯარებმა მოშალეს ალაზნის სარწყავი სისტემა, 1616 წელს კი მეორედ შემოსვლის დროს მოლიანად დაანგრიეს სამგორის სარწყავი სისტემა

და ოდესღაც ბაღ-ვენახებით აყვავებული კუთხე უდაბურ ადგილად იქცა.

დიდი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის ცნობით ვახტანგ VI ბევრი სარწყავი არხი გაუყვანია შიდა და ქვემო ქართლში, რამაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას.

1914 წლისათვის საქართველოში ირწყვებოდა დაახლოებით 112 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან აღმოსავლეთ საქართველოში 98.000 ჰექტარი; ამავე დროს სარწყავი მიწებისა და არხების დიდი ნაწილი მემამულეებსა და თავადებს ეკუთვნოდათ. მეწუვეიკების ბატონობის პერიოდში სარწყავი არხების დიდი ნაწილი მოთელლობის გამო მოიშალა და სარწყავი მიწების ფართობი შემცირდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე უდიდესი ყურადღება მიექცა სარწყავი სისტემების შშენებლობას და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ცნობილ წერილს, რომელიც მან კავკასიის კომუნისტებს გამოუგზავნა 1921 წელს. ამხანაგი ლენინი წერდა: **„ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას. დასახამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“** (ტ. 32, გვ. 399).

დიდი ლენინის ამ ისტორიული მითითებით შთაგონებულმა საქართველოს მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს ქალაქების, სოფლების, სამრეწველო საწარმოთა და საკოლმეურნეო მიწების წყლით უზრუნველსაყოფად.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ყველა კუთხე არ არის წყლით ღარიბი. საშუალო და მაღალმთიან ადგილებში ნალექები საკმაო რაოდენობით არის, მაგრამ ნალექებითა და წყლით მდიდარი ასეთი ადგილები ნაკლებ დასახლებული და მიწათმოქმედებისათვის თითქმის გამოუსადეგარია. უმეტესად მეცხოველეობის ზონებია პირიქით, დაბლობებსა და ვაკე-ველებში ნალექები მცირეა, თანაც წლის განმავლობაში არათანაბრად არის განაწილებული, ამიტომ მიწათმოქმედებისათვის ყველა ვარგისი ადგილი წყალს მოკლებულია და კარგ მოსავალს მხოლოდ მორწყვის შემდეგ იძლევა. როგორც ვხედავთ, „წყურვილის გეოგრაფია“ აღმოსავლეთ საქართველოს ეხება და თითქმის ყველა დიდი სარწყავი არხი შიდა და ქვემო ქართლსა და კახეთშია გაყვანილი. მაგალითად, ტირიფონის, ალაზნის, თეზი-ოკამის, ტაშისკარის, კეხვის, სალთვისის, ვანათის, დიღმის, ბულაჩაურ-მეხრანის, სოღანლუღის, დოეს-გრაკლის არხები სწორედ აღმოსავლეთ საქართველოშია. კიდევ მეტიც, თუკი დღეისათვის საქართველოში ირწყვება 357 ათასი ჰექტარი მიწა, აქედან სამსი ათასზე მეტი აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის.

აღმოსავლეთ საქართველოს საკოლმეურნეო მიწების მორწყვისათვის ძირითადად გამოიყენება მდინარე მტკვარი და მისი შენაკადები — იორი, ალაზანი, ხრამი, ლიახვი, ფრონე, ტანა, ძამა და სხვ.

საირიგაციო მშენებლობა ბევრ შემთხვევაში ხორციელდება ენერგეტიკულ კომპლექსთან ერთად. ასე, მაგალითად, 1952 წელს გაყვანილ იქნა ზემო სამგორის არხი. მდინარე ივრის წყალმა შეავსო თბილისის მახლობლად მდებარე მლაშე ტბების ღრმული. შეიქმნა დიდი წყალსაცავი, რომელსაც „თბილისის ზღვა“ ეწოდა. ზემო სამგორის არხის გაყვანით გადაწყდა რამდენიმე პრობლემა. „თბილისის ზღვა“ გადაიქცა თბილისის მშრომელთა დასვენების შეანშშავ ადგილად, ზემო არხი და „თბილისის ზღვიდან“ გაყვანილი ქვემო სამგორის არხი რწყავს სამგორის ველის ოდესღაც სრულიად უკაცრიელ და ყამირ მიწებს; გარდა ამისა, ზემო სამგორის არხზე აშენდა სამი ჰიდროელექტროსადგური — საცხენისის, მარტყოფის და თეთრიწყაროსა. სწორედ ეს არის

ივრის წყლის სანიმუშო კომპლექსური ირიგაციულ-ენერგეტიკული გამოყენების მაგალითი.

მიმდინარე შვიდწლედში დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა, რომელიც თბილისის გარშემო სარწყავი წყლით უზრუნველყოფს 40 ათას ჰექტარ მიწას. დღემდე უსიცოცხლო და აუთვისებელ მიწებზე გაშენდება ახალი საბჭოთა მეურნეობების ბაღ-ვენახები, სიონის 300 მილიონი კუბმეტრი წყალსაცავი სარწყავი წყლით უზრუნველყოფს ზემო სამგორის ველებს და მისი სამხრეთით მდებარე მიწებს. აშენდება თეძმის ახალი სარწყავი სისტემა, საგურამოს არხი, განახლდება და გადაკეთდება ტირიფონის არხი.

სარწყავი არხების მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა წყალსაცავთა მშენებლობას. სწორედ წყალსაცავები არეგულირებენ და ამარაგებენ წყლით სარწყავ არხებს გვალვების დროს. საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე უკვე გამოჩნდა ბევრი ასეთი წყალსაცავი — ხრამისა, სიონის ორთა, შაორისა და ტყიბულისა დასავლეთ საქართველოში, თბილისისა ზემო სამგორის არხზე და ა. შ.

დღემდე უარწყავი და ნაკლებგამოყენებულია თელეთის მიწები. ამ მიზნით შავნაბადას მთაზე, 230 მეტრის სიმაღლეზე წყალი აყვანილი იქნება ორი-დიდი ტუმბოთი, ამის შედეგად მოირწყვება სამი ათასი ჰექტარი ისეთი მიწა, სადაც ნალექების სიმცირის გამო ზაფხულობით სარეველა ბალახიც კი არ ხარობს. მორწყვის შემდეგ ბაღ-ვენახებით დაიფარება უსიცოცხლო შავნაბადას კალთები და იგი თბილისის მშრომელთა დასვენების ერთ-ერთი ადგილი იქნება.

დიდი პრობლემაა ზედა ალაზნის არხის მშენებლობა კახეთში. ეს არხი მორწყავს კახეთის 111 ათას ჰექტარ მიწას და წყლით უზრუნველყოფს კიდევ 50 ათას ჰექტარს. გარდა ამისა, მალე დაიწყება კუმისის ტბის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც 16 ათას ჰექტარ მიწას მორწყავს თეთრიწყაროს რაიონში.

1965 წლისათვის საქართველოში სარწყავი მიწების ფართობი 420 ათას ჰექტარს მიაღწევს, რაც დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებას.

ამრიგად, არხების გაყვანითა და ახალი წყალსაცავების მშენებლობით ახლო მომავალში გადაიჭრება საქართველოს საკოლმეურნეო მიწების მორწყვისა და წყლით მომარაგების პრობლემა. არსებითად შეიცვლება „წყურვილის გეოგრაფია“, მაგრამ კვლავ მოსაგვარებელია ქალაქების სასმელი და ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის საკითხი. ეს პირველ რიგში თბილისსა და რუსთავს ეხება. იყო დრო, როდესაც თბილისის მოსახლეობა მტკვრის გაფილტრულ წყალს სვამდა. ძველი სურათებიდან ვიცით, თუ როგორ დაჰქონდათ მეთულუხჩეებს წყალი ბინიდან ბინაში.

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ეს დრო. მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქში აშენდა ასობით დიდი თუ მცირე სამრეწველო საწარმო, რომლებიც უამრავ ტექნიკურ წყალს ხარჯავენ. თბილისის სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგებისათვის ჯერ გაყვანილი იყო მილები მცხეთის ახლოს მდებარე ნატახტარიდან, შემდეგ ბულაჩაურიდან, მაგრამ ქალაქის მოსახლეობისა და მეურნეობის მოთხოვნილება წყალზე მაინც ვერ იქნა დაკმაყოფილებული. ამჟამად თბილისის წყალმომარაგებაში მონაწილეობს „თბილისის ზღვაც“, თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. და აი, მთის მშფოთვარე მდინარის, არაგვის ჯერი დადგა. არაგვი სახალხო მეურნეობისათვის ჯერ ძალზე მცირედ არის გამოყენებული.

მართალია, ქვემო წელში არაგვის წყლით ირწყვება მუხრანის ვაკის მიწები, არაგვი მცირეოდენ ელექტრო-

გრიგოლ ზარდალიშვილი

ენერგიასაც კი იძლევა, მაგრამ მისგან უფრო მეტის მიღება შეიძლება.

სოფელ ჟინვალთან შენდება დიდი წყალსაცავი, აქედან სათავეს აიღებს არხი, რომელზედაც მძლავრი ჰიდროელექტროსადგური აიგება. არაგვის გადასაგდებად გაითხრება ხუთასი მეტრი სიგრძის გვირაბი, რომლითაც არაგვის წყალი გზას გაიკვლევს მშენებლობის დროს. წყალსაცავის აშენების შემდეგ გვირაბს გამოიყენებენ არაგვის ზედმეტი წყლის გასატარებლად.

არაგვის კომპლექსური გამოყენებით ერთდროულად გადაწყდება რამდენიმე პრობლემა — ახალი მიწების მორწყვასა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად არაგვის წყალსაცავიდან ანკარა სასმელ წყალს მიიღებს თბილისის მოსახლეობა. გარდა ამისა, ჟინვალის მომავალ ზღვაში მოშენებული იქნება თევზი, აშენდება თევზსაშენი, ქარხანა. კვლავ მომრავლდება ირგული, რომელიც აქ არაგვულის სახელწოდებითაა ცნობილი და ამჟამად გადაშენების გზაზეა.

ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის წყლით უზრუნველყოფისათვის, ბევრი კეთდება და კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, რათა მომავალში იყოს არა „წყურვილის გეოგრაფია“, არამედ „წყალუხვობის გეოგრაფია“, რომ ჩვენმა საკოლმეურნეო მიწებმა, საწარმოებმა, მოსახლეობამ ბევრი წყალი მიიღოს. უახლესი ტექნიკით შეიარაღებული საბჭოთა ადამიანი სულ მალე წარმატებით გადაჭრის კაცობრიობის ამ ერთ-ერთ დიდ და გადაუდებელ პრობლემას — წყალმომარაგების პრობლემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

ჟასინტო დე ჯორმესი



მე მინდა ერთ ბრაზილიელ მოხუცზე გიამბოთ. იგი წარმოსადეგი ტანადობისაა. ხმა მუდამ ჩახლეჩილი აქვს. ხანდახან ულვაშს იზრდის. მოხუცი ძალზე თავმდაბალია, მორიდებული და მორცხვი.

ის მუდამ მომავალზე ფიქრობს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა აქვს საფიქრელი? ცხოვრება არ უჭირს, ოჯახი ჩინებული აქვს, ვაჟიშვილიც კარგი მოესწრო, მაგრამ იგი მაინც შეშფოთებულია, ჯანსაღ სხეულს სიბერე შეეპარა. მალე კი იძულებული გახდება თავი დაანებოს თავის საყვარელ სპორტს, ბერდება, მას ხომ ოცდამეთვრამეტე წელმა მიუკაკუნა...

ზოგი ოთხმოცი წლისაც კი ახალგაზრდა რჩება. პაბლო პიკასოს შემოქმედებითი ენერგია დღესაც კი ჭაბუკურია და ამოუწურავი. მაგრამ ასეთი ადამიანების საქმიანობა ხომ მშვიდ აზროვნებასთანაა დაკავშირებული. ეს ბრაზილიელი კი ოცდაჩვიდმეტი წლისაა და უკვე მოხუცია, რადგან ხელოვნება, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი ცხოვრება, მოძრაობის ხელოვნებაა. მოხუცი ფეხბურთის თამაშობს.

...იგი თავის ადგილზე იდგა, მარცხენა მცველის ზონაში. პარაგვაელ თავდამსხმელს ბურთი ოსტატურად წაართვა, მერე თავი მაღლა ასწია, ძველი მეზღვაურის გამჭრიახი თვალით მოედანს გახედა. პირველად თვისუფალ ადგილზე გასული დიდი დაინახა. ცოტა • მოშორებით ხელოწვდილი პელე ბურთს ითხოვდა. მალე პელემაც მონახა მოხერხებული ადგილი, მაგრამ იგი გადაცემას აგვიანებდა. უეცრად წინ გაიჭრა. „მარაკანა“ თვალს არ აცილებდა ბრაზილიელთა მარცხენა მცველს. ან, მან უკვე გადაჭრა მოედნის შუა ხაზი. მხრებგაშლილი ვაჟკაცი თავაწეული მიჰქროდა. ბურთი თითქოს ფეხებზე ჰქონდა მიბმული. მას მოძრაობაშიც კი ემჩნეოდა ელეგანტურობა და სიამაყე. ვიდაცამ ბურთის წართ-

მეკა სცადა, მაგრამ ლამაზი დრიბლინგით მოწინააღმდეგე ზურგს უკან მოტოტვა. პარაგვაის ეროვნული ნაკრების მცველები არ ჩქარობდნენ, ფიქრობდნენ, ბრაზილიელი მცველი ბურთს რომელიმე თავდამსხმელს მიაწოდებსო. ის კი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. მაშინ კი იკადრა პარაგვაელმა სტოპერმა და ბრაზილიელს გზა გადაუღობა. მოხუცმა გააკეთა ოსტატური ფინტი, პარაგვაელი მარჯვნივ წაბარბაცდა, თვითონ კი მარცხნივ აიღო გეზი. მცველი ჩამოიშორა, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: კარში დასარტყმელი კუთხე ძალზე მცირე იყო და მეკარესაც ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა. მაშინ მოხუცმა მელამ ეშმაკობა მოიშველია: თავი მარჯვნივ შეაბრუნა და საჯარიმო მოედანზე კარის პირდაპირ ჩამწკრივებულ ვავას, პელეს და გარინჩას შეავლო თვალი. ისინი დაჭიმულები იდგნენ და ბურთის ჩამოწოდებას მშიერი მგლებივით ელოდნენ. პარაგვაელთა მეკარე ანკესზე წამოეგო, მზერა მოხუცის თვალებს გააყოლა და როდესაც კამარაშეკრული ბრაზილიელი თავდამსხმელები დაინახა, კუთხე გახსნა და კარის შუაგულისაკენ გადაინაცვლა. ბებერი მელა სწორედ ამას ელოდა და კარში მოჭრილად დაარტყა. ბურთმა სწორედ იქ გადაკეთა კარის ხაზი, სადაც წამის წინ მეკარე იდგა. პარაგვაელს ისოა დარჩენოდა, ბადეში აფართხალებული ბურთი გამოეტანა.

„გოლიააა!“ — იღრიალა ასი ათასმა კაცმა. ის კი დინჯად მობრუნდა და ნელი სირბილით თავისი ზონისაკენ გაემართა. ხელებს ოდნავ იქნევდა, იოტისოდენადაც კი არ შეიმჩნია მცველისათვის მეტად საამაყო გოლის გატანით გამოწვეული სიხარული. მას ორასი ათასი გაცეცებული თვალი მიაცილებდა. ბურთი უკვე მოედნის ცენტრში იდო, მაგრამ ყველა — მსაჯიც და მოწინააღმდეგეებიც ელოდნენ, მოხუცი როდის დაიკავებდა თავის ადგილს. და მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეჩერდა და ცენტრისაკენ შემობრუნდა, ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა. [illegible] განახლდა, მაგრამ სტადიონი [illegible] გრგვინავდა. მაშინ მან ორივე ხელი ასწია და „ტორსედორებს“ მადლობა გადაუხადა. ხალხი მაინც არ ცხრებოდა. გულშემატკივრები მოხუც ფეხბურთელს ღირსეულ საზღაურს უხდიდნენ მისი უბერებელი ხელოვნებისათვის.

უცხოელები ვერ გაიგებენ ბრაზილიელთა საფეხბურთო ფანატიზმით გამოწვეულ აღფრთოვანებას, ისევე როგორც არაესპანელებს უცნაურად ეჩვენებათ კორიდაზე გამეფებული აღტყინება. ხალხს ძალზე დიდი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ ჩასწვდომოდა ამ დიდებული ესპანური სანახაობის სილამაზეს. საჭირო გახდა ბლასკო იბანიესისა და ჰემინგუეის, გარსია ლორკასა და გოიას ტალანტის მოშველიება, რომ მთლიანად ეგრძნოთ და აღექვათ სიკვდილ-სიცოცხლის ორთაბრძოლის მთელი სიმშვენიერე ჩამავალი მზის სხივებით განათებულ მოედანზე. მოხიბლულიყვნენ ტორეროს მამაცობით და ეგრძნოთ დაუმორჩილებელი ხარის ძალა.

ახლა სხვა დროა, შეიცვალა გმირობის ცნების გაგებაც. კორიდას ესპანეთში კი ბევრი სანახაობა უწევს კონკურენციას, პირველ რიგში, რასაკვირველია, ფეხბურთი.

ბრაზილიაში ფეხბურთი ისეთივე გატაცებით უყვართ, როგორც ძველ ესპანეთში კორიდა. აქ ბურთი ჩვეულებრივი მატერიალური საგანი როდია, მისი ფრენაც კი ეროვნულ ხასიათს ატარებს. ამის გაგება არ შეიძლება ასე უბრალოდ და ერთბაშად. ეს უნდა იგრძნო.

ეპიზოდი, რომელიც ზევით გიამბეთ, 1962 წლის აპრილის საღამოს მოხდა „მარაკანას“ სტადიონზე. ტაში სამ წუთს არ დამცხრალა, გულშემატკივრები მადლობას უხდიდნენ მცველს, რომელმაც ბურთი გაახვია პარაგვაელთა კარში. იგი ისე თამაშობდა, არავის არ მოუვიდოდა აზრად, მის მუხლებს

სიბერე შეეპარაო. იგი უფრო იმ ჯაბუკს წაგავდა, რომელიც 1948 წელს პირველად გამოჩნდა ბრაზილიის დიდ სტადიონებზე.

რიო-დე-ჟანეირიოა შტატის პირველობა ტარდებოდა. „ბოტაფოგოს“ მეორე დღეს გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა. წინადღით კლუბის ერთ-ერთმა მესეფურმა რიბეირო

პირველად საუკეთესოს ირჩევენ. მერე „საშუალოების“ ჯერი დგებოდა. მათ ყოველთვის დაცვაში უკოვდნენ ხოლმე თავს. ყველაზე სუსტებს კი კარში აყენებდნენ. რაკი ფეხებით თამაში არ შეგიძლია, ხელებით უნდა იმუშაო. თუ ბურთი გაუშვი, ვაი შენი ბრალი: ლანძღვა-გინებას ვინ დაგიდევს, პანღური თუ არ მოგაყოლეს.

უფრო გვიან მე ხშირად მინახავს, რომ თამაში მეკარესა და მეკვეცეს მოუგიათ. რიოს ერთ ჩემპიონატში „ფლუმინენსეს“ მეკარე კასტილიომ თითქმის მარტო თვითონ მოიგო ყველა თამაში. თვითეული მატჩის განმავლობაში 4-5 მკვდარ ბურთს მაინც იღებდა.

მაგრამ უფროსებიც ბავშვებივით მხოლოდ თავდამსხმელებს აფასებენ, მარტო მას ხელადენ, ვისაც გოლები გააქვს, კასტილიოს დამსახურება კი არავის აღუნიშნავს. მაგრამ საკმარისი **იყო, ამავე გუნდის თავდამსხმელს** ესკურინიოს მოწინააღმდეგის კარში ნაცოდვილარი ბურთი გაეტანა, რომ გაზეთებში მაშინვე გამოეჭიმათ.

ჰოდა, მე მცველობას მთავაზობდნენ. გამოდიოდა, რომ არც ისეთი კარგი მოთამაშე ვიყავი.

სანამ „ბოტაფოგოში“ მიმიყვანდნენ, უკვე რამდენიმეჯერ ვცადე გავმხდარიყავი პროფესიონალი ფეხბურთელი. ერთხელ ბუენოს გაზეთში გავაცხვე და იღლიაში ამოვიჩარე. კატერში ჩუმად ჩავჯექი და რიოსაკენ გავსწიე. პირდაპირ სტადიონ „ფლუმინენსეს“ მივადექი. მარმარილოს კიბეებიანი სტადიონის დიდებული შესასვლელი გაჩახჩახებული იყო. შვეიცარს ხომ ნუღარ მეითხავთ, ისე იჭიმებოდა, თითქოს სამხედრო სადარაჯოზე მდგარიყოს. მე შევკრთი და მისკენ ვერ გავბედე. დიდხანს ვიდექი. ბოლოს, ის იყო უკან დაბრუნება გადავწყვიტე, რომ თვალი ნაცნობ ფეხბურთელს მოვკარი. ადრე მასთან რამდენჯერმე მითამაშნია. ვიფიქრე, მიცნობს და საჭირო ხალხთან წარმადგენს-მეთქი. ის იყო დასაძახებლად პირი დავაღე, რომ კიდევ ორ ფეხბურთელს მოვკარი თვალი. ესენი იყვნენ როდრიგესი და ადემირი, „ტორსედორების“ სათაყვანებელი კერპები. ბრაზილიური ფეხბურთის პირველი ვარსკვლავები. აქამდე მათი სურათები მხოლოდ გაზეთებში თუ მენახა. ორივენი ახალთახალ კოსტუმებში იყვნენ გამოპრანჭული. მე კი ჯუჯაიანი მუნდირი და „ბათინკები“ მეცვა. აბა, მათთან რა გამოსაჩენი ვიყავი. 22 წლისას აღარ შემიძლია ჭაბუკთა გუნდში თამაში. ისევ ნაწილში დაბრუნება მომიხდა.

მეორეჯერ კინაღამ მივაღწიე სანუკვარ მიზანს, მაგრამ ეს ცდაც ჩაიფუშა. ერთხელ კლუბ „სან კრისტობაოს“ მოედანზე ვთამაშობდი რომელიღაც გუნდის წინააღმდეგ. მატჩის დამთავრების შემდეგ „სან კრისტობაოს“ მწვრთნელმა არქიმედესმა თავის გუნდში ვარჯიშზე მიმიწვია. კი არ მივედი, მივფრინდი. მაგრამ ნახევარი ტაიმიც არ მქონდა ნათამაშევი, რომ მაისური გამხადეს და სახლში გამომისტუმრეს.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა უკვე „ბოტაფოგოს“ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, არქიმედესი ქუჩაში შემხვდა და მითხრა: „თუ ძმა ხარ, არავის უამბო ჩვენი მაშინდელი შეხვედრის ამბავი, თორემ სამუშაოს დამატოვებინებენო“. ახლა ამის გამხელა, მე მგონი, საშინი აღარაა, მას შემდეგ ხომ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

„გაიგეთ ახალი ამბავი? რიოში ნილტონი მცველი გახდა. არა, ამას სჯობია აქ დავეტოო, დავრჩე ნილტონ სანტოსად. № 322 რიგით ჯარისკაცად, რომელიც ოფიცერთა გუნდში თამაშობს. მოედანზე ქარიგით ვიქროლებ და შევეცდები ყოველი მდგომარეობიდან ბურთი მხოლოდ კაპიტანს მივაწოდო. როცა კაპიტანი 3-4 ბურთს გაიტანს მოწინააღმდეგის კარში, მერე მეც შემიძლია საკუთარი გოლი გავიტანო. მე ოფიცერთა გუნდში, ჯარისკაცურად რომ ვთქვა, ყუმბარების დამტარებლის როლს ვასრულებდი. ყუმბარებს ყოველთვის კაპიტანს ვაწოდებდი და ისიც ურტყამდა. ამიტომაც იგი ერთ-ერთ საუკეთესო

ბომბარდირად ითვლებოდა არმიელ ფეხბურთელებს შორის.

ერთი სიტყვით, გადაწყვიტე აღარსად არ მეთამაშა ჩემი კუნძულის გარდა...

მაგრამ კარლოს როშა უკვე დამეძებდა“.

*

დანარჩენი კი ყველას უნდა ახსოვდეს, ვისაც ნამდვილად ინტერესებს ბრაზილიური ფეხბურთის ისტორია. ამ ისტორიის ფურცლებზე ნილტონ სანტოსის სახელი პირველად 1948 წლის 21 მარტს გამოჩნდა, როცა „ბოტაფოგო“ ამხანაგურ შეხვედრას ატარებდა ბელო ჰორიზონტის „ამერიკასთან“, მეშახტეთა შტატის მინას ჟერაის დედაქალაქის გუნდთან.

„მეშახტეთა“ ერთ-ერთი შეტევის დროს სანტოსმა ბურთი ხელთ იგდო და წინ გაიგზა.

— უკან მომეცი! — ეხვეწებოდა მეკარე. სანტოსმა მის ვედრებას ყური არ ათხოვა, მოატყუა სამი მოთამაშე და ბურთი მშვიდად მიაწოდა ცენტრალურ თავდამსხმელს.

თამაშის დამთავრების შემდეგ გუნდის კაპიტანმა ეენინიომ უთხრა: „ყოჩაღ, ბიჭო! შენ ნამდვილ ფეხბურთს ითამაშებ. ასეთი საბრძოლო ნათლობა ჯერ არავის მიუღია“.

ზეზე მორეირა ძალზე თავდაჭერილი მწვრთნელი იყო, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და სანტოსს ხელი ბეჭზე მოუტყაპუნა. მხოლოდ კლუბის პრეზიდენტი კარლოს როშა იყო უკმაყოფილო:

— გინდა, გული გამიხეთქო? პირობა მომეცი, რომ ასეთი რეიდები აღარ განმეორდება.

— მაპატიეთ, მაგრამ ამას ვერ შეგპირდებით.

ვფიქრობ, ნილტონ სანტოსს რომ იმ დროს ასეთი პირობა დაედო, მაშინ მსოფლიო ვერ იხილავდა ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, რომელსაც თავის საჯარიმო მოედანზე მოუტყუებია ისეთი გამოჩენილი თავდამსხმელები, როგორიც არიან ადემირი და დი სტეფანო, სტენლი მეთიუზი და ზიზინინო. ეს უკანასკნელი კი ოვნილტონ სანტოსის სათაყვანებელი კერპია.

ნათლობა ნათლობაა, მაგრამ ჩემპიონატის პირველ ტურში ნილტონი „ასპირანტებთან“ გამწესეს („ასპირანტებს“ ბრაზილიაში სათადარიგო მოთამაშეებს ეძახიან). თუმცა მეორე თამაშზევე „ბოტაფოგოსში“ გამოჩნდა სამი ახალი მოთამაშე. ორი გარეკმარი — პარაგვაიო და ბრაგინია და ერთი მარცხენა მცველი — ნილტონ დოს სანტოსი. იმ დღიდან მოყოლებული ჩემპიონატის ბოლომდე „ბოტაფოგოს“ არ შეუცვლია თავისი შემადგენლობა და მოიპოვა კიდეც რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონის სახელი.

პროფესიონალი ფეხბურთელი გარკვეულ დამოკიდებულებაშია არა მარტო კლუბის პრეზიდენტთან — ფინანსების მთავარ გამანაწილებელთან — არამედ მწვრთნელებთანაც. 1934 წლამდე ჩვენი მწვრთნელების მოვალეობას თამაშის წინ მაისურების დარიგება შედგენდა. ასეთივე მწვრთნელი იყო ყოფილი ნახევარმცველი ალიკატე, რომლის ნამდვილი სახელია ფლავიო კოსტა. ახლა მას ამ სახელით უფრო იცნობენ. მასზე ქვემოთ მოგიყვებით.

1934 წელს „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა გადაწყვიტა ევროპული ტაქტიკის შესასწავლად თავის გუნდში მოეწვია უნგრელი მწვრთნელი დორი კრუზერი. პირველმა მან გააცნო ბრაზილიელებს სისტემა „დუბლ-ვე“.

„შავ საოცრებად“ მონათლული ნახევარმცველი ფაუსტო უნგრელმა მწვრთნელმა უკან დასწია და ორ მცველს შუა ჩააყენა. ფაუსტოს ამ დროს სისწრაფე დაკარგული ჰქონდა და მწვრთნელი თავის მოსაზრებას ამით ამართლებდა. ფაუსტომ ერთი ვაი-შველებელი ატეხა. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მან „ფლამენგოს“ სასამარ-

---

ჟასინტო დე ტორმესი
მოხუცი და ბურთი

თლოში უჩივლა. სასამართლომ ამ საქმის გარჩევაზე უარი განაცხადა, ვინაიდან ისინი არ იყვნენ კომპეტენტურნი, გუნდში მოთამაშისათვის ადგილი მიეჩინათ. უნგრელი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და თავისი გაიტანა. ბოლოს და ბოლოს ყველას პატივისცემა დაიმსახურა. კრუზერი ბრაზილიაში გარდაცვალა. მის საფლავზე დადგმულ მემორიალურ დაფაზე აღბეჭდილია სიყვარულით და პატივისცემით აღსავსე სიტყვები.

კრუზერამდე ბრაზილიური ფეხბურთი მხოლოდ იმპროვიზაცია იყო. მთელი თამაში დრიბლინგზე იყო აგებული. ფეხბურთელი ბურთს მხოლოდ მაშინ მიაწოდებდა ვინმეს, თუ გამოუვალ პოზიციაში აღმოჩნდებოდა, ან თავისივე ფინტებით დაიღლებოდა ხოლმე. იმ დროს ვარსკვლავი რომ გამხდარიყავი, მხოლოდ ლმაზი თამაში იყო საჭირო. კრუზერმა და შემდეგ მისმა მოწაფეებმა დანერგეს თეორიული ფეხბურთი. ამის შემდეგ ბრაზილიური ფეხბურთი აბსოლუტური ანარქიიდან გადავიდა აბსოლუტურ მორჩილებაზე. თამაშს აგებდა ან იგებდა სისტემა. მხოლოდ მეკარის თამაში გადაურჩა მწვრთნელის ტაქტიკურ ჩარევას. მეკარემ შეინარჩუნა პირველი ნომერი სვეტრზე და თავისი პოზიცია კარში.

მწვრთნელებს დიდი ფასი დაედოთ. თუ გუნდი იმარჯვებდა, ამაში დამსახურება მხოლოდ მწვრთნელებს მიუძღოდათ, როცა აგებდა, სავალალო შედეგს მოთამაშეთა „უნიჭობას“ აწერდნენ, რომლებიც ვერ ახერხებდნენ მწვრთნელის დავალების შესრულებას.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ფაქტი ფაქტად რჩება: მოთამაშის როლი დაყვანილი იყო სათამაშო ჯარისკაცის ფიგურამდე, რომელსაც მწვრთნელი სურვილისამებრ გადასვამ-გადმოსვამდა ხოლმე საწვრთნელ დაფაზე. ერთი მწვრთნელი იქამდისაც კი მივიდა, რომ მაკეტზე მოედანი სეტტორებად დაყო და სხვადასხვა ფერად შეღება. მაკეტზე ყველას თავისი სექტორი ჰქონდა მიჩენილი. ერთხელ მან წვრთნაზე შენიშნა, რომ ერთი ფეხბურთელი ხანდახან თავისი სექტორის ფარგლებიდან გამოდიოდა და ლანძღვა-გინებით [illegible] ლო.

— შენ ხომ არ ააფრინე, დაგავიწყდა, გასახდელში რა გითხარი?

ჭაბუმა პასუხი სწრაფად მოისაზრა:

— როგორ გავიგო, ამ წუთში სადა ვარ, აქ ხომ ყვითელი ფერი არა ჩანს?!

*

1950 წელს ნილტონ სანტოსი ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კანდიდატი გახდა. ნაკრების რეზიდენციაში ენთუზიაზმით და იმედებით აღსავსე გამოცხადდა, მაგრამ ფლავიო კოსტამ მაშინვე ცივი წყალი გადაასხა.

— ახა, ბუცები მიჩვენე? არ ვარგა, დამცველი და ასეთი რბილცხვირიანი ბუცები?

— კი მაგრამ, მე მაგარცხვირიანი ბუცებით არასოდეს არ მითამაშია. ალბათ სირბილსაც კი ვერ შეეძლებ! — შეედავა ნილტონი.

— მცველს რაც უფრო მაგარი ბუცი აცვია, მით უკეთესია! — ჯიუტობდა ფლავიო კოსტა.

— მაგარი ბუცები ბურთის გრძნობას მიკარგავს. ეს ჩემი სამუშაო ინსტრუმენტია და არჩევანიც მე დამანებეთ! — არ ნებდებოდა ნილტონი.

— რაც შენ თქვი, ყველაფერი სწორია მხოლოდ თავდასხმელისათვის. ახლავე ვუბრძანებ ბუცები გამოგიცვალონ! — მოუჭრა ფლავიო კოსტამ.

ბოლოს და ბოლოს ნილტონმა მაინც თავისი გაიტანა და მოედანზე რბილცხვირიანი ბუცებით დაიწყო ვარჯიში. ნილტონი თავის ბუცებს „საბალო ფეხსაცმელს“ ეძახდა. ისინი ძალზე რბილი იყო და ფეხზე კოტაჟი ჰქონდა შემოტმასნილი. ფლავიო კოსტამ ეს ამბავი მაინც მოთამაშის ურჩობად ჩათვალა. კოსტას ხომ 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პასუხისმგებლობა ეკისრა. ამ ჩემპიონატს შეეძლო იგი ყველაზე ცნობილ ბრაზილიელად ექცია. ის იქნებოდა პირველი მწვრთნელი, რომელიც ოქროს ნიკეას მოიგდებდა ხელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ბრაზილიურ ფეხბურთს ორი დიქტატორი ჰყავდა: ფლავიო კოსტა თავისი დიაგონალური სისტემით და ზეზე მორეული თავისი ზონალური დაცვის სისტემით. ისინი დღესაც მწვრთნელები არიან, მაგრამ მხოლოდ კარგი მწვრთნელები. მათ „ღმერთებად“ უკვე აღარავინ თვლის. თავის დროზე კი განუსაზღვრელი უფლებები ენიჭებოდათ. ყველას ეგონა, რომ მათი შემწეობით ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ ამ იმედებს ახლენ არ ეწერა. ერთი 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩაფლავდა, მეორეს კი 1954 წელს ჩაუვარდა კოეზი ნაცარში.

მათ დამსახურებაზე თვალი მაინც არ უნდა დავხუჭოთ. ყველაფერმა კარგმა, რაც მათ ჩვენი ფეხბურთისათვის გაკეთეს, მოგვიანებით იჩინა თავი. თუმცა შეცდომები რომ არ დაეშვათ, ჩვენს სანუკვარ მიზანს უფრო ადრე მივაღწევდით.

პირდაპირ საოცარი და გაუგებარი იყო, 1950 წელს რატომ მოხვდნენ სათადარიგოთა სკამზე ზიზინიო და ნილტონ სანტოსი, ან რატომ არ შეიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში იმ დროის საუკეთესო გარემაბრი ტეზოურინიო. ბევრისათვის ისიც გაუგებარი იყო, უძლიერესი ფეხბურთელები მაურო და ნორონია რატომ აღმოჩნდნენ ჟუვენალისა და ბოგოდესის დუბლები. მაშინ მარტო მწვრთნელი წყვეტდა ყველაფერს. ანგარიშზეც ის აგებდა პასუხს. 1950 წლის ჩემპიონატზე კი პირველი შედეგი მშვენიერი იყო: ბრაზილია — მექსიკა 4:0. ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ მექსიკელთა კარი ბევრჯერ იხსნა შესანიშნავი მეკარის კარბალასს თავგანწირულმა ნახტომმა. იგი მაშინ 20 წლისა იყო.

მომდევნო მატჩი შვეიცარიასთან გვქონდა. იოლ გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ვილჰელმ ტელის სამშობლო, ლამაზი მთებისა და გემრიელი შოკოლადის ქვეყანა, ფეხბურთის თვალსაზრისით მეტად სუსტად მიგვაჩნდა. მატჩი სან პაულოში ტარდებოდა და ფლავიო კოსტამ „პაულისტების“ საგმებლად ნაკრების მეორე შემადგენლობა გამოიყენა. ამ შემადგენლობაშ[illegible] პაულელი ფეხბურთელები ჯარლოდნენ. მატჩის შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა — 2:2. ბრაზილიელები შეეჯახნენ შვეიცარულ კედელს. ჩვენ აღმოვჩნდით ცნობილი „ციხე-სიმაგრის“ წინაშე. მოწინააღმდეგის მცველები „წყობილად თამაშობდნენ. მათი კარი ალპებით გარშემორტყმულ შვეიცარიას მოგვაგონებდა. ისინი ყველანი საკუთარ საჯარიმო მოედანზე იყვნენ. წინ მხოლოდ ერთი თავდამსხმელი ჰყავდათ — ფატონი. ის ბრაზილიელთა შეტევის დროს ჩვენს მცველ აუგუსტოს ჟეტებით ელაპარაკებოდა. თუმცა დროდადრო „საუბარს“ თავს ანებებდა. ეს მაშინ, როცა შვეიცარიელები კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ. ხუთი ასეთი შეტევიდან ფატონმა ორი გოლი გაიტანა.

ამ ყაიმმა ფლავიო კოსტას და ყველა ჩვენგანს შიში მოჰკვარა. მომდევნო მატჩე იუგოსლავიის ნაკრები იყო. წყდებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ახლა კი იკადრეს და მოედანზე ზიზინიო გამოიყენეს. იგი მატჩის გმირი გახდა. ერთი გოლი თვითონ გაიტანა, მეორე კი მისი მიწოდებიდან — ადემირმა.

ზიზინიოს გამოსვლის შემდეგ ბრაზილიის გუნდში შეიკრა ყველა დროის თავდამსხმელთა ერთ-ერთი უძლიერესი სამეული: ზიზინიო, ადემირი და ყაირი. სამივე შესანიშნავი ბომბარდირი გახლდათ, თუმცა ერთმანეთს არც გამთამაშებლის როლში ჩამოუვარდებოდნენ. ამავე დროს სამთავეს გააჩნდა დამახასიათებელი რამ. ყაირს ყუმბარისებური დარტყმა ჰქონდა. როგორც კი გუნდი 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლებას მიიღებდა, მთელი სტადიონი ყვიროდა: „ყაირი, ყაირი, ყაირი!“ მას მამაკაცისათვის უჩვეულოდ პატარა ფეხი ჰქონდა — 35 ნომერი. რა საოცრადაც არ უნდა გეჩვენოთ, მას ჰქონდა

არა მარტო უძლიერესი, არამედ მოჭრილი და რთული ტექნიკური დარტყმაც. ფოტოარქივებში შემონახულია ჟაირის მიერ ისე ოსტატურად დარტყმული პენალტები, როცა ბურთი ბადის ერთ კუთხეში ეხვევა, მეკარე კი — მეორეში.

ადემირი შორსმჭვრეტელის როლს თამაშობდა. იგი წინ იდგა. როგორც კი ბურთს მიიღებდა ან მოწინააღმდეგეს წაართმევდა, იმავე წუთში ჩართავდა თავის „მესამე სიჩქარეს“ და პირდაპირ კარზე მიჰქონდა იერიში. იგი 1950 წლის მსოფლიო ჩემთიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

და ბოლოს, ზიზინინო. იგი გამოირჩეოდა რბილი, ბურთის ფლობის კატისებური მანერით, მოჭრილი და ეშმაკური გადაცემებით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტელიგენტური თამაშით, სადაც ზიზინინო უფრო სტრატეგი იყო, ვიდრე მისი ტაქტიკოსი მეგობრები — ჟაირი და ადემირი.

ბრაზილიელებს მომდევნო მატჩები შეეცალათან და ესპანეთთან ჰქონდათ. ორთავე ეროვნული ნაკრები დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით 7:1 და 6:1. ამ ამბავმა მოთამაშეებსაც და გულშემატკივრებსაც იმედი ჩაუსახა, რომ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები გავხდებოდით. მით უმეტეს, რომ ფინალში ჩვენი კარის მეზობლებს ურუგვაელებს ვხვდებოდით, რომელთა ფეხბურთსაც ხუთი თითივით ვიცნობდით. ყველა ვთვლიდით, რომ ურუგვაისთან მატჩი უბრალო ფორმალობა იყო და თავაზიანობა თვით ჟიულ რიმეს წინაშე, რომელსაც ჩვენთვის ქალღმერთი უნდა გადმოეცა.

*

„მარაკანაზე“ გამარჯვებულთა მისასალმებლად ყველაფერი მზად იყო. გულშემატკივრებს თასობით ალაში და ვიმპელი დაურიგეს. ჟურნალ „კრუზეიროსაგან“ მოთამაშეებს 11 ღია მანქანა ელოდებოდა, რომელთა ფრთებზე ფეხბურთელების სახელები იყო წარწერილი.

იმ დროს ბრაზილიის არჩევნებში ალოდებოდა. ყველა კანდიდატი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებთან გადაეღო, რათა მათი პოპულარობის მცირეოდენი მადლი მაინც მოსცხებოდათ. იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ფედერალური კონგრესის დეპუტატობის კანდიდატებად წამოეყენებინათ ადემირი, ზიზინინო, ჟაირი და ბარბოსი. გენერალურმა პრეფექტმა მენდეს დე მორაესმა დიდების არენისათვის თავისი სახელის შერქმევა მოიწადინა. მან სტადიონის შესასვლელთან დაადგმევინა თავისი ბიუსტი, რომელზედაც ბრაზილელი ხალხის სახელით თავის თავს მადლობას უხდიდა „შენდეს დე მორაესის სახელობის სტადიონის“ მოწყობისათვის.

ურუგვაის ნაკრებს ჩვენ ჯერ კიდევ ჩილეში 1945 წელს მოვუგეთ ადვილად. მომდევნო წელს კი ბუენოს-აირესში დავამარცხეთ. მაშინ ჩვენი გუნდი თითქმის იმავე შემადგენლობით თამაშობდა, როგორც მსოფლიო ჩემპიონატზე. ურუგვაელები ფინალის დღესაც უკეთესად რიდი გამოიყურებოდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის წინ „ფლუმინენსეს“ ორჯერ ითამაშა ურუგვაის ნაკრების წინააღმდეგ და ორჯერვე ყაიმს მიაღწია.

შესარჩევ თამაშებში ურუგვაელებს ბედმა გაუღიმა. ისინი მხოლოდ ბოლივიის სუსტ გუნდს შეხვდნენ. შემდეგი მატჩი ფრად დამთავრეს ესპანელებთან და უკანასკნელ შეხვედრაში შვეიცის კარში ძლივს გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი (3:2). ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ოქროს ქალღმერთის მოსაპოვებლად ბრაზილიელებს ყაიმიც ჰყოფნიდათ.

...ეს იყო 1930 წელს მსოფლიოს პირველ ჩემპიონატზე ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში, „სენტენარიოს“ სტადიონზე. მასპინძლები არგენტინელებს ხვდებოდნენ. როცა პირველი ტაიმი დამთავრდა, ანგარიში იყო 2:1 არგენტინელთა სასარგებლოდ. შესვენებაზე გასახდელში ურუგვაელები წა-

კინლავდნენ. თავდამსხმელები მცველებს სდებდნენ ბრალს, მცველები — მეკარეს. კინალამ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. მაშინ ერთ-ერთი მოთამაშე მაგიდაზე შეხტა და დაიყვირა: „მოიცათ, ძმებო. ბრძოლა გასახდელში კი არა, მინდორზე უნდა!“ ფეიბურთელებმა ყაყანი შეწყვიტეს და მოედანზე გამარჯვების დიდი იმედით თუ არა, დიდი სურვილით მაინც გავიდნენ.

მოხდა დაუჯერებელი ამბავი: ურუგვაელებმა მეორე ტაიმში სამი ბურთი გაიტანეს და გაზდნენ ქიულ რიმეს თასის პირველი მფლობელები.

და ახლა, 20 წლის შემდეგ, „მარაკანაზე“ მატჩი ჯერ არ დაწყებულიყო, მაგრამ ურუგვაელები მგონი, გრძნობდნენ, რომ წააგებდნენ. სადღაც ალბათ მაინც უჰიატებდათ საოცრების განმეორების იმედი. და გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც შეძლო ფეიბურთელების გამხნევება. მინდორზე გასელამდე რამდენიმე წუთით ადრე ურუგვაელთა მეწვრთნელმა ლოპესმა ჯიბიდან „კუზეირიოს“ სპეციალური ნომერი ამოიღო, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდა სტამბის საღებავი. პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით ეწერა: „გაიმარჯვა ბრაზილიამ! ჩვენ მსოფლიო ჩემპიონები ვართ!“

ალბათ ამან გააღიზიანა ურუგვაელები და გაანაწყო საბრძოლველად.

ორივე გუნდი მოედნის ცენტრში გამწკრივდა. აყიერდა ჰიმნები, ანძაზე ურუგვაის და ბრაზილიის ეროვნული ალმები აფრიალდა. მაგრამ ცერემონიალი ამით არ დამთავრებულა. პრეფექტ მენდეს დე მორაესს გულმა მაინც არ მოუთმინა და თანამემამულეები ერთხელ კიდევ დალოცა. ილაპარაკა, მაგრამ რა ილაპარაკა!.. ბოლოს აღტაფინებულმა შეჰკვირა: „ფეიბურთელებო! მე, მენდეს დე მორაესმა, თქვენ მსოფლიოში უდიდესი სტადიონი გიძღვენით. ახლა ჯერი თქვენზეა, მოუტანოთ ბრაზილიას მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინი!“

ინგლისელი მსაჯის რიდერის სასტვენის ხმაზე ბრაზილიელები შეტევაზე გადავიდნენ. პირველსავე იერიშზე მოთავყვა ადემირის ძლიერი დარტყმა. ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ტრიბუნებს კმაყოფილებით აღსავსე ხმაურმა გადაუარა: ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა მაყურებლებს ბევრ გოლს ჰპირდებოდა. მაგრამ დრო მდიოდა. ურუგვაელები კი, ნურას უკაცრავად, სულაც არ ფიქრობდნენ დამარცხებას. ისინი ბურთისათვის გამწარებულები იბრძოდნენ. პირველი ტაიმი ის-ის იყო იწურებოდა, რომ ურუგვაელთა თავდამსხმელმა მიგესმა მოულოდნელად შორიდან დარტყა ბრაზილიელთა კარში. ბარბოსმა რეაგირება ვერ მოასწრო, მაგრამ კარი გადარჩა. ბურთი მოხვდა მარჯვენა ძელს და მოედანზე დაბრუნდა.

ამ დროს ნილტონ სანტოსი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. იგი წამოდგა და წასვლა ითხოვა. ნილტონი ტრიბუნების ქვეშ გამავალი კორიდორით დაცარიელებულ ქუჩაში გავიდა. მანქანებს გვერდს უვლიდა და თან რადიოს უსმენდა. დიქტორი ხოტბას ასხამდა ბრაზილელ ფეიბურთელებს, რომლებიც რამდენიმე წუთში დაიმკვიდრებდნენ მსოფლიოში უძლიერესის სახელს.

ნილტონ სანტოსს კი გული უკვდებოდა. იგი მიხვდა, რომ საქმე არც თუ ისე კარგად იყო. მიხვდა, რომ მოსტუვიდეოს საოცრება საცაა განმეორდებოდა.

იქნებ სცდება? შესვენების შემდეგ მეორე წუთზე 200 000 კაცის გამაყრუებელი ყიჟინა მოესმა. „მარაკანა“ ურუგვაელთა კარში ფრიასის მიერ გატანილ გოლს ესალმებოდა. ჯაგრამ ორი წუთიც არ იყო გასული და რეპრდუქტორის მინორულმა ტონმა სანტოსს აუწყა, რომ ურუგვაელებმა ანგარიში გაქვითეს. ეს გოლი შეიძლება შემთხვევითად ჩაგვთვალა, რომელიც ბრაზილიელ გულშემატკივრებს სულ ბევრი — ხასიათს ოდნავ თუ გაუფუ-

---

ჟასინტო დე ტორმესი
მოხუცი დ' ბურთი

ჭებდა და ოდნავ თუ დაჩრდილავდა მსოფლიო ჩემპიონთა სიხარულს. თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კი მოხდა მოულოდნელი რამ. ურუგვაელმა გიგიამ მოატყუა ბრაზილიელი ბიგოდე. მან ტანი ისე მოიქნია, თითქოს ბურთის ჩაწოდებას საჯარიმო მოედნისაკენ აპირებდა. ბარბოსა ბურთის შესახვედრად გამოვარდა, მაგრამ, ღმერთო! — ამ მოძრაობას გადაცემა არ მოყოლია. ეს მეორე გოლი იყო. გახარებულ ურუგვაელებს გაგიჟებამდე ბევრი არაფერი უკლდათ. მათი კაპიტანი ობდულიო ვალერა გაშმაგებული ყვიროდა: „ურუგვაი!“.

ბრაზილიელებმა ახლა კი იკადრეს შეფუცხუნება, მაგრამ უკვე გვიან იყო. მეტოქეები თავგანწირულად იბრძოდნენ და ოქროს ქალიმერთმაც მათ გადააფარა თავისი მოწყალე კალთა.

ფინალური სასტვენის შემდეგ ბრაზილია გლოვამ მოიცვა. თითქოს მოულოდნელად მომკვდარიყოს უძვირფასესი ვინმე. ბევრი ტიროდა. რიოს ქუჩებში მანქანები ნელა, წყნარად, უსიგნალოდ მიედინებოდნენ, რადიომიმღები ყველგან გამთიშული იყო. სტადიონის წინ აღმართული პრეფექტის ბიუსტი დაამსხვრიეს. სტადიონს ძველი სახელი დაუბრუნდა. მორაესმა კი კონგრესის დეპუტატობის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

ურუგვაელებზე შური მხოლოდ 1952 წელს ვიძიეთ. ისინი ჩილეში დავამარცხეთ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ნილტონ სანტოსი მაშინ უკვე ნაკრების ძირითადი მოთამაშე იყო და ძალიან დიდი წონა ჰქონდა. მისი კლუბის „ბოტაფოგოს“ საქმეები კი ძალიან ცუდად მიდიოდა. „ბოტაფოგოს“ ემბლემაზე გამოსახულია ფარი, რომელზეც ერთი ვარსკვლავია ამოკვეთილი. კაცს უნებურად ასეთი აზრი დაგებადებოდა, რომ ეს ერთადერთი ვარსკვლავი იყო ნილტონ სანტოსი. იგი ხომ ორი თავით მაღლა იდგა დანარჩენ ფეხბურთელებზე. ნილტონი ნამდვილი „ოობრა“ იყო, აუწყობელ ანსამბლში მოხეედრილი დიდებული სოლისტი. მაგრამ ერთის ძალუძს რაიმე ფეხბურთში დამარცხებას დამარცხება მოსდევდეს. 1955 წელს „ბოტაფოგო“ შტატის უძლიერესთა ექვსეულშიც კი ვერ მოხვდა და ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგა. იყო გუნდის შემოსავალმაც. ნილტონი ამ დროს უკვე ცოლიანი იყო. მის ოჯახში ყოველ კრუზეიროს უფრთხილდებოდნენ. ნილტონს ბევრი კლუბი სთავაზობდა მაცდუნებელ პირობებს. მას იწვევდა „ვასკო და გამა“, „პანგუ“, „სან პაულო“, „სანტოსი“, კოლუმბიის „ელდორადო“ და, ასე განსიჯეთ, ესპანეთის „რეალიც“ კი. მაგრამ იგი არ ღალატობდა „ბოტაფოგოს“, საიდანაც გამოვიდა დიდი ფეხბურთის ასპარეზზე.

„ბოტაფოგოს“ აყლდა კარგი ფეხბურთელები. მოულოდნელად გამოჩნდა ერთი. ის გასახდელში შემოვიდა და განაცხადა:

— თქვენ გეპირდებათ მარჯვენა გარემარბი? ის თქვენს წინაშეა.

მწვრთნელმა ჟენტილ კარეოზომ შეათვალიერა ფეხებდაგრეხილი ახალგაზრდა და სიცილი ძლივს შეიკავა. ასეთი ფეხების პატრონს შეიძლებოდა ყველაფერზე ეოცნება, გარდა ფეხბურთისა. მაგრამ უხეში უარი როდი უთხრეს. ვარჯიშის ნება დართეს. კარგა ხანი გავიდა, სანამ ბურთს მიიღებდა. ახალბედას ბურთს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ გაუშვრიან. ბოლოს და ბოლოს მან ბურთი მიიღო. მის წინ ნილტონ სანტოსია. ნილტონი თითქოს და გამომწვევად გაეშურა მისკენ: აბა, რა ბიჭი ხარ, გვიჩვენეო. აბა, ვინ არ დაიბნეება, ბურთს არ დაკარგავს, ან პარტნიორს არ გადააწოდებს, როცა მის წინ ასეთი მცველია?

თუკი ნილტონმა ბურთი წაართვა, თანაც ერთი ორკაჯერ თვითონვე მოატყუა, მწვრთნელი აღმათ პირდაპირ საშხაპეში გაგზავნის და საბოლოოდ აუკრავს ფუდა-ნაბადს.

სხვა გზა აღარ არის. ან უნდა დაჯაბნის ნილტონ სანტოსი, ან არადა, ისევ უნდა დაუბრუნდეს თავის მძიმე და მცირეშემოსავლიან სამუშაოს პა-

ტარა ქალაქ პაუ გრანდეს საფეიქრო ფაბრიკაში.

ახლა მე შემიძლია ვთქვა, რომ თავისი სპორტული კარიერის მანძილზე სულ სამჯერ თუ მოუტყუებიათ სანტოსი ისეთი ფინტით, როცა ბურთს ფეხებშუა უტარებენ. პირველად ეს სწორედ იმ დაგრეხილფეხებიანმა ბიტმა მოახერხა. მისი სახელი საკმაოდ ზეთამაშიერებლად ჟღერს — მახეილ, მაგრამ მას მთელი მსოფლიო გარინჩას სახელით იცნობს.

„ბოტაფოგოს“ ფანატიკოსი გულშემატკივრები, რომლებიც საყვარელი გუნდის ვარჯიშსაც კი არ აკლდებიან, პირდაღებულები დარჩნენ. იმ დღიან გარინჩას „ბოტაფოგოში“ ნდობის კრედიტი გაეხსნა.

ორ კვირასაც არ გაევლო, რომ გარინჩა რიოს პირველობაზე „ბონსუესესოს“ წინააღმდეგ თამაშისას ძირითადი შემადგენლობის დუბლში ჩააყენეს. შესვენებისათვის „ბოტაფოგო“ უკვე 2:1 აგებდა (ეს მერამდენედ). მწვრთნელმა მერე ტაიმში გარინჩა გამოიყვანა. იგი მოედანზე თავს ისე გრძნობდა, თითქოს პლაჟზე დასეირნობსო. ხან საღ ამოჰყოფდა თავს და ხან სად. ამან მოწინააღმდეგენი ისე დააბნია, რომ პენალტით დაჯარიმდნენ. „ბოტაფოგოს“ ყველა მოთამაშემ ბურთს ზურგი შეაქცია. დარტყმა ვერავინ გაბედა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამ დროს პენალტის გაფუჭება კარიერის დასასრულს უდრიდა. და მაშინ ბურთთან გარინჩა მივიდა. გუნდის კაპიტანმა ჟენინიომ მწვრთნელს გახედა. მწვრთნელმა თავი დაიქნია და თანხმობა განაცხადა.

გარინჩას ბედმა მეორედ მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. დარტყმა მოკლე და მოჭრილი იყო. ბურთი ბადეში გაეხვია. შემდეგ მან ამ გოლს კიდევ ორი გოლი მიუმატა და მატჩის გმირი გახდა.

ერთხელ ნილტონ სანტოსს ვკითხე, რა ხასიათზე დადგა მაშინ, როცა გარინჩამ თავის ფინტზე წამოაგო.

„მართალი რომ გითხრა, არც კი მეფიქრია, რომ ახალბედა პირველი ბურთის მიღებისთანავე ფინტების კასეტაზე შეეცდებოდა. მე ცოტა მოვეშვი, მაგრამ როცა გარინჩამ თავისი ფინტი გააკეთა, უკვე გვიან იყო.

ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, მაგრამ რას იზამ!... იცით, როგორ დაიწყო ჩემი ცხოვრება „ბოტაფოგოში“? 1948 წელს მეორე თუ მესამე წვრთნაზე მაშინ მეტად პოპულარული ფეხბურთელის ელენო დე ფრეიტას წინააღმდეგ გამომიყვანეს. მოედნის სიღრმიდან მას ბურთი მიაწოდეს. ელენოს მე დავასწარი და ბურთი ფეხბეში მოვიგდე, მაგრამ ინერციით ისევ ჩემი კარისაკენ მივქროდი. ელენო უკან მომდევდა. ჩვენი მეკარე არი წინ გამოვარდა და მომაძახა, — ბურთი მომაწოდეო. მე ცრუ მოძრაობა გავაკეთე და ტანი მარჯვნივ გადავხარე, თითქოს ბურთის მიწოდებას ვაპირებდი. უეცრად მარცხნივ შემოვბრუნდი და ელენო უკან ჩამოვიტოვე, მან თავი ვეღარ შეიკავა და მეკარეს შეასკდა. მერე იყო, რაც იყო! ელენო მომვარდა და ყვირილი დამიწყო: შენი თანაგუნდელების ხარჯზე გინდა ავტორიტეტის მოპოვებაო და ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა. მაგრამ განა ფეხბურთში სხვანაირად შეიძლება? გარინჩამ მე მომატყუა, მე ელენო მოვატყუე და განა თვით ელენიომ თავის დროზე ცნობილი დომინგოსი არ ჩამოაყენა? ეს ცხოვრების კანონია — ძველი გზას უთმობს ახალს.

გარინჩას საერთო საზომით მაინც ვერ მივუდგებით და აი რატომ. არიან გარემარბები, რომლებიც ბურთს მიღებისთანავე ფლანგის ხაზისაკენ გზავნიან. მერე სირბილში ასწრებენ დამცველს და ბურთს ეწევიან. ამას უფრო ხშირად მოჰყვება ბურთის საჯარიმო მოედანზე ჩაწოდება, უფრო ნაკლებად კი კარში დარტყმა. ამ ტიპის ფეხბურ-

---

ჟასინტო დე ტორმესი
მოხუცი და ბურთი

თელებს ძლიერი დარტყმა აქვთ, მაგრამ დიდ ტექნიკას ვერ დაიკვეხნიან.

არიან მეორე ყაიდის გარემარბებიც. ისინი ცრუ მოძრაობით ფრთიდან ცენტრში შემოდიან და როგორც კი შესაფერის შემთხვევას იპოვნიან, კარში არტყამენ. თუ ამას ვერ მოახერხებენ, ისევ ფლანგზე გავლენ და ბურთს კარს გასწვრივ ჩასჭრიან ხოლმე.

გარინჩა არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება. იგი ხშირად იყენებს ასეთ ხერხს: ბურთს თვალით თითქმის არ უწევს კონტროლს. მცველისაკენ ნელა მიიწევს. მცველი კი ნელ-ნელა იხევს უკან და თანდათანობით წონასწორობიდან გამოდის. მაშინ მცველი კარგავს ორიენტაციას და წინ მიდის ბურთის წასართმევად. აი, სწორედ მაშინ აკეთებს გარინჩა ფინტს, რასაც მოჰყვება ხოლმე ელვისებური შეჭრა საჯარიმო მოედანზე. თანაც გარინჩას შეუძლია იმ მხარეს გაიჭრას, საითაც ფინტს აკეთებს. დამცველები ყოველთვის მისი განზრახვის ტყვეები ხდებიან. თვითონ კი, ჩემი აზრით, არც კი იცის, შემდეგ მომენტში რას იზამს, სულ ერთია, ეს მოძრაობა ცრუ იქნება თუ ნამდვილი... ამას კიდევ დუმბატეთ მაღალი ტექნიკა და ყუმბარისებური დარტყმა“.

— მაგრამ რით უნდა ავხსნათ ის, რომ გარინჩა დიდხანს არ მიაჩნდათ მაღალი კლასის მოთამაშედ? — ვკითხე ნილტონ სანტოსს.

— ამის ახსნა სრულიად უბრალოდ შეიძლება. გარინჩა ბრაზილიურ ფეხბურთში დისკიპლინის დანერგვის მსხვერპლი გახდა. იმ წლებში მწვრთნელებს მიაჩნდათ, რომ ფეხბურთში ყოველგვარი ტრიუკი და იმპროვიზაცია უნდა აღმოფხვრილიყო. „ბოტაფოგოს“ გასახდელში ერთარშნინაინი ასოებით დაწერილი პლაკატებიც კი იყო გაკრული: „პირველ რიგში ბურთის გადაცემა!“ „გახსოვდეს, რომ შენ მარტო როდი ხარ გუნდში!“ და სხვა ასეთები.

ინდივიდუალიზმთან ბრძოლას შეიძლება ერთგვარი გამართლება ჰქონდეს. მართლაც, ფეხბურთელის „ტრიუკების“ ხანდახან უაზრობამდე მიდგომა ამის მაგალითად ტობარაც კმარა. ეს განა ცუდი მოთამაშე იყო, მაგრამ ერთი ახირებული ზნე სჭირდა: საკმარისი იყო ბურთი მიეღო, რომ ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდებოდა. ერთხელ გასავათებულმა ბურთი რომ დაკარგა, ელენიომ ვერ მოითმინა, მოწინააღმდეგეს მივარდა და უყვირა: არა გრცხვენია, ბავშვს ბურთი როგორ წაართვი? ელენიომ ბურთს ხელი დასტაცა და ტობარას მიურბენინა:

— აჰა, აიღე, აწი შენ ხელს აღარავინ შეგიშლის!

ხომ არ გგონიათ, რომ ამ მასხრად აგდებამ ტობარაზე ოდნავ მაინც იმოქმედა? ნურას უკაცრავად! ასე დაიჩაგრა გარინჩა ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლის გამო. იმდენი კრიტიკა არავის არ დასტყდომია თავს, რამდენიც გარინჩას. „ბოტაფოგოში“ მხოლოდ იმიტომ დატოვეს, რომ მასზე უკეთესი არავინ ჰყავდათ. და, კიდევ იმისათვის, რომ გარინჩას თავისი ფინტების წყალობით გოლები გაჰქონდა. გარინჩასთვის ყველაზე საშინელი მაინც ის პერიოდი იყო, როცა „ბოტაფოგოს“ მწვრთნელად ზეზე მორეირა დანიშნეს. პროფესიული თვალსაზრისით მორეირა უხეირო მწვრთნელი როდი იყო. იგი კარგად ერკვეოდა ფეხბურთის თავისებურებებში, მაგრამ ფანტაზია აკლდა. ჩემი აზრით, იგი ინგლისური, შვედური ან გერმანულ კლუბში უფრო გამოდგებოდა. მისი წვრთნის მეთოდიც ძირითადად მოთამაშეთა უსიტყვო მორჩილებაზე იყო დაფუძნებული, ფეხბურთელებს მისი ტაქტიკური სქემები ყელში ამოსდიოდათ.

მორეირა-მწვრთნელი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მორეირა-მოთამაშე. მაგრამდაც მოსული ნახევარმცველის თამაშის უხეში მანერა, რომელსაც ძირითად მიზნად დასახული ჰქონდა არც ბურთი გაეშვა და არც მეტოქე. როგორც მწვრთნელი, მთავარ ამოცანად სხვისი შეტევის ჩაფუშვას ისა-

ხავდა და არა საკუთარი შეტევის ორგანიზაციას. გოლის გაშვებისა ისე ეშინოდა, რომ მოწინააღმდეგის კარში გატანილი გოლის სიხარულსაც კი ეშიში ჩრდილავდა. საკუთარ წარმატებასაც მცველებს მიაწერდა ხოლმე.

გარინჩას თამაშის მანერა სრულებით არ უდგებოდა ზეზე მორეირას სისტემას. მწვრთნელმა მრავალი ვარიანტი მოსინჯა თავის სისტემასთან გარინჩას შესაგუებლად. ერთხელ მას უკან დახეული გარემარბის მოვალეობაც კი დააკისრა. გარინჩას ბურთებით დანარჩენი თავდამსხმელები უნდა მოემარაგებინა. მორეირა ბრაზილიურ ფეხბურთზე ევროპული, კერძოდ, ბრიტანული ფეხბურთის თვისებებს ამყნობდა. კარგად მოგეხსენებათ, გარინჩას ინგლისელი ფეხბურთელისა არაფერი სცხია. მახსოვს ის დრო, როცა ზეზე მორეირას საფეხბურთო დღეებმა დიდი აღიარება ჰპოვეს. ამის მიზეზი გახლდათ ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდის წარმატებები, რომელსაც 1950 წლის ფიასკოს შემდეგ მორეირა ხელმძღვანელობდა.

1952 წელს სანტ-იაგოში ჩატარდა სამხრეთ ამერიკის პირველობა. ამ ჩემპიონატში მორეირამ კარგად გაწვრთნილი ფეხბურთელები ჩაიყვანა. ისინი ზედმიწევნით ასრულებდნენ ყველა დავალებას, რასაც მწვრთნელი საკლასო დაფაზე ასწავლიდა. 1950 წლის შემადგენლობიდან გუნდში ბაუერი და ადემირიღი დარჩნენ. ბაუერი მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ მოედნის შუაგულში საჭირო იყო გამოცდილი ფეხბურთელი. ადემირი კი ძველებურად ითვლებოდა ბრაზილიური ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირად. გუნდის დაცვა, როგორც ადრე, ოფენსივა მორეირა ასე სასოებით დაჰკანკალებდა, ძირითადად დაფუძნებული იყო ორ სანტოსზე—ნილტონსა და ჯალმაზე.

ბრაზილიელებმა პირველ ტურში მექსიკელები დაჯაბნეს (2:0), პერუელებთან შეხვედრა კი უშედეგოდ დამთავრდა. ბრაზილიელი „ტორსედორების“ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოში ზეზე მორეირას ფიტულებიც ქუჩებში გამოიტანეს და საჯაჯრად დაწვეს.

მორეირამ კი ქვა აიგდო და თავი შეუშვირა. დასახულ გეგმას არაფერით არ უხვევდა. ხალხს ცოტა გული მოუბრაზდა, როცა ბრაზილიელებმა პანამელები გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს — 5:0, გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ ბრაზილიელი და ურუგვაელი ფეხბურთელების შერკინებას. ბრაზილიელებს კიდევ ვერ მოეწონებინათ „მარაკანას“ მარცხი, როცა ურუგვაელებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული თვალსა და ხელს შუა გამოგლეჯეს. ბრაზილიელებმა დაამარცხეს მსოფლიო ჩემპიონები ანგარიშით 4:2 და გავიდნენ ფინალში. უკანასკნელ მატჩში კი იარაღი მასპინძლებსაც დააყრევინეს (3:0) და კონტინენტზე უძლიერესის სახელი დაიგდეს.

ეს იყო ბრაზილიელთა პირველი დიდი საერთაშორისო გამარჯვება. ნავსი გატყდა და ზეზე მორეირას სისტემა ყველამ აღიარა. ამ სისტემის მნიშვნელობა ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში შეიძლება ასე შევაფასოთ — მეტი ყურადღება მიექცა დაცვას და ამაღლდა დისციპლინა.

დადგა 1954 წელი. მსოფლიოს უძლიერესმა გუნდებმა ამჯერად შვეიცარიაში მოიყარეს თავი. ნილტონ სანტოსი სხვა ფეხბურთელებთან ერთად ევროპაში გაემგზავრა. გამოთხოვებისას მარტო თბილი სიტყვები არა თქმულა. ჩვენს ფეხბურთელებს განსაკუთრებით უნგრეთის „დიდი გუნდით“ აფრთხილებდნენ. მიზეზიც საფუძვლიანი ჰქონდათ. 1953 წელს უნგრელებმა ფეხბურთის სამშობლოში დაამარცხეს ინგლისის ეროვნული ნაკრები. დაამარცხეს ისეთი ანგარიშით, როშელს მსგავსი არ ახსოვდა დიდი ბრიტანეთის

ფეხბურთის ოთხმოცდაათწლიან ისტორიას.

წარბშეუხრელი მხოლოდ ზეზე მორეირა ჩანდა. ბოლოს და ბოლოს უნგრელების სისტემა ხომ მხოლოდ შეტევაზეა აგებული,—ამბობდა იკი.— ეს კი უკვე მათი დაცვის სისუსტეზე მიუთითებს.

ალბ. როგორ არ უნდა გაგვახსენდეს სანტოსის სიტყვები, მორეირას შეტევა მხოლოდ კარგად ორგანიზებული დაცვის შედეგი ჰგონიაო.

ერთხელ პრესკონფერენციაზე მორეირას ჰკითხეს, უნგრელების წინააღმდეგ როგორ აპირებთ თამაშის აგებასო. — მე მოწინააღმდეგე არ მაინტერესებს, — უპასუხა მწვრთნელმა, — თუ ჩემი გუნდი ითამაშებს ისე, როგორც მე მინდა, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება.

დაიწყო ჩემპიონატი. მექსიკელები კვლავ იოლად ვძლიეთ (5:0), მაგრამ იუგოსლაველებთან კი დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. თუმცა საყაჟო ანგარიშმა (1:1) ორთავე გუნდს მოგვცა ბრძოლის გაგრძელების საშუალება.

ყარეს წილი. ბედმა მოწინააღმდეგედ უნგრელები გვარგუნა. არ ვიცი, მორეირას რა ეშმაკი შეუჯდა, ადგა და მთელი გუნდი უნგრელების წვრთნაზე წაიყვანა. როცა უნგრელებმა ვარჯიში დაამთავრეს, ყველამ ყურები ჩამოყარა. თვით ჯიუტი მორეირაც კი გატყდა — უნგრელები რომ ადრე მენახა, გუნდს სხვანაირად მოვამზადებდიო. მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი. დამარცხება, რომელიც უნგრელებმა გვაგემეს, ყველასთვის კარგი გაკვეთილი იყო. გულშემატკივრებსაც თვალი აეხილათ. ზოგიერთი ბრაზილიელი ჟურნალისტი ცდილობდა ეს სამარცხვინო მარცხი გაემართლებინა. ამიტომაც წარმოიშვა ლეგენდა ჩვენს კარში დანიშნული ბენალტის უსამართლობაზე, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. მე კართან ახლოს ვიჯექი და კარგად დავინახე, რომ ბურთამა კი არ მონახა ბრაზილიელი მცველის პინეიროს ხელი, არამედ ხელმა მონახა ბურთი. ეს იყო სუფთა თერთმეტმეტრიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გვეყოს გამბედაობა ვაღიაროთ, რომ, რომ 1954 წელს ჩვენი მეტოქეები უფრო ძლიერები იყვნენ.

უნგრელებთან მარცხის შემდეგ გასახდელში ნილტონ სანტოსმა ამოიოხრა და თქვა: მე დღეს დავკარგე უკანასკნელი შანსი, გავმხდარიყავი მსოფლიო ჩემპიონი. უმბერტო, ჟულინინო, ინდიო, პინეირო, მაურო და დიდიც კი შეძლებენ 4 წლის შემდეგ თამაშს. მე კი სულ მალე ოცდაათისა ვხდები.

ერთხელ ზიზინიო შემხვდა, წარსულში ბრაზილიური ფეხბურთის სიამაყე.

— თქვენ ნილტონზე წერთ? — მკითხა მან.

— დიახ. იქნებ რაიმე საინტერესოს მომიყვებით მასზე?

— რატომაც არა. 1957 წელს ჩვენი გუნდი არგენტინის ნაკრებს ხვდებოდა. მაშინ სანტოსს მოედანზე ბადალი არ ჰყავდა. მან კორბატას ფეხი არ გაანძრევინა და თან მეგობრებსაც ეხმარებოდა. მე ამან როდი გამაოცა. ნილტონ სანტოსი არც ერთხელ არ მიტყუებულა, მისი გადაწყვეტილი ბურთი მიზანს არ ასცდენია, ერთი სიტყვით, არ დაუშვია არც ერთი შეცდომა.

მე მინახავს დი სტეფანოსა და ადემირის, სტენლი მეტიუზნისა და პელეს, გარინჩისა და ჰენტოს თამაში. მეც მქონდა ბედნიერი დღეები, როცა მოედანზე მერცხალივით ვფრინავდი, მაგრამ არ შეიძლება, რომ მთელი თამაშის განმავლობაში ერთხელ მაინც არ წაგიცდეს ფეხი. ამ მატჩში კი ნილტონ სანტოსმა შეძლო შეუძლებელი. მხოლოდ ჩვენ, პროფესიონალებს შეგვიძლია გავარჩიოთ შესანიშნავი თამაში უშეცდომო თამაშისაგან. ნილტონ სანტოსი არც ერთხელ არ შემცდარა. 90 წუთის განმავლობაში მან მოგვხიბლა თავისი უმაღლესი არტისტული ოსტატობით.

მე სხვა ამბავიც მახსენდება. აქ ნილტონ სანტოსი ისეთივე ადამიანად წარმოგვიდგება, როგორიც მოთამაშეა. „ამერიკაში“ იყო ერთი შესანიშნავი

თავდამსხმელი — ელიო. ერთ დროს იგი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც თამაშობდა. ერთხელ ელიოს ბედმა უმტყუნა — რომელიღაც შეხვედრაზე ფეხი მოსტეხეს.

ნილტონმა ელიო ჰოსპიტალში ინახულა. მას ფეხი თაბაშირში ჰქონდა ჩადებული.

— **აბა, ფეხი მაჩვენე!**

— ეჰ, წასულია ჩემი საქმე, ფეხბურთის უნდა შევეშვა.

— გული რამ გაგიტეხა?! — გაამხნევა სანტოსმა.

— ერთი ჩემს ექიმებსაც ჰკითხე?! — ელიოს ბაგეზე ნაძალადევი ღიმილი შეახმა.

— კლუბმა ხელი უნდა შეგიწყოს.

— მაგის იმედით ჩემი მტერი იქნა, ხელშეკრულება მითავდება.

დიახ, ფეხბურთი მოკლევადიანი პროფესიაა, და პენსიასაც კი არ ითვალისწინებს. მეგობრის ასე, ბედის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება. რაღაც უნდა მოიფიქროს! ერთბაშად ნილტონს თავში ბრწყინვალე იდეა მოუვიდა. იგი სპორტული გაზეთის „დიარიო დე ნიატეს“ რედაქციაში გაიქცა და თანამშრომლებს თავისი იდეა გააცნო: „თუ რედაქცია და ბიჭები მოინდომებენ, შეიძლება მატჩის მოწყობა. შემოსავალი კი მთლიანად ელიოს გადავცეთ“.

შემდეგ ტელეფონს ეცა და ბელინის დაურეკა: „მომისმინე, შენ შეადგინე რიოს ჩრდილოეთის ზონის ნაკრები, შეარჩიე „ვასკო და გამას“, „ამერიკასა“ და „სან კრისტობაოს“ მთამაშეები. სამხრეთის ზონის ნაკრების შედგენა ჩემზე იყოს. „ბოტაფოგოს“, „ფლამენტოსა“ და „ფლუმინენსეს“ ბიჭებს მე მოველაპარაკები. მოედნის საქმესაც მე მოვაკვარახშენებ. მოდის?“

ამ შეხვედრის თავის მობმას მთელი თვე დასჭირდა. მოთამაშეები ბილეთებით თვითონ ვაჭრობდნენ. ასე ეულმოდგინედ გაჰყვიროდნენ, რომ მთელ ქუჩას იკლებდნენ.

— „ამერიკელ“ ელიოსათვის, ბილეთების ფასი 50 კრუზეირო!

ნილტონი და ბელინი მუნიციპალიტეტს დაეტრიენენ, რომ მატჩი ბაგდანოვის სახადით არ დაებეგრათ.

ეს შეხვედრა ნამდვილი სოლიდარობის ამაღელვებელი გამოხატულება იყო. კლუბებმა არ დაიშურეს საუკეთესო ფეხბურთელები. სტადიონი ხალხით გაივსო. მოედანზე გამოვიდნენ საქვეყნოდ აღიარებული „კობრები“: კასტილიო, დიდა, გარინჩა, დიდი, სანტოსი, ბელინი. ელიო თამაშზე საგარძლით მოიყვანეს და მოედნის შუა ხაზთან დასვეს. მას თვალზე სიხარულის ცრემლი სდიოდა. ელიომ ამ თანხით კაიხელა საამქრო, დაზგები და ინსტრუმენტები შეიძინა და სარეგმარტო სახელოსნო გახსნა. მომავალი ასე თუ ისე, განაღდებული ჰქონდა.

*

1958 წელს ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდი შეეცალა. არ შეიძლებოდა ეს ნაკრები დიდად ორგანიზებულ კოლექტივად ჩაგვეთვალა, მაგრამ ბრაზილიური ფეხბურთისათვის ორგანიზაციის ეს დონეც კი უჩვეულო იყო.

პირველი შეხვედრა ავსტრიელებთან მოგვიხდა. თამაშის წინ ნილტონ სანტოსი გააფრთხილეს: „შენს წინააღმდეგ ძლიერი თავდამსხმელი ჰორაკი გამოდის და უფრთხილდიო“.

„და აი, ჰორაკს პირველად შეეგება საჯარიმო მოედანთან, — იგონებს ნილტონ სანტოსი, — მან ბურთის ჩაწოდება დააპირა, მაგრამ ვერ მიართვეს. ორთაბრძოლა კი მოვიგე, მაგრამ დიდად არ გავთამამებულვარ. გგრძნობდი, რომ ბურთი ძველებურად არ მემორჩილებოდა. რას იზამ, ნერვებს მაინც თავისი გაჰქონდა. ეს რომ ავსტრიელს შეეტყო, არ ვიცი, საქმე როგორ წამოვიდოდა, მთავარია, შიში მეტოქეთ არ შეგატყოს. იმარჯვებს ის, ვინც სულით არ ეცემა. ჰორაკი მიხვდა, რომ

ჟასინტო დე ტორმესი
მოხუცი და ბურთი

ჩემთან ბევრი არაფერი გასდიოდა და ხშირად უკან იხევდა, თავს მარიდებდა.

ჩვენმა თავდამსხმელებმა პირველ წუთებში თამაში ვერ აიწყვეს. ხშირად ისინი „თამაშგარე“ მდგომარეობაშიც კი ვარდებოდნენ. ამ ფანდს ავსტრიელები განგებ იყენებდნენ და დიდის ეშმაკურ გადაცემებს თავიდან იცილებდნენ. დიდის გადაცემის პერიოდში ავსტრიელი მცველები ჰაპელი და სკობოდა წინ გარბოდნენ და ჩვენს ბიეზს „თამაშგარე“ მდგომარეობაში ტოვებდნენ.

ნელ-ნელა ავსტრიელებმა მოედნის შუაგულში პოზიციები გაიმაგრეს. ეს ჩვენთვის არც თუ ისე ცუდი იყო, როგორც შეიძლება კაცს ერთი შეხედვით მოსჩვენებოდა. მეტოქეებს გამარჯვების ილუზია შეეპარათ და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა მათი თვითკმაყოფილება მარჯვედ გამოგვეყენებინა.

არც დაგეგვიანებია. მაცოლამ პირველი გოლი გაახვია ავსტრიელების კარის ბადეში. ამან ავსტრიელები როდი შეაშინა. მათ ბრძოლის ყინი არ განელებიათ — შესვენების შემდეგ უფრო მედგრად და გეგმიანად გვიტევდნენ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი დარჩა, თითქოს გააქარწყლეს ჩვენი უპირატესობა და მთელი სერიოზულობით შეუდგნენ დასახული გეგმის განხორციელებასო.

ის, რაც მაშინ მოხდა, არც ერთი ბრაზილიელის გონებაში არ წაიშლება. მგონი ამას ავსტრიელებიც ვერ დაიეჭვებენ. მოხუცმა ნილტონმა გადაწყვიტა თავისი ძველი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. მოატყუა ჰორაკი და წინ გაიჭრა. დიდიმ დაუძახა, პასი მომეციო. „ჩემს ადგილზე დარჩი“, — მიუგო ნილტონმა პასუხად და სირბილს უმატა. როცა საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა, ისე გაიხედგამოიხედა, თითქოს პარტნიორებს ეძებსო, ამან კი ავსტრიელი მცველები საბოლოოდ დააბნია. ყველას ეგონა, ნილტონი ბურთს ვინმეს გადაწყდებასო და თავდამსხმელებს უთვალთვალებდნენ.

უცაბედ ნილტონმა თავისუფლად დარჩენილ მაცოლას მოჰკრა თვალი და ბურთი ზუსტად გადასცა, თვითონ კი ორ მცველს შუა გასხტა.

„ვაი თუ მაცოლამ ბურთი თვითონ გაიგდოს წინ“, — გაიფიქრა უეცრად ნილტონმა და შეშინებულმა მთელი ხმით იღრიალა:

— მომაწოდე, მომაწოდე!

მოედანზე ნილტონის ყვირილს ძნელად თუ გაიგონებს კაცი, თანაც ასეთი სასოწარკვეთილი ხმით. მაცოლას არ შეეძლო ამ განწირული ხმისათვის ყურის არიდება და ბურთი ნილტონს გაუგდო. წინ მეკარეღა იყო. სანტოსმა მარცხენა ფეხი მოიქნია და ტანი მარჯვენივ გადახარა. მეკარე მოტყუვდა და გადახტა. იგი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როცა ნილტონმა მარჯვენა ფეხით ბურთი კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა.

— ყოჩაღ, ნილტონ! — იყვირა ფეოლამ.

ამ გოლის შემდეგ ნილტონს თითქოს ხელ-ფეხი გაეხსნა. ნერვიულობა სადღაც გაქრა.

როცა მატჩი დამთავრდა, ავსტრიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბუცეკმა განაცხადა: ეს იყო მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო დაცვა, რომლის წინააღმდეგაც ოდესმე გამოვსულვარო.

ბრაზილიელმა მცველებმა მეორე შეხვედრაში ინგლისელთა ყველა იერიში მოიგერიეს, მაგრამ ბურთი ვერც თვითონ გაიტანეს. გვიან ღამით ნილტონ სანტოსმა რიოში თავის მეგობარს **წერილი მისწერა: „ახლა** ღამის ორი საათია. მე კი ვერ ვიძინებ. თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ ინგლისელებს რომ ვერ მოვუგეთ, ეს მაფიქრებს. ჩემ თავს არ ვუსურვებდი, რომ 1950 წლის მწარე ისტორია ისევ განმეორებულიყო. არ მესმის, ჩვენი უფროსები გარინჩას რატომ არ ათამაშებენ. რუსეთის წინააღმდეგ გარინჩა პირდაპირ მისწრება იქნება. იმის გაფიქრებაც კი, რომ გარინჩას არ გამოიყვანენ, შინ დაბრუნების ხასიათზე მაყენებს. ხვალ დილით დიდის მოველაპარაკები, იქნე-

ბა წამომყვეს პაულო მაჩადო დე კარვალიოსთან მოსალაპარაკებლად“.

საღამოს პაულო მაჩადო დე კარვალიო სასტუმროს ვესტიბიულში ჩამოვიდა და ნილტონ სანტოსი იხმო.

— ერთი მითხარი, მართალი აუცილებელია შემდეგ თამაშზე გარინჩას გამოყვანა?

— გარინჩას კარგად ვიცნობ. მე მისი მჯერა. თუ გნებავთ, ჰკითხეთ ციოელ ბიჭებსაც, „ფლამენგოელებს“, „ვასკო და გამელებს“, ისინიც დამეთანხმებიან.

— ჩემთვის შენი აზრიც საკმარისია, მაგრამ გარინჩა მაინც უცნაური ფეხბურთელად მეჩვენება.

— მაგაში გეთანხმებით, მაგრამ იგი ყველაზე ძნელ მომენტებშიც კი ისეთ ყორიანტელს დაადენებს, რომ თქვენი მოწონებული. პირობას გაძლევთ, გამოცდას დიაჭერს.

ერთხელ, რამდენიმე წლის შემდეგ, ნილტონ სანტოსს კკითხე, ვინ მიაჩნია უფრო სახიფათო ფეხბურთელად — პელე თუ გარინჩა.

— რა თქმა უნდა, გარინჩა!—არც დაფიქრებულა იგი.

— რატომ?

— პელე რომ გენიალური ფეხბურთელია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იგი ბევრი ცნობილი ფეხბურთელის თვისებებს ერთიანებს. პელეს აქვს ადემირის გარღვევა, ელენოის პრაქტიკული ნიჭი, ზაზინიოს ფანტაზია, ბალთაზარის თავური დარტყმა, ლეონიდასის შემოქმედებითი სული, მაგრამ გარინჩა მაინც უფრო სახიფათოა. პელეს ყოველი მოქმედება განსჯას ემორჩილება, მისი მოძრაობა დახვეწილი და ლოგიკურია. გარინჩას მოქმედება კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბსურდის ლოგიკაა. მას ვერაფერს ვერ გაუგებ. მაგალითად, თქვენ გიახლოვდებათ გარინჩა. იგი იწყებს მოჩვენებით მოძრაობას, თითქოს გასვლას მარჯვენა მხრიდან აპირებს, შემდეგ გარინჩა აკეთებს ფინტს მარჯვნივ და მართლაც გადის მარჯვენა მხრიდან... მთელი უბედურება იმაშია, რომ არც ერთმა მცველმა არ იცის და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონ გარინჩამაც კი [illegible] იცის, სად თავდება მისი ცრუ მოძრაობა და სად იწყება ნამდვილი.

— ნილტონ, თქვენ რომ გარინჩას წინააღმდეგ მოგიხდეთ თამაში, როგორ მოიქცეოდით?

— მთელი ჩემი დავიდარაბა ის იქნებოდა, რომ მისთვის დამეხში „საკვები წყარო“. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გარინჩას მიწოდებული ბურთი უნდა გადაუჭრა, თორემ თუ ბურთი მიიღო, წასულია შენი საქმე, მამაზეციერიც ველარ გიშველის.

— პელეს დაჭერა როგორ შეიძლება?

— პელეს ძირითადად ცენტრიდან გაჭრა უყვარს. იგი ადვილად ატყუებს ცენტრალურ მცველებს. ამიტომ მეგობრების მოსახმარებლად მზად უნდა იყვნენ მეკარე და გარემარბებიც კი. საერთოდ, პელეს ერთი ნახევარმცველი სულ თან უნდა დასდევდეს და მოქმედებაში ხელს უნდა უშლიდეს. „ბოტაფოგოში“ ეს ევალება ზაგალოს, აირტონს და ამარილდოსაც კი.

— მიაღწია თუ არა პელემ თავისი ოსტატობის მწვერვალს?

— დარწმუნებული ვარ, რომ არა! განსაკუთრებით პელეს ტაქტიკურ მოქმედებას ვგულისხმობ. მე ვამბობდი, რომ პელეს ყველაზე უფრო ცენტრში გასვლა უყვარს. ამ ბოლო დროს კი უფრო ხშირად ფლანგებზე თამაშობს, ვფიქრობ, პელეს ორი-სამი წლის შემდეგ დაუდგება აყვავების ხანა. სწორედ მაშინ, როცა დაიწყება ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატი...

დავუბრუნდეთ ისევ გარინჩას. ნილტონ სანტოსი არ შემცდარა. მართალია, საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ორივე ბურთი ვავამ გაიტანა, მაგრამ მატჩის გმირი მაინც გარინჩა იყო. მან თავისი ბრწყინვალე ფინტებით და უდიდესი ენერგიით მოაჯადოვა მთელი სტადიონი. გარინჩას თავდასხმის

ხაზზე გამოჩენამ თითქოს ერთმანეთს შეუხამა უმაცრესი დისციპლინა დაცვაში და ნამდვილი ბრაზილიური კარნავალი თავდასხმაში. შემაერთებელი რგოლი კი იყო ვალდირ პერეირა დიდი, ამაზე უკეთეს დირიჟორს კაცი ვერ ინატრებდა.

საბჭოთა ფეხბურთელებთან გამარჯვებამ ბრაზილიელებს ფრთები შეასხა და უელსელების წინააღმდეგ მშვენიერ ხასიათზე გამოვიდნენ, მაგრამ მალე კინაღამ ფერი ეცვალთ. უელსელები თამაშობდნენ სისტემით 1+10. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ათივე ფეხბურთელი თავის საჯარიმო მოედანზე იყო ჩასაფრებული და კარს გაშმაგებულები იცავდნენ. ორი ტაიმის განმავლობაში წყალი ტყუილად ვნაყეთ. იმედი უკვე დაკარგული გვქონდა, რომ ჩვენი ბიჭები ამ ბეტონს გაარღვევდნენ! უეცრად მხსნელად 18 წლის „ზავი ანგელოზი“ პელე მოგვევლინა. მისმა ერთადერთმა გოლმა ბრაზილია ნახევრფინალში გაიყვანა.

ჩვენ არც ფრანგები ჩამოგვრჩნენ. მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერების სახელი. მათ შორის კი ბრწყინავდა ჟიუსტ ფონტენი. ცოტა არ იყოს, გულის სიღრმეში **გვშურდა კიდეც** მათთ.

ვიცოდით, ფრანგებთან ყველაზე დიდი ჯაფა ჟილმარს და მცველებს დაატყდებოდათ. ჟილმარმა ორჯერ შეასრულა მეკარის ყველაზე უსიამოვნო მოვალეობა — ბურთი კარიდან გამოიტანა და ცენტრისაკენ გაგზავნა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მისმა ფრანგმა კოლეგამ იგივე ოპერაცია ხუთჯერ ჩაატარა. თავდასხმამ იხსნა დაცვა. ბრაზილია გავიდა ფინალში.

ახლა კი 90 წუთი მასპინძლებისათვის უნდა გაგვეძლო. შვედები და ბრაზილიელები მოედანზე გამწკრივდნენ. ამ დღეს ნილტონ სანტოსი ორმოცდამეთორმეტჯერ გამოვიდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. შეხვედრა მეტად დრამატულად დაიწყო. უკვე მეოთხე წუთზე ბრაზილიელთა კარში ბურთი აფართხლდა. სხვა დროს, ალბათ, ფეხბურთელები ბატებივით დაიბნეოდნენ, მაგრამ ნილტონ სანტოსმა მშვიდად, ვითომდა დუბლაჟ არ არაფერია, დიდის გადაულაპარაკა: „აბა წინ, გარინჩა ათამაშეთ“.

გარინჩამ სიგნალი მისცა და შვედთის ცაზე დაიწყო ფეიერვერკი. გარინჩასთვის დაცვა აღარ არსებობდა. იგი მოედანზე გრიგალივით დაჰქროდა. აი, იგი გარღვევაზე გავიდა და ბურთი ჩააწოდა. ვავა მოულოდნელად გადახტა და ბურთი ბადეში გაახვია. სულ მალე კიდევ ერთი გოლი გავიტანეთ შვედების კარში. ამ ბურთის ავტორი ისევ დუეტი გარინჩა — ვავა გახლდათ. ეს ბურთი ტყუპის ცალივით ჰგავდა პირველს.

დაიწყო მეორე ტაიმი. ანგარიში ისევ გაიზარდა, ნილტონმა ბურთი პელეს მიაწოდა, პელე წინ გაიჭრა და ბურთი ბადეში გაახვია. როცა თამაში დამთავრდა, ანგარიში 5:2 იყო. გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. ნილტონ სანტოსი ადგილზე გაშეშდა. ბოლოს და ბოლოს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მთელმა პლანეტამ იგი ერთხმად აღიარა ყველაზე საუკეთესო მცველად.

გავიდა კიდევ ოთხი წელი და ბრაზილიამ ისევ შეინარჩუნა ოქროს ქალღმერთი. ამჟამად ბევრი მიმომხილველი, სპეციალისტი და გულშემატკივარი ამ გამარჯვებას გარინჩას და ვავას მიაწერს, რომლებმაც ჩილის ჩემპიონატში ოთხ-ოთხი ბურთი გაიტანეს. ზოგი ფიქრობს, რომ გამარჯვება ამარილდომ მოგვიტანა. მან ღირსეულად შეცვალა პელე და ყველაზე მძიმე მომენტში ესპანელების კარში ორი ბურთი გაიტანა. სხვები კი ყველაფერს ნილტონ სანტოსისა და დიდის სიმშვიდითა და გამძლეობით ხსნიან.

მე თუმცა ნილტონს სანტოსზე ვწერ, მაგრამ გვერდს ვერ აუვლი ერთ კაცს — ექმ ჰილტონ გოსლინგს. იგი უკვე 10 წელიწადია ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ემსახურება. მე მინდა ერთი შემთხვევა მოგიყვეთ, როცა გოსლინგმა ჭაბუკური სული შთაბერა მოხუც ნილტონს.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ, 1962 წელს, როცა უკვე დაიწყეს ნაკრებისათვის ფეხბურთელების შერჩევა, ვიღაცამ თქვა, ნილტონ სანტოსი უკვე მოხუცდა და ჩამოსაწერიაო. მაშინ კი ექიმმა ჰილტონ გოსლინგმა აიმაღლა ხმა:

— იცით თუ არა, რომ ნილტონ სანტოსი ჯანმრთელობით ყველა კანდიდატს სჯობია? იგი ბევრ ოცი წლის ახალგაზრდას მოიტოვებს გვერდზე

ექიმმა თავისი აზრი ძალზე საინტერესო ციფრებით დასაბუთა: „მოთამაშის ფილტვების საშუალო მოცულობა 4,3 ლიტრს შეადგენს. ნილტონ სანტოსის ფილტვების მოცულობა კი 6,3 ლიტრია. ეს კარგ მოცურავესაც კი შეშურდება. 15 წლის განმავლობაში ნილტონის სისხლის წნევა უცვლელია, ერთ ადგილზეა გაყინული".

ექიმმა ნილტონ გუნდის შემადგენლობაში დატოვა. გოსლინგი ყველა ფეხბურთელზე მამაშვილურად ზრუნავს. უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გოსლინგი რამდენჯერმე ჩავიდა ჩილეში, ზედმიწევნით შეისწავლა ვინაა დელმარის კლიმატი, სადაც ბრაზილიის ნაკრებს წინასწარი შეხვედრები უნდა ჩაეტარებინა. იყო სანტიაგოში, შეარჩია შესაფერისი ადგილი, გაეცნო სამზარეულოს და თავიდანვე იზრუნა ფეხბურთელების სასყველელ კერძებზე. ეს კიდევ არაფერი. თვითონ ბრაზილიაში სავარჯიშოდ ისეთი ადგილები შეარჩია, კაცს თავი ჩილეში ეგონებოდა. გოსლინგის რეკომენდაციით წვრთნის პროგრამაში შეიტანეს ისეთი ვარჯიშები, რომელიც ფილტვების მოცულობას გაზრდიდა.

ექიმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩილეში თამაშისათვის კლიმატთან შეგუების გარდა საჭირო იყო დიდი ენერგია. პირველ რიგში კი ფეხბურთელებს ენერგიის დიდი ნაწილი მეორე ტაიმისათვის უნდა შემოენახათ. ფეხბურთელების საშუალო ასაკი ხომ 30 წელი იყო.

არ ვიცი, ექიმმა სწორად იწინასწარმეტყველა, თუ უბრალოდ გაუმართლდა. მხოლოდ მასპინძლებთან მოვიგეთ პირველი ტაიმი. ბრაზილიის ნაკრებს არც ერთ გუნდთან პირველი ტაიმი არ მოუგია. მექსიკელებთან ანგარიში იყო 0:0, ინგლისელებთან — 1:1, ჩეხოსლოვაკიასთან ფინალში — 1:1, ესპანელებთან ვაგებდით კიდეც 0:1. სამაგიეროდ შესვენების შემდეგ ბრაზილიელები მოიდანზე ცეცხლს ახთებდნენ და ყველა გუნდის კარში ორ-ორი მშრალი ბურთი გაჰქონდათ.

აი, ამიტომ გადავუხვიე ჩემს თემას და გაგაცანით ექიმ გოსლინგის საქმიანობა.

*

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვინსენტე ფეოლამ გულის შეტევა გადაიტანა. იგი იძულებული გახდა მთავარსარდლობა აიმორ მორეირასათვის დაეთმო.

ნაკრების სავარაუდო სიაში 41 ფეხბურთელი შეიყვანეს. მათ შორის იყო ნილტონ სანტოსიც. მოხუცი გრძნობდა, რომ ჯერ ყველაფერი განაღდებული როდი ჰქონდა. საკმარისი იყო რომელიმე ახალგაზრდას სტაბილურად და კარგად ეთამაშა, რომ მისთვის გუნდში ადგილი აღარ დარჩენილიყო. ნილტონმა გულში გადაწყვიტა ერთი ისეთი გოლი გაეტანა, შეეცაიში ავსტრიელებს რომ უსახსოვრა.

და სანტოსმა შეუძლებელი შეძლო. ზუსტად მახსოვს ის დღე — 21 აპრილი. თქვენ თუ ჩემი ნაამბობი აღარ გახსოვთ, პირველ გვერდს გადახედეთ. მე სწორედ ის ეპიზოდი მაქვს აღწერილი, როცა პარაგვაელთა წინააღმდეგ ამხანაგური შეხვედრაში „მარაკანას" სტადიონზე ნილტონმა დაუვიწყარი გოლი გაიტანა. სტადიონს გრიგალმა გადაუარა. მოხუცმა კი ნაკრებში თავისი ადგილი გაინაღდა. გაინაღდა და ისევ ნაჩვევი მეულვარეა დაეუფლა. ბრძოლებში გამოჭედილ ნილტონ სანტოსს

ჟასინტო დე ტორმესი
მოხუცი და ბურთი

ყველაზე უფრო „საბრძოლო ნათლობისა“ ეშინოდა. ასე ეძახის იგი მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩებს.

პირველი შეხვედრები მართლაც რომ ნერვების დიდ დაძაბვას მოითხოვს. პირველი მატჩი კი ისე წარიმართა, რომ ნილტონის შიში კინაღამ გამართლდა. ჩემპიონებმა დიდი ვერაფერი შვილი თამაში უჩვენეს. მეორე ტაიმში მოპოვებული წარმატება საკუთარ ნერვებზე გამარჯვება უფრო იყო, ვიდრე მექსიკელებზე.

პირველი ზღუდე კი გადალახეს, მაგრამ ნილტონს ხასიათი არ გამოჰკეთებია.

ჩეხოსლოვაკიასთან შეხვედრა 0:0 დავამთავრეთ. ბრაზილიელებს ბრალი დასდეს, ვითომც მთელი ყურადღება დაცვაზე გადაეტანოთ. სინამდვილეში კი პელე დაშავდა და ჩვენს იერიშებს ცეცხლი შემოაკლდა.

მე ნილტონს ვკითხე:

— პელე რომ არ დაშავებულიყო, ჩვენ გავიმარჯვებდით?

— აუცილებლად გავიმარჯვებდით. სანამ პელე მოედანს დატოვებდა, სულ ჩვენ ვუტევდით. რამდენიმეჯერ ბურთი ძელსაც კი მოხვდა. ეს უკვე გოლის მახარობელი იყო. ჩვენები დაიბნენ და მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ. როცა პელე თამაშიდან გავიდა, მთელი იმედი გარინჩაზე და ვავაზე გადავიტანეთ. თანაც საკუთარი კარის დაცვაც საზრუნავი გაგვიხდა. მანცადამაინც არც ჩეხები დაეჩიჩმაჩებულან. თამაში ყაიმით დამთავრდა.

ნილტონი განსაკუთრებით ესპანელებთან შეხვედრის წინ ღელავდა.

— თავსამტკივეცი, იცოცხლე, ბევრი გვქონდა. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ პელეს მაგივრად ვიღაც ახალგაზდა უნდა შემოგვეყვანა. მას ჩვენთან ხეირიანად არც კი უვარჯიშნია. ზოსიმომ და მაურომ კი ვერ იქნა და ვერ მონახეს საერთო ენა. დიდის კიდევ ესპანელებთან ძველი ანგარიშები ჰქონდა. იგი „რეალში“ დიდხანს იჯდა სათადარიგოთა სკამზე და ანგარიშის გასწორებას ახლა აპირებდა. ამ დროს ფეხბურთის ძალი სახეიროს არაფერს დაგაყრიდა.

ახლა კი ვიცი, რომ სანტოსს საფეიქრებელი არაფერი ჰქონდა. ოთხი წლის წინ ფეხბურთის ცაზე აინთო პელეს კაშკაშა ვარსკვლავი, ჩილიში კი ამარილდოს ვარსკვლავი აელვარდა. ამარილდომ პელე ღირსეულად შეცვალა და ესპანელთა კარის ბადე ორჯერ შეარხია.

ამ მატჩში სანტოსს ორი საინტერესო ამბავი გადახდა. ჯერ იყო და ნილტონმა თავი გამოიჩინა როგორც მშვიდმა და გონიერმა კაცმა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, მაურო და ზოსიმო ისევ წაკენწლაოდნენ. უფროსის ჩარევა აუცილებელი გახდა.

— ნილტონ, რა ვქნა, არ ვიცი, მაურო სულ წინ გარბის.

— ზოსიმო, ახლა ხომ იცი, ლაილაის დრო არ არის. ფილოსოფიას შეეშვი და ნერვები დაიწყნარე. ისე მოიქეცი, ვითომ შენს „ბანგუში“ თამაშობ, მორჩა და გათავდა.

ნილტონმა მშვენივრად იცის, რომ ნერვებს თუ აყევი, წასულია შენი საქმე. მისი გონიერი ჩარევის შემდეგ მაურო და ზოსიმო როგორც იქნა მორიგდნენ.

მეორე შემთხვევაში კი თვითონ ნილტონმა გამოსცადა საკუთარი ნერვები. ერთხელ, როცა ბურთი ხაზს იქით გადავარდა, შემოესმა ესპანელების მწვრთნელის ელენიო ერერას სიტყვები. იგი თავის მარჯვენა გარემარბს უყვიროდა:

— კოლარ, ერთი შეხედე შენს საცოდავ მოხუც მცველს, ფეხებს ძლივს დაათრევს.

ნილტონს წარბიც არ შეუხრია, თითქოს არც კი გაუგონია ერერას სიტყვები. მან კარგად იცოდა ასეთი ბოღმის ფასი და პასუხიც შესანიშნავი ჰქონდა — კიდევ უფრო უკეთესი თამაში.

ჩვეულებრივ კოლარი მარცხენა ფრთაზე თამაშობდა ხოლმე. ერერამ ამ მატჩში მარჯვენა ფრთაზე განგებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყვანა. იმედი ჰქონდა, რომ სწრაფი ფეხბურთელი მოხუცი ნილტონს ადვილად დასჯაბნიდა.

თამაშის შემდეგ ნილტონი ჰყვებოდა:

— ჩემთვის მართლაც ძნელი იყო ასეთი სწრაფი ფეხბურთელის დაჭერა. მაგრამ მცველი თუ ხარ, მოწინააღმდეგეს ალღო ადვილად უნდა აუღო. პირველსავე წუთში შევამჩნიე, რომ კოლარი მარჯვენა ფეხს ვერ ხმარობდა. კუთხურის ხაზთან რომ მივიდოდა, ბურთი ყოველთვის მარცხენა ფეხზე გადმოჰქონდა. ამ მომენტში კი ბურთის წართმევა დიდ ფილოსოფიას აღარ წარმოადგენდა.

ნილტონი ნაკრების კაპიტანი არ ყოფილა, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ გუნდს ის ხელმძღვანელობდა. მხარდაჭერას მცველებთან და ნახევარმცველებთან ერთად თავდამსმელებიც გრძნობდნენ, პირველ რიგში კი — გარინჩა. სანტოსმა პირველმა შენიშნა, რომ გარინჩა შებოჩილი თამაშობდა. ეს უკვე მესამე მატჩი იყო და ბრაზილელთა მარჯვენა გარემარბს ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი.

ინგლისელებთან შეხვედრის წინ სანტოსმა გარინჩა დაიმარტოხელა.

— თუ ძმა ხარ, ჩვენს კაპიტანს ცოტა მოეხმარე, თავდასხმა შენ შეაგინანე, თუ საჭირო გახდა, უხელმძღვანელე კიდეც.

— გახსოვს, პაუ გრანდეში რომ ბიჭებს ვმეთაურობდი? ხომ სჯობია ჩემი სიჭაბუკე გავიხსენო? — ჰკითხა გარინჩამ.

— სწორედ ასე უნდა მოიქცე!

მეგობრის ნდობამ გარინჩას ფრთები შეასხა. იგი ხან მარჯვენა ფრთაზე სტეხდა ალიაქოთს, ხან კი ცენტრში შეიჭრებოდა და ინგლისელებს აწოალებდა. შეხვედრის ანგარიში ნამდვილად გარინჩას დამსახურება იყო. პირველი ბურთი საჯარიმო მოედნის ცენტრიდან თვითონ გაიტანა. საერთოდ გარინჩას ცენტრიდან ბურთები იშვიათად გააქვს. მან დროზე მოუსწრო ზაგალოს ჩამოწოდებული ბურთს. ღა ინგლისელთა კარის ბადეში გაახვია. მალე მეორე გოლის თანაავტორიც გახდა. მან ყუმბარისებური დარტყმა დატრიალებული ბურთი ინგლისელთა კარში გაგზავნა. სპრინჯეტმა ბურთი დიდი გაჭირვებით მოიგერია, მაგრამ ულმობელ ვავას ვეღარ გადაურჩა. მესამე გოლი კი ისევ გარინჩამ გატანა. მან შეასრულა ურთულესი დარტყმა „ხმელი ფოთოლი“. ბურთი კარის მარჯვენა კუთხეში შეასრიალა. ინგლისელები მეკარეს შემოეხვევნენ და ლანძღვა-გინებით აიკლეს. კაცმა რომ თქვას, სპრინჯეტს არაფერი დანაშაული არ მიუძღოდა.

რაკი საუბარი მეკარეებზე ჩამოვარდა, ერთ ამბავს მოგიყვებით. ნილტონს არ უყვარს, როცა მეკარეებს რამეში ადანაშაულებენ.

„აბა, თუ ბიჭები არიან, თვითონ სინჯონ და ყაირის, პელეს ან კვარენტინიოს დარტყმულ ბურთებს დაუხვედრონ ხელი“.

რამდენიმეჯერ ნილტონს თავის აგარაკზე ვესტუმრე. ერთი ორჯერ ბურთიც წავეთამაშე. ერთხელ იგი კარში ჩადგა. ნილტონი ბურთს იგერიებდა თავით, ფეხით, მკერდით, ან ბურთს მშვიდად უშვებდა კარში. ხელს კი არაფრის დიდებით არ იშველიებდა. მას რომ თავისი აზრი ჰკითხო ყილმარზე, კასტილიოზე, შროიფზე, ჯერ კიდევ ვერ დაუდგენია, ისინი გმირები არიან თუ შეშლილები.

— ნილტონ, რატომ არის ყილმარი ნაკრებში პირველი მეკარე, მაშინ, როცა კლუბში იგი კასტილიოს დუბლია? კასტილიო, პირიქით, თავის კლუბში პირველი მეკარეა, ნაკრებში კი ყილმარის დუბლია.

— მიუხედავად განსხვავებული სტილისა, ორივე ჩინებული მეკარეა. აქ საქმე შემდეგშია. ზოგიერთი ფეხბურთელი, როცა ნაკრების ფორმას ჩაიცვამს, თავს უფრო იმორჩილებს, უფრო დადინჯდება ხოლმე. ზოგი კი პირ-

---

ჟანინტო დე ტორმესი
მოხუცი და ბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით, გადამარბებულად ნერვიულობს. კასტილიო, როცა საკუთარ გუნდში გამოდის, ყოველთვის შეუდარებელია. საერთაშორისო თამაშებში კი მაინცადამაინც არ უსახელებია თავი.

დამარცხებისას მეხსიერებაში ყოველთვის რჩება მიწაზე გაშხლართული მეკარე და ბადეში გახვეული ბურთი. როცა გუნდი იგებს, მაშინ კი გვამახსოვრდება მეგობრებით გარშემორტყმული ფეხბურთელი, რომელსაც გატანილ გოლს ულოცავენ.

მაგონდება ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მეკარე შროიფის მარცხი ფინალში. ჯალმა სანტოსმა მაღალი ბურთი ვავას გადააწოდა. შროიფი კარიდან გამოვარდა. საფრთხე არავის უგრძვნია. ყველას ეგონა, რომ იგი ვავას დაასწრებდა. უკანასკნელ წამში კი კაშკაშა მზემ შროიფს თვალი მოსჭრა და ბურთი ვეღარ დალანდა. ვავასაც მეტი არაფერი უნდოდა. ბურთი ბადეში გაახვია. გამშრალი მეკარე გატანილ გოლს მოწმესავით მისჩერებოდა. შროიფი არ ქვითინებდა, მაგრამ მისი სახე ღრმა მწუხარებას გამოხატავდა. მცველებსაც სახეები ჩამოსტიროდათ.

— ბბა, მოდი და ამის შემდეგ მეკარეს უსაყვედურე.

ახლა ჟილმარზე მოგახსენებთ. იგი პირიქით, ნაკრების ფორმაში თავის გაცილებით უკეთ გრძნობს. თამაშობს მშვიდად და ძალდაუტანებლად. როცა თავის კლუბში გამოდის, კაცს ეგონება განმაგნიტდაო, ისე კარგავს თავის თვისებებს. ამიტომაც სათადარიგოთა სკამზე უფრო ხშირად ვხედავთ ხოლმე.

დავუბრუნდეთ ისევ ჩილის ასპარეზობას. ნახევარფინალში ბრაზილიელები მასპინძლებს შეხვდნენ. ჩილიელები მართლაც რომ კარგად თამაშობდნენ. საქმეს საკუთარი კედლებიც უადგილებდათ. მათ მაყურებლები გაახარეს ტემპერამენტიანი, ათლეტური ფიზიკურ ბურთით. მაგრამ ბრაზილიის სასთუმალზე აწყობილი გუნდის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ გამოდგა. ამ მატჩში გარინჩამ და ვავამ ორ-ორი ბურთი გაიტანეს და ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა ჯგუფში მოხვდნენ.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე იმდენი დაიწერა, რომ ფეხბურთის ჭეშმარიტი მოყვარულის მეხსიერებაში ეს შეხვედრა ოქკვთილივით დარჩება.

*

...მზიანი კვირა დღეა. მთელს რიო-დე-ჟანეიროს თავი „მარაკანას“ უზარმაზარ სტადიონზე მოუყრია. ერთმანეთს ხვდება ბრაზილიის ორი საუკეთესო გუნდი „სანტოსი“ და „ბოტაფოგო“. ისინი მწვანე მინდორზე ერთად ჩამწკრივებულან.

მწკრივიდან გამოდიან პელე და გარინჩა — ისინი ნილტონ სანტოსისაკენ მიეშურებიან და მოედანზე იწვევენ.

ერთად მოაბიჯეს ბრაზილიის სამი ყველაზე სახელმოხვეჭილი ვარსკვლავი — ნილტონ სანტოსი და მისი საბატონო ესკორტი — პელე და გარინჩა. ისინი სამი სხვადასხვა ასაკის და, თუ გნებავთ, სამი სხვადასხვა საფეხბურთო სტილის წარმომადგენლები არიან. სამეული უახლოვდება იმ ადგილს, სადაც მათ ელოდებიან ორივე გუნდის კაპიტენები ზიტო და კვარენტინო. ისინი ნილტონ სანტოსს ესალმებიან და უძღვნიან ვერცხლის ხონჩას, რომელსაც სამახსოვრო წარწერა ამშვენებს. ტრიბუნებზე ჰქუხს ტაში. „ტორსედორების“ მისასალმებელ გუგუნში მთელს სტადიონს ედება დიქტორის მჭექარე ხმა:

— ნილტონ სანტოს! შენ სალამს გიძღვნის 70 მილიონი ბრაზილიელი!

თარგმნა დალი ყოკაიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

მოცარტის საათის დაბრუნება

ამას წინათ მოცარტის მუზეუმს ზალცბურგში ანონიმური წერილით აცნობეს, რომ წერილის ავტორი მზადაა დაბრუნოს საათი, რომელიც 15 წლის ვოლფგანგ ამადეუს მოცარტმა 1771 წელს სანუქრად მიიღო იმპერატორ მარია-ტერეზასგან. ნაზღაურად ანონიმის ავტორი თხოულობდა 10.000 შილინგს. 200 ბრილიანტით შემკული ეს საათი, რომლის ხუფზე მოთავსებულია მინანქრით შესრულებული პორტრეტი იმპერატორისა, ბოლო შიგნითა მხრიდან ამოტვიფრულია მოცარტის სახელი, დაიკარგა მეორე მსოფლიო ომის დროს და მხლოდ ახლა დაუბრუნდა თავის მუზეუმს.

არაგეთის გაერთიანებული რესპუბლიკა

„კლეოპატრა“ არ მიიღეს

ამერიკული ფილმი „კლეოპატრა“ ელიზაბეტ ტეილორის მონაწილეობით არ გაუშვეს ეგვიპტის ეკრანებზე. არაგეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ხელისუფლებმა აკრძალეს ამ ფილმის დემონსტრირება, ვინაიდან ელიზაბეტ ტეილორი უკეთურად ეკიდება არაბთა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

აშშ

კენედის შრომების გამოცემა

გამომცემლობა „ჰარპერ და როუ“ გამოსცემად ამზადებს განსვენებული პრეზიდენტის კენედის ზოგიერთ ნაშრომს. მალე გამოვა კრებული სახელწოდებით — „ტვრთი და დიდება“ (ციტატი პრეზიდენტის სიტყვიდან). კრებულში შევა ბოლო ორი წლის მანძილზე კენედის მიერ წარმოთქმული სიტყვები და მოხსენებები; შევსებული და გავრცობილი სახით გამოვა აგრეთვე ერთხელ უკვე გამოცემული წიგნი — „ახალოშენე ხალხი“. გარდა ამისა, მზადდება მემორიალური გამოცემა კენედის წიგნისა — „სიმამაცის პროფილი“; ეს წიგნი დაჯილდოებულია პულიტცერის სახელობის პრემიით და არაბელეტრისტული ლიტერატურიდან ყველაზე უფრო პოპულარულია. წიგნის ბაზარზე გამოვა აგრეთვე პრეზიდენტის მრავალი ბიოგრაფია, ფოტოალბომები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეხასის შტატში დღემდე ნამდვილი ბესტსელერია ვიქტორ ლასკის კრიტიკული წიგნი — „ჯ. ფ. კენედი: ადამიანი და მითი“.

მილერის ახალი პიესის ირგვლივ

არტურ მილერის ახალმა პიესამ — „დაცემის შემდეგ“ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ პიესის ცენტრალური გმირის, ქალბიშვილ მეგის ცხოვრება ასახავს დრამატურგის ყოფილი მეუღლის, ცნობილი კინომსახიობი ქალის, ტრაგიკულად დაღუპული მერლინ მონროს ცხოვრებას. თვითონ არტურ მილერმა ამ პიესის შესახებ დაბეჭდა სტატია, სადაც თქვა, რომ, რა თქმა უნდა, ყველა სხვა მწერლის მსგავსად, ლიტერატურულ შრომებში ისიც იყენებს ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მაგრამ პიესა „დაცემის შემდეგ“ დაწერილია იმისთვის, რათა მაყურებელმა ნახოს, როგორ შეიძლება ადამიანი მივიდეს თვითმკვლელობამდე, როცა იგრძნობს, რომ იგი გარემო პირობების, ნათესაობის, პურიტანული სექსუალური კანონების მსხვერპლი ხდება.

განგსტერებს მძიმე ცხოვრება შეეძლათ

ძალზე გაუძნელდათ ცხოვრება განგსტერებს, მეტადრე მას უკან, რაც მათ' წინააღმდეგ იყენებენ უახლესი ტექნიკის მიღწევებს. ამას წინათ ეს საკუთარ თავზე იწვნიეს ცნობილი ამერიკელი მომლერლისა და კინომსახიობის ფრენკ სინატრას ვაჟიშვილის მომტაცებლებმა. იმ ფულში, რომელიც ბავშვის მამამ გადაიხადა შვილის გამოსასყიდლად, მოთავსებული იყო ერთი ციცქნა, მუხუდოს მარცვლის

ოდენა რადიომიმღები. ამ გადმოცემის სიგნალებით პოლიციამ ხელად მიაგნო მომტაცებლებს.

ოდრი ჰეპბერნი, როგორც მოდელირალი

როგორც ცნობილია, მზადდება ბერნარდ შოუს „პიგმალიონის“ ეკრანიზაცია — ეს იქნება მუსიკალური კომედია „ჩემი მშვენიერი ქალბატონი“; პიესას მრავალი ულია უდიდესი წარმატება ჰქონდა დასავლეთში. ელიზა დულიტლის როლში მიწვეულია ცნობილი კინომსახიობი ოდრი ჰეპბერნი. რეპეტიციების დროს აღმოჩნდა, რომ არაა აუცილებელი მისი მუსიკალური ნომრების დუბლირება, ვინაიდან თვითონ ჰეპბერნი საუკეთოდ მღერის. ამრიგად, კინოვარსკვლავის ტალანტს მოულოდნელად დაერთო საოპერეტო მომღერლის ტალანტი.

ახალი სატელევიზიო პარაკლასი

ყოფილი პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი თამაშობს მთავარ როლს — თავის თავს, ოღონდ ცოტა უფრო ახალგაზრდას — სერიული სატელევიზიო ფილმში, რომელიც ასახავს საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების მოვლენებს მისი პრეზიდენტობის პერიოდში. სერიული ფილმის დემონსტრაცია 26 საათს გასტანს.

კენედის სახელობის ბიბლიოთეკა

ჰარვარდის უნივერსიტეტის შენობის გვერდით შენდება კენედის სახელობის მემორიალური ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა დაჯდება 10 მლნ. დოლარი, აქედან კენედის ოჯახმა გაიღო 1 მლნ. დოლარი.

ბიოგრაფიული რომანი

ამას წინათ გამოვიდა ჯერი ალანის რომანი — „მარტვენის ცხოვრება და თავგადასავალი“; ესაა გამოჩენილი ამერიკელი მწერლის მხატვრული ბიოგრაფია; წიგნს დიდი წარმატება ხვდა ამერიკის წიგნის ბაზარზე. ამჟამად უკვე მზადდება რომანის თარგმანი რამდენიმე ენაზე.

კინემატოგრაფიის გასაბერი

ამერიკული კინემატოგრაფია დიდ გასაჭირშია. მაშინ, როცა 1937 წელს ამერიკული კინომრეწველობა წელიწადში უშვებდა 620 მხატვრულ ფილმს, 1963 წელს გამოვიდა მხოლოდ 191 ფილმი. ასეთივე მოვლენა შეიმჩნევა იტალიაში, სადაც 1962 წელს გამოვიდა 262 ფილმი, ხოლო 1963 წელს — 204.

ტელევიზორი უსინათლოთათვის

ამერიკელმა ექიმმა ალენ დიუშონმა განაცხადა, რომ ახალი ფიზიოლოგიური აღმოჩენები საშუალებას იძლევა შეიქმნას ისეთი ტელევიზორი, რომელის იმპულსები აღიქმება არა თვალით, არამედ მიაღწევს ტვინს. ამრიგად, უსინათლოებსაც შეეძლებათ სატელევიზიო გადაცემების „დანახვა“.

პრემია უმიზნოზიანათვის

გამომგონებელთა ამერიკულმა ასოციაციამ გამოაცხადა კონკურსი თემაზე — „ყველაზე უმიზნო გამოგონება“. პირველი პრემია მიეკუთვნა შავ კარადას, რომელსაც აქვს ერთი ფითელი ღილაკი. ღილაკზე ხელის დაჭერისას კარადის კარი იღება, იქიდან გამოიყოფა პლასტმასის ხელი, რომელიც აჭერს ამ ღილაკს და კარადა ისევ იხურება.

ახალი პრეპარატი

ამერიკელმა მეცნიერებმა ქალაქ სიეტლში გამოგიფეს პრეპარატი, რომელიც ბაზალტის ქვისაგან წარმომქნის წყალს. პრეპარატის გამოყენება სურთ მთვარეზე ფაფრენისას. კოსმოსის პირველი დამპყრობნი თან წაიღებენ ამ პრეპარატს წყლის მისაღებად. წყლის მიღების პირველი ცდები წარმატებით მიმდინარეობს. მაღალი ტემპერატურის მოქმედებით ერთი კილოგრამი ბაზალტისაგან მიიღეს 30 გრ. წყალი. ხოლო 33 კილოგრამი ბაზალტისაგან მიიღეს ერთი ლიტრი წყალი. სიეტლის მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ გზით წყლის მიღება შეიძლება ყველა კლდისაგან.

ქალი იბრძვის პრეზიდენტის პოსტისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების სენატორმა ქალმა, სამოცდაექვსი წლის მარკარეტ ჩეიზ სმიტმა განაცხადა, რომ იბრძოლებს პრეზიდენტის პოსტისათვის 1965 წელს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის ამერიკაში. ჯერ კიდევ 1872 წელს ამერიკელი ქალი ვიქტორია ვუდჰალი და 1884 წელს შელვა დოკეუდი ცდილობდნენ პრეზიდენტის თანამდებობის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა.

დედამიწის ირგვლივ ერთმოძრაობიანი თვითმფრინავით

38 წლის ამერიკელი ქალი ჯეერალდინ მოკი პირველი ქალია მსოფლიოში, რომელმაც შეძლო შემოეფრინა დედამიწა შორეული მგზავრობისათვის გამოუყენებელი ერთმოტორიანი თვითმფრინავით. ალაბამან მოკი ოჰაიოს შტატიდან გაფრინდა ატლანტიკისაკენ, შემოიარა აფრიკა, ინდოეთი, ინდონეზია და ჰონოლულუში ჩაფრინდა. აქედან მან ყველაზე ხანგრძლივი ფრენა განახორციელა — 4000 კმ იფრინა წყნარ ოკეანეზე.

ახალი ფილმი

გდრ-ში ამჟამად მზადდება ფილმი რიბარდ ვაგნერის ოპერის „ფრინველი ჰოლანდიელის“ მიხედვით. დეფას კინოსტუდიას ამ ფილმის გადაღება სხვა დანარჩენ ფილმებთან შედარებით ძვირად უჯდება, რადგან მასში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც დრამატული მსახიობები, ისე ოპერის სოლისტები.

ფილმის რეჟისორია იოაჰიმ ჰერზი. იგი დიდხანს ეძებდა მთავარი როლის შემსრულებელს. საბოლოოდ არჩევანი შეაჩერეს პოლონელ მსახიობ ანა პრუცნალზე, რომელიც საბჭოთა მაყურებლებმა გაიცნეს პოლონური ფილმში „მოუსვენარი დისწული“.

დანია

მინის გზატკეცილი

დანიაში მიმდინარეობს ცდები, რათა გზატკეცილებზე დაგებული ასფალტი შეიცვალოს მინით. ახეთი გზატკეცილი უფრო გამძლეა და ხორკლიანი ზედაპირი მანქანის სრიალის საწინააღმდეგოა. გარდა ამისა, მანქანის ფარების სინათლე ღამით უფრო კარგად ანათკებს.

მინის გზატკეცილს ერთი უარყოფითი თვისება აქვს: ასფალტზე სამჯერ უფრო ძვირი ჯდება.

დიდი ბრიტანეთი

რეცენზია... საკუთარ წიგნზე

ინგლისურ გაზეთ „იორკშირ პოსტში“ ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ანტონი ბურგესმა ამ რამდენიმე ხნის წინათ აღფრთოვანებული რეცენზია მოათავსა გაზეთში მწერალ ჯოზეფ კელის რომანის შესახებ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რეცენზიისა და წიგნის ავტორი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა, ხოლო ბეგარი კელი ბურგესის ლიტერატურული ფსევდონიმია. თავის გასამართლებლად ბურგესმა განაცხადა: „საკუთარ წიგნებზე რეცენზიების დაწერაში მისი ავტორები ყველაზე უფრო ავალიფიციური არიანო“.

ბურგესს რედაქცია ლაატვენიენს.

ეკვადორი

საინტერესო ოპერაცია

ეკვადორელმა ექიმმა რობერტო ჟილბერმა ჩაატარა უაღრესად საინტერესო ოპერაცია. მას საავადმყოფოში მოუყვანეს ახალგაზრდა მეზღვაური ჯულიო ლუნა, რომელსაც ხელი წაეალიჯა გემის ძრავებმა. ექიმმა თამამი გადაწყვეტილება მიიღო. ახლად გარდაცვლილ ადამიანს მოაკრა ხელი და წააკერა მეზღვაურის მხარს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და დიდი გამოსაურეკბა ჰპოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეზღვაური გამოკეთდ: და აამძრავა თავისი „ახალი ხელი“.

იუგოსლავია

მგრძნობიარე თერმომეტრი

იუგოსლავურმა ფირმა „ელექტრომედიცინამ“ შექმნა სამედიცინო ელექტროთერმომეტრები და დაიწყო მათი ფართო მასშტაბით გამოშვება. ჩვეულებრივი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები შედარებით ნელა რეაგირებენ სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე, რაც ხშირად არახელსაყრელია. პატარა ბავშვის ტემპერატურის გაზომვისას ელექტროთერმომეტრს სჭირდება სამი სეკუნდი სხეულის ზუსტი ტემპერატურის აღსანიშნავად.

გაუგებარი ფრესკა

ქალაქ გრადიშტეში XVII ს-ნის მონასტრის კედელზე აღმოჩნდა ფრესკა, რომლის ცენტრშიც დახატულია პაწია ჩიჩორი. ჩიჩორის თავს ანგელოსის შარავანდედი მოსავს. ავტორისა ვერ გაარკვიეს, რატომ მოხვდა ჩიჩორი ფრესკაზე ანა რატომ შეიმჩინ ის მხატვრმა შარავანდედით.

ღამურები საფოსტო მძრავდეგის მაგიერად

გერმანელმა ტურისტებმა: ამას წინათ იუგოსლავიის ერთ-ერთ გამოქვაბულში დაიჭირეს რამდენიმე ღამური, ფეხებზე გაუკეთეს რგოლები და მხოლოდ მიუწვნეში გაუშვეს. ღამურებმა შეუსვენებლად და პირდაპირი ხაზით იფრინეს 600 კმ. და შინ, თავიანთ გამოქვაბულში დაბრუნდნენ.

სტრატოსფიერული ლიმონს

სერბიელმა მეგალეგ ნაიდან მიშიჩმა ლიმონის ხეს ქერქქვეშ შეუშხაპუნა სტრატოსფიერული სითხე. ამ ხიდან დაკრეფილი თითოეული ლიმონი 0,5 კგ. იწონის.

ბელგრადის თეატრალური ცხოვრება

ბელგრადში მუშაობს ექვსი მუდმივი თეატრი განსხვავებული, მაგრამ საინტერესო პროგრამით. ოპერის თეატრი ცალკეარა აქვთ, ვინაიდან ნაციონალური თეატრი დგამს ოპერებს, ბალეტს და დრამატულ სპექტაკლებს. ამჟამად მის რეპერტუარში „ქნინ ბატერფლაი“, „კარმენი“, ბალეტებიდან პოკოფიევის „ზოლუშკა“ და სხვ.

საინტერესო თეატრია „სავრემენო პოზარიშტე“ („თანამედროვე სცენა“), რომელიც 1.000 კაცს იტევს. მის რეპერტუარშია პირანდელოს, ნუშინის, დიურენმატის, ჰაკს ფრაშის, ეგგენი შვარცის, ბრეჰტის და თანამედროვე იუგოსლავ დრამატურგთა პიესები. მალე თეატრი დადგამს ბორან პოპოვიჩის პიესას — „სიცრუე და კვლავ სიცრუე“, ანრეთვე ვასა პოპოვიჩის პიესას — „ჭოტი ზემოთ“ (რიგითი პარტიზანის ცხოვრებაზე).

ბელგრადის ყველაზე პატარა თეატრი 212-ადგილიანი „ატელიე“, რომელიც დროებით მოთავსებულია გაზეთ „ბორბას“ კლუბში. ეს ექსპერიმენტული თეატრი დგამს მსოფლიოს და იუგოსლავიელ დრამატურგთა უახლეს პიესებს, მეტწილად ისეთებს, რომლებსაც, მათი ფორმისა და ხასიათის გამო, არ დგამენ სხვა თეატრები; დგამს კლასიკასაც, ოღონდ თანამედროვე გაფორმებით. ამ პატარა თეატრის კედლებზე ჰკიდია ახალგაზრდა იუგოსლავი მხატვრების ანტრაქტული პლაკატები ბეკეტის, სარტრის, ფოლკნერის, არტურ ადამოვის, კოლდუელის და სხვათა პიესებისთვის.

კანადა

შექსპირი ჯაჯაზე

ცნობილმა მეჯაზემ დიუკ ელინგტონმა კანადის ერთ-ერთ თეატრს დაუწერა მუსიკა შექსპირის პიესისთვის — „ტიმონ ათენელი“. ამ მუსიკის ცენტრალური მელოდია იქცა მოდერ სიმღერად, რომელსაც დაარქვეს „ტიმონ ათენელი ჩა-ჩა-ჩა“.

მექსიკა

სიკეიროსის ფრესკა გადაარჩინეს

მექსიკელი მხატვრის სიკეიროსის ფრესკა, რომელიც გამოხატავს მექსიკელთა ბრძოლას ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და 72 კვ მ ფართობზეა მოხატული თანამედროვე რეალისტური ხელოვნების ცენტრის დარბაზში, მხოლოდ შემთხვევით გადარჩა დაღუპვას. ცენტრი და მისი შენობები გაგდა კერძო საკუთრება მილიონერ ედუარდო ვილასენიორისა, რომელმაც ამას წინათ გადაწყვიტა დასანგრევად გაეყიდა ეს თავისი საკუთრება. სიკეიროსის ნამუშევარი მან სახელმწიფოს ანუკა, მაგრამ ოფიციალურ დაწესებულებებს თავი არ შეუწუხებიათ, რომ სათუოდ ჩამოეხსნათ და სათანადო ადგილას გადაეტანათ ფრესკა. მაშინ მილიონერმა გამოიძახა ვიღაც ხელოსანი, რომელმაც უვიცად ჩამოგლიჯა ფრესკა და თავის საწყობში წაიღო. სურათი სრულიად შემთხვევით იქნა ნაპოვნი საწყობში. ამ ამბავმა საზოგადოებრივობის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ შეეშინა მთავრობა იძულებული შეიქნა განეცხადებინა, ფრესკას ჩვენ ვუპატრონებთ და აღვადგენთო, ხოლო რიგა დაამთავრებენ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენებას, ფრესკა იქ თავის ადგილს დიეპერსო.

ნიგერია

გიგანტური ოჯახი

ნიგერიის მცხოვრები იმან შაკრე ოჯახური მუფლოების მოყვარულია. იგი ოჯახში ითვლება იდეალურ მეუღლედ, მამად და ბაბუად.

შაკრეს ოჯახი შედგება: 12 ცოლის, 100 შვილისა და 250 შვილიშვილისაგან. უკანასკნელთა რიცხვი საოცრად იზრდება.

120 წლის შაკრე შესანიშნავად გრძნობს თავს და ოჯახს კარგად უძღვება.

დაკონსერვებული წყალი

ჰონკონგის მაღაზიებში ამ ბოლო დროს გასაყიდად გამოიტანეს... კონსერვირებული წყალი, ვინაიდან აქ წყლის დიდი ნაკლებობაა. წყალსადენი მოქმედებს მხოლოდ ოთხ დღეში ერთხელ, ისიც მხოლოდ ოთხი საათით. იმპორტული ლიტრა წყალი ღირს დაახლოებით 30 ცენტი, რაც საკმაოდ ძვირია. ამიტომ კონსერვირებულ წყალს ყიდულობენ მხოლოდ სასტუმროები, რესტორნები და მდიდარი მოქალაქენი.

ნორვეგია

კინემატოგრაფიის დიდი ფარამეტი

ნორვეგია ის ქვეყანაა, რომელიც ვერ დაიტრაბახებს თავისი კინემატოგრაფიის დიდი ფარამეტებით. აქ ეკლესიაში 6 — 8 ფილმი გამოდის, ისიც მეტწილად დოკუმენტური და ქრონიკული ხასიათისა. ნორვეგიაში სულ მხოლოდ 650 კინოთეატრია, რომლებიც მუნიციპალიტეტებს ეკუთვნის. აქ ყოველწლიურად შემოაქვთ 400-ზე მეტი უცხოური ფილმი, რომელთა 50—60% ამერიკულია. საბჭოთა კავშირიდან მან წელიწადში შეაქვთ 5—6 ფილმი. ამ ბოლო დროს საკმაო ინტერესით ეკიდებინ ჩეხოსლოვაკურ, პოლონურ და იუგოსლავურ ფილმებს; დაინტერესდნენ აგრეთვე ნორვეგია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ფილმებით — ნორვეგიელ კინოშუაკებს განზრახული აქვთ საბჭოთა კინოშუაკებთან ერთად გადაიღონ ფილმი ფრიტიოფ ნანსენის მოგზაურობის შესახებ.

რუმინეთი

რუმინული ენციკლოპედია

რუმინეთის სხვადასხვა დარგის 400 სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო რუმინული ენციკლოპედიის რედაქტორებში. რუმინეთში ასეთი დიდი შრომა პირველად გამოიცემა. ენციკლოპედიური ლექსიკონის 46 ათასი სტატეა შეეხება მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგს.

ფილიპინები

ფილიპინელი გენიოსი

22 წლის ფილიპინელმა დავიდ დე მედალამ თავისი სკულპტურული ნამუშევრების გამოფენით მთელი ლონდონი აალაპარაკა, ახალგაზრდა ფილიპინელი ბუნებამ ყოველმხრივ დაჯილდოვა. წერს

ლელქსებსა და პოემებს, იცის რამდენიმე უცხო ენა. ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში მშობლიურ ენაზე თარგმნა შექსპირის ხუთი პიესა, ხოლო 14 წლისამ დასწერა შრომები ფილოსოფიის დარგში.

ჩეხოსლოვაკია

ახალგაზრდული ჟურნალი

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირმა დაიწყო ერთთვიური ჟურნალის „ტვარჟეის“ (სახე) გამოცემა. ჟურნალში დაიბეჭდება მხოლოდ ახალგაზრდა მწერლების, პოეტებისა და თეორეტიკოსების ნაწარმოებები.

გონიერი მანქანა

ჩეხოსლოვაკელმა ტექნიკოს - რაციონალიზატორმ მ ა იუზეფ მალესკამ და ფრანტიშეკ პუორმა ქარხანა „არგოსტროროში“ შექმნეს მოწყობილობა, რომელიც რეკორებს ადამიანის ხმაზე.

მოწყობილობა მოქმედებს ელექტროდამუხტულებაზე. თუ მუშამ, რომელიც დაზგას ემსახურება, ხმას აუმაღლა ან დაიყვირა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მანქანა იმწამსვე სწყვეტს მუშაობას.

საბერძნეთი

ახალი მეცნიერება

ურბანისტ არქიტექტორთა, ინჟინერთა, ტოპოგრაფთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა და სხვა სპეციალისტთა ჯგუფეს, რომელიც შემოიკრიბა ათენში ბერძენი ურბანისტის დოქსიდიასის ირგვლივ, გამოუშვა მანიფესტი ახალი მეცნიერული დისციპლინის — ეკისტიკის შესახებ. მანიფესტში ამტკიცებენ, რომ მაშინ, როცა დედამიწის მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდება 2%-ით, ქალაქების მოსახლეობა იზრდება 4%-ით. ამიტომ სავარაუდოა, რომ მომავალი 40 წლის განმავლობაში აშენდება უფრო მეტი ხანძარსაფარ შენობა, ვიდრე აშენებულა მთელი წინა ისტორიის მანძილზე. ეკისტიკას უნდა აქედან გამომდინარე პრობლემები გადაჭრას კომპლექტურად და გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა უახლესი მიღწევა. ათენს ნის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში უკვე ჩამოყალიბდა ამ ახალი სპეციალობისთვის განკუთვნილი პირველი ფაკულტეტი.

საფრანგეთი

საკუთარ ოჯახში...

ფრანსუა მორიაკმა ამას წინათ პარიზის გაზეთ „ფიგაროს“ მისცა ინტერვიუ თანამედროვე ფრანგული საზოგადოების შესახებ:

„ადამიანებს ბედნიერება სურთ, მაგრამ თვითეულ ხდიან შეუძლებელს ბედნიერების მიღწევას. ჩემს ახალგაზრდობაში ცხოვრება უფრო მძიმე და სასტიკი იყო, მაგრამ მაშინ მეფობდნენ იდეალები. დღეგვანდელ საზოგადოებაში კი პოეტური ოცნებანი შეცვალა ნივთების კულტმა. ეს ამბავი გულს გაუტეხს ადამიანს. ერთი რამაა, რაც მახარებს: საფრანგეთმა დაჭკარგა თავის კოლონიათა უმეტესობა, მე კი მთელი არსებით მძაგდა ეს ბინძური ომები ინდოჩინეთსა და ალჟირში. კარგი ოქნებოდა ახლა ჩვენს საკუთარ ოჯახში დაგვემყარებინა წესრიგი“...

სიმონს სინიორეტ ფრანკოს წინააღმდეგ

ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა სიმონს სინიორეტმ უარი თქვა დაედო კონტრაქტი ცნობილ პროგრესულ ესპანელ კინორეჟისორ ბარდემთან, რომელმაც მას შესთავაზა თავის ახალ ფილმში თამაში. სინიორეტ განაცხადა, რომ თუმცა ბარდემმა შესთავაზა ყველაზე საუკეთესო როლი, როგორზეც ოცნებობდა ოიცნებობს მსახიობმა, მაგრამ მას სძაგს ფაშიზმი, და ვიდრე ესპანეთში ბატონობს ფრანკოს ფაშისტური დიქტატურა, ის არ ჩავა ესპანეთში და არ ითამაშებს არც ერთ ფილმში.

მოქალაქეობრივმა სინდისმა აოქმეევინა სიმონს სინიორეტს უარი აგრეთვე მრავალ ფილმზე, რომლებშიც შელამაზებული იყო საფრანგეთის არმიის მხეცობანი ალჟირში.

პიკასო პირველ ადგილზე

ამას წინათ საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სინტერესო სტატისტიკური მონაცემები ფრანგი მხატვრების ნაწარმოებების მატერიალურ წარმატებათა შესახებ 1958 წლიდან 1963 წლამდე. პირველი ადგილი ხვდა პიკასოს, რადგან მისი 29 სურათი გაეიდულია 0,5 მლნ დოლარად; მეორე ადგილზეა რენუარი, რომლის 25 სურათი გაიყიდა 470 ათას დოლარად! მანეს 8 სურათმა მათ პატრონს მოუტანა 350 ათასი დოლარი; პისაროს 18 სურათი გაიყიდა 18 ათას დოლარად, ხოლო მატისს 17 სურათი — 150 ათას დოლარად.

რას კითხულობენ ფრანგი მოსწავლეები

საფრანგეთის რესპუბლიკურმა საბიბლიოგრაფიო ბიურომ გამოაქვეყნა საფრანგეთის საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის ჩატარებული შემოწმების შედეგები. გამოირკვა, რომ იმ წიგნებს შორის, რომელთაც ყველაზე მეტად კითხულობენ ფრანგი მოსწავლეები, პირველ ადგილზეა ერივ ბაზენის, სენტ-ეგზიუპერისა და ვიქტორ ჰიუგოს, ხოლო შემდეგ ბალზაკისა და სტენდალის ნაწარმოებები. თანამედროვე ფრანგი მწერლებიდან თითქმის არავინ არ კითხულობს ახალგაზრდა მწერალი ქალის ფრანსუაზა

საგანის ნაწარმოებებს და ამ-ჯობინებენ სარტრისა და კა-მიუს კითხვას.

უხუცესთა წარმატება

პარიზის კინოთეატრებს ისე კატასტროფულად აკლდებო-და მაყურებელი, რომ მათი მეპატრონეები იძულებული შეიქნენ ეცადათ შუნჯი კინოს ძველი კინოვარსკვლავების ფილმების დემონსტრაცია. ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა: მაყურებელი უდიდესი ინტე-რესით ნახულობს ძველ ფილ-მებს, რომლებშიც მონაწილეო-ბენ ბესტერ კიტონი, ჰაროლდ ლოიდი და ჩარლი ჩაპლინი. წარმატება ხვდა აგრეთვე უხუ-ცესი კინოკომიკოსის მაქს ლინდერის ფილმს, რომელიც თამაშობდა კინემატოგრაფიის გარიჟრაჟზე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, პმ/გ მდივნის — 5-08-86, განყოფილებების: კრი-ტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, პოეზიისა და პროზის — 5-08-35.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 607. უე 04384. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ЭЛЛ 60 ЗЛЗ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА"

ИНДЕКС 76236